ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტი

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

მარინე მჭედლიშვილი

ინგლისურ ნეოლოგიზმებში ასახული თანამედროვე სამყარო და ქართული ენობრივი სურათი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მანანა რუსიეშვილი

თბილისი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

დასავლეთევროპული ენებისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

სადოქტორო პროგრამა:

ფილოლოგია

მარინე მჭედლიშვილი

ინგლისურ ნეოლოგიზმებში ასახული თანამედროვე სამყარო და ქართული ენობრივი სურათი

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი მანანა რუსიეშვილი

თბილისი

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს თანამედროვე ინგლისურენოვანი სამყაროს პოლიტიკური და ვირტუალური (ინტერტენის) სივრცის ნეოლოგიზმების, როგორც ნეოლოგიის ლინგვისტური ფენომენის ორი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სეგმენტის სისტემურ კვლევას და მათი ქართულ ენაში გადმოტანის სპეციფიკის ანალიზს. კვლევა გულისხმობს იმ კანონზომიერებების გამოვლენას, რაც ნეოლოგიზმების თარგმნის სტრატეგიებს, სტანდარტებს, ტენდენციებს და ქართულ ენაში მათი გავრცელების მაჩვენებლებს უკავშირდება და ემსახურება ქართულ ენაზე ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების გავლენის მასშტაბების, დადებითი თუ უარყოფითი შედეგების გამოვლენას.

კვლევა ასევე მოიცავს დიაქრონულ ნაწილს, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, გლობალიზაციის პირველ ტალღასთან ერთად წარმოშობილი ე,წ, „ინტერნაციონალური ლექსიკის“ გავრცელების საჭიროების პირობებში საქართველოში „უცხო სიტყვათა სტატუსით“ შემოსული და დამკვიდრებული ლექსიკის შესწავლას სამი ძირითადი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ანალიზის საფუძველზე იმის გამოსავლენად, თუ რა გავლენა მოახდინა 1904 წლიდან 1990-იან წლებამდე ახალი ლექსიკის შემოსვლამ და როგორ აისახა შედეგები ქართულ ენაზე. წარსულის გამოცდილების დაკვირვება საინტერესო და მნიშვნელოვანია თანამედროვე გამოწვევების სწორად შეფასებისათვის და გვაჩვენებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს ან არ წარიმართოს ახალი ლექსიკის ენაში დანერგვის პროცესი.

კვლევა ასევე მოიცავს ინტერაქტიული ექსპერიმენტის ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი კითხვარის სახით ნეოლოგიზმების შესახებ გამოსაკითხ პირთა ინფორმირებულობის, მათი ცოდნის და საკითხის გაცნობიერების, ლინგვისტური გემოვნების გამოსავლენად, რისი საბოლოო მიზანიც მათი დამოკიდებულების, ლინგვისტური კომპეტენციის შეფასებაა და ემსახურება სამომავლო ტენდენციების გამოვლენას. საბოლოო ჯამში, წარსულის გამოცდილების, ნეოლოგიის

მიმდინარე ტენდენციების და ქართულში მიმდინარე შესაბამისი ცვლილებების და გამოკითხულ პირთა ლინგვისტური არჩევანის თუ გემოვნების საკითხების მთლიანი სურათის შედგენით, საშუალება გვეძლება, გამოვავლინოთ კონკრეტული პრობლემები და დავსახოთ ამ პრობლემათა აღმოფხვრის შემდგომი მოგვარების პერსპექტივა.

Abstract

This paper represents a systematic study of neologisms in the political and virtual (internet) domains of the contemporary English-speaking world, as the two most widely distributed segments of the linguistic phenomenon of neologisms, and an analysis of the specifics of their transfer into the Georgian language. The research involves identifying the regularities related to translation strategies, standards, trends, and indicators of neologisms' dissemination in Georgian. It serves the purpose of revealing the scale of influence of English-language neologisms on Georgian, as well as their positive or negative consequences.

The research also includes a diachronic part, focusing on the vocabulary that entered and became established in Georgia with the status of "Foreign Words" from the beginning of the 20th century, with the purpose of spreading the so-called "International Vocabulary" that emerged with the first wave of globalisation. Based on the analysis of three primary "Foreign Words Dictionaries", the study reveals the influence the introduction of new lexicon had from 1904 to the beginning of the 1990s and further, how the results were reflected in the Georgian language. Observing past experience is significant for assessing contemporary challenges. It shows us how the process of introducing the emerging English vocabulary into the Georgian language should (or should not) proceed.

The research also includes an interactive experimental component, presented in the form of a comprehensive questionnaire about neologisms, designed to reveal respondents' awareness, knowledge, and understanding of the issue, as well as their linguistic taste. This component

ultimately aims to assess their attitudes and linguistic competence, identifying future trends. Ultimately, by compiling a comprehensive picture of the past experience, current trends in neologism, corresponding changes occurring in Georgian, and the issues of surveyed individuals' linguistic choices and preferences, we are presented with the opportunity to identify specific problems and can further outline the prospects for the resolution of these problems.

შინაარსი

შესავალი ……vii-xv

თავი 1: ნეოლოგიზმი, როგორც ლინგვისტური ფენომენი და მასთან დაკავშირებული საკითხები

ერმინის „ნეოლოგიზმი“- განმარტებისათვის 1-4

ინგლისური ენა, როგორც თანამედროვე ნეოლოგიზმების მთავარი წყარო 11-13

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა ლინგვისტური თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად და ქართული გამოცდილება.....18-25

საკვლევი მასალის საკლასიფიკაციო ჩარჩო და მისი მიზანშეწონილობა.....26-28

თავი 2: პოლიტიკური ნეოლოგიზმები და მათი თარგმანში ტრანსპოზიციის საკითხები

პოლიტიკური ნეოლოგიზმების აღმოცენების საფუძვლები და დამიშნულება.....29-34

პოლიტიკურ ნეოლოგიზმთა ნიმუშების ანალიზი ინგლისურ და ქართულ კონტექსტებში

თანამედროვე ქართული პოლიტიკა და ნეოლოგიის ტენდენციები.....76-85

თავი 3. ვირტუალური სივრცის, სოციალური ქსელების და ტექნოლოგიური ნეოლოგიზმები

ირტუალური სივრცის ნეოლოგიზმთა ზოგადი მიმოხილვა.....86-90

ვირტუალური სივრცის, ინტერნეტის და კომპიუტერული ნეოლოგიზმების ნიმუშების ანალიზი

ს

მორფოლოგიური სიტყვაწარმოების მოდელების მიხედვით შექმნილი ვირტუალური ნეოლოგიზმები

დ

ნ

ტ

ა

ნ

ფ

ვირტუალური სივრცის ბარბარიზმები ქართულ მეტყველებაში.....127-134

თ

თავი 4: ნეოლოგიზმთა ენაში დამკვიდრების მე-20 საუკუნის გამოცდილება და გავლენა ენობრივ სურათზე

პ

ბ

ა

ე

ა

ა

პოლიტიკურ თემატიკასთან დაკავშირებული სიტყვები „უცხო სიტყვათა ლექსიკონებიდან“ გამქრალი ან სემანტიკურად დავიწროვებული ქართული შ

4.6 „უცხო სიტყვათა“ გავლენა ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურებზე.....171-181

4.7 რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საერთო დასკვნა

კ

ი

4.7.3 კითხვარის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი……..191-196

თ

დასკვნა……...……..197-204

ნ

ბიბლიოგრაფია.....…….……..…205-232

ა

დანართი……..232-263

რ

ი

ს

ნ

ე

დ

ლ

ი

შ

ე

დ

ე

გ

ე

ბ

ი

შესავალი

კომუნიკაცია კაცობრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი ასპექტია. რამდენადაც ადამიანები სოციალური არსებები არიან, ენა იყო, არის და ყოველთვის იქნება მათ შორის ურთიერთობის მთავარი ინსტრუმენტი. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, ცვლილებები საზოგადოებაში გამოწვეული იყო ახალი გამოცდილებებით და ჩვენი ცნობიერების ჩარჩოების შესაბამისი გაფართოებით. ცვლილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი კაცობრიობის ისტორიაში ენების მიერ გავლილი ტრანსფორმაციებია. ტრანსფორმაციებში, ენათა სტრუქტურული თავისებურებების ევოლუციასთან ერთად, იგულისხმება სხვადასხვა ტიპის ლექსიკური ელემენტების წარმოშობა და გაქრობა, ენების ლექსიკური შემადგენლობის მუდმივი განახლება. ენებში მიმდინარე ეს პროცესები მჭიდროდ უკავშირდება სოციალურ მოვლენებს, რადგან ენა პირდაპირ ასახავს მსოფლიო საზოგადოებაში მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ ადამიანის ცნობიერებასა და რეალობის აღქმაში მიმდინარე ცვლილებებს. საზოგადოებას იცნობენ იმ ენით, რომელსაც ის ფლობს. სიტყვები ასახავენ ეპოქას და ამავდროულად, ადამიანთა ცხოვრების ყველა ასპექტი ასახულია მათ მიერ გამოყენებულ ლექსიკაში. მაშინ, როცა იცვლება სამყარო - გამოგონებებით, აღმოჩენებით, რევოლუციებით, ევოლუციით და პერსონალური ტრანსფორმაციებით - იცვლება ენაც

ამგვარად, ნეოლოგიზმები წარმოაჩენენ საზოგადოებაში მიმდინარე მუდმივ ცვლილებებს და ამტკიცებენ, რომ ენა ცოცხალი ორგანიზმია (Cabre, 2012:1). ნებისმიერ ეპოქას აქვს ფაქტორი, ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც ახალი ენობრივი მახასიათებლების გაჩენას იწვევს და ამის მოწმენი ვხდებით მუდმივად. ეს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ენობრივი ცვლილებების რაგვარობის კვლევაში, მათი შინაგანი არსის და რეგულარობების დადგენაში. ეპოქა, რომელშიც ვცხოვრობთ, სრულიად სამართლიანად ატარებს „ინფორმაციის საუკუნის“ სახელს. ადამიანი დღეს, ნებსით თუ უნებლიედ, ცხოვრობს რეალობაში, რომელშიც ყველა საზოგადოებრივი ქმედება ინფორმაციაზე და მასზე წვდომაზეა დამოკიდებული. პერიოდს, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან 21-ე საუკუნის განვლილი აწ უკვე მეოთხედი საუკუნის ჩათვლით, განვითარების ტემპებით

და მასშტაბებით ვერ შეედრება არა თუ კაცობრიობის არსებობის რომელიმე ერთი ეპოქა, არამედ ერთად აღებული კაცობრიობის მთელი ისტორიაც. სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური, კულტურული თუ მენტალური ევოლუციის თუ რევოლუციების პროცესებმა გამოიწვია ახალი ცნებების და მოვლენების გაჩენა, რაც გულისხმობს მათთვის სახელდების საჭიროების წარმოშობასაც. თანამედროვე ადამიანს უწევს, და ხშირ შემთხვევაში, მიმდინარე ლინგვისტური ტენდენციების მიხედვით, სურს კიდევაც, უსასრულო რაოდენობით ახალი სიტყვის გამოგონება იმ ყველაფრის სახელდებისათვის, რაც თანამედროვე ცხოვრებამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებით კი, ყოფილა ახალი სიტყვების ქმნის, ანუ ნეოლოგიზაციის ტენდენცია ასეთი მასშტაბური. ნეოლოგიზმები ჩვენი ყოველდღიურობის მუდმივი თანმდევი მოვლენა გახდა.

„გლობალური სოფლის“ (Global village) ცნებისა და ტერმინის გაჩენაც ასევე ლოგიკურად უკავშირდება ევოლუციის და წინსვლის ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების ერთობლიობას. დისტანცია დროსა და სივრცეში იმდენად შემცირდა ინტერნეტის თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ტემპის, საერთაშორისო მიმოსვლის, პოლიტიკური ურთიერთობების გააქტიურების, სხვადასხვა საერთაშორისო გაერთიანებების შექმნის ფონზე, რომ დღეს თანამედროვე ადამიანი ალბათ ყველაზე მიახლოებულია „მსოფლიო მოქალაქეობის“ ცნებასთან.

თუმცა, გლობალიზაციის მასშტაბების ზრდა სულაც არ გულისხმობს, რომ ერებს შორის ვერბალური კომუნიკაცია გამარტივდა და თარგმანი ნაკლებად აქტუალურია. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სტატუსის მატარებელ სიტყვათა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება, თარგმანიც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ვგულისხმობთ ენობრივი სტანდარტების დაცვით სათანადო ხარისხის თარგმნითი ეკვივალენტების მოძიებას ყველა იმ ნეოლოგიზმისთვის, რომლებიც ცნების დონეზე საერთო გახდა თუ არა მთელი მსოფლიოსთვის, მისი დიდი ნაწილისთვის მაინც. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს **თემის აქტუალობა.** ჩვენ მუდმივად გვხვდება ახალ სიტყვები ტელევიზიასა და ინტერნეტში, ისევე, როგორც ცოცხალ მეტყველებაში. შესაბამისად, პირველ რიგში დგება მათი არსის გაგების, ხოლო შემდგომ

ენაში მათი, როგორც ლექსიკის ახალი ელემენტების, დაფიქსირების საჭიროება. რამდენადაც ნეოლოგია, როგორც ლინგვისტიკის ქვედარგი, შედარებით ახალგაზრდაა და ინტერდისციპლინული კვლევის ობიექტია, მისი ზოგიერთი ასპექტი ქართველი ლინგვისტების, ლექსიკოგრაფების და ტერმინთშემოქმედებისთვისაც შედარებით სიახლეს წარმოადგენს და ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია თანამედროვე ნეოლოგიზმებზე მუშაობის ზოგიერთი სტრატეგია.

წინამდებარე ნაშრომში ჩემი **მიზანია,** შევისწავლო, თუ როგორ მიმდინარეობს თანამედროვე მსოფლიოს ინგლისურენოვან ნაწილში ამ ორი სფეროს ახალ სიტყვათა წარმოების ტენდენციები და რა არის ამის საფუძველი; როგორია ამ მხრივ საქართველოს მდგომარეობა, რამდენად მეორდება ტენდენციები ქართულ რეალობაში; როგორ იღებს და ამკვიდრებს ქართული ენა ინგლისურ ნეოლოგიზმებს, რა ფაქტორები უწყობს ხელს ამა თუ იმ თარგმნითი ვარიანტის არჩევას, როგორია ნეოლოგიზმების თარგმნისას გამოყენებული სტრატეგიები, რა დამოკიდებულება აქვთ საქართველოს რიგით მოქალაქეებს ნეოლოგიზმებთან, (რასაც მოცულობითი კითხვარის გაანალიზების საფუძველზე დავადგენთ) და როგორია ქართული ენის საბოლოო სურათი საკითხთან მიმართებაში.

ინგლისური ნეოლოგიზმების ქართულ ლინგვისტურ რეალობაში ასახვის სურათის ჩვენების პარალელურად, საჭიროდ ჩავთვალე, გამეკეთებინა დიაქრონული კვლევა, თუ რა შედეგები მოჰყვა ერთი საუკუნის წინ ევროპული ენებიდან, ძირითადად რუსულის გავლით (რასაც თვითონაც ადასტურებს პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ ავტორი, ი. იმედაშვილი თავისი ლექსიკონის შესავალში (იმედაშვილი, ინტერნაციონალიზმების, ცნებების და მათთან დაკავშირებული შესიტყვებების დამკვიდრებას, რომლებიც სოციალური და ტექნოლოგიური განვითარების იმ ეტაპზე ნეოლოგიზმები და „უცხო სიტყვები“ ერთი და იგივე ცნების სხვადასხვაგვარი განმარტებაა (დღეს ნასესხობები - borrowings ან loan words ნეოლოგიზმების ერთ-ერთ კატეგორიად ითვლება, რასაც თეორიულ ნაწილშიც დავადასტურებთ). ტერმინი

„ნეოლოგიზმი“, როგორც ერთი მორიგი „უცხო სიტყვა“, ასევე შესულია ჩვენს მიერ შესწავლილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონებში“, რომელთაგანაც პირველს იმიტომ არ ეწოდა „ნეოლოგიზმთა ლექსიკონი“, რომ „ნეოლოგიზმის“ იმედაშვილისეულ განმარტებაში პ ი რ ვ ე ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ი ს ა ვ ტ ო რ ი

შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა, რა კავშირშია სხვა ევროპული ენებიდან ქართულში შემოტანილი ნეოლოგიზმების გავლენა და შედეგები იმ ნაშრომთან, რომლის მიზანიც ინგლისური ენის ქართულ ენაზე, ამ თვალსაზრისით, გავლენის მასშტაბების დადგენაა. თუმცა, საკითხი ეხება არა იმდენად წყარო ენას, რამდენადაც თვით სესხება/ჩანაცვლების პრინციპს და , ზოგადად, იმ გავლენებს, რასაც ახალი ლექსიკური ელემენტების დამკვიდრება იწვევს გარკვეულ ენაში, მით უმეტეს, რომ სხვა ევროპულ ენებთან ერთად, ზემოხსენებულ ლექსიკონებში შედის ასევე ინგლისურიდან შემოსული სიტყვებიც. გარდა ამისა, ყველასთვის კარგად ცნობილია, რომ ტექნოლოგიური, სამეცნიერო, დიპლომატიურ-პოლიტიკური, სახელმწიფო მოწყობის, სამედიცინო და სხვადასხვა თემატიკის საერთაშორისო ტერმინოლოგიის წყარო ენები, დღევანდელთან შედარებით, ა რ

[1] ნეოლოგიზმი - ბერ. 1. ახალი სიტყვის შემოტანა, რომელიც ენისთვის აგრე რიგად საჭირო არ არის, უხერხულადაა მოგონილი და მხოლოდ მცირეთათვისაა გასაგონი, მაგალ. ცხენუკა - კონკა, წყალვარდნილა - ჩანჩქერი და სხვა... (ი.იმედაშვილი, 1904, გვ. 632)

[2] ნეოლოგიზმ-ი - ახალი სიტყვა ან ახალი გამოთქმა ამათუ იმ ენაში, - შემოიტანება სხვა ენებიდან სესხების გზით (მაგ. აკადემია, სოციალიზმი) ან შეიქმნება ხოლმე საკუთარი მასალის საშუალებით (მაგ. მედაუსწრებლე, საწარმი..) (გ.ახვლედიანი, 1933, გვ. 278)

ნეოლოგიზმი - [ბერძ. Neos ახალი და logos სიტყვა] (ლინგვ.) ენაში ახლად გაჩენილი სიტყვა ან გამოთქმა

გაცილებით მრავალფეროვანი იყო. რაც ინგლისურენოვან კვლევებშიც ნათლად დასტურდება (Pruvost, 2003; Algeo, 2010; Schultz, 2012; Durkin, 2014). შესაბამისად, ძველი გამოცდილება ახალი პროგნოზების წარმოდგენის საშუალებას იძლევა და ასევე, ცხადყოფს, თუ რა მიმართულებით **არ** უნდა განვითარდეს მოვლენები. შესაბამისად, გარკვეული გზამკვლევის ფუნქციასაც ასრულებს.

წინამდებარე ნაშრომში საჭიროდ მივიჩნიე, სისტემურად შემესწავლა თანამედროვე ეპოქის ნეოლოგიზმთა ორი ყველაზე დიდი და აქტუალური თემატური ჯგუფი: **პოლიტიკური ნეოლოგიზმები** და **ვირტუალური (ინტერნეტ) სივრცისა ქსელების ნეოლოგიზმები** - ორი სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების, თუმცა, ბოლო პერიოდში ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული სფეროს ლექსიკური სიახლეები. არსებობდა ამ კონკრეტული მიმართულებით დაინტერესების **წინაპირობაც.** კერძოდ, მაგისტრატურის პერიოდში ინგლისურ მხატვრულ ლიტერატურაში მოძიებული ოკაზიონალური ენობრივი ელემენტების, ეგრეთ წოდებული საავტორო ნეოლოგიზმების ქართულ თარგმანებთან შედარების კვლევას შედეგად მოჰყვა სამაგისტრო თემა, „ინგლისური ნეოლოგიზმების, როგორც ენობრივი უნიკალიზმების ტრანსპოზიცია ქართულ თარგმანებში“, რომელშიც შექსპირის, კიპლინგის და ჯოისის ნეოლოგიზმთა ქართველი მთარგმნელების მიერ შერჩეული მხატვრული თარგმნითი სტრატეგიები იყო შესწავლილი. თუმცა, 21-ე საუკუნეში მსოფლიო ენებისთვის დიდ გამოწვევად იქცა ინგლისური ენის გავლენის ღირსეული გამკლავება. ამიტომ, ქართულ რეალობაშიც, მხატვრულ შემოქმედებასთან შედარებით, უფრო მეტად მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო ენის მდგომარეობის შესწავლა. ქართული ენისთვის უპირატესია ოქროს შუალედის პოვნა. ერთი მხრივ, აუცილებელია თანამედროვე პროცესებისთვის ფეხის აყოლა, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროა ენობრივი ნორმების დაცვა და გლობალიზაციის უარყოფითი გავლენისთვის, ქართული ენის არაქართული წარმოშობის სიტყვებით უსარგებლო დაბინძურებისთვის თავის არიდება. საკითხის მნიშვნელობა, მშობლიურ ენებთან მიმართებით, გაცნობიერებული აქვთ ლინგვისტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რასაც ამოწმებს სამეცნიერო კვლევები, რომლებიც ნეოლოგიზმებს და მათ სხვადასხვა ენებში შეთვისების პროცესებს შეისწავლის (Poplack et al, 1988; Gerding et al,

წინამდებარე **კვლევის ფოკუსი** მიმართულია **პოლიტიკური, ვირტუალური სივრცისა** და **სოციალური ქსელების ნეოლოგიზმების** შესწავლისაკენ. ამ კონკრეტული მიმართულებების არჩევის მიზეზი ისევ გლობალიზაციის ის გავლენებია, რომელსაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ ჩვენს გარშემო. ინტერნეტში ჩართულობის სტატისტიკის მიხედვით, 2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით, დღევანდელი მსოფლიოს

Groups, 2016. www.allfreedownload.com

კვლევისათვის საჭირო მასალების **ძირითადი წყაროც** ინტერნეტია. პასუხი კითხვაზე, თუ რატომ, ცალსახაა. გარდა იმისა, რომ, თავისთავად, ინტერნეტის არსებობა

ხელს უწყობს ნეოლოგიზმების წარმოშობას, ის ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბების თანამედროვე ლინგვისტური პროცესების და რეალობის ყველაზე დიდი მონაცემთა ბაზის როლს ასრულებს. საზოგადოებაზე გავლენის მიხედვით ის ისეთივე მასშტაბის მოვლენაა, როგორიც თავის დროზე სტამბა, რკინიგზა, ტელეგრაფი, ავტომობილი, ელექტროენერგია და ტელევიზია იყო. თუმცა, ინტერნეტი პოტენციურად უფრო ძლიერია, ვიდრე თავისი დროის უმძლავრესი ტექნოლოგიური ნოვაციები - ბეჭდვითი საქმე და ტელევიზია, რომლებმაც ყველაზე დიდი გავლენა მოახდინეს ადამიანებს შორის კომუნიკაციაზე (Crystal, 2001:vii).

ასეთივე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ლინგვისტური თვალსაზრისით ინტერნეტს თვით World Wide Web-ის შემქმნელი, ტიმ ბერნერზ ლი, რომელიც აცხადებს, რომ **ვები/ქსელი** (**Web**) უფრო სოციალური ქმნილებაა, ვიდრე ტექნიკური. აქცენტი, რომელიც აქამდე ტექნოლოგიაზე კეთდებოდა, გადავიდა ხალხზე და მათ მიზნებზე. და რამდენადაც ინტერნეტს სულ უფრო და უფრო მეტად აფასებენ სოციალური თვალსაზრისით, იმდენად იზრდება და ცენტრალურ პოზიციას იკავებს ენის ფაქტორი ინტერნეტში (Berners-Lee, 1999:10).

ფართომასშტაბიანი დინამიკური ლინგვისტური ანალიზისთვის ინტერნეტი იდეალური მოვლენაა. მისი საშუალებით ფაქტობრივად დაურეგულირებელ, სპონტანურ, მყისიერად დაფიქსირებულ ცოცხალ ლინგვისტურ მასალაზე წვდომის საშუალება ეძლევათ ენის სხვადასხვა მკვლევარებს. საძიებო სისტემის სიმარტივე განაპირობებს დროისა და სივრცის შეზღუდვების არარსებობას. კვლევაში მასალები აღებულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან ინგლისური წყაროს, ისე ქართული შესატყვისების დასადასტურებლად), ელექტრონული ჟურნალ-გაზეთებიდან (მაგ.: ინგლისური: The guardian, CBS News, BBC; ქართული: „ტაბულა“, „ამერიკის ხმა“, „ლიბერალი“, „რადიო თავისუფლება“), უფრო იშვიათად, ვიდეო და აუდიო მასალებიდან, ბლოგებიდან და სოციალური ქსელებიდან. წყაროთა სიმრავლე და მრავალფეროვნება უზრუნველყოფს ფართო სპექტრის მასალის ფართო

სპექტრზე დაკვირვებას და ქართული შესატყვისების თვალსაზრისით, ენაში არსებული ყველა შესაძლო ვარიანტის დადასტურებას.

წინამდებარე კვლევა მოიცავს ორ ეტაპს: ანალიტიკურს - ნეოლოგიზმების შერჩევა და ანალიზი, და ინტერაქტიულს - კითხვარზე რესპონდენტთა პასუხების დამუშავება. კვლევაში გამოყენებულია **როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები**. მონაცემთა შეგროვების შემდგომ ეტაპზე ხდება მოცემული ნეოლოგიზმების ხარისხობრივი დამუშავება, რაც გულისხმობს მათ სტრუქტურულ, სემანტიკურ და ეტიმოლოგიურ ჭრილში შესწავლას. მას შემდეგ, რაც დადგინდება, თუ რომელ კლასს მიეკუთვნება ფორმირების თვალსაზრისით ნეოლოგიზმი, იძებნება შესაბამისი ქართული ფორმები, თუ ასეთები არსებობს, და ანალიზის საფუძველზე ხდება თარგმნითი სტრატეგი(ებ)ის დადგენა. ქართული ვარიანტების ძირითადი წყაროც ისევ ინტერნეტია. მას შემდეგ, რაც ხარისხობრივად დადგინდება, თუ რა ტიპის ნეოლოგიზმებს როგორი თარგმნითი ვარიანტი შეესაბამება, კეთდება **რაოდენობრივი ანალიზი** იმის გამოსავლენად, თუ რა ტიპის ნეოლოგიზმები შემოედინება და ითარგმნება ძირითადად, როგორი თარგმანი ჭარბობს და საბოლოო ჯამში, წარმოდგენილია დასკვნა, თუ როგორია ნეოლოგიზმების ენაში შემოტანისა და დამკვიდრების ტენდენციები და რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამან ქართულ ენაზე. გარდა ამისა, წარმოდგენილია **ექსპერიმენტული კვლევა**, რომელიც ჩემს მიერ შედგენილ კითხვარს ეფუძნება და ნეოლოგიზმებთან დაკავშირებული საკითხებისა და კონკრეტული ენობრივი პროცესების მიმართ საქართველოს ქართულენოვანი მოქალაქეების დამოკიდებულების ანალიზია. კითხვარში ასევე მოცემულია სხვადასხვა ტიპის ნეოლოგიზმები ქართული შესატყვისებით ან მათი ვარიანტებით. გამოსაკითხი პირის არჩევანის საფუძველზე, საშუალება გვეძლევა, უფრო კონკრეტული პასუხები გავცეთ კითხვას, თუ რა განაპირობებს კონკრეტული ფორმების უპირატეს პოზიციებს.

რაც შეეხება **ნაშრომის სტრუქტურას,** ის შედგება ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველ თავში განხილულია ნეოლოგიის ლინგვისტური ფენომენი და მასთან დაკავშირებული საკითხები, ნეოლოგიზმთა წარმოშობის მიზეზები და მათი ენაში

დამკვიდრების პერსპექტივები, ინგლისური ენის და ინტერნეტის როლი ნეოლოგიის თანამედროვე ტენდენციებში, ნეოლოგიზმთა კლასიფიკაცია, მათი თარგმანის სტრატეგიები, ზოგიერთი ქვეყნის დადებითი ენობრივი გამოცდილება ნეოლოგიზაციის თანამედროვე ტენდენციებთან ჭიდილში და ქართულ ტერმინოლოგიაში არსებული პრობლემების მიზეზები. მეორე თავი ეთმობა პოლიტიკური ნეოლოგიზმების პოლიტიკური დისკურსის ჭრილში წარმოშობის მიზეზებს, და სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური ნეოლოგიზმების ლინგვისტურ ანალიზს. მესამე თავში განხილულია ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმთა ტიპები და მათი ქართულში გადმოტანის პრაქტიკის თავისებურებები. მეოთხე თავი ეთმობა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპული ენებიდან ქართულში უცხო სიტყვების სტატუსით შემოსულ და ინტერნაციონალიზმებად დამკვიდრებულ ლექსიკას, რომელთაც ჩაანაცვლეს და ან სემანტიკურად დაავიწროვეს მათი ქართული ვარიანტები. მოცემული თავი ემსახურება ახალი პერსპექტივების შეფასებას ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე. ნაშრომის ბოლო თავსი წარმოდგენილია საერთო დასკვნა ნეოლოგიზმების კითხვარის ანალიზის შედეგებთან ერთად, რის საფუძველზეც საშუალება გვეძლევა, გამოვკვეთოთ კონკრეტული პროგნოზები, რათა შემუსავდეს ნეოლოგიზმების საკითხის ღირსეულად გამკლავებისათვის შემდგომი მიმართულება და რეკომენდაციები.

თავი 1

ნეოლოგიზმი, როგორც ლინგვისტური ფენომენი და მასთან დაკავშირებული საკითხები

ერმინის „ნეოლოგიზმი“ განმარტებისათვის

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ნეოლოგიზმი“ დღესდღეობით ფართოდ გამოიყენება, და რომ საკმაოდ ბევრი სტატია თუ კვლევა ეძღვნება ამ ფენომენს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ტერმინის ერთი, საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ტერმინის ეტიმოლოგია ძველი ბერძნულია - νέος (neos, “new”) + λόγος (logos, “

w

ნეოლოგიზმების, როგორც ლინგვისტური მოვლენის გარშემო არსებული აზრთა o

სხვადასხვაობა ცხადყოფს ამ ფენომენის სირთულეს. ნეოლოგიზმების სიღრმისეული r

მეცნიერული შესწავლა იწყება მე-20 საუკუნის 70-იან წლებში და უკავშირდება ფრანგი d

ლექსიკოგრაფის, ალან რეის სახელს, რომელიც ნეოლოგიზმის არსის განსასაზღვრად

აცხადებდა, რომ სიტყვის ნეოლოგიზმად ჩასათვლელად ობიექტური კრიტერიუმები არ

არსებობს და რომ ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის ნეოლოგიზმად აღქმა სუბიექტური დ

შეგრძნებაა. რეისთვის, დიაქრონულ ჭრილში ნეოლოგიზმის ცნებას არ აქვს ა

მნიშვნელობა, რადგან ნეოლოგიზმი არის სიტყვა, რომელიც ახალია კონკრეტული ტ

ენისთვის კონკრეტულ მომენტში და მხოლოდ ამ დროსთან მიმართებაში შეიძლება, ე

სიტყვა მივიჩნიოთ ნეოლოგიზმად (Rey, 1995:74). რ

მ არნოლდის განმარტებით, ნეოლოგიზმი არის ახალი შექმნილი სიტყვა, ფრაზა ან ძველი სიტყვის ახალი მნიშვნელობა, ან სხვა ენიდან ნასესხები სიტყვა (Arnold, 1986:217). მისი აზრით, ნეოლოგიზმი ინარჩუნებს თავის სტატუსს მანამ, სანამ ენის პასიური მარაგიდან აქტიურში გადაინაცვლებს. დროთა განმავლობაში, ხშირი გამოყენების შემთხვევაში, ნეოლოგიზმი მიღებულია ენის სიტყვის მარაგში და აღარ აღიქმება ახლად. ან შესაძლოა, რაღაც მიზეზის გამო, საერთოდაც არ იქნეს ენაში მიღებული და უბრალოდ გაქრეს. ნეოლოგიზმთა ბედის განსაზღვრა ძნელი გამოსაცნობია: ზოგი არსებობას მოკლე დროში ასრულებს, ზოგი კი უძლებს დროს, და მკვიდრდება ენაში (ibid:220).

პიტერ ნიუმარკის მოსაზრებით, ნეოლოგიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ახლად შექმნილი ლექსიკური ერთეული, ან არსებული ლექსიკური ერთეული, რომელიც ახალ მნიშვნელობას იძენს (Newmark, 1988:140).

ჯონ ალჯეოს მიხედვით, ახალი სიტყვა არის ფორმა, ან ფორმის გამოყენების ის შემთხვევა, რომელიც სტანდარტულ ლექსიკონებში არ გვხვდება. მისი თქმით, შეიძლება თვით ფორმა იყოს ახალი ან სიახლე მდგომარეობდეს ძველი სიტყვის ახლებური მნიშვნელობით გამოყენებაში (Algeo, 1991:2). სტოკველისთვის კი ნეოლოგიზმებად მხოლოდ ის სიტყვები ითვლება, რომლებიც ფორმითაა ახალი. თუ არსებულ სიტყვებს ახალი მნიშვნელობა მიენიჭა, მისთვის სიტყვა „ნეოსემია“. (Stockwell, 2000:109).

ალან რეის მოსაზრებას იზიარებს ჰოლანდიელი მეცნიერი მ. ჯანსენი. თუ ვამტკიცებთ, რომ სიტყვა „ახალია“, ესეიგი, ის მოცემულ მომენტში ენის შემადგენლობაში შედის, რაც მანამდე ასე არ იყო. თუმცა, ჯანსენის აზრით, ენის განვითარება ცალკეულ ეპიზოდებად არ მიმდინარეობს. „ახალი“ ფარდობითი ცნებაა და სიტყვების სიახლის დასამტკიცებლად დროში მათი მონიშვნა არ ხდება (რაზეც დღეს კამათი შეიძლება). გარდა ამისა, არ არსებობს ენის ერთი კონკრეტული ლექსიკონი, რომელთან შეპირისპირებითაც სიტყვების სიახლე შეიძლება განისაზღვროს (Janssen, 2005:3)

ალან რეის მოსაზრებას ემთხვევა ნეოლოგიზმების თანამედროვე ესპანელი მკვლევარის, მარია ტერეზა კაბრეს 4 განმარტებიდან ერთ-ერთი, - **ფსიქოლოგიურ განმარტება:** „A neologism is a word that is perceived as new by the language community“ - ნეოლოგიზმი არის სიტყვა, რომელსაც ენობრივი ჯგუფი აღიქვამს, როგორც ახალს (Cabré, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სპეციფიკურ დროისა და დისკურსის ჩარჩოში მოვაქცევთ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, კაბრეს კლასიფიკაციაში, ფსიქოლოგიურის გარდა, არის კიდევ ლექსიკოგრაფიული, დიაქრონული და სემანტიკური განმარტებები. ლექსიკოგრაფიული განმარტებით, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ფიქსირდება ლექსიკონში, შეიძლება ჩაითვალოს ნეოლოგიზმად. მოცემული განსაზღვრების პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ლექსიკონში სიტყვების

დაფიქსირება რთული პროცედურაა, რაზეც შემდგომაც ვისაუბრებთ. გარდა ამისა, არსებობს ლექსიკონში სიტყვის არ შეტანის სხვა მიზეზებიც, მაგალითად, ნეოლოგიზმის სპეციფიკურობა, ან ტაბუ. დიაქრონული განმარტების მიხედვით, ნებისმიერი სიტყვა, რომელიც ახლახან დაფიქსირდა ენაში, შეიძლება, ჩაითვალოს ნეოლოგიზმად. აქ პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვის შედარებითი სიახლეა ძნელი გასაზომი. ამ საკითხის მოსაგვარებლად დღეს მეცნიერები მიმართავენ ნეოლოგიზმების პირველი გამოყენების დადგენის და დროში დაფიქსირების ხერხს, რაც დიაქრონულ მიმართებაში ნეოლოგიზმის სიახლის პრობლემას ხსნის. კაბრეს ბოლო განმარტება - სემანტიკური - გულისხმობს სიტყვის არასტაბილურ სემანტიკას მისთვის ნეოლოგიზმის სტასუსის მისანიჭებლად. რამდენადაც სრულყოფილად ვერც ერთი განმარტება ვერ განსაზღვრავს, თუ რა არის ნეოლოგიზმი, დღესდღეობით მიღებულია „ჰიბრიდული“ მიდგომა, ანუ რამდენიმე კრიტერიუმის კომბინირება (Cabré, 2015:133-134;125-136.).

ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს ემთხვევა ფრანგი მეცნიერის, ბულანჟეს აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ნეოლოგიზმისა და დროის ურთიერთმიმართება ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია. ის ამბობს, რომ დრო ნეოლოგიზმის სტატუსის განსაზღვრისათვის გადამწყვეტი, თუმცა, ამავე დროს, ყველაზე უფრო არამდგრადია ფაქტორია (Boulanger, 2010:42).

კერემანსი აღნიშნავს, რომ ბევრი ლექსიკოგრაფი და ლინგვისტი არ იძლევა ზუსტ განმარტებას, თუ რა არის ნეოლოგიზმი, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ ცნება თავის თავს თვითონვე ხსნის (Kerremans, 2015:29). კერემანსს თვითონაც არ განუმარტავს, რას გულისხმობს ნეოლოგიზმში, თუმცაღა იყენებს ისეთ სალექსიკონო დეფინიციებს, როგორიცაა „ახალი სიტყვა“, „არსებული სიტყვის ახალი მნიშვნელობა ან გამოყენება“. კერემანსისთვის ნეოლოგიზმი არის ახალი სიტყვა, რომელიც ჯერ ლექსიკონში არ დაფიქსირებულა (ibid:27). ამ აზრს მანამდე აფიქსირებდა ფიშერიც, რომელიც თავის კვლევაში აცხადებდა, რომ სიტყვა ახალია, თუ ის არ გამოჩენილა ლექსიკონში. (Fischer, ფორმისა და შინაარსის ერთობლიობას, რომლის გამოყენებაც დადასტურებულია, და

ამგვარად სიტყვა აღარ ითვლება ე.წ. nonce-formation-ად (ერთჯერადი ეფექტისთვის გამოყენებული ლექსიკური ერთეული), თუმცაღა, არც იმდენად ფართოდაა გავრცელებული მოცემულ პერიოდში, რომ, საზოგადოების უმრავლესობისთვის, ლექსიკის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდეს (Kerremans, 2015:31-32).

როგორც ვხედავთ, თეორიულ ნაწილში ნეოლოგიზმების არსთან დაკავშირებით საკმაოდ არაერთგვაროვანია მეცნიერთა აზრი, თუმცა, ერთი ცხადია - ნეოლოგიზმი არის სიტყვა, რომელიც ახალია, ფორმის ან შინაარსის თვალსაზრისით, დროის მოცემულ მონაკვეთში და რომელსაც ჯერ ისევ ახლავს სიახლის ეფექტი მოცემული ენის კონტექსტში. წარმოდგენილ კვლევაშიც, ნეოლოგიზმებში იგულისხმება სიტყვები, ან სიტყვათშეთანხმებები, რომლებიც დროის მოცემულ მომენტში ახალია თავისი ფორმით და მნიშვნელობით და ახალი სოციოკულტურული დატვირთვა აქვს. სხვა სიტყვებით, კვლევის ფარგლებში ნეოლოგიზმებად მივიჩნევთ როგორც ახალ სიტყვებს ფორმით და მნიშვნელობით, ისე ნომინაციურ ფონდში არსებულ ერთეულებს, რომლებსაც მნიშვნელობა შეეცვალათ.

ნეოლოგიზმთა ტიპები, წარმოშობის მიზეზები და მათი ენაში დამკვიდრების პერსპექტივები

თანამედროვე ინგლისურში ნეოლოგიზმები სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე ჩნდება. მრავალი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ თანამედროვე პერიოდისთვის, დომინანტური სიტყვაწარმოების მეთოდი ლინგვისტური ეკონომიის პრინციპს ეფუძნება. ინტენსიური ცხოვრების რიტმი, დროის ნაკლებობა იწვევს დროსთან დამოკიდებულების ცვლას. სრულიად ბუნებრივია, რომ ენა, როგორც სოციოკულტურული ცხოვრების სარკე, საზოგადოებასთან ერთად იცვლება და ეს ცვლილებები ეხება ამა თუ იმ პერიოდში ენაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს და ტენდენციებს. სიტყვაწარმოების მოდელებიდან ყველაზე პოპულარული, დღესდღეობით, არის შერწყმა, შემოკლება, აბრევიაცია, რაც აზრის გამოთქმის საშუალებას იძლევა მინიმალური ენობრივი საშუალებების გამოყენებით და ნაკლები დროის დანახარჯით. ასე აღმოცენდება ისეთი სიტყვები, როგორიცაა MOOC - “Massive Online

ან **Sightjogging/Sightrunning**- "visiting a foreign city by jogging/running around it" (დაახლოები

H
Y
P
E
R
B
O
L
E
S
:
/
/
g
e
o
s
u
r
v
e
y
.
g
e
/
n
e
o
l
o
g
i
s
m
s
/
h
t
t
p

რაც შეეხება ნეოლოგიზმთა კატეგორიებს, კაბრე აღნიშნავს, რომ მათი კატეგორიებად დაყოფა ცალკეული კრიტერიუმის მიხედვით რთულია და ამიტომ, ენაში ფუნქციონირების მიხედვით, გამოყოფს ლექსიკური ნეოლოგიზმების ორ დიდ ჯგუფს: 1 ნეოლოგიზმები; 2 - ენის სპეციფიურ სფეროში არსებული ახალი სიტყვები, ე.წ. ნეონიმები. ზოგადი ენის ნეოლოგიზმები ნეონიმებისა და ტერმინოლოგიური ნეოლოგიზმებისგან შემდეგი ნიშნებით განსხვავდებიან:

"ოველდღიური სამეტყველო ენის ნეოლოგიზმები უფრო სპონტანურია. ასეთი ნეოლოგიზმი შეიძლება აღმოცენდეს მიზეზისა და კონკრეტული დანიშნულების გარეშე და ხანმოკლე დროით იარსებოს; ნეონიმი კი ჩნდება იმიტომ, რომ მისი შექმნის აუცილებლობა არსებობს. ჩვეულებრივ, ის ბევრად უფრო სტაბილურია.

ეოლოგიზმებზე სინონიმია გავლენას ვერ ახდენს, ისინი მათთან თანაარსებობის პირობებში კონკრეტულ სტილისტურ ღირებულებას იძენენ, სხვა ერთეულებისგან გამოსარჩევად. ამის საპირისპიროდ, ნეონიმი სინონიმიას ვერ იტანს, რადგან ამან შეიძლება კომუნიკაციის შედეგი დააზიანოს.

ეოლოგიზმები მიილტვიან ფორმალური სიმოკლისკენ მაშინ, როცა ნეონიმები ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გრძელ ფრაზებადაა წარმოდგენილი.

ეოლოგიზმები ხშირად აღმოცენდებიან დიალექტური ფორმების და ნასესხობის საფუძველზე, ნეონიმები კი ხშირად იწარმოება შერწყმის საშუალებით.

ეოლოგიზმები, ჩვეულებრივ, არ ვრცელდება წყარო ენის მიღმა, ნეონიმებისგან განსხვავებით, რომლებიც სწორედ იმისთვის შეიქმნა, რომ ინტერნაციონალიზმებად იქცეულიყვნენ.

კაბრეს მიხედვით, ლექსიკური ნეოლოგიზმებისგან განსხვავებით, ნეონიმები გამოირჩევიან არაორაზროვანი მნიშვნელობით და ერთი რეფერენტით, რომელიც

სპეციფიკურ სფეროს მიეკუთვნება, მათ ახასიათებთ სტაბილურობა და ექვემდებარებიან სიტყვაწარმოების არსებულ ნიმუშებს. კაბრეს კლასიფიკაციაში ასევე აღსანიშნავია ნეოლოგიზმთა რეფერენციალური და ექსპრესიული ფუნქციები, სადაც რეფერენციალური ნეოლოგიზმები ლექსიკურ „სიცარიელეს“ ავსებენ, ხოლო ექსპრესიულ ნეოლოგიზმებს დისკურსში გამოხატვის ახალი ფორმები შემოაქვთ (Cabre, სიტყვის წარმატებისთვის საჭირო პირობებს განსაზღვრავს. მისი აზრით, წარმატების მისაღწევად, საუკეთესო საშუალებაა, ეს დანაკლისი/ხარვეზი ვიპოვით და შევავსოთ, რადგან ენის ლექსიკა სიტყვების მოუწესრიგებელი გროვა არ არის, ის ორგანიზებული მთლიანობაა, ქსელია, სადაც თითოეული სიტყვა მეორეს უკავშირდება (Metcalf, 2002:63)

ასეთი „ლექსიკური სიცარიელის“ ამოვსებისთვის ახალი სიტყვები ხშირად ჩნდება მარკეტინგისა და ტექნოლოგიების სფეროში, და შემდეგ ვრცელდება ფართო გამოყენების ლექსიკაში, ხშირ შემთხვევაში, ელექტრონული და სოციალური მედიის საშუალებებით. თუმცა, არსებობს ნეოლოგიზმების შექმნის მოტივების სხვაგვარი ინტერპრეტაცია. ედრიენ ლერერი “ჭკვიანური, მოდური, თვალისათვის და ყურისათვის მიმზიდველი სიტყვების“ შექმნაზე სუბრისას გულისხმობს ნეოლოგიზმებს, რომლებიც იქმნება არა იმდენად ლექსიკური ლაკუნების ამოსავსებად, არამედ სიახლის ეფექტისათვის (Lehrer, არ გვაქვს მისი ეკვივალენტი) ამ ჯგუფს, რომლებიც, ძირითადად, მედიის წიაღში წარმოიშვებიან და მედიის საშუალებითვე ვრცელდებიან, ლერერი ანიჭებს ე.წ. **Buzzword**-ების კვალიფიკაციას (Buzz - ბზუილი, ზუზუნი; word - სიტყვა). ნიუმანი, ნეივი და დოლევი კი **Buzzword**-ებს განასხვავებენ ნეოლოგიზმებისგან იმით, რომ ისინი მოდური სიტყვებია, რომლებიც შედიან ენაში, უცებ მოიპოვებენ დიდ პოპულარობას, თუმცა შემდგომ ბუნდოვანდებიან (Neuman, Nave and Dolev, 2010:58, 67). ამგვარად, **„ბაზვორდები“ (მოდური სიტყვები),** რომლებიც ახლადწარმოქმნილ სიტყვათა საკმაოდ დიდ ხვედრით წილს წარმოადგენენ თანამედროვე მსოფლიოში, არასოდეს ფიქსირდებიან ლექსიკონში, რადგან ისინი ვერ აკმაყოფილებენ ლექსიკონში შეტანის მკაცრ კრიტერიუმებს და მათი უდიდესი ნაწილი სამუდამო დავიწყებას ეძლევა.

წელს ამერიკული ლიტერატურის თეორეტიკოსმა, მაიკლ ეპშტეინმა ტერმინი **„პროტოლოგიზმი“** შექმნა იმ ახლადწარმოშობილი სიტყვის აღსანიშნავად, რომელსაც ენაში ფართო აღიარება ჯერ არ აქვს მოპოვებული (https://www.worldwidewords.org/ww- შემქმნელისგან დამოუკიდებლად ბეჭდურ პრესაში, ვებგვერდებზე ან წიგნებში ჩნდება, ხოლო იმ ფაზას, რომელსაც სიტყვა პროტოლოგიზმად ყოფნიდან ნეოლოგიზმობამდე გადის, პრელოგიზმი ეწოდება. საინტერესოა ლექსიკოგრაფი კერი მაქსველის, Macmillan ნეოლოგიზმების ენაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, პროტოლოგიზმი გახდეს ნეოლოგიზმი, თუ საზოგადოება ამ პროტოლოგიზმის საჭიროებას თავად არ გააცნობიერებს. გარანტია არ არსებობს, რომ ამ ლექსიკური ერთეულების მარტივი გაცნობა ეფექტიანი იქნება მათი მეტყველებაში შემდგომი გამოყენების თვალსაზრისით, და ნიმუშად მოჰყავს სერ ჯეიმს დაისონის საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული აღოჩენა, როდესაც 2000-იანი წლების დასაწყისში მან წარუმატებლად სცადა საკუთარი გამოგონების - **Dyson**-ის სახელის ზმნურ ფორმად დამკვიდრება ინგლისურში უკვე არსებული **hoover**-ის (უილიან ჰენრი ჰუვერი - ინდუსტრიალისტი) ანალოგიით (https://tinyurl.com/mr3kwh9v).

გალპერინის აზრით, სიტყვის ენაში მიღება-არმიღების საკითხი დამოკიდებულია ახლად წარმოქმნილი სიტყვის მნიშვნელობის მკითხველისეულ აღქმაზე. თუ ახალ სიტყვა ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანთა მოწონებას იმსახურებს და სიტყვა ფართოდ გამოყენებადი ხდება, ის აღარ აღიქმება ნეოლოგიზმად და ხდება ამ ენის ლექსიკის განუყოფელი ნაწილი მიუხედავად ენის კანონმდებლების მიერ გაწეული ყველა წინააღმდეგობისა (Galperin, 1977:86).

ბრიტანელი ლექსიკოგრაფი, სუზი დენტი, თავის “The Language Report: English on the Move: 2000-2007” დეტალურად შეისწავლის თანამედროვე ინგლისური ლექსიკოლოგიის ტენდენციების სრულ სპექტრს და აყალიბებს 5 კრიტერიუმს, რომლებიც განაპირობებს

სიტყვის წარმატებით ენაში დამკვიდრებას. სიტყვა უნდა იყოს: 1 - გამოსადეგი; 2 - ადვილად გამოყენებადი; 3 - მოსაუბრეთათვის ადვილად ხელმისაწვდომი/გავრცელებადი; 4 - სტაბილური რეფერენტით/სიცოცხლისუნარიანი; 5 - ასოციაციების შექმნის/გაფართოვების პერსპექტივით. (Dent, 2003:21)

ამერიკელმა ლინგვისტმა, ალან მეტკალფმა, რომელსაც ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ნეოლოგიზმთა კვლევაში, და რომელიც ახალი სიტყვების გადარჩენისთვის ბრძოლას „დარვინის ბუნებრივი გადარჩევის ევოლუციურ თეორიას“ შეადარა (Metcalf, 2004:2), შექმნა მნემონიკა „FUDGE”-ის სახელწოდებით, რომელიც იმ 5 ძირითად კრიტერიუმს აერთიანებს, რის მიხედვითაც ნეოლოგიზმის წარმატებით დამკვიდრება ხდება ენაში. FUDGE (რომელიც ასევე ტკბილეულის ერთ-ერთი სახეობის სახელწოდებაცაა პარალელურად) ასე იშიფრება:

- Frequency - სიტყვა უნდა იყოს ხშირად გამოყენებადი
- Unobtrusiveness - არ უნდა იყოს დანარჩენი ლექსიკის ფონზე თვალშისაცემი, გამოკვეთილი
- Diversity (of users and situations) - უნდა გამოიყენებოდეს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში, სხვადასხვა კონტექსტებში
- Generating new forms - უნდა ჰქონდეს პოტენციალი, აწარმოოს ახალი ფორმები
- Endurance - უნდა გაუძლოს დროს

ამ კრიტერიუმთა ერთიანობა, მეტკალფის აზრით, განაპირობებს ნეოლოგიზმის ენაში დამკვიდრების შემდგომ პერსპექტივებს (ibid:149)

ლექსიკოგრაფიის კომპიუტერიზაცია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო (Nesi, ერთმანეთს კომპიუტერული ბაზების, ელექტრონული ლექსიკონების, შემდეგ კი კომპიუტერული პროგრამების და საბოლოოდ ონლაინ ლექსიკონების საშუალებით (Ibid: ელექტრონული მონაცემების შენახვა, **ვებ 2 – Web 2,** როგორც ტერმინი, შეიქმნა 2001 წელს

ონლაინ ინტერაქციის ახალი ეპოქის აღსანიშნავად. დაახლოებით იგივე პერიოდში შეიქმნა **„ვიკიპედია“** (**Wikipedia** – Wiki (speedy in Hawaiian) + pedia (back formation of და **„ვიქშენარი“** (**Wiktionary** - ვიკიპედიის ანალოგიით მიღებული - Wiki + dictionary ონლაინ ვერსია და რედაქტორებმა გადაწყვიტეს, რომ ონლაინ ვერსიის განახლებებში უნდა გამოქვეყნდეს ახალი სიტყვები, რომლებიც ენაში ჩნდება. შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში სოციალური მედიის ისეთი გვერდები გამოჩნდა, როგორიცაა **„ფეისბუქი“** და **„ტვიტერი“** და მათ მალე მოიპოვეს პოპულარობა მომხმარებლებში. დაახლოებით იგივე პერიოდში გაერთიანებული სამეფოს გაზეთებმა ონლაინ ვერსიების გამოშვება დაიწყეს, რომლებშიც იგივე მასალა იყო, რაც ბეჭდურ ვარიანტში, თუმცა უფრო დიალოგურ სტილში, რაც იმისთვის იყო საჭირო, რომ ბიძგი მიეცა მომხმარებლის ბლოგებში ჩართვისთვის დისკუსიების გასამართად, კომენტარების დასატოვებლად, და სოციალური მედიის პლატფორმის პოპულარობის გასაზრდელად. ინტერაქციის კომპონენტის დამატებამ ლექსიკოლოგიაში უფრო სახალხო გახადა მეცნიერება, გააღვივა საზოგადოებრივი ინტერესი და პარალელურად, ლექსიკოლოგიის ბაზების ცოცხალი სამეტყველო ფორმებით შესავსებად და მოსახლეობის მხრიდან უკუგების მისაღებად მყარი საფუძველი შექმნა. ლექსიკოლოგია გახდა უფრო სახალხო.

ინოვაციური ლექსიკის სტანდარტულ ლექსიკონებში მიღება და მეტყველებაში დამკვიდრება, იგივე „ინსტიტუციონალიზაცია“, დააჩქარა ტექნოლოგიურმა განვითარებამ და გლობალიზმმა. დღესდღეობით, ლექსიკოგრაფები ყოველწლიურად ასობით სიტყვას ამატებენ ლექსიკონებს. თავისთავად ცხადია, სიტყვების დიდი უმრავლესობა დავიწყებას ეძლევა, თუმცა, საკმაოდ დიდია ლექსიკონებში შეტანილი ახალი სიტყვების რაოდენობაც. მაგალითისთვის, ოქსფორდის ლექსიკონმა იანვარში ხუთასზე მეტი ახალი სიტყვა და გამონათქვამი დაამატა საკუთარ ბაზებს.

ვებ 2-ს შექმნამდე ნეოლოგიზმების დაფიქსირება და აღრიცხვა გაცილებით უფრო რთული საქმე იყო დღევანდელთან შედარებით. ზოგიერთი ლექსიკონის რედაქტირება

შეუმჩნეველი რჩებოდა. დღეს ლექსიკონები თავიანთ ბაზებს სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც განაახლებენ, ხოლო ონლაინ ლექსიკონები კი წარმოადგენს უზარმაზარ ლინგვისტურ ბაზებს, რომლებშიც მომხმარებელსაც შეუძლია წვლილის შეტანა, რათა ასახულ იქნას მიმდინარე ენობრივი სიახლეები. კემებრიჯის და ოქსფორდის ლექსიკონებს ასევე აქვთ „წლის სიტყვის“ (Word of the Year) ნომინაციაც, სადაც მოსახლეობის ხმის მიცემის მიხედვით დგინდება თითოეული წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა, და აღსანიშნავია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ეს სიტყვები სწორედ ნეოლოგიზმებია. მაგალითად, 2024 წლის კემბრიჯის ლექსიკონის „წლის სიტყვად“ დ ა ს ა ხ ე ლ დ ა ზ მ ენგლისური ენა, როგორც თანამედროვე ნეოლოგიზმების მთვარი წყარო ნ

ა ნეოლოგიზმების წყარო ენიდან სხვადასხვა ენებში გადატანის საჭიროებას ცნების ან იდეის გავრცელების ხარისხი განაპირობებს. ბუნებრივია, ყველა ენას ინდივიდუალური ხ ახასიათებლები აქვს და, შესაბამისად, ნეოლოგიზმის წყარო ენიდან სამიზნე ენაში გადატანის პრინციპებიც განსხვავდება. ენების სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს პროცესი სირთულეებს უქმნის როგორც ლინგვისტებს და ლექსიკოგრაფებს, ისე რიგით მოსაუბრეებს. თავისთავად პროცესი საკმაოდ რთულია: ცნების/იდეის გადატანას თან უნდა ახლდეს კონკრეტული ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ

პრინციპებს მორგებული და მის ბუნებრივ მახასიათებლებთან ჰარმონიულად შეწყობილი ენობრივი ერთეული. თუ თვალს შევავლებთ მსოფლიო მასშტაბით ინგლისური წარმოშობის ნეოლოგიზმების სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელების ტენდენციებს, ვნახავთ, რომ თანამედროვეობასთან ჰარმონიაში მყოფი ყველა ქვეყანა ფეხს უდგამს 21-ე საუკუნის სოციალურ-ლინგვისტურ გამოწვევებს და ცდილობს, თავი გაართვას სხვადასხვა ტიპის ინგლისური ნეოლოგიზმებით გაჯერებულ რეალობას. თუ რატომ მაინც და მაინც ინგლისურს, პასუხი აქაც მარტივია: ინგლისურმა ენამ ტექნოლოგიური წინსვლის ეპოქაში კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა - ის მოსაუბრეთა რაოდენობის მიხედვით პირველი გლობალური ენაა, რომელიც კულტურათაშორისი ურთიერთობის ინსტრუმენტად მოიაზრება.

პირველი ენა, რომელიც ინტერნეტისთვის გამოიყენეს, იყო ინგლისური. 1990-იანი წლების შუა პერიოდისთვის ელექტრონულად ჩაწერილი ინფორმაციის ინგლისურენოვანი მასალების ხვედრითი წილი შეადგენდა 80 %-ს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინგლისურის ხვედრითი წილი დაახლოებით 30%-თ შემცირდა (49.9% ბოლო მონაცემებით) და წინ წამოიწია ესპანურმა (6%), გერმანულმა (5.6%), იაპონურმა (5%), ფრანგულმა (4.4%) და რუსულმა (3.9%), მაინც ვერც ერთი ენა ვერ უწევს კონკურენციას

ი
ნ
გ
ლ
ი
ს
უ
რ
ი
ს
უ
პ
ი
რ
ა



ცხრილი 2 - მსოფლიო ენები გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით

ცხადია, ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა ენებზე. აცნობიერებენ ამ საკითხის სერიოზულობას, ლინგვისტები სწავლობენ კონკრეტულ ქვეყნებში გამოვლენილ ნეოლოგიზმთა გადატანის ტენდენციებს და პარალელურად ცდილობენ, ლინგვისტურად სწორი მიმართულება მისცენ პროცესებს, რომ ნეოლოგიზმთა შედინებამ გარკვეულ ენაში უკონტროლო პროცესის სახე არ მიიღოს და, ამგვარად, ზიანი არ მიადგეს მას. რადგან ინგლისური ნეოლოგიზმების სხვა ენებში გადატანის მასშტაბები და პროცესის საყოველთაობა უპრეცედენტოა, სამეცნიერო და ჟურნალისტურ წრეებში გაჩნდა მოსაზრებაც: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ეთნიკურ ენებს გარკვეული პერიოდის

შემდეგ გაქრობის საფრთხე ელით და ინგლისურის დომინანტურობა საბოლოო ჯამში ერთი გლობალური ენის ფორმირებამდე მიგვიყვანს? (Crystal 2003:189).

ლინგვისტების პროგნოზით, მიმდინარე საუკუნეში მსოფლიოში არსებული დაახლოებით 7000 ენიდან ნახევარი შეწყვეტს ფუნქციონირებას. მათგან ბევრი უკვე გაქრობის პირასაა. დაახლოებით 100 ენას დარჩენილი ყავს თითო მოსაუბრე. ზოგი ექსპერტი ამ პროცესს დარვინის ბიოლოგიურ მოდელს ადარებს: ენები ქრება, რადგან ვეღარ ფუნქციონირებენ, როგორც კომუნიკაციის ადექვატური საშუალება. მეორე მხრივ, ენათა მრავალფეროვნება აუცილებლობად მიიჩნევა, რამდენადაც თითოეული მათგანი სამყაროს აღქმის თავის ინსტრუმენტებს ფლობს. მონოლინგვალიზმისკენ დაღმასვლა მსოფლიოს ენობრივი გაღარიბებაა, და თუ რეალურად აღსრულდა, შეზრუდავს სამყაროს აღქმის სახეებს, რაც საზოგადოების გარესამყაროსთან ადაპტაციის უნარს შეზღუდავს თავის მხრივ. სწორედ ამიტომ არის საჭირო, რომ ცვლილებების გაცნობიერების და მიღების პარალელურად მსოფლიო ენებმა არ დაკარგონ იდენტობა. ეს კი შესაძლებელია სიახლეების მიღებით და მათი ადგილობრივ ყალიბში მოქცევით.

ნეოლოგიზმთა კლასიფიკაცია

რაც შეეხება ნეოლოგიზმთა კლასიფიკაციას, ნეოლოგიზმების საკითხის კვლევისას, ძირითადი თეორიული საყრდენია პიტერ ნიუმარკის შემუშავებული კლასიფიკაცია, ელიც დღესაც ყველაზე სრულყოფილად ითვლება. თავის 1988 წელს გამოცემულ **„A** **”**-ში ნიუმარკი გამოყოფს ნეოლოგიზმთა ორ ძირითად კატეგორიას:

1) ძველ სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები ახალი მნიშვნელობით. მაგალითად, სიტყვა ახალი მნიშვნელობით: the wall (სოციალური ქსელის ანგარიშის კედელი), to friend (დაუმეგობრდე სოციალურ ქსელში), to post (გამოაქვეყნო სოციალურ ქსელში).
ს

Ჽსრულიად ახლად ფორმირებული სიტყვები, სადაც შემდეგი ქვეტიპები გამოიყოფა:
ტ

ყ

ვ

ა

ხალი ფორმირებები - ძირითადად, ბრენდების და სავაჭრო სახელებია: **Kleenex, Rolex** და სხვა ცნობადი სახელები.

ერივატივები - რომელშიც ასევე ორი ჯგუფი გამოიყოფა: აფიქსაციის საშუალებით წარმოებული ლექსიკა, მაგ.: **Trumpism**, და ე.წ. **პორტმანტოები** (ინგლისურად „blends" - სიტყვათა დამოკლებით და ერთმანეთთან შერწყმით მიღებული ახალი ერთეულები. ასეთებია, მაგალითად: **guesstimate, frenemy, staycation**.

ბრევიატურები - ფსევდო ნეოლოგიზმების გავრცელებული სახეობა. მისი ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ თითოეული ბგერა ცალ-ცალკე იკითხება. მაგ.: **DIY, SPF, IQ.**

პონიმები - ნებისმიერი სიტყვა...., რომელიც საკუთარი სახელი ან ბრენდის სახელწოდება იყო თავდაპირველად: **Jacuzzi, boycott, Cardigan, Fahrenheit**.

რაზული ზმნები - ნიუმარკი აღნიშნავს, რომ ფრაზული ზმნები ძირითადად ინგლისური

ე

ნ. გადატანილი (ტრანსფერი) სიტყვები. ტრანსფერი სიტყვები საერთოა სხვადასხვა ენებში, ესენია საკვების, ტანსაცმლის და ა.შ.სახელწოდებები **(Bazaar, sari, Kimono**)

ნ. აკრონიმები: **NATO, NASQAD, SWOT**. ამ ჯგუფშივე შედის ე.წ, **ნეთსფიქის** აკრონიმები: LOL, ASAP და ფსევდო-ნეოლოგიზმები - რომლებიც ძირითადად ბრევიაციების სახით გვხვდება. მაგ.; **Lab – laboratory, tech – techncian**.

8. ინტერნაციონალიზმები - ნასესხები სიტყვები, რომლებიც სხვადასხვა ენაში ერთი და იგივე ფორმით შედის, ან მსგავსი შინაარსით და ეტიმოლოგიით ფიქსირდება. მათი სესხება, ძირითადად, ერთდროულად ხდება ერთი წყარო ენიდან. გამოთქმა და ორთოგრაფია მსგავსია, ტრანსკრიპცია-ტრანსლიტერაციის ადგილობრივი ვარიანტულობის გათვალისწინებით. ხშირად ასეთებია სპორტული ტერმინები, პოლიტიკური მოვლენების, სახელმწიფო მმართველობის ტიპების, სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოგონებების სახელწოდებები: football, cricket, democracy, socialism, revolution, monarchy, Internet, Bluetooth. (Newmark, 1988, pp.140-148)

ა

ს

ნეოლოგიზმთა თარგმანის საკითხები და სტრატეგიები

ი

ა

თ

ე

გ

ინგლისური ენა სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების ძირითადი წყაროა, განსაკუთრებით, ბოლო ათწლეულების განმავლობაში. ბევრ შემთხვევაში ლექსიკონების სარგებლიანობა დღეს, შესაძლოა, ძალიან შეზღუდული იმის გამო, რომ ისინი ვერ მისდევენ ენის განვითარების თანამედროვე ტემპს, და ვერ გვთავაზობენ ახალი ტერმინების ხარისხიან თარგმანს და ამ პრობლემას მეცნიერებიც კარგად აცნობიერებენ. სტეინის თვალსაზრისით, ეს პრობლემა გაგრძელდება მანამ, სანამ ახალი პროდუქტები და ტექნოლოგიები იარსებებს. მისი აზრით, თანამედროვე მსოფლიოს დამახასიათებელია ტექნოლოგიის და მეცნიერების სწრაფი განვითარება, და შესაბამისად ტექნოლოგიური და სამეცნიერო ტერმინების ენაში შემოდინება სულ მუდმივად მზარდი ტენდენციაა, თანაც ცვლილებები იმდენად სწრაფია, რომ თვით განვითარებისთვის ფეხის ადგმაც კი რთულია, რომ აღარაფერი ვთქვათ ტერმინოლოგიაზე და ნეოლოგიზმებზე (Stein, 2002, p. 73). თუმცა, ნეოლოგიზმები რჩება ყველა ენის გამოწვევად და მათი თარგმანიც აუცილებლობას წარმოადგენს. მატიელოს აზრით, ნეოლოგიზმების თარგმნის ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ გამოხატვის მსგავს ფორმათა მოძიება წყარო ენასა და სამიზნე ენაში დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ასევე დგება მსგავსი სოციალური მოცემულობის საჭიროება კულტურალურ დონეზეც (Mattiello, გვ. 39)

შესაბამისად, ენათმეცნიერებიც ცდილობენ სწორი სტანდარტების შემუშავებას მათ სათარგმნელად. ბელგიელი ენათმეცნიერი დირკ დელაბატისტა აყალიბებს ხუთ ძირითად ტექნიკას ნეოლოგიზმთა თარგმნისათვის: 1) წყარო ენის ნეოლოგიზმის პირდაპირი გადატანა, სპეციალური ნიშნებით ან მათ გარეშე (მაგ,: დახრილი შრიფტი, ბრჭყალები); 2) ანოტაციით თარგმნა (ტექსტშივე ან სქოლიოში); 3) ფონოლოგიური/გრაფოლოგიური ადაპტაცია, თუნდაც ოდნავ განსხვავებული დენოტაციური მნიშვნელობით; 4) დენოტაციური ეკვივალენტი, რომელიც მიმღებ ენაში ნეოლოგიზმი არ არის; 5) ნეოლოგიზმის სტილისტური კომპენსირება ტექსტში სხვა ლინგვისტური საშუალებით (Delabastita, 2004, p. 885).

ნიუმარკი, რომელიც ერთი ენიდან ტექსტის მეორე ენაში გადატანას ერთდროულად მეცნიერებად და ხელოვნებად მიიჩნევდა, თარგმანს განსაზღვრავს,

როგორც ხელობას, რომელიც წარმოადგენს ერთი ენის წერილობითი შეტყობინების ან აზრის ფორმულირების (წინადადების) მეორე ენაში იგივე შეტყობინებით ან აზრის ფორმულირებით ჩანაცვლების მცდელობას (Newmark, 1981,p.7). მიუხედავად იმისა, რომ დელაბატისტას და სხვა უფრო თანამედროვე მეცნიერთა შემუშავებული თარგმნითი სტრატეგიები გასათვალისწინებელია, ნიუმარკის ნეოლოგიზმთა თარგმნის სტანდარტი მაინც ყველაზე სრულყოფილია. ნიუმარკი გამოყოფს 12 სხვადასხვა სტრატეგიას, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ნეოლოგიზმთა წყარო ენიდან სამიზნე ენაში გადატანა:

1. **ტრანსფერი (Transfer)** - ნეოლოგიზმის უცვლელად გადმოტანა საწყისი ენიდან. მაგალითად, "კომპიუტერი" ბევრ ენაში უცვლელად იქნა გადმოტანილი.

2. **ნატურალიზაცია (Naturalization)** - ნეოლოგიზმის მორგება სამიზნე ენის ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ სისტემაზე. მაგალითად, ინგლისური "computer" ქართულში გადმოვიდა როგორც "კომპიუტერი".

3. კულტურული ეკვივალენტი (Cultural equivalent) ამ მეთოდით მთარგმნელი საწყისი ენის კულტურულ ტერმინს ანაცვლებს სამიზნე კულტურაში არსებული მსგავსი ფუნქციის მქონე ტერმინით. მაგალითად, ბრიტანული "House of Lords" შეიძლება ითარგმნოს როგორც ამერიკული "Senate".

4. **კალკირება/სიტყვასიტყვითი თარგმანი (Calque/Literal translation)** - სიტყვის კომპონენტების პირდაპირი თარგმანი. მაგალითად, "skyscraper" → "ცათამბჯენი".
5. **ფუნქციური ეკვივალენტი (Functional equivalent)** - სამიზნე ენაში არსებული ფუნქციურად მსგავსი ცნების გამოყენება. მაგალითად, კულტურული რეალიების თარგმნისას.
6. **აღწერითი ეკვივალენტი (Descriptive equivalent)** - ტერმინის აღწერა ნაცვლად პირდაპირი თარგმანისა. მაგალითად, უცხო კულტურის სპეციფიკური ცნებების ახსნა.
7. **სინონიმია (Synonymy)** - სამიზნე ენაში მიახლოებითი ეკვივალენტის გამოყენება. გამოიყენება, როცა ზუსტი შესატყვისი არ არსებობს.

8. **ტრანსპოზიცია (Transposition)** - გრამატიკული სტრუქტურის შეცვლა თარგმანში (მაგალითად, არსებითი სახელის ზმნით ჩანაცვლება).
9. **მოდულაცია (Modulation)** - პერსპექტივის ან აზროვნების ფორმის შეცვლა. მაგალითად, უარყოფითი ფორმის დადებითით ჩანაცვლება.
10. **აღიარებული თარგმანი (Recognized translation)** - ოფიციალურად აღიარებული ან ფართოდ გავრცელებული თარგმანის გამოყენება, განსაკუთრებით ინსტიტუციური ტერმინებისთვის.
11. **კომპენსაცია (Compensation)** - კომპენსაცია გამოიყენება, როდესაც გარკვეული სტილისტური ან სემანტიკური ელემენტი (მაგ., იდიომა, კალამბური, მეტაფორა) ვერ ინარჩუნებს იგივე პოზიციას ან ფორმას სამიზნე ენაში. ასეთ დროს მთარგმნელი ანაცვლებს ამ დანაკარგს იმავე ეფექტის მქონე ელემენტით ტექსტის სხვა ნაწილში. მაგალითად, თუ სათაურში გამოყენებული კალამბური ვერ თარგმნის, ის შეიძლება ჩანაცვლდეს ტექსტის სხვა ნაწილში მსგავსი ეფექტის მქონე სტილისტური ხერხით.
12. **კომპონენტური ანალიზი (Componential analysis)** - კომპონენტური ანალიზი გულისხმობს სიტყვის დანაწევრებას სემანტიკურ კომპონენტებად და მათ ცალ-ცალკე თარგმნას. ეს მეთოდი განსაკუთრებით სასარგებლოა კულტურულად დატვირთული ტერმინების თარგმნისას. მაგალითად, ინგლისური "privacy" შეიძლება კომპონენტებად დაიშალოს: პირადი სივრცე + კონფიდენციალურობა + ინტიმურობა. შემდეგ მთარგმნელი ირჩევს, რომელი კომპონენტია უფრო რელევანტური კონკრეტულ კონტექსტში. კომპონენტური ანალიზი დეტალურია, მაგრამ შეიძლება გახდეს ზედმეტად ვრცელი.

თითოეული ეს სტრატეგია წარმოადგენს პიტერ ნიუმარკის მიერ შეთავაზებულ მიდგომას ნეოლოგიზმებისა და რთული კულტურული ტერმინების თარგმნისთვის. პრაქტიკაში, მთარგმნელები ხშირად იყენებენ ამ მეთოდების კომბინაციას კონტექსტისა და მიზნის შესაბამისად. (Newmark, 1988, pp. 81-90). ჩვენი კვლევის ფარგლებში ნეოლოგიზმთა შესწავლის და თარგმნითი ვარიანტების ანალიზისას სწორედ პიტერ ნიუმარკის სტრატეგიებია ამოსავალი.

ზოგიერთი ევროპული ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა ლინგვისტური თვითმყოფადობის უზრუნველსაყოფად და ქართული გამოცდილება

ზემოთაც ვახსენეთ, რომ თანამედროვე ლინგვისტური რეალობის გათვალისწინებით და ყველა იმ გამოწვევის წარმატებით დასაძლევად, რომელსაც გლობალიზაციის დღევანდელი მასშტაბების ფონზე ინგლისური ენის დომინანტურობა განაპირობებს, ცალკეული არაინგლისურენოვანი ქვეყნებისთვის სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაარსების შემდგომ (2017), ექსპერტთა კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, **2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია)** მიერ დამტკიცდა. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ფინანსურ და საორგანიზაციო უზრუნველყოფას ისეთი საკითხებისა, როგორიცაა ონლაინ ლექსიკოლოგიური და ორთოგრაფიული რესურსების, კორპუსული ლინგვისტიკის განვითარება, ქართული ენის ნორმალიზაციის საკითხებზე უწყვეტი მუშაობა. **გერმანიის (Duden)** და **ლატვიის** პროდუქტის შექმნა ქართულ რეალობაში. ქართული ტერმინოლოგიის განვითარების, ჰარმონიზაციისა და სტანდარტიზაციისათვის (საკითხი 1.3) დაიგეგმა ორი სტანდარტის შეძენა და თარგმნა - (**ISO 704:2009(en)** - **Terminology work – Principles and methods**

– **Harmonization of concepts and terms** (ტერმინოლოგიური სამუშაოები - ცნებების და ტერმინების ჰარმონიზაცია). ტერმინოლოგიის ექსპერტთა კომისიას, ენის კომისიათან თანამშრომლობით, გეგმით ევალება 30 000 ახალი ტერმინის წარმოდგენა 2030 წლისთვის. იმისათვის, რომ ქართული ენის ნორმატიული გამოყენება უზრუნველყოფილ იქნას ინტერნეტში. აქვე, აღსანიშნავია, რომ იგივე სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებულია „ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე" (ამოცანა 1.4), რაც, ცხადია, ტერმნინოლოგიურ სამუშაოებთან ერთად, ქვეყანაში ენობრივი მდგომარეობის გაუმჯობესების აუცილებელი წინაპირობაა, ენის პრესტიჟის ამაღლებასთან ერთად. სამუშაოები მიმდინარეობს, (ბოლო ანგარიში - 2023 წლის 10 (https://tinyurl.com/yvzsckpa). თუმცა, გეგმის დიდი ნაწილი ჯერ კვლავაც შესასრულებელია.

გარდა ზემოხსენებული ორი ქვეყნისა (გერმანია და ლატვია), რომელთანაც სახელმწიფო ენის დეპარტამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს, არსებობს რამდენიმე ევროპული ქვეყნის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ თავი გაართვას ანგლიციზმების შემოტევას და თავიდან აირიდოს ენის დაბინძურება, როცა ქვეყანაში გაცნობიერებული აქვთ ამის მნიშვნელობა როგორც საკანონმდებლო, ისე რიგითი მოქალაქეების დონეზე.

ნეოლოგიზმების თარგმნასთან დაკავშირებით ფრანგული ენობრივი პოლიტიკა მთლიანად იმართება ფრანგული აკადემიის (Académie française) და ფრანგული ენის გამდიდრების კომისიის (the Commission d'enrichissement de la langue française) მიერ, რომლებიც წარმოადგენენ ოფიციალურ თარგმნით პროტოკოლებს (ც. ახვლედიანი, 2014). ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს Délégation générale à la langue française et aux langues de s (General Delegation for the French language and the languages of France), რომელიც თარგმნით სტანდარტებზე მუშაობს. მათი საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად ასპექტებს:

1) ოფიციალური თარგმნის პროცესი - ახალი უცხოენოვანი ტერმინები, განსაკუთრებით ტექნოლოგიების და ციფრული სფეროდან, სისტემატური

დაკვირვების ქვეშაა. ფრანგული ენის სიწმინდის დასაცავად სპეციალისტები ადგენენ ფრანგულ ეკვივალენტებს, ხოლო შემდეგ კომისიის მიერ მიღებული თარგმანი ქვეყნდება ოფიციალურ ჟურნალში.

2) საკანონმდებლო ჩარჩო - Loi Toubon (1994)-ს კანონი ავალდებულებს ყველას, რომ ოფიციალურ, კომერციულ, სამსახურებრივი ურთიერთობის სივრცეებში გამოყენებულ იქნას ფრანგული ენა (https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/LEGITEXT000005616341/). კანონი ასევე მოითხოვს უცხოური ტერმინოლოგიის ფრანგული თარგმანების გამოყენებას საჯარო სივრცეში, გარკვეული კონტექსტებში კანონის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი მოქმედებს ჯარიმა.
3) რაც შეეხება თარგმანის მეთოდებს - პირდაპირი სესხების საპირისპიროდ, უპირატესობა ენიჭება **ფრანგული წარმოშობის ვარიანტებს.** იყენებენ არსებულ ფრანგულ ფუძეებს, ხოლო ტერმინოლოგიური მუშაობის მიზანია სიცხადე, სიზუსტე და კულტურული რელევანტურობა (შესაბამისობა).
4) განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ციფრულ და ტექნოლოგიურ ტერმინოლოგიას, ინტენსიურად მიმდინარეობს ინგლისურის ჩამნაცვლებელი ფრანგული ვარიანტების წარმოება.

შეგვიძლია, მოვიყვანოთ მაგალითებიც. **E-mail** (ქართულში **ელ-ფოსტა, ი-მეილი, ელექტრონული ფოსტა** https://techdict.ge/en/word/email%7Cen/), რომელიც დასავლური სამყაროს უდიდესმა ნაწილმა ტრანსლიტერაციით გადაიტანა თავის ენაში, ფრანგულში წარმოდგენილია, როგორც **Courriel** (courrier + électronique); **Software** - რომელსაც ქართულში **„პროგრამული უზრუნველყოფა“**, **„კომპიუტერული პროგრამა“** ან ხშირ შემთხვევაში **„სოფტი“** შეესაბამება, ფრანგულად გადატანილია, როგორც **Logiciel** (Logique ცნება). **Computer**, რომელიც თითქმის მთელ მსოლიოში ტრანსლიტერაციულია, ფრანგულის შემთხვევაში ითარგმნა, როგორც **Ordinateur.** ტერმინს ხანგრძლივი ისტორია აქვს, ჯერ კიდევ 1955 წელს IBM-ის ფრანგული ფილიალის ხელმძღვანელობამ, რომელმაც მიიჩნია, რომ **computer (calculateur) (გამომთვლელი მანქანა)** სრულად ვერ ასახავდა ამ

გამოგონების პოტენციალს, მოითხოვა ფრანგულენოვანი ტერმინის შექმნა, რასაც ფილოლოგიის პროფესორის - ჟაკ პერეს (Jacques Perret) მხრიდან მოყვა ტერმინი ის შექმნა ლათინური Ordinator-ის საფუძველზე (the one who puts in order - მომწესრიგებელი) (https://grodiko.fr/ordinateur?lang=en). **Smartphone** ფრანგულში შევიდა, როგორც **Téléphone intelligent (ჭკვიანი ტელეფონი),** რომლის ნასესხები ქართული თარგმანი, საბედნიეროდ, ჩვენშიც დამკვიდრდა და რომელიც ტრანსლიტერაციული **„სმარტფონის“** პარალელურად გამოიყენება. **Cloud computing** ფრანგულში გადავიდა, როგორც **Informatique en Nuage** (informatique – computer science; Nuage – cloud) ქართულად მონაცემთა **„ღრუბელში“** დამუშავება https://techdict.ge/en/word/cloud%20computing/

თუმცა, ფრანგულშიც არის ტერმინები, რომლებიც ტრანსლიტერაციით შევიდა ინგლისურიდან. ასეთებია: **Internet → Internet** (unchanged); **Website → Site web; Tablet →**

სოციალური მედიის ტერმინებიდან აღსანიშნავია:

ფრანგულში თავდაპირველად ტრანსლიტერაციული ვარიანტით დაფიქსირდა **„#“** სიმბოლოს და მასთან დაკავშირებული ცნების აღსანიშნავად, თუმცა, 2013 წელს, სამთავრობო გადაწყვეტილებით, ოფიციალურ კომუნიკაციაში სავალდებულო გახდა ქართული ვარიანტი - „**თემსაკვეთი**“ გვაქვს ჩვენც, თუმცა, სამწუხაროდ, ნაკლებ პოპულარულია ტრანსლიტერაციულ „**ჰეშთეგ/ჰეშტეგთან**“ შედარებით ადასტურებს, რომ, ძლიერი სურვილის და სწორი ენობრივი პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, უკვე დამკვიდრებული ტერმინების შეცვლაც შესაძლებელია. **Selfie** ფრანგებმა მოხერხებულად თარგმნეს, როგორც **Égoportrait (თვითპორტრეტი)**, რომელიც ქართულში პირდაპირი ტრანსლიტერაციით, **“სელფის”** სახით დამკვიდრდა. (“თვითპორტრეტი” კი მხოლოდ ერთხელ გამოიყენა ამ მნიშვნელობით ქართულმა საქალაქთაშორისო ავტობუსების მომსახურების კომპანია “მეტრო ჯორჯია”-მ ერთ-ერთ სარეკლამო კამპანიაში 2015 წელს (https://tinyurl.com/4jkyrpwu); **Cyberbullying**-ის

ფრანგული შესატყვისია **Cyberintimidation (კიბერ დაშინება/მუქარა)**. ქართულში ამ ტერმინის შესაბამისი კიბერ ჩაგვრა **(კიბერჩაგვრა)**, სამწუხაროდ, კონკურენციას ვერ უწევს გავრცელების თვალსაზრისით ტრანსლიტერაციულ **„კიბერბულინგს“**.

ფრანგულად **Diffusion en direct**, რომელიც ქართულ **“პირდაპირ ეთერს”, „პირდაპირ ტრანსლაციას“** შეესაბამება, თუმცა, ქართულში ტერმინი მხოლოდ ამა თუ იმ მიმდინარე მოვლენის ტელევიზიის პირდაპირ ეთერში გაშვებას გულისხმობს, და არა ცოცხალ ჩართვას/გადაცემას ინტერნეტის საშუალებით, რომლისთვისაც ქართულში ისევ ტრანსლიტერაციული “ლაივსტრიმი” დამკვიდრდა (livestream-ის თარგმანი არ იძებნება არც ტექნიკურ ლექსიკონში, რომლის ბოლო განახლება 2023 წლის 15 აგვისტოს განხორციელდა (https://techdict.ge/en/), არც dictionary.ge-ზე (https://dictionary.ge/) და არც ნაკლებ აკადემიურ ონლაინ ლექსიკონებში (lexicon.ge; translate.ge). მხოლოდ Google

ყველა ზემოთ დასახელებული ნიმუში ადასტურებს, რომ ქვეყანაში არსებობს ფრანგული ენის სიწმინდის შენარჩუნების ნება და ამისათვის დიდი ძალისხმევაც იხარჯება.

ასეთივე დამოკიდებულება აქვს საკუთარ ენობრივ იდენტობასთან **ისლანდიასაც,** სადაც ასევე დიდი ყურადღება ექცევა ლინგვისტური თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ნეოლოგიზმების ისლანდიური ვარიანტების წარმოება Árni Magnússon Institute-ის პასუხისმგებლობაა. ახალი ფორმების წარმოებისას უპირატესობა ენიჭება ძველ ჩრდილოგერმანიკულ (Old Norse) ფუძეებს, ტერმინოლოგიის შექმნისას, მუდმივად ცდილობენ, რომ არსებული ისლანდიური ლექსიკა გამოიყენონ. ისლანდიელი ენის ნეანონმდებლები უარს ამბობენ პირდაპირ სესხებაზე და სანაცვლოდ, აწარმოებენ თვითმყოფად ისლანდიურ ტერმინოლოგიას, რათა დაიცვან ენობრივი სიწმინდე. მუდმივად მიმდინარეობს ახალი ტერმინების შექმნა, რაც ტექნოლოგიური და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მონიტორინგის პარალელური პროცესია. ასევე, ენობრივი კომიტეტის შექმნილი ნეოლოგიზმები ხშირად გააქვთ საჯარო კონსულტაციაზე.

ისლანდიური ტერმინოლოგია სავალდებულოა საჯარო სივრცეში და ოფიციალური კომუნიკაციის პირობებში. თუ დავაკვირდებით ფართოდ გავრცელებული ტექნოლოგიური ნეოლოგიზმების ისლანდიურ ვარიანტებს, აშკარა ხდება ის დიდი სამუშაო, რომელიც ამ ქვეყანაში ინტენსიურად მიმდინარეობს. ციფრული მოწყობილობების ტერმინები - კომპიუტერი, ტელეფონი, ტაბლეტი, ჭკვიანი ტელეფონი, გვაჩვენებს ისლანდიელი ტერმინოლოგების შემოქმედებით მიდგომას და პროფესიულ საქმიანობაში ასახულ პატრიოტიზმს, მთელ მსოფლიოში თითქმის ერთი ფორმით გავრცელებული ეს სიტყვები არანაირ მსგავსებას არ ამჟღავნებს მათ ისლანდიურ ვარიანტებთან. შევხედოთ რამდენიმე ნიმუშს:

კომპიუტერი - "tala" (number - ციფრი) + "völva" (prophetess) - წინასწარმეტყველი სკანდინავიური პაგანისტური მითოლოგიიდანაა აღებული და წარმოადგენს ამ სიტყვების კომბინაციით მიღებულ პორტმანტუს. მისი ავტორობა მიეწერება ისლანდიელ ფილოლოგსა და პოეტს, ისლანდიური ენისა და ლიტერატურის პროფესორს, ზიგურდურ ნორდალს (1965 წ). **Sími (telephone**) - **ტელეფონი** - აღდგენილია ძველი სკანდინავიური ფუძიდან და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა იყო “thread”, “Wire” (ძაფი, სადენი); ტელეფონი; **Tölvupóstur (email)** – რომელიც “კომპიუტერის“ და „ფოსტის“ კომბინაციაა, იმეილს ნიშნავს სკანდინავიურში; **Samfélagsmiðlar (social media)** – (community + broker - **საზოგადოებრივი შუამავალი)** - სოციალური მედიაა; **Dulkræn mynt (Cryptocurrency)** - კრიპტოვალუტა ასევე ძალიან საინტერესო ტერმინია. ის dulkræn-ის (occult - ოკულტური) და mynt-ის (coin - მონეტა) კომბინაციაა; **Gervigreind (artificial intelligence) – ხელოვნური ინტელექტიც** ასევე ნასესხები თარგმანია (Gervi – artificial, greind – intelligence). ისლანდიურშიც არის ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები, რომლებიც ტრანსლიტერაციით შევიდა ენაში(Blockchain (unchanged), Net (internet), Vefsíða (website) მნიშვნელობა ამ კუთხით ენიჭება საკითხის დაყენებას, საზოგადოების დამოკიდებულებას საკითხთან მიმართებაში, სადაც საწყის ეტაპზე გადამწყვეტი

მნიშვნელობა აქვს რეგულაციების და შემუშავებული ნორმების შესახებ ინფორმაციის მუდმივ მიწოდებას, იმისათვის, რომ საზოგადოებას გაუჩნდეს სწორი პოზიცია და გააცნობიეროს, თუ რატომ არის მნიშვნელოვანი თუნდაც თითოეული სიტყვის გაფრთხილება მშობლიურ ენაში.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ენობრივი გამოწვევების ღირსეულ გამკლავებას ლიტვაშიც, რომელმაც საკმაოდ ადრე ჩამოაყალიბა ლიტვური ენის სახელმწიფო კომისია ენობრივი საკითხების ნორმალიზებისთვის (1993 წ.), რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ავთენტური ლიტვური ტერმინოლოგიის შემუშავებას (https://www.vlkk.lt/en/) და რომელიც საკმაოდ ინტენსიურად თანამშრომლობს ა.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან (ა. აუსკორიუტე, მ. მანჯგალაძე, 2018). ასევე, საინტერესოა შვედეთის გამოცდილებაც, სადაც ტერმინთბანკზე მუშაობა და თანამედროვე ტერმინოლოგიური სტანდარტების შემუშაბვება 2000-იანებიდან დაიწყო და სადაც სწორი ენობრივი პოლიტიკის და ტერმინოლოგიური ინფრასტრუქტურის პროგრამის (TISS) წარმატებით გატარების უმთავრეს წინაპირობად კვლევების საფუძველზე საზოგადოებაში სახელმწიფო ენის მნიშვნელობის გაცნობიერება დასახელდა (თეთრაძე, ტერმინოლოგიის საკითხები II,

ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის პრობლემატიკა, ისტორიული და თანამედროვე, სრულად არის წარმოდგენილი ლია ქაროსანიძის კვევაში "ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოში," სადაც აღწერილია კონკრეტული მიზეზები, თუ რატომ შეწყდა წარმატებით დაწყებული ქართული ტრადიციული ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, როგორ წარიმართა საქმიანობა შემდგომ და რა გამოწვევებთან უწევთ დარგის სპეციალისტებს ჭიდილი დღეს. შესაბამისად, პრობლემატიკა დაყოფილია, როგორც **საბჭოთა, პოსტსაბჭოთა და თანამედროვე. საბჭოთა** პერიოდის დამახასიათებელი ძირითადი ნიშანი იყო ყოველგვარ "ზედმეტად ქართულზე" უარის თქმა, 1920-იანი წლებიდან საბჭოთა მმართველობამ მოითხოვა, რომ ტერმინოლოგია არ უნდა დაპირისპირებოდა საბჭოთა იდეოლოგიას, უნდა საბჭოთა ხალხები უნდა

გაერთიანებინა “საერთო ენით”, ამიტომ, ტერმინოლოგიის შექმნაზე მომუშავე სპეციალისტებს უარი ათქმევინეს მანამდე შემუშავებულ ქართულ ტერმინოლოგიურ სტანდარტზე და დამკვიდრდა “საერთაშორისო ტერმინების” პრაქტიკა. პოსტსაბჭოთა პერიოდის მთავარი გამოწვევა გახდა ენის სახელმწიფო კომისიის გაუქმება და პოსტსაბჭოთა პერიოდის ტერმინოლოგიური პოლიტიკის არარსებობა ახალ ქარტეხილების ფონზე. სისტემის ჩამოშლამ და ხანგრძლივმა პაუზამ ძალიან დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ენაზე. ტერმინოლოგიის თანამედროვე პრობლემემათაგან ქაროსანიძეს უმთავრესად მიაჩნია ტერმინლოგიაზე მუშაობის არაორგანიზებული სახე, ერთმანეთთან შეუთანხმებელი პარალელური პროექტები, არასანდო ლექსიკონები, ტერმინების უთარგმნელად გადმოღება და განმარტებების გაუმართაობა, მთარგმნელთა არაკვალიფიციურობა, საერთო ტერმინოლოგიური სტანდარტების და ხედვის არარსებობა. მსგავსი ტერმინოლოგიური სიჭრელე და უსისტემობა ეწონააღმდეგება საერთო ევროპულ ტერმინოლოგიურ ბაზებში ენის დამატების უმთავრეს პრინციპს (ნორმატიული, შეთანხმებული, მეცნიერულად გამათული ტერმინები), რის გამოც საქართველო დარჩება “ციფრული გამყოფის” მეორე მხარეს

საკვლევი მასალის საკლასიფიკაციო ჩარჩო და მისი მიზანშეწონილობა

ნეოლოგიზმთა ანალიზის ნაწილზე გადასვლამდე, საჭიროდ მიმაჩნია, აღვწერო ჩემს მიერ შედარებითი **კვლევისთვის შერჩეული კლასიფიკაცია** და **დავასაბუთო** მისი მიზანშეწონილობა. რამდენადაც ნეოლოგიზმის განმარტებისას მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება აზრზე, რომ ნეოლოგიზმი ან სრულიად ახალი ენობრივი ერთეულია, ან ძველი ფორმა ახალი შინაარსით, გამოიყოფა ორი ძირითადი კატეგორია - **მორფოლოგიური ნეოლოგიზმები** და **სემანტიკური ნეოლოგიზმები,** სადაც პირველში იგულისხმება სხვადასხვა ტიპის სიტყვაწარმოების მოდელების მიხედვით შექმნილი,

ფორმითა და შინაარსით ახალი ლექსიკა (დერივაცია/აფიქსაცია, კომპოზიტები, პორტმანტო, აკრონიმია, სიტყვათა შეკვეცა, სესხება), ხოლო მეორეში - ძველი სიტყვის მნიშვნელობის გადააზრება (სემანტიკური გაფართოება ან კონტექსტური ცვლილება, მეტაფორული გაფართოება). ნეოლოგიზმების ფორმალური მახასიათებლების აღწერისთვის თეორიულ საფუძვლად გამოგვადგება ჯონ ალჯეოს კვლევა ნეოლოგიზმების წარმოშობის პრინციპების შესახებ, რომელშიც ის ამტკიცებს, რომ ახალი სიტყვები ძირითადად ძველი ლექსიკის ახლებური გადააზრების და კომბინირების საშუალებით წარმოიქმნება და გამოყოფს 6 ჯგუფს. ესენია: 1) სრულიად ახალი ფორმები ფუძეთა კომბინაცია, რომელშც იგულისხმება მორფოლოგიური სიტყვაწარმოების ხერხები (დერივატივები (პრეფიქსაცია/სუფიქსაცია), კომპოზიტები (სიტყვათა კომბინირებით მიღებული ახალი მნიშვნელობა); 4) შეკვეცა/შემოკლება (იგივე აკრონიმია ან აბრევიაცია); 5) პორტმანტო (სიტყვათა შემოკლება და შემდგომი შერწყმა; 6) მნიშვნელობის შეცვლა (სემანტიკური ნეოლოგიზაცია) (Algeo, 1991:4-10). ნაშრომში განხილული თანამედროვე ნეოლოგიზმების ორი დიდი ჯგუფის კლასიფიკაციისთვის საჭირო თეორიული ჩარჩოც სწორედ ასეთი იქნება ჩვენთვის.

შინაარსის თვალსაზრისით, პოლიტიკური და ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმები ასევე შეიძლება სხვაგვარად კლასიფიცირდეს. მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება კონკრეტული მითითებები, თუ რა თემატური მიმართულებები შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური ნეოლოგიზმების კვლევისას, შეგროვილი მასალა საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ გარკვეული ფუნქციური კლასიფიკაციები, სადაც ქვეჯგუფებში შეიძლება გავაერთიანოთ იდეოლოგიური ტერმინები, საარჩევნო კამპანიების და ელექტორიატის ტერმინები, პოლიტიკური იდენტობის მაჩვენებელი ტერმინები, ევფემისტური/დისფემისტური ლექსიკა, ნეოლოგიზმთა წარმოშობის წყაროს თვალსაზრისით - მედიის (ჟურნალისტიკის სფეროში), სოციალური მედიის (სოციალური ქსელებიის), თვით პოლიტიკოსთა მიერ ან აკადემიურ წრეებში შექმნილი პოლიტიკური ტერმინები. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ შეგროვილი მასალა (რომელიც ქართული მედიის/სოციალური მედიის, ვებ-

გვერდების, პოლიტიკოსთა საჯარო სატელევიზიო გამოსვლების დაკვირვების შედეგად შეგროვდა) რომელიმე მსგავსი ტიპის კლასიფიკაციის საშუალებასაც იძლეოდა. ასევე, ვირტუალური სივრცის და ტექნოლოგიების ნეოლოგიზმებშიც შეიძლებოდა, გამოგვეყო სოციალური ქსელების ნეოლოგიზმები, პროგრამირების ნეოლოგიზმები, ვირტუალურ სივრცეში მანევრირების ნეოლოგიზმები, კომპიუტერული ტექნიკის აღმნიშვნელი ნეოლოგიზმები (Hardware, gadgets, devices) და სხვა. თუმცა, რამდენადაც ქართული და ინგლისური ენები რადიკალურად განსხვავებულ ენათა ჯგუფებს მიეკუთვნებიან როგორც წარმოშობის (ქართული - იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველურ ენათა ჯგუფი (ა. ჩიქობავა, 2008:297), ინგლისური - ინდოევროპულ ენათა ოჯახის დასავლეთ-გერმანიკულ ენათა ჯგუფი (იქვე:273), ისე ტიპოლოგიური თვალსაზრისით თვალსაზრისით ლოგიკურად მივიჩნიე სწორედ მორფოლოგიური და სემანტიკური ნეოლოგიზმების ჯგუფების გამოყოფა თავისი ქვეჯგუფებით. თუმცა, თითოეულ შემთხვევაში, ასევე მითითებული იქნება, თუ შინაარსის თვალსაზრისით და წარმოების წყაროს მიხედვით რომელ კატეროგიაში ხვდება ესა თუ ის ერთეული. აქვე აღვნიშნავთ, რომ რადგან ჩვენი კვლევის მიზანია, შევისწავლოთ, თუ როგორ შემოდის და რა პროცესებს გაივლის ქართულ ენაში დამკვიდრებისას ინგლისური ნეოლოგიზმები, განზრახ თავი ავარიდეთ მე-2 ჯგუფს - ნასესხობებს ინგლისური ენისთვის. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ინგლისური კვლევისთვის ყოფილიყო წყარო ენა და არა შუამავალი ენა, რადგან ინგლისურში სხვა ენებიდან შემოტანილი ლექსიკა ერთიან სურათს გარკვეულწილად შეცვლიდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ უცხო ენებიდან ინგლისურში კლასიკური ენებიდან (ბერძნული, ლათინური) დამკვიდრებულ აფიქსაციას და და სიტყვათა ენაში დიდი ხნის შეთვისებულ ფუძეებს ნასესხობის კატეგორიაში არ განვიხილავთ.

თავი 2

პოლიტიკური ნეოლოგიზმები და მათი თარგმანში ტრანსპოზიციის საკითხი

პოლიტიკური ნეოლოგიზმების აღმოცენების საფუძვლები და დანიშნულება

ენა, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ და ასევე ის ენაც, რომელიც პოლიტიკური პირების თუ მოვლენების აღწერისა და შეფასებისათვის გამოიყენება, სპეციფიკური მახასიათებლებით გამოირჩევა. პოლიტიკის ენას ახასიათებს სიმართლის შენიღბვისა და შერბილების, ნახევარი სიმართლის გამჟღავნების, ორაზროვანი გამონათქვამების,

საზოგადოებრივ აზრზე ვერბალური საშუალებებით გავლენის მოხდენის ტენდენციები. ასევე, პოლიტიკური ენის დამახასიათებელია ოპონენტებთან საბრძოლველად ვერბალური საშუალებების ოსტატური გამოყენება. იმისათვის, რომ ჩრდილი მიაყენონ, დასცინონ, დაამციროონ მოწინააღმდეგე მხარე, პოლიტიკოსები ძალას არ იშურებენ ეფექტიანი ტერმინოლოგიის თუ ფრაზეოლოგიის გამოსაძებნად. ამას თუ დავუმატებთ თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელ, მოვლენებისათვის სახელდების საჭიროებას, მივიღებთ ლექსიკის საკმაოდ სოლიდურ სეგმენტს, გაჯერებულს სხვადასხვა სემანტიკის, მიზანმიმართულების ახალი ტერმინოლოგიით, რომელსაც ჯეროვანი თარგმანი სჭირდება იმისათვის, რომ ერთა შორის ინფორმაციის გაცვლა სათანადო დონეზე მოხდეს.

თითქმის ყველა პოლიტიკური ტერმინი, რაღაც ეტაპზე, პოლიტიკური ნეოლოგიზმი იყო, ასე **მემარჯვენეობამ და მემარცხენეობამ** (https://tinyurl.com/44jc5v29) პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ. **ბოლშევიკობა** (https://www.etymonline.com/word/Bolshevik), როგორც ცნება, არსებობს უმრავლესობაში მოვიდა გასაბჭოებული რუსეთის ხელისუფლებაში. ყველა სიტყვას აქვს თავისი შექმნის ისტორია (Metcalf, 2009:2). მათი ენაში დამკვიდრება კი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. ისინი, რომლებიც ეროვნული ან საერთაშორისო თვალსაზრისით მეტ დატვირთვას ატარებენ, ენის განუყოფელი ნაწილი ხდება. ლექსიკის ამ ნაწილიდან მაგალითების მოყვანა დიდი რაოდენობით შეიძლება. ასეთი დიდი მოვლენ.....ების და გარდამტეხი პოლიტიკურ აზროვნებაში გარდამტეხი მომენტების აღმნიშვნელი ტერმინები დღეს საერთაშორისო სიტყვების სტატუსს ატარებენ: **genocide** – გენოციდი (1944) (https://www.etymonline.com/search?q=genocide), **meritocracy** – მერიტოკრატია (1958) (https://www.etymonline.com/search?q=meritocracy), **homophobia** - ჰომოფობია (1969) (https://www.etymonline.com/search?q=homophobia), **Holocaust** - ჰოლოკოსტი, რომელიც მე-13 საუკუნიდან არსებობდა, როგორც რიტუალური მსხვერპლშეწირვის აღმნიშვნელი ტერმინი და რომელმაც ახალი სემანტიკური

დატვირთვა მეორე მსოფლიო დროს მიიღო (https://www.etymonline.com/word/holocaust) და სხვა მრავალი.

პოლიტიკური ნეოლოგიზმები ძირითადად აღმოცენდებიან მნიშვნელოვანი სოციალური, ეკონომიკური ან პოლიტიკური გარდატეხების პერიოდში (Jeffries, 2006:168). ზოგადად, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალები მიიჩნევა ტერმინოლოგიური აქტივობის, ისევე, როგორც მათი რეალიზაციის საშუალებების ჩარჩოს ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ("the chief determiners for providing the framework for პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალებს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენისთვის, საკუთარი თავის სასარგებლოდ წარმოჩენისთვის, სჭირდებათ ძლიერი მოკავშირე მედიის სახით. სწორედ ამ ძალთა გაერთიანება ქმნის ამა თუ იმ ეპოქის „რეალობას“. მედია, განსაკუთრებით კი, მისი „ელიტური“ ნაწილი, მიმართულებას აძლევს მოვლენებს, რომელთაც დანარჩენები ბრმად მიჰყვებიან, მედიის ენ ნაწილი კი წარმოადგს კორპორაციებს, რომლებიც „აუდიტორიას“ ყიდიან სხვა ბიზნესებზე. ცხადია, გასაკვირი არ არის, რომ სამყაროს ის სურათი, რომელსაც ისინი წარმოგვიდგენენ, გამყიდველების, მყიდველების და პროდუქტის ინტერესებს და პერსპექტივას ასახავს (Chomsky, 1989:18). “პროპაგანდის მოდელის“ მიხედვით, მედია ემსაურება სახელმწიფო და კორპორაციულ ძალებს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან, ხოლო მედიის ანალიტიკა და ანგარიში საზოგადოების წინაშე ყოველთვის მოქცეულია პრივილეგირებულთა ინტერესების ჩარჩოებში, სადაც განხილვის და კამათის ადგილი არ არის (ibid:21). ადამიანები კი, თავისდა სასიკეთოდ, სჯობს, იმყოფებოდნენ უვიცობის მდგომარეობაში, შოვინიზმის ჯადოსნურ წრეში მომწყვდეულები. იმისათვის, რომ დაიპყრონ და თავისივე ბედნიერებისთვის მუდმივ ტყვეობაში ამყოფონ უუნარო მეამბოხეები, იმისათვის, რომ მათ ესოდენ საშიში და საზიზღარი არჩევანის თავისუფლება შეეზღუდოთ, უნდა შეიქმნას „საჭირო ილუზია”, რომელიც ხალხის გაუთვითცნობიერებელ და სულელ მასებს დისციპლინასა და კმაყოფილებაში ამყოფებს (ibid:33). ამ ყველაფერს კი ამ ორი დიდი ძალის გაერთიანება ვერ მოახერხებს, თუ თავის უმთავრეს იარაღს - ენას და გამოხატვის საშუალებებს თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებს.

კრისტალის თანახმად, პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებს ახასიათებთ ახლისა და ძველის ერთგვარი შეჯერება, ისინი ხშირად იყენებენ რიტუალურ ფრაზეოლოგიას რიტორიკულ და დრამატულ ტექნიკებს, რომელთაც ადამიანები ძირითადად ასოციაციურად მედიასთან ან რეკლამის სფეროსთან აკავშირებენ (Crystal, 1995:387). ასეთივეა პოლიტიკური ენის ნიუმარკისეული შეფასება. პოლიტიკოსთა მიერ გამოყენებულ ენაში არის ბევრი მისაღები თუ მიუღებელი ტყუილი და ცარიელი დაპირება. მათი ძირითადი მიზანია ხალხის საკუთარი იდეებით შთაგონება და არა მათ სათავეში ჩადგომა. პოლიტიკოსები მაღალფარდოვან, ლამაზ ენას იყენებენ, რომელიც ძირითად შემთხვევებში ან არაფერს ნიშნავს, ან ნიშნავს იმის საწინააღმდეგოს, რასაც ამბობენ (Newmark, 1988:153)

აქტუალობას არ კარგავს პოლიტიკური ენის ორველისეული შეფასება. თავის ესსეში „პოლიტიკა და ინგლისური ენა“, ორველი პირდაპირ ამხელს პოლიტიკოსებს ბოროტების შენიღბვის ნაცადი ხერხებით სარგებლობაში, აცხადებს რა, რომ პოლიტიკური გამოსვლები და ჩანაწერები ძირითადად იმის დაცვაა, რისი დაცვაც არ შეიძლება. ისეთი მოვლენები, როგორიცაა ბრიტანეთის ბატონობა ინდოეთზე, პოლიტიკური წმენდა და დეპორტაციები რუსეთში, იაპონიაში ატომური ბომბის ჩამოგდება შეიძლება მართლაც გამართლდეს, თუმცა ამისთვის საჭირო არგუმენტები ადამიანთა უმეტესობისთვის ზედმეტად სასტიკია, რაც იმას გულისხმობს, რომ არ შეესაბამება პოლიტიკური პარტიების მიზნებს. ამიტომ, პოლიტიკური ენა იყენებს ევფემიზმებს, აჩენს ახალ კითხვებს და ბუნდოვანების ნისლში ხვევს აქტუალურ საკითხებს. სოფლები თუ იბომბება, დაუცველი მოსახლეობა იდევნება, საქონელი ტყვიამფრქვევით იხოცება, ქოხები განზრახ იწვება, ამას მშვიდობიანობის აღდგენა ეწოდება; მილიონობით გლეხს თუ ფერმას წაართმევენ და მხოლოდ იმის ანაბარა გაუყენებენ გზას, რისი თან წაღებაც შეუძლიათ, ეს მოსახლეობის გადაყვანა ან საზღვრების შესწორებაა; ადამიანები წლობით იმყოფებიან პატიმრობაში სასამართლოს გარეშე, ან კეფაში დახლილი ტყვიით კვდებიან, ან სურავანდით იხოცებიან არქტიკის ხეტყის საამქროებში გადასახლებულები. ამას არასანდო ელემენტების აღმოფხვრა ეწოდება. ასეთი ფრაზეოლოგია იმისთვისაა საჭირო, რომ მოვლენებს სახელები შეერქვას

მენტალური სურათის წარმოქმნის გარეშე (Orwell, 1946:20). ვფიქრობთ, ეს სწორედ ისაა, რისთვისაც პოლიტიკური ნეოლოგიზმების საკმაოდ დიდი ხვედრითი წილი იქმნება. თუმცა, მოტივების სააშკარაოზე გამოტანა სულაც არ უშლით მათ ხელს, რომ იგივე საქმიანობა ათწლეულების განმავლობაში წარმატებით განახორციელონ.

მართლაც, მრავალი წლის შემდეგაც, არაფერი შეცვლილა და ომი შეიძლება ისეთი კეთილჟღერადი სახელით მოიხსენიონ, როგორიც **„უდაბნოს ქარიშხალია“** (**Desert Storm** - იგივე სპარსეთის ყურის ომი https://www.britannica.com/event/Persian-Gulf-War) ან წამებას დაარქვან **„გაძლიერებული დაკითხვის ტექნიკა“** (**Enhanced Interrogation Tecniques** – 2001 წლის 9/11-ს შემდგომ შემუშავებული „დაკითხვის“ მეთოდოლოგია

პ

ი

რ

თ

ა

შ

ო

რ

ი

ს

H

Y

P

E

R

L

N

K

ძალაუფლება გულისხმობს ერთი ჯგუფის მიერ მეორის კონტროლს. ასეთი კონტროლი შეიძლება გულისხმობდეს *ქმედებას* და *შემეცნებას.* „თანამედროვე“, და ხშირად, უფრო ეფექტიანი ძალაუფლება, ძირითადად, შემეცნებითია და მოქმედებს შთაგონების, თვალთმაქცობის ან მანიპულაციის ხერხებით, სხვა სტრატეგიების პარალელურად, იმისათვის, რომ *მავანის ინტერესთა გამო, სხვებს აზრი შეაცვლევინოს* წელს ფრანგმა ლექსიკოგრაფმა, ალან რეიმ, გამოაქვეყნა *Essay de definition du concept de* ნეოლოგიზაცია. კვლევაში ის ხაზს უსვამს ლინგვისტური ნეოლოგიზაციის სოციალურ და პრაგმატიკულ ასპექტებს და გამოყოფს ერთ, პოლიტიკური ნეოლოგიზმებისათვის

"

h

მეტად მნიშვნელოვან მახასიათებელს: “The creation of neologisms cannot be dissociated from ნეოლოგიზმები ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ცალკეულ ინდივიდებს, რომელნიც კონკრეტული საზოგადოების წევრები არიან და, ამგვარად, კონტექსტს და ნეოლოგიზმის ავტორს ძალიან სპეციფიური მნიშვნელობა აქვს. იმაზე, რომ პოლიტიკური ნეოლოგიზმების შექმნა ძირითადად საჭარო პირების, პოლიტიკოსების და მედიის პრეროგატივაა, ზემოთაც ვისაუბრეთ. თუმცა, ამ სპეციფიკას თან ახლავს პოლიტიკური ნეოლოგიზმების ერთი თავისებურებაც: საჯაროობის გამო, პოლიტიკური ტერმინის შექნის ისტორია თითქმის ყოველთვის ცნობილია და დროშიც ზუსტადაა მონიშნული. ამის კონკრეტულ ნიმუშებს მაგალითების განხილვისას ვიხილავთ.

პოლიტიკური ნეოლოგიზმი აუცილებლად უნდა ატარებდეს გარკვეულ სიახლის შემცველ იდეას. თუმცა, იდეის სიახლის მიუხედავად, ბგერითი ფორმა ძირითად შემთხვევებში ამოცნობადია და ასოციაციურად უკავშირდება სხვა მოვლენას ან იდეას პოლიტიკური თუ ისტორიული წარსულიდან. პოლიტიკურ ნეოლოგიზმების ნიმუშების შეგროვებისას შეგვხვდა სიტყვაწარმოების ყველა შემდეგი მოდელები: პორტმანტო, დერივაცია, აკრონიმია და კომპოზიტები. გამოიკვეთა ასევე ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია; პოლიტიკური ნეოლოგიზმები არ იწარმოება ერთი სიტყვის მნიშვნელობის სემანტიკური გაფართოებით. ამის საპირისპიროდ, სემანტიკური გაფართოების და მეტაფორიზაციის ტენდენციებს ავლენს კომპოზიტები (ორი სიტყვის შეერთები მიღებული ერთი, ან ცალ-ცალკე დაწერილი ორი/სამი სიტყვა). რამდენადაც სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, შინაარსის ცვლილების მიუხედავად კომპოზიტები, იგივე რთული სიტყვები, მორფოლოგიის სფეროს მიეკუთვნებიან, პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში არ გვაქვს სემანტიკური სიტყვაწარმოების ქვეთავი, განსხვავებით ვირტუალური სივრცის და ტექნოლოგიების ნეოლოგიზმებისგან, სადაც სემანტიკური გაფართოება სიტყვაწარმოების საკმაოდ პროდუქტიული ხერხია, და შესაბამისად, ცალკე ქვეთავად არის წარმოდგენილი თანმდევი ტენდენციების შეფასებით.

პოლიტიკურ ნეოლოგიზმთა ნიმუშების ანალიზი ინგლისურ და ქართულ კონტექსტებში

პორტმანტო

პორტმანტო, ინგლისურად "Portmanteau" ან იგივე "Blending" სიტყვაწარმოების ისეთი მოდელია, როდესაც სიტყვები ან მათი ნაწილები (შეკვეცილ მდგომარეობაში) ერთმანეთთან კომბინაციით გვაძლევს ახალ ლექსიკურ ერთეულს. ამის ნიმუშებია, მაგალითად Smog - smole+for; Costume - costume+play) (https://www.merriam- პორტმანტო პოლიტიკური ნეოლოგიზმების წარმოების თვალსაზრისით, საკმაოდ პროდუქტიული სიტყვაწარმოების მოდელია.

დავიწყოთ ყველასთვის კარგად ნაცნობი ნეოლოგიზმით **Brexit** (ქართულად - **ბრექსიტი**), მოვლენით, რომელიც თავისი მნიშვნელობით დღესაც განაპირობებს მთელ რიგ შედეგებს თანამედროვე დასავლური პოლიტიკის ფარგლებში. ტერმინი უკავშირდება 2016 წლის 23 ივნისს ბრიტანეთში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგებს, რომლის მიხედვითაც ბრიტანელთა 53%-ზე მეტმა დააფიქსირა სურვილი, რომ ქვეყანას დაეტოვებინა ევროკავშირი. ტერმინმა საოცარი სისწრაფით მოიპოვა პოპულარობა, ისე, რომ იმავე 2016 წელს **Collins' Dictionary**-მ „წლის სიტყვის" სტატუსი მიანიჭა მას ხოლო წლის ბოლოსთვის სიტყვა უკვე დამატებული იყო **Oxford English Dictionary**-ში ნეოლოგიზმმა პარალელურად მაღალი პროდუქტიულობა აჩვენა საკუთარი ფორმის საფუძველზე ახალი, ანალოგიის გზით წარმოქმნილი ნეოლოგიიზმების წარმოების თვალსაზრისით.

წარმოების მიხედვით **Brexit** ორი სიტყვის **(Britain, exit)** შერწყმით, ე.წ. **"Blending"**-ით მიღებული ფორმაა 2012 წელს შექმნილი **Grexit**-ის საფუძველზე **(Greece, exit)**. ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, **ბრექსიტი** იმდენად პოპულარული გახდა, რომ დასაბამი მისცა სრულიად განსხვავებული კომბინაციების წარმოებას. მოსაზრება, რომ მოვლენის მნიშვნელობას და პოლიტიკურ წონას დიდი გავლენა შეუძლია, მოახდინოს ენობრივი ელემენტების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნეოლოგიზმის დამკვიდრებაში, დასტურდება სწორედ ამგვარი ფაქტებით. სამან კონკრეტულად ამ ტიპის სიტყვაწარმოების მოდელის მიხედვით შექმნილი სიტყვის აღმნიშვნელო მოვლენა არ

გახდა მსოფლიო მასშტაბით რეზონანსული, Grexit-ისთვისაც არ მიუქცევიათ ყურადღება არც ლინგვისტებს, არც მედიას, და არც პოლიტიკოსებს. ამის დადასტურებას კიდევ ვნახავთ სხვა ნეოლოგიზმების განხილვისას, როდესაც სიტყვაწარმოების მოდელი ან სიტყვა არსებობდა მანამდეც და მხოლოდ კონკრეტულ პოლიტიკურ ფიგურასთან ან მოვლენასთან კავშირში მოიპოვა პოპულარობა.

მივუბრუნდეთ **Brexit**-ს. მოვლენის წინააღმდეგობრიობა ისევ ბრიტანეთის ევროკავშირიდან გამოსვლის სხვადასხვაგვარ შეფასებაში ვლინდება, სადაც ბრიტანელთა ფანტაზიამ მართლაც ფრთა გაშალა და კრიტიკის, ცინიზმის, სინანულის, მრავალგვარი შეფასების, სხვადასხვაგვარი ემოციის გადმოსაცემად შეიქმნა მრავალი ნეოლოგიზმი:

HYPERLINK "https://next

ნაბიჯის და მასთან დაკავშირებული ტერმინის, როგორც ლინგვისტური მოვლენის მნიშვნელობაზე, რასაც სამეცნიერო სტატიები და სადოქტორო დისეტრაციებიც კი მ

ი

ამგვარად სიტყვამ - **Exit**, რომელიც **„გასვლას“** ნიშნავს შეიძინა ახალი, სუფიქსის სტატუსი, და შესაძლოა, შემდგომშიც აწარმოოს ბევრი მ ნეოლოგიზმი. რაც შეეხება ქართულ თარგმანს, ის ტრანსლიტერაციულია, რადგან ღ პორტმანტოს კომპონენტების გაშლა და მათი თარგმანი, ჩვეულებრივ, არ ხდება (გარდა ვ იშვიათი გამონაკლისებისა, სადაც ფორმის სიმარტივე იძლევა ამის საშუალებას). ნ მოცემული სიტყვის ქართულ ვერსიაში აღინიშნება ვარიანტულობა. ყველაზე ა გავრცელებული ქართული ვარიანტია **„ბრექსიტი“** (https://tinyurl.com/bdh2xjnx), რაც ჩვენში დამკვიდრებული ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესის თანახმად, სწორი ფორმაა. თუმცა, დროთა განმავლობაში გაჩნდა სხვა ვარიანტები, ასევე საკმაოდ გავრცელებული **„ბრექსითის“** https://tinyurl.com/437m3sb3 და იშვიათად გამოყენებადი **„ბრეგზიტის“** https://tinyurl.com/ybzrubbm სახით, რომელთაგან ტრანსკრიფციის წესის მიხედვით, პირველი შეცდომაა, თუმცა ზუსტად ემთხვევა სიტყვის ავთენტურ ინგლისურ გამოთქმას, ხოლო მეორე **Brexit**-ის ავთენტური ინგლისურის გამოქმის ერთ-ერთი ნაირსახეობის და ტრანსკრიფციის წესების მიხედვით გადმოტანის კომბინაციაა. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა ნეოლოგიზმების შემთხვევაშიც. ვფიქრობ, ასეთი ცვლილებები გამოთქმის თვალსაზრისით სამომავლოდ ქართულ ენაში ინგლისური ენობრივი ერთეულების ადაპტირების სპეციფიკის ცვლილებას გამოიწვევს. სხვა ნეოლოგიზმების განხილვის საფუძველზე უფრო უკეთ გამოჩნდება, თუ რას შეიძლება ველოდეთ მომავალში და დასკვნებს ნაშრომის ბოლოში შევაჯამებთ.

იმისათვის, რომ პოლიტიკური ნეოლოგიზმის ლექსიკალიზაცია და ენაში დამკვიდრება მოხდეს, ის უნდა დაუკავშირდეს იდეას ან ცნებას, რომელიც უკვე ნაცნობია ფართო საზოგადოებისათვის, და შესაბამისად, იწვევს ასოციაციური კავშირების წარმოქმნას, რადგან ყოველი ცნება მენტალურად უკავშირდება სხვა მის მსგავს ცნებას, რაც განაპირობებს პოლიტიკური ნეოლოგიზმების ინტუიტიურ აღქმას და მნიშვნელობის

განსაზღვრას. ამის ნიმუში ზემოთაც ვნახეთ, როდესაც **„ბრეგზიტი“** განვიხილეთ. ამის მეორე კარგი ნიმუშია **„უოტერგეიტი“,** რომლის შემთხვევაშიც საკუთარი სახელის გადააზრების საფუძველზე, სიტყვამ მიიღო ახალი, პოლიტიკურად დატვირთული, მეტაფორული მნიშვნელობა. **„უოტერგეიტიც“** საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, რადგან **„_Gate”** ბოლოსართთან კომბინაციით ახალმა სიტყვებმა აწარმოეს მრავალი პოლიტიკურად დატვირთული კომპოზიტი, რომელთაც შესაბამის ქვეთავში განვიხილავთ.

პრეზიდენტ ტრამპის გვარი, როგორც ქვემოთაც ვნაცავთ, ფიგურირებს ჩვენ მიერ განხილულ თითქმის ყველა სიტყვაწარმოების მოდელში. ამერიკელებს ალბათ არც თუ ისე უსაფუძვლოდ აქვთ შეგრძნება, რომ დღეს ენა, ისევე, როგორც მთელი დანარჩენი ამერიკა, ტრამპს ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, გვაქვს პორტმანტოთა მთელი რიგი, რომელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ირონიულია. ამერიკელებს, და არა მარტო ამერიკელებს, აქვთ თანამედროვე ამერიკის ისეთი აღქმა, სადაც ტრამპი მართავს ყველას და ყველაფერს: **Trumpistan** (Trump + i + stan) – **ტრამპისტანი** კომიქსების სერია (https://tinyurl.com/nhd42nv9). ქართულად იძებნება მხოლოდ ერთი

ბ

მ

უ

ლ

ი

ტ

რ

ა

ნ

ს

ლ

ი

ტ

ე

რ

- **ტრამპოკალიფსი;** ქართულად იძებნება მხოლოდ ერთი ბმული თარგმანით

HYPERLINK "https://bit.ly/3HpYB49"

საინტერესო და ძალიან ოსტატურ პოლიტიკურ ნეოლოგიზმად შეიძლება ჩაითვალოს ბარაკ ობამას მიერ წინასაპრეზიდენტო მარათონზე გაჟღერებული სიტყვა **"Romnesia"** (https://www.collinsdictionary.com/submission/7413/ROMNESIA), რომელიც თავდაპირველად ობამას კონკურენტის, ასევე პრეზიდენტობის კანდიდატის, მიტ **რომნის**

გვარისა და „**ამნეზიის**“ მოხერხებული კომბინაცია (პორტმანტო) იყო იმის ხაზგასასმელად, რომ რომნის მთელი თავისი პოლიტიკური წარსული, მრავალი შეუსრულებელი დაპირება და ასევე მრავალჯერ შეცვლილი პოლიტიკური ხედვის შესახებ აღარ ახსოვდა არაფერი. ნეოლოგიზმი წარმატებულად განზოგადდა ისეთ მდგომარეობაზე, როცა ძალიან მდიდრებს ავიწყდებათ, საიდან იშოვეს ფული. სწორედ ამ მნიშვნელობით არის შესული ტერმინი კოლინსის ლექსიკონში. რამდენადაც ეს ინგლისური ტერმინი საკმაოდ ჟღერადია და თან ქართულში ტრანსლიტერაციით დიდი ხნის დამკვიდრებული დაავადების საერთაშორისო სახელწოდების და გვარის პორტმანტოა, მარტივი ტრანსლიტერაციული სესხების გზით (**„რომნეზია“**) გადმოიტანა

ი

მ

პ

ტ

ვ

ი

რამდენადაც ქართული კომპოზიტი „პოლიტიკური ამნეზია“ თარგმნით ტრანსპოზიციას არ საჭიროებს და თემატურად იგივე კატეგორიაში ხვდება, უნდა ვახსენოთ ქართულ პოლიტიკურ მეტყველებაში საკმაოდ გავრცელებული ეს სიტყვათშეთანხმება. „პოლიტიკური ამნეზია“ (https://formulanews.ge/News/34986), რომელიც საკმაოდ ხშირად ხვდება ქართველ პოლიტიკოსთა გამოსვლებში, ერთმანეთისთვის პოლიტიკური წარსულის შესახსენებლად და ბრალდებების წასაყენებლად. რამდენადაც პოლიტიკური ქმედებები ხშირად ერთმანეთს ჰგავს, მსგავსია მათი აღმწერელი ლექსიკაც, მითუმეტეს, რომ დღეს, მედიის და ინფორმაციის გავრცელების ხარისხის ზრდის შესაბამისად, გაცილებით ადვილია ლინგვისტური ტენდენციების გავრცელებაც.

ე

რ

ო

დ

ი

ს

ქ

ა

რაც შეეხება ტრამპის ლექსიკურ სიახლეებს, „რომნეზიის“ მსგავსი ცინიზმით არის გამსჭვალული მის მიერ პოლიტიკურ გამოსვლებში გამოყენებულ ნეოლოგიზმთა საკმაოდ შთამბეჭდავი რაოდენობა, რომელთაგანაც ენობრივად ყველაზე საინტერესოა პორტმანტოები **Desanctimonious, Newscum,** და აკრონიმული და სემანტიკური ნეოლოგიზმები **და Lamestream media,** რომელთაც შესაბამის ჯგუფებში განვიხილავთ.

გ

ა

მ

ე

დ

ი

პირველ პორტმანტო **Desanctimonious**-ში ძალიან მოხერხებულად არის ერთმანეთთან შერწყმული 2022 წლის წინასასაარჩევნო მარათონში რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კიდევ ერთი კანდიდატის და ტრამპის ოპონენტის, **როს დესანტისის** გვარი და დამამცირებელი ზედსართავი **Sanctimonious** (ფარისეველი, პირფერი, წმინდანად,

ღ

ვ

თ

ი

ს

მ

ო

ს

პორტმანტოს ნიმუშებია **Chindia და Eurabia**, რომელთაგან პირველში ხაზგასმულია

ერთმანეთის მეზობლად მდებარე ორი ქვეყნის ერთიანობა, ჩინეთი და ინდოეთი,

რომლებიც ხასიათდება ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკით. ტერმინი 2004 წელს

შეიქმნა და ინდოელი პოლიტიკოსის - ჯაირამ რამეშის შექმნილია. ჩინეთის და

ინდოეთის მოსახლეობა ერთად შეადგენს მთელი მსოფლიო მოსახლეობის 1/3-ს და

სწორედ ამ ქვეყნებს აქვს განვითარების ყველაზე მეტი პერსპექტივა შემდეგი 50 წლის

განმავლობაში. ასე რომ, ტერმინი თავისთავად ძალიან აქტუალური და საქმაოდ ფართოდ

გამოყენებადია. **ეურაბია** კი - ევროპისა და არაბეთის ხელისუფლებების ვითომდა

საფრანგეთის არაბიზაციისთვის ფარული მოლაპარაკების შესახებ შეთქმულების

თეორიის სახელია. ორივე პორტმანტუს თარგმანი ძალიან მარტივია ერთი შეხედვით,

თუმცა, მიუხედავად აქტუალობისა, ქართულში არსად ფიქსირდება ფოემა „ჩინდია“ ან

„ჩინდოეთი“, ხოლო „ევრაბია“ ტრანსლიტერაციული ვარიანტების შერწყმითაა

მიღებული და გამოყენების რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება მხოლოდ

ა

მ

ს

ა

დერივაცია

ღ

ე

ბ

დერივაცია ტრადიციული გრამატიკის მიხედვით გულისხმობს სიტყვის ფორმისა და მნიშვნელობის შეცვლას მის ფუძეზე თავსართებისა და ბოლოსართების დართვის

ს

ა

შ

უ

ა

ლ

ე

ბ

ი

თ

კ

ვ

ლ

ე

ვ

ი

ს

ვ

ლ

ე

ბ

ი

ს

პოლიტიკურ ნეოლოგიზმების საკმაოდ დიდი ნაწილი კონკრეტულ მმართველებთან და პოლიტიკურ ლიდერებთან დაკავშირებულ ახლადაღმოცენებულ ლექსიკა წარმოადგენს. ინგლისურენოვან სამყაროში ასეთი ყველაზე ხშირად განხილვადი ფიგურა მსოფლიო პოლიტიკის ამ ეტაპზე აშშ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტი, **დონალდ ტრამპია.** მისი, როგორც პოლიტური მოთამაშის გავლენა ინდენად დიდია, რომ 2015 წელს ბრიუსელში დაფუძნებულმა და პოლიტიკური ჟურნალისტიკის მიმართულების ონლაინ გამოცემამ, POLITICO.eu-მ 2017 წელს Pew Research Center-ის

ტრამპის პიროვნების და საქმიანობის მრავალგვარი კუთხით შეფასების სურვილი შედეგების შეჯამება წარადგინა სახელწოდებით - **The Trumpability Index**, რომელშიც ამერიკელებში აღძრავს მისთვის და მისი პოლიტიკური ქმედებებისთვის ახალი წარმოდგენილი იყო ევროპის ქვეყნები **„ადგილობრივი ტრამპის“ (Local Trump)** სახელების დარქმევის სურვილს და ტრამპის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკებში პრეზიდენტად არჩევის შაღალ პერსპექტივით (The trumpability intex; Local Trump - ასევე იქმნება მრავალი ნეოლოგიზმი, რომელთა ძირითადი დანიშნულება მოწინააღმდეგეთა შეურაცხყოფა, მიუკერძოებელ ადამიანთა თვალში დამცირება და უკიდურესად ირონიული ფორმებით დისკრედიტაციაა. შესაბამისად, ტრამპის ფიგურის გარშემო წარმოქმნილი ნეოლოგიზმების რაოდენობა მართლაც შთამბეჭდავია და რამდენადაც ის ლინგვისტურადაც საინტერესო და წინააღმდეგობრივი ფიგურა აღმოჩნდა ინგლისურენოვანი სამყაროსთვის, მისი პირველი საპრეზიდენტო ვადის დასაწყისიდან ბოლევე, 2017 წელს, ოქსფორდის ლექსიკონმა მის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან,

მიმდევრებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმების და მისი პირადი ლინგვისტური ინოვაციური იქნება, თუ განხილვას დავიწყებთ **Trumpism**-ით, რომელიც, წარმოების თვალსაზრისით, პოლიტიკურ ნეოლოლიგზმთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ტიპის სიტყვაწარმოების მოდელის მიხედვით შექმნილი ტერმინია და რომელიც პოლიტიკური ლიდერის ხედვას, იდეებს, მის მიმდევრებს და ასევე, ხშირ შემთხვევაში, მის საჯარო გამოსვლებში გამოყენებულ, მისივე შეთხზულ-გამოგონილ ტექსტის ანალოგიური წარმოების და თარგმნითი ტრანსლიტერაციული ვარიანტიებია ამერიკის სხვა, მე-20 საუკუნის დასასრულის პრეზიდენტების გვარებზე ასევე – **ism**

ობამიზმი, (რომელსაც მცირე უზუსტობა აქვს, გვარის ბოლოკიდური **ა** აკლია ქართულში

-

უ

ნ

დ

ა

ი

ყ

ო

„**-ism**“ სუფიქსით ნაწარმოები ნეოლოგიზმების წარმოშობის მოვლენა მხოლოდ ინგლისურენოვანი ქვეყნების ფარგლებში არ რჩება, ასეთი ნეოლოგიზმები აღმოცენდება სხვა დასავლური ქვეყნების პოლიტიკური ფიგურების გარშემოც. ასე გვახსენდება სიტყვაწარმოების უკვე საკმაოდ ფესვგამდგარი, ე.წ. 1986 წლის **„პერესტროიკის“** საწარმოებლად გვარის მაგივრად ფუძედ აღებულია ლიდერთა სახელი, რაც განპირობებულია გამოთქმის სიმარტივით, (მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი შემთხვევისათვის არსებობს ამავე ლიდერთა გვარებით ნაწარმოები **-ism** ნეოლოგიზმებიც

ო

ს

ა

ა

ი

ბ

ზ

კ

მ

ა

ი

შ

იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიული ქარტეხილების და მრავალი უაყროფითი გამოცდილების დაგროვების ფონზე, მოხდა მოვლენათა და, პირადად, პირველი პრეზიდენტის პიროვნებისა და მოღვაწეობის გადაფასება და ოდესღაც დამამცირებელი ზედმეტსახელი დღეს პატრიოტული სულისკვეთების, სწორი პოლიტიკური ვექტორის მქონე პირის სახელად აღიქმება და დასდევს ნოსტალგიური, სენტიმენტალური ელფერიც. ეს კარგად ჩანს 2019 წლის 1-ელ აპრილს „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზე განთავსებულ ჟურნალისტ ჯიმშერ რეხვიაშვილის, იგივე დავით ქარდავას საავტორო სტატიაში - **„გამსახურდიას კაზუსი“,** რომელიც „ზვიადისტობის“ ისტორიის ერთგვარი მოკლე შეჯამებაა სწორი აქცენტებით (http://bit.ly/42zvymY)

გასაკვირი არ არის, რომ პოლიტიკურ ლიდერთა მეტყველება მუდმივი დაკვირვების ქვეშ არის როგორც მედიის, ისე საზოგადოების და ოპოზიციური ძალების მხრიდან. ამიტომ, ლიდერთა შეცდომით წარმოთქმული ყველანაირი სიტყვა თუ ფრაზა, და განზრახ სიტყვათა ჩანაცვლება მსგავსი ჟღერადობის სხვა სიტყვით აბსურდულ ან კომიკური ეფექტის მისაღებად (იგივე მალაპროპიზმი), რაც რიტორიკის თვალსაზრისით, საკმაოდ ეფექტიანი ხერხია, მყისიერად ხდება მედიის განხილვის საგანი და ზოგ შემთხვევაში, ახალ ლექსიკურ ერთეულებადაც კი ფორმდება. აქ შევეხებით მხოლოდ რამდენიმე მათგანს, რადგან ისინი პოლიტიკურ ნეოლოგიზმებად კვალიფიცირდებიან. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ამ „ფრთიან ფრაზებს“ თავისი ნეოლოგიური სახელწოდებებიც აქვს და ლიდერის გვარზე ან სახელზე ხშირ შემთხვევაში მრავლობით რიცხვში დართული სუფიქსი -ism-ით იწარმოებიან. ასე ნოვაციების თვალსაზრისით ყველაზე მეტად გამოიკვეთა ჯორჯ ბუშ უმცროსის და დონალდ ტრამპის ფიგურები, ყველასთვის ცნობილია აშშ-ში, რომ **ბუშიზმები (Bushisms)** და **ტრამპიზმები (Trumpisms**) მათი მეტყველებისა და საჯარო გამოსვლების სპეციფიკის აღმნიშვნელი ტერმინებია. ასეთი ქართულშიც გვაქვს **„მიშიზმებისა“** და **„ბიძინიზმების“** სახით. თუმცა, ჯორჯ ბუშის, ბიძინა ივანიშვილის და მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, ტერმინები ძირითადად აღნიშნავს სიტყვათა უხერხულ, არასწორ კომბინაციებს, არასწორ

გამოთქმას, ან ერუდიციის კუთხით დაშვებულ შეცდომებს მაშინ, როცა ტრამპის შემთხვევაში ასევე საკმაოდ ხშირია მიზანმიმართული მალაპროპიზმებიც.

ბუში უმცროსის დამსახურებაა ამერიკელთა ლექსიკაში სიტყვა **Misunderestimate**-ის გამოჩენა (https://politicaldictionary.com/words/misunderestimate/), რომელიც 2000 წლის ერთ-ერთ ინტერვიუში წარმოთქვა ყოფილმა პრეზიდენტმა მნიშვნელობით: to სიტყვა მაშინვე აიტაცეს კრიტიკულად განწყობილმა ძალებმა და შემდგომში ის ხშირად გამოიყენებოდა პრეზიდენტის ინტელექტის ნაკლებობის ხაზგასასმელად.

ტრამპის მალაპროპიზმებისგან აღსანიშნავია „unpresidented – unprecendented-ის

ნ

ა

ხ

მნიშვნელოვანი ტერმინია **„ვოუქიზმი“** (https://tinyurl.com/yc4vp2d2) და **„ვოუქი“** **“Woke”-ის** პირდაპირი ტრანსლიტერაციული სესხების ნიმუშები (თარგმანში - **„მღვიძარი“**). ნეოლოგიზმი წარმოიშვა მოძრაობის - „შავკანიანთა სიცოცხლა მნიშვნელოვანია“ ფარგლებში და თავდაპირველად აღნიშნავდა პროგრესული ან მემარცხენული შეხედულებების ადამიანებს ან მათ მსოფლმხედველობას და ეწინააღმდეგება დისკრიმინაციას და უსამართლობას. ტერმინს სხვადასხვა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს იმის მიხედვით, თუ ვინ გამოიყენებს თავის სიტყვაში. ასე, რესპუბლიკელები ტერმინს ბოლო პერიოდში დასაცინად, მასხრად ასაგდებად იყენებენ

ც

ვ

ლ

ა ქართულ სინამდვილეში ანალოგიური საზოგადოებრივი მოძრაობებიდან შეიძლება გავიხსენოთ **„კმარა“** (https://tinyurl.com/3atz8wka) - მოძრაობა, რომელიც ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოოდა და საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა „ვარდების რევოლუციაში“, და შედარებით უფრო ახალი ჰეშტეგ მოძრაობები - **„#გაბედე“** (https://1tv.ge/news_tag/gabede/), **„#შეცვალე საქართველო“**

მ

ა

აკრონიმია

აკრონიმია სიტყვის წარმოების ის მეთოდია, როდესაც ორ ან მეტსიტყვიანი სიტყვათშეთანხმების შემადგენელი ელემენტების პირველი ასოები აფორმებენ ახალ სიტყვას (https://www.britannica.com/topic/acronym). სიტყვაწარმოების ეს მეთოდი საკმაოდ პოპულარულია ორგანიზაციების, გაერთიანებების სახელწოდებების, ან გრძელი და რთული კონცეფციების სახელების დასამოკლებლად და გამოყენების გასამარტივებლად. ამიტომ, ამ ტიპის პოლიტიკურ ნეოლოგიზმებს არა რიტორიკული, მასებზე ზემოქმედების, არამედ სახელდების პრაგმატული დანიშნულება აქვთ. თუმცა, არსებობს მცირე გამონაკლისებიც, როცა ოსტატურად შერჩეულ აკრონიმს უჩნდება რიტორიკული დანიშნულებაც.

საკუთრივ საქართველოს ეხება ჩვენ ქვეყანასთან თანამშრომლობის ურთიერთობის რამდენიმე მიმართულებით გაღრმავების შესახებ აშშ-ს კონგრესის 2023 წლის

ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, NASA - ნასა - ერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო და ა.შ), მით უმეტეს, რომ პროექტის სახელად ამერიკელების მიერ სპეციალურად იქნა შერჩეული ქართული სიტყვა.

სემანტიკურ ნეოლოგიზმებში აღვწერთ რესპულიკელების სახელით მოღვაწე პარტიის წევრებს, რომლებიც, ზოგიერთი რესპუბლიკელის განცხადებით, რესბუპლიკური პარტიის საქმეს სულაც არ ემსახურებიან - **Republican in name only. - აკრონიმით RINOs** (https://www.merriam-webster.com/dictionary/RINO)- და გამოთქვამენ ზუსტად ისე, როგორც “

ბ

ე

ჰ

ე

მ

ო

თ

ე

ბ

ს

ე

ი

ს

ი

ნ

ჯ

ი

ს

ტ

ა

ტ

ი

ს

ა

მერიკული საშინაო პოლიტიკის ეს დეტალები ქართულ მედიაში არ გაშუქებულა, შესაბამისად, არც თარგმანის გაკეთების მცდელობა ყოფილა.

ტრამპის საარჩევნო სლოგანის აკრონიმია **MAGA – Make America Great Again** (https://www.britannica.com/topic/MAGA-movement), რომელიც პოლიტიკურ მიმდინარეობად გამოყალიბდა **(MAGA movement).** რაც შეეხება **MAGA**-ს ქართულში გადმოტანას, ვხვდებით წასესხებ თარგმანს - **„გახადე ამერიკა კვლავ დიდებული“** მეორე ვარიანტით კი - ინგლისური შრიფტით ქართულ ტექსტში გადმოტანილ **MAGA** აკრონიმს (http://kvira.ge/869573). არსებობს ასევე პოლიტიკური ნეოლოგიზმი **MAGA** რადიკალი ტრამპისტების ჯგუფის სახელწოდება, რომელიც ქართულმა ელექტრონულმა პრესამაც გადმოიტანა **MAGA „რესპუბლიკელი“ ექსტრემისტების** სახით რაც რამდენიმე თარგმნითი ტექნიკის შერწყმაა ერთ ფორმაში (უთარგმნელად, პირდაპირ გადმოტანილი **MAGA,** ნატურალიზებული ტრანსფერი „რესპუბლიკელი“ და პირდაპირი ტრანსლიტერაციული ექსტრემისტები).

რომლის სახელწოდებაც მისიაზე თავადვე მეტყველებს. ქართულში სულ ერთი ბმული მოიძებნა.

სრულიად ახალია ამერიკის რეალობაში **DOGE – "Department of Government Efficiency"**

ასევე უნდა აღვნიშნოთ აკრონიმი, რომელიც ბოლო პერიოდის ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირად გვესმის. ეს არის **"FARA - Foreign Agents Registration Act"** მიღებული დაფინანსებების შესახებ, რომელიც აშშ-ში 1938 წლიდან მოქმედებს. ქართულ საპარლამენტო თარგმანში **„უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტი" რეგისტრაციის აქტი"** (https://www.radiotavisupleba.ge/a/33430229.html), მესამე ვარიანტით ტრანსლიტერაციით

კომპოზიტები

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნეოლოგიზმთა დიდი ხვედრითი წილი პოლიტიკის და ტექნოლოგიების სფეროებში მოდის ძველი ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობის შეცვლაზე. სიტყვის სემანტიკური ცვლილება კი გულისხმობს მისი დავიწყოთ არც თუ ისე ახალი, თუმცა დღესაც აქტუალური და ლინგვისტურად პროდუქტიული პოლიტიკური ნეოლოგიზმით - **Watergate**, რომელიც ქართულში

უოტერგეიტის სახელითაა წარმოდგენილი, და რომელმაც თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია ამერიკულ საზოგადოებაში. ნეოლოგიზმის წარმოშობა უკავშირდება ის სახელით ცნობილი დემოკრატიული პარტის სათავო ოფისის ძარცვას და დიდ პოლიტიკურ სკანდალს რიჩარდ ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში 1972 წელს, რასაც პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა (https://www.etymonline.com/search?q=watergate). ამ მოვლენის შემდეგ, უოტერგეიტი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური სიტყვა გახდა და მის ბოლო ნაწილს, **_gate**-ს, რომელსაც სრულიად აღარ აქვს შერჩენილი დენოტაციური მნიშვნელობა, დღესაც იყენებენ ყველანაირი პოლიტიკური სკანდალისა და

უ

ხ

ე

კ

ო

მ

პ

ლ

ე

ქ

ს

ი

ს

თ

ვ

ი

ს

მ

ი

კ

უ

თ

ვ

ნ

ე

ბ

უ

ლ

ი

ს

ა

კ

უ

თ

ა

რ

ი

ს

ა

ხ

ე

ლ

ი

ს

ნ

ა

ს

ე

ს

ხ

ე

ბ

ი

ტ

რ

ა

ნ

ს

ლ

ი

ტ

ე

რ

ა

ც

ი

უ

ლ

ი

რაც შეეხება ქართულ ვარიანტს, ისევე, როგორც **Brexit**-ის შემთხვევაში, შენობათა

ს შეკვეცით მიღებული “-gate”-ით ნაწარმოებ ფორმათაგან ყველაზე ძველი თარიღდება

პრეზიდენტს, ოსვალდო ლოპეს არელანოს თავდაპირველად 1.25 მილ. დოლარი ქრთამი,

და შემდგომ კიდევ ამდენივე გადაუხადა იმისათვის, რომ ერთ ყუთ ბანანზე დღგ 50

ცენტიდან 25 ცენტამდე შეემცირებინა შემდეგი წლიდან. როდესაც ქრთამის საქმე გამჟღავნდა, საქმე სამხედრო ხელისუფლების გადაგდებით დასრულდა). ამ ტერმინის ქართული ვარიანტი ვერ მოვიძიეთ, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ სკანდალი, უოთერგეითთან შედარებით, ფართო აუდიტორიისთვის და მათ შორის, საქართველოსთვისაც, ნაკლებ საინტერესო იყო და მიუხედავად იმისა, რომ გაშუქდა იმდროინდელ ინგლისურენოვან მედიაში, ვერ მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება. ანალოგიის საფუძველზე ნაწარმოები ფორმებიდან შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი, ბევრად უფრო რეზონანსული **Sofagate,** - ევროკომისიის პრეზიდენტის, ურსულა ფონ დერ ლაიენის 2021 წლის 6 აპრილს თურქეთის პრემიერმინისტრთან, რეჯეფ თაიფ ერდოღანთან შეხვედრის დროს მომხდარი სექსისტული ინციდენტისთვის მყისიერად შერქმეული სახელწოდება, როდესაც ფონ დერ ლაიენს, ევროპის საბჭოს თავმჯდომარის, შარლ მიშელისგან განსხვავებით, სავარძელი არ შეხვდა და დივანზე მჯდომს მოუწია ოფიციალური შეხვედრის ჩატარება, რის შემდეგაც ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გააკეთა (https://www.bbc.com/news/world-europe-56896734). ინციდენტს გამოხმაურება მოჰყვა ქართულ პრესაშიც (http://bit.ly/3RNJDal; https://bit.ly/4kGVK5a). თუმცა, ნეოლოგიზმი სტატიის ავტორების ყურადღების მიღმა დარჩა, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ გაიაზრეს ქართულად ტრანსლიტერაციის წესით გადმოტანილი ვარიანტის მოუქნელობა, თუმცა, მხედველობიდან გამორჩათ, რომ ნამდვილად შეიძლებოდა სტატიის სათაურში, ე.წ. „ჰედლაინში“ (რომლის ზუსტი შესატყვისიც ასევე ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, არ გვაქვს) **„სავარძლის სკანდალის“** შეტანა, რაც მეტ სიცხადეს და ინტრიგას შესძენდა ამბავს, რაც ჟურნალ-გაზეთების სტატიების სათაურების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია, და ტერმინის გადმოქართულების თვალსაზრისითაც ზუსტად გადმოსცემდა სათქმელს

ყველაზე ახალი **-gate** ტერმინი 2025 წელს წარმოშობილი **Cryptogate**-ია, არგენტინის პრეზიდენტის, ხავიერ მილეის მიეს სოციალურ მედიაში გაჟღერებული კრიპტოვალუტის - $LIBRA-ს რეკლამა, რასაც ამ კრიპტოვალუტის ფასის მკვეთრი ვარდნა და პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა მოჰყვა შედეგად (https://bit.ly/3Ghruit). ქართულ მედიაში ამბავი სულ სამი-ოთხ ვებ-გვერდზეა განხილული და Cryptogate

გადმოტანილია, როგორც **კრიპტოვალუტის ავანტურა** (https://bit.ly/3HiJCJp), **კრიპტოვალუტის სკანდალი** (https://bit.ly/43sT18o) **და კრიპტო თაღლითობა** შესატყვისი კრიპტო სკანდალია - ინტერნაციონალიზმის სტატუსის მქონე ბერძნული წარმოშობის crypto ტრანსლიტერაციითაა გადმოტანილი, ხოლო -gate სუფიქსს ანაცვლებს ქართულში დიდი ხნის დამკვიდრებული ფრანგულიდან შემოსული სკანდალი.

სულ ახლახანს ქართულ კონტექსტშიც გაჩნდა „სკანდალის“ ადგილობრივი კომპოზიტური ვარიანტი. კერძოდ, 2025 წლის აპრილის პირველ რიცხვებში საქართველოში წამოჭრილი **„რძის სკანდალი“** (https://bm.ge/tag/rdzis-skandali), ან **„სკინტლიანი რძის სკანდალი“** (https://bit.ly/3SYGTHv), რომელმაც სრულიად მოიცვა და აღაშფოთა ქართული საზოგადოება და ააჭრელა ქართული მედია საქმე ეხებოდა ორ უდიდეს ქართულ რძისპროდუქტების. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს შემთხვევა ქართველებისთვის ქართულ კონტექსტს უკავშირდება მხოლოდ, ისტორია ითვლის ბევრ

ს

ხ

ვ

ა

დ

ა

ს

ხ

ვ

ა

ს

ს

კ

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, პოლიტიკა დაპირისპირების, კორუფციის, ბინძური თამაშების, ერთმანეთის ასევე ბინძური მეთოდებით გამოვლენის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. თუ ინგლისურში „სკანდალის“ სინონიმის ფუნქცია -**gate**-მა იტვირთა, ქართულში იგივე ფუნქციის შესასრულებლად გვაქვს სრულიად ნეიტრალური, უარყოფითი შეფასებისგან თავისუფალი სიტყვა **„საქმე“**, რომელიც კონკრეტულ შესიტყვებაში უარყოფით პოლიტიკურ დატვირთვას მხოლოდ მაშინ იძენს, თუ უახლესი ისტორიის კონკრეტულ მომენტებს გავიხსენებთ. სტანდარტულად, სიტყვა **„საქმის“** (ინგლისურში **“Case”**) ერთ-ერთი მნიშვნელობაა „სასამართლოს განხილვის საგანი. *სისხლის სამართლის ს. - საქმის გარჩევა.“*(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ,

კიდევ ერთი აწმყოს მიმღეობის ფორმაა **Streaming** (https://www.etymonline.com/word/stream), რომელმაც სემანტიკური გაფართოების საფუძველზე (თავდაპირველი მნიშვნელობა - წყლის ნაკადი) დაიმატა ინტერნეტში აუდიო/ვიდეო მასალის უწყვეტი გაშვების მნიშვნელობა, ჩამოტვირთვის საჭიროების გარეშე (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/streaming). ქართულ ტექნიკურ ლექსიკონში ტერმინის ქართული ვარიანტი საკმაოდ მოხერხებული და ლამაზი ჟღერადობის ქართული კომპოზიტია - **„ნაკადური გადაცემა“.** თუმცა, იქვეა ტრანსლიტერაციული **„სტრიმინგიც“**(https://techdict.ge/ka/word/streaming%7Cen/), რაც, ვფიქრობთ, ფასს უკარგავს ტერმინის ქართული ვარიანტის შექმნას. ინტერნეტმომხმარებელთათვის კი „სტრიმინგის“ უპირობო არჩევანია, რადგან მეორე ტერმინი მხოლოდ უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში ფიქსირდება

საინტერესო ფორმაა **Bluetooth** (https://etymology.net/bluetooth/), **რომელიც მე-10** საუკუნის სკანდინავიის გამაერთიანებელი მეფის, ჰერალდ ბლატანდის ინგლისური თარგმანია. Bluetooth-ის ლოგოც სწორედ მეფის სახელის რუნებით შესრულებული ინიციალებია. უსადენო კავშირისთვის ამ სახელის შერჩევა კი გადაწყდა სიმბოლური მნიშვნელობის გამო, რადგან 1990-იანი წლების ბოლოსთვის SIG-ში (Special Interest საერთო მიზნისთვის, როგორც მე-10 საუკუნეში, გაერთიანდნენ კავშირგაბმულობის დიდი საერთაშორისო კომპანიები - ერიკსონი, აიბიემი, ტოშიბა, ინტელი და ნოკია.

ევროპულ ენებში, ისევე, როგორც ბევრი სხვა ნეონიმი, **„ბლუთუსი“** და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მიგვაჩნია, რომ რამდენადაც ამ ინოვაციის სახელი საკუთარი სახელია მეტაფორული გაფართოებით წარმოიქმნა, მიზანშეწონილია სწორედ ტრანსლიტერაციული ვარიანტი. ქართული ტექნიკური ლექსიკონის ტრანსლიტერაციული თარგმანი ამ სიტყვის შემთხვევაში არ მისდევს ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესებს, თარგმანში წარმოდგენილ „ბლუთუსში“ Bluetooth-ის

ბოლოკიდური Th წესების მიხედვით შეესაბამება „ზ“-ს ან „დ“-ს, ხოლო - tooth -ის თავკიდური T - ტ-ს (https://tinyurl.com/mwyep9bn). შესაბამისად, სტანდარტების მიხედვით, უნდა გვქონოდა „ბლუტუზი“. თუმცა, მსგავსი ფორმა არც ინტერნეტში ფიქსირდება და სანაცვლოდ, გვაქვს „ბლუთუზი“ (https://tinyurl.com/3cmk6smz). სწორედ ასეთ ფონეტიკურ სიჭრელეს და ერთიანი სტანდარტის არქონას ვგულისხმობთ იმ შემთხვევაში, როცა ვამბობთ, რომ დიდი ალბათობით, მალე დადგება ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების გადახედვის და გადმოტანის ხელახალი სტანდარების ჩამოყალიბება. ფორმათა მრავალფეროვნებას აქაც ემატება ინგლისური შრიფტით ქართულში გადმოტანილი Bluetooth-ი (https://tinyurl.com/mswyhmyz).

ს

ე

მ

ა

ნ

ტ

ი

კ

უ

რ

ი

გ

ა

ი

გივე კატეგორიას მიეკუთვნება 2011 წელს დაარსებული და პანდემიის დროს

წ

ყ

ო

ვ

ე

ლ

თ

ა

ო

გამოყენებაში და აღიარებაში მყოფი **Zoom** (https://www.merriam-

პ

ი

თ

ა

რ

გ

მ

ნ

ე

ბ

ა

, როგორც **„გუგუნი, წუილი, ჩაქრობლება“**

მსგავსი ტიპის სიტყვების მსგავსად, ტრანსლიტერაციული თარგმანით შემოვიდა ქართულში.

სემანტიკური გაფართოების საფუძველზე დამკვიდრდა ასევე ტექნოლოგიების სფეროში სიტყვა **Firewall,** რომელიც ტექნოლოგიების განვითარებამდე, ფიზიკურად აღმაღთულ კედელს ნიშნავდა ხანძრისაგან თავის დასაცადავ დღევანდელი მნიშვნელობით კი, ნიშნავს პროგრამას, რომლის საშუალებითაც ავტორიზაციის გარეშე კომპიუტერში განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომას არ აქვს მომხმარებელს (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/firewall). ცხადია, ქართულ ინჟინერიაში კომპიუტერული მეცნიერებების შემოსვლამდე არსებიბდა ის ქართული შესატყვისი, რომელიც სამშენებლო ენციკლოპედიურ ლექსიკონში შესულია, როგორც **„ცეცხლამრიდი კედელი“** (https://tinyurl.com/2hmdctyk), ხოლო ტექნიკურ ლექსიკონში, როგორც **„ცეცხლგამძლე კედელი“** (https://tinyurl.com/2hmdctyk). თუმცა, იქვე გვაქვს სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობის განმარტება - „ქსელური ეკრანი, სისტემა ფაიერვოლი“, რაც უცნაურია, რადგან ინგლისურ განმარტებებში არსად „ეკრანი“ არ ფიგურირებს, Firewall არის პროგრამა, რომელიც ინფორმაციის უსაფრთხოებას/დაცულობას უზრუნველყოფს. განმარტების მეორე ნაწილში წარმოდგენილი ტრანსლიტერაციული **„ფაირევოლი**“ კი შესაძლოა ამ შემთხვევაში გამართლებულადაც ჩავთვალოთ, რადგან აღიარებული თარგმანები ასოციაციურად ძალიან შორს დგას ინტერნეტის და ვირტუალური სივრცის სფეროსგან. გარდა „ფაიერვოლისა“, ქართულად არის ასევე **„ფაიარვოლი“** (https://tinyurl.com/46rstb8f) და კვლავ, ინგლისური შრიფტით ქართულ ტექსტში გადატანილი ტერმინი

ფრანგული წარმოშობის სიტყვა **„Domain”** ხნით ადრე ჯერ **„სამფლობელოს“, „ტერიტორიას“,** ან **„ადგილ-მამულს“** ნიშნავდა, შემდეგ სემანტიკური გაფართოებით, ცოდნის და მეცნიერების სფეროში გადაინაცვლა და

„დარგის“, „სფეროს“ ფუნქცია დაემატა. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კი, შემდგომი სემანტიკური გაფართოების საფუძველზე, მიიღო იმ ვებსაიტების მნიშვნელობა, რომელთაც საერთო მიზნები და ინტერნეტ მისამართის ბოლოში საერთო აბრევიატურული დაბოლოება აერთიანებთ (https://dictionary.ge/ka/word/domain/). ქართულში გვაქვს ვარიანტი - **„დომეინი“** ინტერნეტში

HYP ცოტა უცნაურია ტერმინი **Attachment**-ის ქართულში გადმოტანის ამბავი. სიტყვის ERგაგზავნის“ მნიშვნელობა (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/attachment), TEრაც ქართულში ტექნიკურმა ლექსიკონმა დააფიქსირა, როგორც „ბმული“ NKმიუსედავად იმისა, რომ ფრჩხილებში განმარტებულია, თუ რას გულისხმობს სიტყვა, "მეორე ნეოლოგიზმი - **link/hyperlink** ასევე „ბმულად“ არის ნათარგმნი hრაც მიუღებელია, რადგან არ შეიძლება, ორ სხვადასხვა გამოგონებას ერთი სახელი tეწოდოს. თუმცა, ტერმინოლოგიური პრობლემა გასწორდა ინტერნეტმომხმარებლების t მიერ, რადგან attachment-ის მნიშვნელობისთვის გვაქვს „მიბმული ფაილი“, რომლის pერთი ნაეილი ფუნქციური თარგმანია, როლო მეორე - ტრანსლიტერაციული sHყ/pწ/ვ/wlNკdl'

ფაილები“ დეფისით (https://iliauni.edu.ge/ge/cookie-files), ერთ სიტყვად დაწერილი



საინტერესოა ასევე ქართულში ინგლისური **Tablet**-ის გადმოტანის ნიმუში. **Tablet**-ს პირველადი მნიშვნელობა ინგლისურში იყო **„პატარა, ცვილით დაფარული საწერი ან ხახატავი დაფა“** (https://www.etymonline.com/word/tablet). ტექნოლოგიების სფეროში სიტყვამ მიიღო მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ეს არის სენსორული ეკრანით ღჭურვილი მცირე ზომის პორტატული კომპიუტერი

H

Y

P

E

R

L

I

N

K

"

h

t

t

p

s

:

/

/

t

e

c

w

o

r

d

s

c

o

s

m

o

/

მორფოლოგიური სიტყვაწარმოების მოდელების მიხედვით შექმნილი ვირტუალური ნეოლოგიზმები

დერივაცია

სემანტიკური ნეოლოგიზმების განხილვისას ვრცლად ვისაუბრეთ მე-20 საუკუნის ბოლოს რეალობის ერთ-ერთ ყველაზე ტრანსფორმაციულ - google-ის ცნებაზე, რომელსაც გარდა უკვე განხილული სემანტიკური ნეოლოგიზმების ჯგუფისა, ასევე აქვს კონვერსიული გაზმნავებული ფორმა To google, რომელიც **American Dialect Society**-ს მიერ

ნეოლოგიზმის ქართულში ნატურალიზაციის ნიმუშია. ქართულში ასევე გვაქვს

[illegible]

სოციალური ქსელების არსებობამ დასაბამი დაუდო ახალი საქმიანობების გამოჩენას. ყველაზე მეტი პოპულარობა მათ შორის წილად ხვდა **“influencer”**-ობას. როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. **Influencer** (https://www.merriam-

საშუალებით ცდილობს, საზოგადოებრივ აზრზე მოახდინოს გავლენა თავის არჩეული

რომელიც ნილ სტივენსონის 1992 წელს გამოცემული სამეცნიერო-ფანტასტიკური ჟანრის წიგნის - “Snow Crash”-ის წარმოსახვითი ვირტუალური სამყაროს სახელია რეალობაშიც განხორციელდა, წიგნის ფურცლებიდან ტერმინმა ვირტუალური სივრცის გამოგონების სახელის სტატუსით გადმოინაცვლა ენაში. ქართული თარგმანი **„მეტასამყარო“** კი პირველ ნაწილში ტრანსლიტერაციული სესხებაა და სრულიად გამართლებული, რადგან „„**მეტა**_“ თავსართი ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ნაწილია უკვე დიდი ხანია, ხოლო მეორე ნასესხები თარგმანია. ამის მიუხედავად, კვლავაც გვაქვს სრულად ტრანსლიტერაციული ვარიანტის „მეტავერსის“ გამოყენების სამკაოდ ხშირი შემთხვევები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საზოგადოება ვერ აცნობიერებს ქართული თარგმანის საჭიროებას და მიაჩნია, რომ ყველა ახალი ტერმინის ტრანსლიტერაციული გადმოღება მისაღები პრაქტიკაა.

ასეთივე ნასესხები ტრანსლიტერაციული არფორმით არის ქართულში გადმოტანილი 21-ე საუკუნის დასაწყისში ჰაკერების მიერ შექმნილი ტერმინი “**Doxxing/Doxing**” (https://www.britannica.com/topic/doxing) ქართულში. თავისთავად სიტყვის ინგლისური ვარიანტი ასეთი წარმოშობისაა: Docs > dox > doxing ან doxing - docs მასალების ონლაინ განთავსება მათი თანხმობის გარეშე, ძიღითადად მათი დისკრედიტაციის მიზნით. ტერმინს ასევე შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროვება“, თუმცა, რამდენადაც ამ ვარიანტის შესაბამი ინგლისური ფორმა აქ სიტყვის სიმოკლეც შეიძლება იყოს მიზეზი ერთი შეხედვით მოსახერხებელი ინგლისური ფორმების ქართულში დამკვიდრების. თუმცა, მეორე მხრივ, სიტყვის უცხოენოვანი წარმოშობის გარდა, აშკარად ყურს ჭრის დოქს**ინგ**ის, სქროლ**ინგ**ის და დუმსქროლ**ინგ**ის ინგლისური ბოლოსართი, აწმყოს მიმღეობის მაწარმოებელი **_ing,** და კიდევ უფრო საგანგაშოა, რომ ნელნელა ქართველის ყური ეჩვევა ამ სუფიქსის არსებობას ენაში და სრულიად მოსალოდნელია, რომ ყოველი შემდეგი ნეოლოგიზმი, რომელსაც

აწმყოს მიმღეობის (Gerund) ფორმა ექნება, ანალოგიით პირდაპირ ტრანსლიტერაციულად შემოიტანოს ენაში, ხარისხიანი თარგმანის ყველანაირი მცდელობის გარეშე.

კომპოზიტები

კომპოზიტები ვირტუალური სივრცის და ტექნოლოგიების სფეროში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ლექსიკურ სეგმენტს წარმოადგენს. თანაბრად გვხვდება როგორც ერთსიტყვიანი, ისე ორსიტყვიანი (და ზალიან იშვიათად, სამსიტყვიანი) კომპოზიტები.

ერთსიტყვიან კომპოზიტთაგან საკმაოდ რთულად გადმოსატანი აღმოჩნდა ქართულში უკვე არც ბოლო რამდენიმე წელია, ძალიან აქტუალური გახდა სოციალური ქსელების პოსტებზე და სურათებზე **თემსაკვეთის**, ტრანსლიტერაციულად **ჰეშტეგების** სიტყვის მნიშვნელობაზე პოლიტიკურ კონტექსტში, თუმცა არის მცირე ტექნიკური

დეტალები, რომლებიც ზემოთ არ გვიხსენებია, რადგან სოციალურ ქსელებთანაა კავშირში არსობრივად. **Hashtag** პორტმანტოა. **Hash** არის # ნიშანი (ჰეში, ეშ-ჯამი, ჰეშ-კოდი https://techdict.ge/ka/word/hash%7Cen/), **Tag** კი - იარლიყი ან ეტიკეტი, კონვერსიის ზმნად გადაქცევის) შემთხვევაში ის **მონიშვნას** ნიშნავს. # ნიშანი სასურველი წარწერის წინ დაიტანება და მის ქვეშ მოქცეულ პოსტს თუ ფოტოს ადვილად მოსაძიებელს ხდის ინტერნეტ მომხმარებელთათვის. **ჰეშთეგი ან ჰაშთაგი,** ხანდახან **ჰაშტაგი,** ქართულ თარგმანში, ისევე, როგორც პორტმანტოები, ტრანსლიტერაციით გადმოვიდა. მისი შემადგენელი მეორე კომპონენტი **Tag,** რომელიც ინგლისურში როგორც ზმნად, ისე არსებით სახელად გამოიყენება სოციალურ ქსელებში **„მონიშვნის“** მნიშვნელობისათვის, ტექნიკურ ლექსიკონში არსებითის შემთხვევაში **„ტეგის“** ფორმით ფიქსირდება, მაშინ როცა ზმნის შემთხვევაში წერია „მონიშვნა“. ჩვენ ვიცით, რომ სოციალური ქსელებისთვის „თეგის/თაგის დადების შემთხვევაში თითქმის არავინ იყენებს „მონიშვნას“, მის მაგივრად დღეს ამ მოქმედების აღსაწერად უფრო ბუნებრივ ფორმად მიიჩნევა ნატურალიზებული ფორმა **„დათაგვა“,** რომელიც სპეციფიურად მხოლოდ სოციალურ ქსელებში მონიშვნას აღნიშნავს. Tag-ის და მისგან ნაწარმოები სხვა ნეოლოგიზმების თარგმნით ვარიანტშიც არის ფონეტიკური სიჭრელე, რომელზეც ოდნავ მოგვიანებით შევჩერდებით, მას შემდეგ, რაც საკმარისი ნიმუშები იქნება განხილული კონკრეტული დასკვნების გამოსატანად.

თანამედროვე ადამიანისთვის უკვე წარმოუდგენელია ეგრეთ წოდებული **„ჭკვიანი ტელეფონის“** გარეშე ცხოვრება. **Smartphone**-ების საქართველოში შემოსვლისთანავე გაჩნდა ამ კომპოზიტური ნეოლოგიზმის ნასესხები თარგმნითი ეკვივალენტი. თუმცა, ასევე არსებობს ტრანსლიტერირებული ვარიანტიც. იგივე „ტექნიკურ ლექსიკონში“ ასეთი განმარტებაა მოცემული: **„Smartphone** - სმარტფონი, „ჭკვიანი“ ტელეფონი რომელიც თავის თავში საკუთრივ ტელეფონისა და პორტატიული კომპიუტერის ფუნქციებს აერთიანებს“ (https://tinyurl.com/ycxm7e7n). დღეს ქართული საზოგადოება ამ ორ ფორმას შორის უპირატესად ტრანსლიტერირებულ ვარიანტს იყენებს მეტყველებაში, ტექნოლოგიებისგან დამოუკიდებელ კონტექსტებშიც ქართველები ცნება

„ჭკვიანის“ გადმოსაცემად ხშირად მიმართავენ სწორედ ინგლისურ smart- სმარტ ფორმას. ვერ ვიტყვით, რომ ეს მაინც და მაინც ჭკვიანი ტელეფონების გავლენაა, თუმცა ინგლისური ენის გავლენაზე და მოდურობაზე აშკარად მიუთითებს.

რამდენადაც **Screen (ეკრანი)** თანამედროვე ტექნოლოგიებში ერთ-ერთ მოწინავე ადილს იკავებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დღესდღეობით ფაქტობრივად ყველა ტიპის ციფრული დანადგარი აუცილებლად აღჭურვილია ეკრანით, სიტყვას გაუჩნდა მორფოლოგიური ვარიაციები სხვადასხვა ინოვაციის აღსანიშნავად. მე-20 საუკუნეში თვითონ სიტყვა Screen, როგორც ეკრანი (სემანტიკური ნეოლოგიზმი იყო, ისტორიული მნიშველობით - ვერტიკალუტი დამცავი სიცხისგანა ან ორპირი ქარისგან (Screen – upright ის (ეკრანი) https://techdict.ge/ka/word/screen%7Cen/ ინგლისურ ენაში ხშირად ხდება კომპოზიტების ერთერთი შემადგენელი ნაწილი. როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, ლექსიკონურად და ცოცხალ მეტყველებაშიც სტანდარტული ქართული ექვივალენტით ითარგმნება, თუმცა, ზეპირ მეტყველებაში აქაც ხშირად გვხვდება **„სქრინი“** რაც შეეხება **screen**-ს, როგორც კომპოზიტების შემადგენელ კომპონენტს, თარგმნითი ვატიანტები აქაც ტრანსლიტერაციულია. **Screenshot** ონლაინ ტექნიკურ ლექსიკონში შეტანილია, როგორც **ეკრანის ანაბეჭდი** ან **სკრინშოტი** როგორც **ეკრანმზოგი** ან **სკრინსეივერი** (https://techdict.ge/ka/word/screensaver%7Cen/). რამდენადაც ლექსიკონი თვითონ სთავაზობს მომხმარებელს ქართულ ენაზე შექმნილ ტერმინს და იქვე ტრანსლიტერაციულ ვარიანტს, ნაკლებ სავარაუდოა, ქართული ფორმები წარმატებით დამკვიდრდეს. მსგავსი ტიპის პარალელურ ფორმებს შორის მეტი პოპულარობის მქონე ფორმებს კითხვარის საშუალებით გამოვყოფთ.

”

ს

კ

რ

ი

ნ

ნატურალიზებული თარგმანია, წაწილობრივ - აღიარებული, და საბედნიეროდ, საკმაოდ ფართო გამოყენებაშია, თუ ბმულების რაოდენობით ვიმსჯელებთ. თუმცა, ტრანსლიტერაციულ თარგმანსაც აქვს ვარიანტები და წარმოდგენილია, როგორც **თაჩსქრინი** (https://tinyurl.com/4wvrupmr), **ისე თაჩსკრინი** (https://tinyurl.com/3j8s75ba).

მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახოვან ფორმაში „ხელოვნური ინტელექტის“ კონცეფცია

გახადონ საკუთარი პიროვნება. ქართულ ვარიანტში აქაც ტრანსლიტერაციული ნასესხობა გვაქვს **„ქეთფიშინგის“** სახით.

ტერმინი **“Artificial Intelligence”** (https://tinyurl.com/mvv63fhb) საკმაოდ ადვილი გადმოსატანი იყო ქართულში, რადგან სტანდარტული ლექსიკის ახლებური შესიტყვებაა ახალი შინაარსით, შესაბამისად, თარგმანიც სტანდარტული თარგმნითი ეკვივალენტების საშუალებით გადმოვიდა. თუმცა, საკმაოდ ხშირად იყენებენ ქართველები ზეპირ მეტყველებაში და წერის დროსაც **Artificial Intelligence**-ის აკრონიმს - **AI,** თან ინგლისური შრიფტით დაწერილს. ჩვენ ზემოთაც განვიხილეთ ამის რამდენიმე ნიმუში და ვფიქრობ, სასიკეთო ტენდენცია არ უნდა იყოს. კარგი იქნება, თუ საჯარო სივრცეში და ოფიციალურ ვებ გვერდებზე თუ მედიის წარმომადგენელთა ტექსტებში მაინც არ იქნება მიღებული ასეთი ფორმების გამოყენება. რაც შეეხება **„ჩეთბოტს“ („ჩეტბოტი“. „ჩატბოტი“)** და „ჩეთ ჯპტ“-ს („ჩატ ჯპტ“, „ჩატ ჯიპიტი“, ჩათ GPT”), ქართული ვარიანტი ტრანსლიტერაციულია ზოგ ვარიანტში, ტრანსლიტერაციული გადმოტანის წესებით დაცული, ზოგში კი ინგლისურ გამოთქმასთან მიახლოებული.

რაც შეეხება ფორმას **Screen protector**, როგორც წინა შემთხვევაშიც ვნახეთ, ის წარმოდგენილია, როგორც „ეკრანის დამცავი“. სიტყვა **Cyber** - ქართველების ცნობიერებაში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა (1960 წ). მიღებული, რომელიც თავის მხრივ 40-იანი წლებისთვის შევიდა ენაში ბერძნულიდან და ნიშნავს „the science of communications and automatic control systems in both machines and

მაგალითად: Cyberspace (https://www.oed.com/dictionary/cyberspace_n?tl=true) - კიბერსივრცე (https://1tv.ge/news_tag/kibersivrce/), Cyberwar

HYPERLINK "https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/hater"

ე საუკუნის ტექნოლოგიურმა წინსვლამ მთელი მსოფლიოს მოსახლება გააერთიანა სოციალურ ქსელებში, რომლების კარგი პლატფორმაა საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად და მოვლენებისა თუ ადამიანებისთვის შეფასებების მისაცემად. რამდენადაც სოციალური ქსელები უფრო სემანტიკური ნაოლოგიზმების ქვეთავში განხილული **„Hater**“-ებით (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/hater) არის

ასეთივე სემანტიკური ნეოლოგიზმია **„Digital footprints”**

ქ
ა
რ
თ
უ
ლ
შ
ი
ნ
ა
ს
ე
ს
ხ
ე
მ
ნ
ი
შ
ვ
ნ
ე
ლ
ო
ბ
ე
ბ
ი
ს
ა
ღ
ი
ა
რ
ე
ბ
უ
ლ
ი
თ
ა
რ
გ
მ
ა
ნ
ე
ბ
ი
ს
კ
ო
მ
ბ
ი
ნ
ა
ც
ი
ა
ა
-

„ციფრულის“ ცნებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი ტერმინია კომპოზიტი “**Digital** ადამიანს, რომელიც არ არის კონკრეტულ ადგილს მიჯაჭვული და შეუძლია დისტანციურად იმუშაოს მოგზაურობის და საცხოვრებელი გარემოს ცვლის პარალელურად (https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/digital-nomad). მნიშვნელობების აღიარებული თარგმანების კომბინაციაა - **„ციფრული მომთაბარე“** დაუდგენელი წყაროს მიერ ქართულად გამართული. ინტერნეტში ასევე გვაქვს

კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, თუ რატომ უნდა არსებობდეს მკაცრი ენობრივი რეგულაციები სახელმწიფოში.

„ციფრულის“ არსს უკავშირდება კიდევ ერთი ცნება, რომელიც ადამიანის კოგნიტიურ უნარჩვევებს და ტექნოლოგიების გავლენით, მათში მიმდინარე ცვლილებებს ასახავს. მხედველობაში გვაქვს **„Digital amnesia”** (https://www.psu.edu/news/impact/story/digital- რომლის გარკვეული შედეგები, ალბათ, ყველა ჩვენგანს შეგვიმჩნევია საკუთარ თავში. კოგნიტიური მდგომარეობა, რომელშიც გონება ივიწყებს ყველა იმ ინფორმაციას, რომელიც ადვილად შეიძლება მოიძიოს მობილურ მოწყობილობაში, ან რომელსაც თავად ეს ელექტრონული მოწყობილობა ახსენებს, ამის ყველაზე მარტივი მაგალითია, რომ ჩვენ აღარ/ველარ ვიმახსოვრებთ ტელეფონის ნომრებს ან დაბადების დღეებს. ტერმინი ძალიან ადვილი გადმოსატანი აღმოჩნდა ქართულში, რადგან ორივე შემადგენელ ერთეულს ჰქონდა აღიარებული ქართული თარგმანები, digital - ნასესხები თარგმანი-ციფრული, და ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სამედიცინო ტერმინი. „ციფრული ამნეზია“ კვლავ არ იძებნება ლექსიკონებში, სამაგიეროდ მრავლად იძებნება ინტერნეტში

რომელიც ბოლო რამდენიმე წლის, განსაკუთრებით, პანდემიის პერიოდში, მთელი მსოფლიო გადაერთო ახალ რეალობაზე, რამაც განაპირობა ახალი კონცეფციების გამოჩენა ჩვენს ცხოვრებაში. ამ შეთხვევაში, საუბარი გვაქვს სემანტიკურ ნეოლოგიზმებში განხილული „ზუმის“ ერთ-ერთ ვარიაციას. ეს არის **„Zoom fatigue”** ვიდეოკონფერიენციის პლატფორმების) სამსახურებრივი მიზნებისთვის სისტემატური გამოყენებით ადამიანისთვის მიყენებულ სტრესს და გადაღლილობას აღწერს. რამდენადაც ონლაინ რეჟიმში მუშაობა პანდემიის პირობებში საქართველოშიც მოგვიწია, თავისთავად, გაჩნდა ტერმინის რამდენიმე ქართული ვარიანტიც, რომელთაგან პირველი კომპონენტი ყველა შემთხვევაში არის ტრანსლიტერაციული, ხოლო მეორე -

ა

ღ

ი

ა

რ

ე

ეტიკეტი). ამ ერთი ფუძის ვარიანტების და თარგმნითი ექვივალენტების საფუძველზეც კი შეიძლება, ჩემი დაკვირვებით, გამოიკვეთოს ერთი ტენდენცია: როდესაც ფორმა ორი ან მეტი დამოუკიდებელი სიტყვისგან შედგება, და როდესაც არსებობს სტანდარტული თარგმნითი ექვივალენტები, თარგმანიც სწორედ ასეთია, ხოლო თუ ნეოლოგიზმი, ან მისი რომელიმე კომპონენტი პორტმანტოა (იგივე „ბლენდი“) **(Netiquette, Internet,** გასამყარებლად გამოდგება აგრათვე Netizen-ის რომლისთვისაც მხოლოდ ტრანსლიტერაციული „**ნეტიზენი**“ გვაქვს ქართულში

H
Y
P
E დერივაციული ნეოლოგიზმების ქვეთავში განხილულია ოქსფორდის ლექსიკონის
ბიერ 2013 წლის სიტყვად დასახელებული „selfie”, რომელმაც დასაბამი მისცა მთელ რიგ
ანალოგიურ ნეოლოგიზმებს ინგლისურში. ასეთებია: **elfie – selfie in an elevator**
I
N
K
P
E
R
t
t
N
K
:
/
/
h
t
t
p
s
u
/

ასევე პორტმანტოებია Blog (Weblog)

HYPERLINK "https://www.etymonline.com/word/podcast"

ისა და episode-ის რეგრესული დერივაციის (web + -isode) შეერთებით მიიღება ონლაინ

ორი სიტყვის შემოკლების და შემდგომი შეერთების შედეგადაა მიღებული პორტმანტო **podcast (iPod + broadcast)** (https://www.etymonline.com/word/podcast),

ეპიზოდური სერიის აუდიო ჩანაწერთა ციფრული ფაილები, რომელთა ჩამოწერაც და მოსმენაც საკუთარ მოსასმენ აპარატზე შეიძლება. პოდკასტი არ ფქსირდება არც ერთ ონლაინ ლექსიკონში. ინტერნეტში კი არის შემდეგი სამი ვარიატი: სტანდარტული ტრანსლიტერაცილული **პოდკასტი** (https://tinyurl.com/xy83v795), ტრანსლიტერაციის

ბოლო ხანებში ძალიან ხშირად გვესმის მედიის საშუალებით **“Deepfake”** დამახასიათებელი სიყალბის კიდევ ერთი გამოვლინება, სინთეზური მედია, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ვიდეო, ფოტო და აუდიო მასალები იმის შესახებ, რაც არასოდეს მომხდარა და სიმართლეს არ შეესაბამება, და რომელსაც ადამიანების შეცდომაში შეყვანა ევალება. ტერმინის პირველი ნაწილი - **“Deep”** აღებულია **“Deep** ბოლო **“Fake”** -ის ნეოლოგიზმებში გამოყენების პრაქტიკა ტერმინის გამოჩენის დროისთვის (**Fake news**) უკვე არსებობს, რადგან ნეოლოგიზმნი 2017 წელს შეიქმნა

რომ წყარო ენიდან საკმაოდ მარტივად მისაღები ფორმაა, მიზეზთა გამო, დღეს ნაკლებ პოპულარულია. ვფიქრობ, აქ (ისევე, როგორც სხვა შემთხვევებშიც) ტრანსლიტერაციული ფორმის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი შეიტანეს მედია და პოლიტიკოსებმა. ბოლო პერიოდის პოლიტიკურ გამოსვლებში იმდენად ხშირად ისმის პირდაპირი ტრანსლიტერაციული სესხებით გადმოტანილი "დიფფეიქი", რომ საეჭვოა, მას კონკურენცია გაუწიოს ნასესხებმა თარგმანმა.

როგორც პრეფიქსი, და ასევე, როგორც კომპოზიტების დამოუკიდებელი შემადგენელი ნაწილი, რამდენიმეჯერ შეგვხვდა სხვადასხვა სიტყვაწარმოებაში. **Cyber** ასევე შეიძლება გახდეს პორტმანტოს ნაწილც. სიტყვა **Cyborg** (https://www.etymonline.com/word/cyborg) ამისი კარგი ნიმუშია და მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან არსებობს, აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავას. ტერმინი ინგლისურში ორი სიტყვის - "cybernetics" და „organism" - აბრევიავიით და მათ შერწყმით წარმოიქმნა. რამდენადაც ორივე სიტყვის აღიარებული სტანდარტული თარგმანები არსებობდა მანამდე, იგივე პროცედურა გაიარა ტერმინმა ქართულში და ნატურალიზებული ტრანსლიტერაციული ვარიანტით გაფორმდა, როგორც **„კიბორგი",** რომელსაც ჯერკერობით არ ემუქრება ინგლისურიდან მხოლოდ ტრანსლიტერაციით გადმოტანილი ვარიანტის კონკურენცია, რადგან „საიბორგი' მხოლოდ ორიოდე ბმულში ვნახეთ ონლაინ მოთამაშეების საუბარში.

„კიბორგთან" კავშირში ასევე გვახსენდება ტერმინები **„Bionics"**

H
Y
P
E
R
L
I
N
K

"

ამატებს ქართულ „- ურ“ ბოლოსართს ქართული ზედსართავის გასაფორმებლად, რაც ტერმინოლოგიურად ბოლომდე გამართულ ფორმას არ იძლევა. არსებობს ტერმინის ნაკლებად პოპულარული სრული ფორმა „ბიოელექტრონული“, რომელიც ქართული ზედსართავი სახელის წარმოებას სრულიად შეესაბამება თავისი ფორმით და მიუხედავად იმისა, რომ პორტმანტოს მეორე ნაწილი აღარაა შეკვეცილი, შინაარსის და ფორმის თვალსაზრისით **„ბიოელექტრონული“** გაცილებით უკეთესია, ვიდრე „**ბიონიკური**“.

კომპოზიტებში განვიხილეთ სიტყვები „software”, “hardware”, სადაც თარგმნის სირთულე ნაწილობრივ დაკავშირებული იყო მეორე კომპონენტის შესაბამისი თარგმნითი ვარიანტის მოძიებასთან. პორტმანტოებშიც არის ორი ტერმინი, „**Malware”** და **„Spyware”** (https://www.etymonline.com/search?q=spyware), რომლებიც ასევე წარმოადგენს ლინგვისტურ გამოწვევას თარგმანის თვალსაზრისით. დანიშნულებით არის პროგრამა, რომლის მიზანია მომხმარებლის სისტემის დაზიანება, ხოლო Spyware იმით განსხვავდება პირველისგან, რომ პროგრამული დაზიანებების გარდა, პარალელურად მონაცემთა შეგროვება და მოპარვაა მისი მისია. ქართულ თარგმანში ტექნიკურ ლექსიკონში Malware შეტანილია, როგორც **„მავნე პროგრამა, საზიანო პროგრამა“** (https://techdict.ge/ka/word/malware%7Cen/), ხოლო Spyware - როგორც **„პროგრამა-ჯაშუში“** (https://techdict.ge/ka/word/spyware%7Cen/). **„მავნე პროგრამამ“** საკმაოდ წარმატებით დაიმკვიდრა თავი ინტერნეტში, თუმცა, ხშირია ინგლისური შრიფტით ქართულ ტექსტში სიტყვის ჩაწერის შემთხვევებიც („...თუ ჰაკერები phishing-ს, ს ან სხვა მეთოდს გამოიყენებენ” https://tinyurl.com/2kma2f6u). **„პროგრამა-ჯაშუშის“** შემთხვევაში კი, მომხმარებლებმა თვითონ გადაწყვიტეს, რომ სიტყვათა თანმიმდევრობა უნდა შეცვლილიყო ქართულ ვარიანტში, სავარაუდოდ, პრაქტიკულობის თვალსაზრისით, და შესაბამისად გვაქვს ორი ქართული ვარიანტი -**„ჯაშუში პროგრამა“** და **„ჯაშუშური პროგრამა“** (https://kvira.ge/322748).

აკრონიმები

მაღალი ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების და ინტერნეტის გავრცელების პარალელურად ინგლისურში, და შესაბამისად ბევრ სხვა ენებშიც, განსაკუთრებით მომძლავრდა აბრევიატურული ფორმების შექმნისა და გამოყენების ტენდენციები. აღსანიშნავია, რომ ეს არა მარტო ტექნოლოგიური ინოვაციების გრძელი სახელწოდებების მოკლე, გამოყენებისათვის მოსახერხებელ, ლაკონურ და ადვილად დასამახსოვრებელ ფორმებს გულისხმობს, არამედ ინტერნეტ მეტყველების, მიმოწერის ენის მნიშვნელოვანი დამახასიათებელიცაა: „აბრევიატურები, აკრონიმები, ნეოლოგიზმები ტექნიკური საშუალებებით წარმოებულ კომუნიკაციაში ინტენსიურად გამოიყენება იმისათვის, რომ ადამიანებმა უკეთ გადმოსცენ საკუთარი სათქმელი. ე.წ. „თექსთსფიქი“ მიღებული ფორმაა ფორუმებზე, და ჩეთრუმებში გამოსაყენებლად. ისინი აჩქარებენ ცოცხლად რეალურ დროში მიმდინარე კომუნიკაციის ტემპს. მობილურის შემთხვევაში მოსახერხებელია, რადგან პაწაწინა ღილაკებზე ბეჭდვას აადვილებს. ტვიტერში შანსს აძლევს ადამიანს, მოცემული 140 სიმბოლოს ფარგლებში უკეთ გამოხატოს სათქმელი.“ გადმოსაცემი ინფორმაციის დამოკლება. თუმცა, თარგმანის თვალსაზრისით აბრევიატურათა ეს ორი კატეგორია აბსოლუტურად განსხვავებულ ტენდენციებს ამჟღავნებს და ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. ჩვენ შეგვიძლია, მოვიყვანოთ მაღალი ტექნოლოგიების გამოგონებების მრავალი აბრევიატურული თუ აკრონიმული სახელწოდება. მიუხედავად იმისა, რომ მათ აქვთ სრული ინგლისური ფორმის ზუსტი ქართული ექვივალენტი, ან ახსნითი თარგმანი, პრაქტიკა გვაჩვენებს, რომ აკრონიმები ტრანსფერით (პირდაპირ გადმოტანა) შემოდის ქართულში. ასეთებია: **Wi-Fi - wireless**

H
Y
P
E
R
L
I
N

ნატურალიზებული თარგმანია - **Information Technology** - საინფორმაციო ტექნოლოგია სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების გამოყენება მონაცემთა შენახვის, ამოღების, გადაცემისა და დასახვაპრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.

ტრანსლიტერაციული თარგმანია - „გლობალური პოზიციონირების სისტემა“, ხოლო აბრევიატურა ქართული შრიფტით გადმოტანილია, როგორც **„ჯი-პი-ესი“**

რთული გადმოსატანი გახდა ქართულში ვირტუალური სივრცის ერთ-ერთი მთავარი აკრონიმი - **WWW (World Wide Web)** (https://tinyurl.com/yc5wwwv5), რომელიც ქართულად ითარგმნა, როგორც **„მსოფლიო აბლაბუდა“,** რომელიც არც ისე პრაქტიკული ტერმინია ინტერნეტ ქსელის აღსანიშნად, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად მაინც გამოიყენება (https://tinyurl.com/4ddkt5ub). ლექსიკონში იქვე მოცემულია ოდნავ განსხვავებული თარგმანი, რომლის 1-ელი და მე-3 სიტყვები ნასესხები თარგმანია, ხოლო მე-2 - ფუნქციური ეკვივალენტი, და ეს ტერმინია **„მსოფლიო კომპიუტერული ქსელი“**. ინტერნეტის მომხმარებლებშიც სწორედ ეს ტერმინი სარგებლობს მეტი პოპულარობით. ასეთივე იყო პორტმანტოებში განხილული “malware”-ის შემთხვევა, როცა მომხმარებელმა თვითონ გადაწყვიტა, რა ვარიანტი უნდა ერჩია ლექსიკონში შემოთავაზებულს. ამით დასტურდება, რომ საბოლოო ჯამში, მომხმარებელი წყვეტს ტერმინის დამკვიდრება/არდამკვიდრების საკითხს. სწორედ ამიტომ არის, რომ ტერმინების შექმნა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა.

აკრონიმებთან დაკავშირებული თარგმნითი ტრანსპოზიციის სტანდარტის დადასტურებაა ასევე შემდეგი აკრონიმების თარგმნითი ვარიანტების შედარება სრული ვარიანტების თარგმანებთან. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ყველა აკრონიმს აქვს სრული ფორმაც. ასე 2G, 3G, 4G და 5G არის ტერმინების - secon generation, third generation, fourth შესაბამისად გრძელ ფორმებს აქვს აღიარებული თარგმანები, რადგან ისინი სემანტიკური გაფართოებითაა მიღებული არსებული ლექსიკიდან. ასე, ქართულში 5G-ს შეესაბამება „5-ჯი, ან მეხუთე თაობა“ (https://techdict.ge/ka/word/5G%7Cen/). შესაბამისად, 2G – 2-ჯი/მეორე თაობა, 3G – 3-ჯი, მესამე თაობა, და 4G – 4-ჯი - მეოთხე თაობა. თუმცა, ასევე

ხშირია ამ ტერმინების ტექსტში ინგლისური შრიტით გადატანაც (5G მაგთისგან

საინტერესოა, ასევე, განვიხილოთ ბიზნესის ონლაინ მართვისთვის ძალიან

ვიხილავთ SEO-ს ანალოგიით წარმოებულ ფორმებს - „გენერაციული სისტემის ოპტიმიზაციას“ და „GEO ოპტიმიზაცია“.

„ნეთსფიქი“, აკრონიმიის ნაირსახეობა და ქართული კონტექსტი

რაც შეეხება სოციალური ქსელების, **„Netspeak”**-ის, იგივე **„Textspeak-“**ის და ტექსტური შეტყობინებების აკრონიმებს, ისინი ქართულში იშვიათად შემოდის თავდაპირველი ფორმით. საქმე იმაშია, რომ ნეთსფიქის არსი მდგომარეობს დროის და ადგილის ეკონომიის მიზნით ჩვეულებრივი სამეტყველო ფორმების - სტანდარტული სიტყვების, ფრაზები ან სიტყვათშეთანხმებების დამოკლებაში ტექსტური შეტყობინენების ონლაინ ურთიერთობის დროს გაგზავნისას (Crystal, 2004:24-62). ჩამოთვლილი ნიმუშები ამის ნათელი მაგალითია: OMG – Oh, my god!, LOL –Laughing out loud, BTW – By the way, ASAP – As soon as possible, CU – See you, B4 – Before, IDK – I don’t know, IMHO – In my humble არავინ ცდილობს, ასეთი ფორმები თარგმნითი ეკვივალენტებით დაამკვიდროს ენაში. ცხადია, ინგლისურის ახალგაზრდებმა, რომელთაც მუდმივი შეხება აქვთ ინტერნეტთან და პარალელურად ენაც იციან, ასევე იციან ნეთსფიქის აკრონიმების მნიშვნელობაც და როცა სურვილი აქვთ, ძირითად შემთხვევაში ინგლისური შრიფტითვე იყენებენ ამ ტიპის აბრევიატურას, როგორც ინტერნეტ სლენგის სახეობას. გამონაკლისი ფორმებია, **LOL** ეტაპზე არ იკვეთება. ერთადერთი, მასშტაბებით შედარებით უმნიშვნელო სიახლე, რომელიც შეიძლება დავასახელოთ, არის B4 – Before, 4ever ტიპის ქართული ექვივალენტები (ისეთი სიტყვები, რომელთა ფუძეშიც რიცხვები ფიგურირებს და რომლებიც ციფრის ჩასმით შეიძლება ჩავანაცვლოთ), რომლებსაც აკრონიმებად, და შესაბამისად, ნეოლოგიზმებად ვერც ინგლისურში და ვერც ქართულში ვერ ჩავთვლით, რამდენადაც მსგავსი ფორმები მხოლოდ სიტყვის ვიზუალურ დამოკლებას და ერთჯერად ეფექტს ემსახურება, და გამოითქმის ისევე, როგორც სტანდარტული სრული

ფორმა. ქართულისთვის ასეთები შეიძლება იყოს: გა2მაგება, გა20ება, 10ნათი, სამ7ობო და სხვა. თუმცა, ასეთი ფორმებიც ძირითადად სარეკლამო ტიპის აბრებში და რგოლებში ფიგურიგებს, რადგან ვიზუალური განსხვავებულობით მომხმარებლის ყურადღებას იპყრობს.

ჩვენს მიერ შედგენილ კითხვარში, ნეოლოგიზმების გარდა, ასევე წარმოდგენილია კითხვები ინგლისური ნეთსფიქის აკრონიმების შესახებ. რამდენადაც ეს აკრონიმები პირად საუბრებში გამოყენებული ენობრივი ერთეულებია და საჯარო ინფორმაცია არც მათი კვლევის, არც გამოყენების შესახებ არ არსებობს, ვფიქრობთ, რესპონდენტთა პასუხები მოგვცემს შესაბამის ინფორმაციას ნეთსფიქის ქართულ კონტექსტის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ვირტუალური სივრცის ბარბარიზმები ქართულ მეტყველებაში

დღესდღეობით, მომხმარებელთა სიმრავლის და მათი სოციალური აქტივობის, შესაბამისად, ვერბალური გამოხატვის ფორმების სიმრავლის თვალსაზრისით, ენებში მიმდინარე რეალური პროცესების შესასწავლად **სოციალური ქსელები** ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო წყაროა. სოციალურმა ქსელებმა მკვეთრად შეცვალა თანამედროვე რეალობა და ცალკეულ ინდივიდებს მიანიჭა გამოხატვის, საზოგადოებისთვის საკუთარი მოსაზრების გაზიარების თავისუფლება. იმის პარალელურად, რომ სოციალური ქსელის რიგით მომხმარებლებს არ აქვთ ნორმატიული, სწორი სალიტერატურო ფორმებით აზრის გამოხატვის ვალდებულება, ყველაზე კარგად სწორედ სოციალურ ქსელებში ჩანს ენა მთელი თავისი ლინგვისტური მახასიათებლებით და ტენდენციებით.

აღსანიშნავია, რომ გარდა იმ ინტერნეტ ნეოლოგიზმებისა, რომლებიც თვითონ ინგლისურ ენაშიც სიახლის შემცველად აღიქმება, ამ წყარო ენის ახალი ლექსიკის მსესხებელ სამიზნე ენებში ასევე იკვეთება ე.წ. ინტერნეტ ჟარგონის შექმნის ტენდენცია, რომლის ლექსიკური ერთეულებიც ახალ კონტექსტში გადატანილი ძველი ინგლისური ფორმების ტრანსფერის ან ტრანსლიტერაციის გზით სამიზნე ენაში შემოტანას და მათ

კონკრეტულ მორფოლოგიურ ჩარჩოებში მოქცევას გულისხმობს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ინგლისური ზმნების პირდაპირი გადმოტანისას და ქართული ზმნისთვის დამახასიათებელ მორფოლიურ ჩარჩოებში მოქცევის - ინგლისური სიტყვების გაზმნავების შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს იგივე მოვლენის ან მოქმედების სტანდარტული ქართული ზმნებით გამოხატვის საშუალება, მომხმარებლები სწორედ ზემოხსენებულ ტენდენციას მიმართავენ, გავსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ვირტუალურ სივრცეში ან კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან ურთიერთობას და ქმედებებს ეხება. ცხადია, ასეთი სიტყვები არსებობს სხვა სფეროებშიც და მუდმივად მინდინარეობს საუბარი იმაზე, თუ რამდენად შემოიჭრა ინგლისური ბარბარიზმები ქართულში. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საკითხიდან გამომდინარე, ვსაუბრობთ იმ ფორმებზე, რომელთა ქართულში გაჩენაც უშუალოდ უკავშირდება ინტერნეტის სფეროს. სოციალურ ქსელებს, ფეისბუქს, ტვიტერს და სხვებს, როგორც ვიცით, თავისი სამეტყველო სპეციფიკა აქვს. რადგან თვითერის მომხმარებელი საქართველოში არც ისე ბევრია ფეისბუქთან შედარებით, ტენდენციებიც ქართული ენის შემთხვევაში უფრო ფეისბუქზე ჩანს. სიტყვები **post, like, tag** ინგლისურში ძველი ფორმისთვის ახალი შინაარსის მინიჭების ნიმუშებია. ქართულში მათი ექვივალენტებია „**გამოქვეყნება“, „მოწონება“, „იარლიყის მიბმა“** - კონტექსტით - „მონიშვნა“. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით თითქოს არ არსებობს საბაბი, რომ ამ ტერმინების გამოყენებაზე ქართველმა ინტერნეტის მომხმარებელმა უარი თქვას, ტენდენცია სხვას გვიჩვენებს; მაშინ, როდესაც ფოკუსში ექცევა სოციალურ ქსელებთან, ინტერნეტთან და კომპიუტერთან დაკავშირებული მოქმედებები, ქართველი მომხმარებელი ხშირ შემთხვევაში უპირატესობას ანიჭებს ისეთი შედგენილი ფორმების გამოყენებას, როგორიცაა **„დაპოსტვა“** (გამოქვეყნება), **„დალაიქება“** (მოწონება), **„დათაგვა“** (მონიშვნა), **„დაფორვარდება“** (გადაგზავნა), „**დაკომენტება“** (კომენტარის გაკეთება) **„დასეივება“** შესაბამისად **„დალოგინება“**, „**ფასვორდი**“ (პაროლი), **„ჩეთი“** ან **„ჩატი“** (საუბარი) და ა. შ. ეს მხოლოდ ადგილობრივი ტენდენცია არაა და არც ქართულ მოდაზე ან ქართველების გადაჭარბებულ პრანჭვაზე მიუთითებს. ტენდენცია მსოფლიოს სხვა ენებშიც იგივეა -

მსგავსი ტიპის ლექსიკა ექცევა კონკრეტული ენის მორფოლოგიურ ჩარჩოებში და სპეციფიური გამოყენებისთვისაა გამიზნული. მაგალითისთვის შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ გადადის ზმნა to click სხვადახვა ენებში. ამისათვის კი საკმარისია, სიტყვა შევიყვანოთ რომელიმე მულტილინგვურ ლექსიკონში და შედეგებიც სახეზეა. To click თითქმის ყველა ევროპულ ენაში შევიდა, როგორც "დაკლიკვის" ადგილობრივი, ნატურალიზებული ვარიაცია (https://www.indifferentlanguages.com/words/click) გაზმნავებული **to google** ფორმის სხვადასხვა ენებში გადატანა იხილეთ დანართში, Excell-ის ფაილის სახით).

როგორც ჩანს, ინტერნეტ მომხმარებლები ამგვარად ცდილობენ, მოახდინონ ვირტუალური და რეალური სამყაროს დიფერენციაცია. თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ზემოთ ნახსენები ფორმები თითქმის არასოდეს სცდება ვირტუალური სამყაროს და ინტერნეტთან კომუნიკაციის ჩარჩოებს, არ იჭრება რეალური სივრცის მეტყველებაში. ქართულ ენაზე მოსაუბრეთათვის ასეთი ტიპის ლექსიკა, რომელიც ბარბარიზმების კატეგორიას მიეკუთვნება, სოციალური ქსელების „ნეოლოგიზმებად" აღიქმება, არავინ იყენებს სიტყვებს „დავალაიქე" „მომეწონა"-ს ან „დამისეივე" „შემინახე"-ს მნიშვნელობით. იგივე კატეგორიაში შეგვიძლია, შევიყვანოთ სოციალური ქსელების ისეთი სემანტიკური ნეოლოგიზმები, როგორებიცაა like, friend, follower („ლაიქი", „ფრენდი", „ფოლოვერი/ფოლოუერი"), რომლებიც, იგივე ფორმით თითქმის არასოდეს ცვლის ქართულ სიტყვებს ინტერნეტთან და სოციალურ ქსელებთან დაუკავშირებელ კონტექსტებში.

ცხადია, ამ კუთხითაც საინტერესო იყო რესპონდენტთა უკუკავშირი სოციალური ქსელების ამ ტიპის ბარბარიზმებთან დაკავშირებით და რამდენიმე კითხვა ამ საკითხზეც შევიტანეთ კითხვარში.

მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური სივრცის და კომპიუტერული ტექნოლოგიების ნეოლოგიზმების თავი კვლევის ერთი ნაწილია და ნეოლოგიზმთა ნიმუშებიც თითოეულ ქვეთავში მეტ-ნაკლებად შეზღუდული რაოდენობით

გავაანალიზეთ, ეს ხელს არ გვიშლის კონკრეტული დასკვნების გაკეთებისას და საკითხთან დაკავშირებული ტენდენციების საკმაოდ ნათლად გამოჩნდა. ნაშრომში განვიხილეთ როგორც ვირტუალური სივრცის, ისე მაღალი ტექნოლოგიების და სოციალური ქსელების ნეოლოგიზმები და ინტერნეტსივრცეში საკომუნიკაციოდ შექმნილი სამეტყველო ფორმები. ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი:

- ვირტუალური სივრცის და კომპიუტერული ტექნოლოგიების ნეოლოგიზმები ლინგვისტიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებად სფეროს წარმოადგენს, რომელიც მუდმივად ივსება ახალი გამოგონებების, კონცეფციების აღმნიშვნელი ტერმინებით. შესაბამისად, მისი სისტემაში მოყვანა, სტანდარტიზება და სწორი ტერმინოლოგიური სტრატეგიების შემუშავება ტერმინოლოგიის სპეციალისტებისათვის ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა.
- რამდენადაც სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველოში ტერმინოლოგიური მუშაობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში (კერძოდ, საბჭოთა კავშირის ნგრევიდან) უსისტემოდ მიდიოდა (იხილეთ თავი 1.6), საქართველოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაარსებამდე (2017 წ.) და ენობრივი საკითხების ნორმალიზების წინა პლანზე წამოწევამდე, ინტერნეტის სწრაფი გავრცელების, ინფორმაციის უწყვეტი შემოდინების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინოლოგიური მუშაობა მიდიოდა და შეძლებისდაგვარად იქმნებოდა ვირტუალური სივრცისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ტერმინოლოგია, ერთიანი სტრატეგიის და სისტემური მუშაობის არარსებობის პირობებში, ქართულში დიდი რაოდენობით შემოვიდა და დამკვიდრდა არასათანადო ხარისხის, არათანმიმდევრული თარგმანები, ან უთარგმელად შემოსული ელემენტები. ტერმინოლოგიურ თავისუფლებას მიჩვეული მომხმარებელი კი ვერ აცნობიერებს სტანდარტიზებული, პროფესიონალურად შექმნილი ტერმინების საჭიროებას და ინტერნეტი დღესაც ივსება ახლადშემოსული ვირტუალური, პროგრამული უზრუნველყოფის თუ ტექნოლოგიების აღმნიშვნელი სიტყვების უხარისხო თარგმანებით.

- ვირტუალური სივრცისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების ნეოლოგიზმები სიტყვაწარმოების თვალსაზრისით იყოფა შემდეგ ჯგუფებად: 1 - სემანტიკური ნეოლოგიზმები; 2 - მორფოლოგიური ნეოლოგიზმები, სადაც გამოვყოფთ შემდეგ ქვეჯგუფებს: **დერივაცია, პორტმანტო, კომპოზიტები აკრონიმები/აბრევიაცია.** (ინგლისურში უცხო ენებიდან ნასესხები ვირტუალური ნეოლოგიზმების ჯგუფი (მაგ.: emoji - იაპონურიდან, avatar - სანსკრიტიდან, cache - ფრანგულიდან) ინგლისური ნეოლოგიზმების კვლევაში განზრახ არ ჩავრთეთ კვლევისთვის შერჩეული კლასიფიკაციის აღწერის დროს).
- მაღალი ტექნოლოგიებისა და ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმების ქართულ ენაში გადმოტანისას გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები: სემანტიკური ნეოლოგიზმების შემთხვევაში ტერმინის აღიარებული თარგმნითი ეკვივალენტით ჩანაცვლებაა ძირითადი სტრატეგია (მაგ.: smile- ღიმილაკი, link - ბმული, google docs - გუგლის დოკუმენტები), თუმცა, პარალელურად არსებობს და მომხმარებელში მეტი პოპულარობით სარგებლობს ამ მართივად გადმოსაქართულებელი ნეოლოგიზმების ტრანსლიტერაციული თარგმნითი ვარიანტები (სმაილი, ლინკი, გუგლ დოკსი).
- სემანტიკურ ნეოლოგიზმებს ასევე ახასიათებთ შემდეგი ტენდენცია: როდესაც სტანდარტული ლექსიკური ერთეული სემანტიკური გაფართოების გზით იძენენ სპეციფიკური გამოგონების მნიშვნელობას (კონკრეტული დანიშნულების პლატფორმები, საძიებო სისტემები, კომპიუტერული პროგრამები), სიტყვა ახალი მნიშვნელობით, ძირითად შემთვევებში, ტრანსლიტერაციით გადადის მიმღებ ენაში (მაგ.: domain - სამფლობელო, დარგი, სფერო - პირველადი მნიშვნელობით; ვირტუალური სივრცის კონტექსტში სემანტიკური გაფართოებით - დომენი; zoom - გუგუნი, წუილი; ონლაინ შეხვედრების პლატფორმის შემთხვევაში - ზუმი; phishing/fishing - თევზაობა; ინტერნეტთაღლითობის შემთხვევაში - ფიშინგი).

- **მორფოლოგიურ** ნეოლოგიზმებში **დერივაციის** ჯგუფში, ძირთადი თარგმნით სტრატეგიაა **ტრანსლიტერაცია.** თარგმნის უხერხულობას ქმნის აფიქსაციის თარგმანში გადატანის მოუხერხებლობა. მაგალითად, influence - თუ ნიშნავს გავლენას, influencer არისი ის, ვინც გავლენას ახდენს, გავლენის მომხდენი. რამდენადაც მსგავსი ტემინების ხარისხიანად, სწორად გადმოტანის მომენტი უბრალოდ არ დადგა ქართველი მომხმარებლისთვის ამ ტერმინების გაცნობის მომენტში, მარტივი გამოსავალი ტრანსლიტერაციული ვარიანტების შექმნა აღმოჩნდა. განსაკუთრებით ყურს ჭრის დერივაციის ჯგუფიდან ე,წ, gerund, აწმყოს მიმღეობის ნეოლოგიზმების ტრანსლიტერაცია (დოქსინგი, ფიშინგი).
- **კომპოზიტები** ძირითად შემთხვევებში ქართულში გადმოდის **აღიარებული თარგმანით** როგორც ერთ სიტყვად გაერთიანებული ინგლისური კომპოზიტის შემთხვევაში (Smartphone - ჭკვიანი ტელეფონი), ისე ორსიტყვიან კომპოზიტებშიც (Artificial Intelligence - ხელოვნური ინტელექტი), ქართული ეკვივალენტი ყოველთვის ორ ან მეტსიტყვიანია, ტერმინის შესაბამისად. კომპოზიტებში არსებობს პრობლემური ერთეულებიც: თუ სიტყვათა შეერთებასთან ერთად (ერთ სიტყვად გაერთიანებულ კომპოზიტში) კომპოზიტში გვხვდება დერივაციაც, ტერმინი **ტრანსლიტერაციული** დუმსქროლინგი, Catfishing - ქეთფიშინგი)
- ერთსიტყვიანი კომპოზიტების გარკვეული ნაწილი, კომპონენტების თარგმნითი ეკვივალენტების შეერთების სირთულიდან ან უხერხულობიდან გამომდინარე, ითარგმნება **ფუნქციური ეკვივალენტით** (Touchscreen - სენსპრული ეკრანი, Software - პროგრამული უზრუნველყოფა,)
- ორსიტყვიან კომპოზიტების თარგმნა თითქმის არასოდ წარმოადგენს პრობლემას (cyber bullying - კიბერ ჩაგვრა, digital footprints - ციფრული ნაკვალევი)
- პორტმანტო განსაკუთრებით რთული ფორმაა სტრუქტურულად, რამდენადაც სტანდარტული ლექსიკის შემოკლებას და შემგედ ერთმანეთთან შეერთებას გულისხმობს. თარგმნითი სტრატეგია ორგვარია: ტრანსლიტერაციაა (netizen -

ნეტიზენი, netiquette - ნეტიკეტი, vlog - ვლოგი), ან კომპონენტების აღიარებული თარგმანი და სრული ფორმით წარმოდგენა (netizen - ციფრული მოქალაქე, netiquette - ქსელური ეტიკეტი, vlog - ვიდეო ბლოგი). თუმცა, ძირითად შემთხვევებში, პორტმანტო მაინც ტრანსლიტერაციულად გადმოდის ქართულში.

- აკრონიმიის შემთხვევაში, ისევე, როგორც პორტმანტოში, თარგმნის ორი ვარიანტია: 1 - აკრონიმის გაშლის და აღიარებული თარგმნის ტექნიკა, რომლის შემდეგაც აკრონიმი სტული ფორმით რჩება მიმღებ ენაში (URL - რესურსის უნიფიცირებული მისამართი, SMS - მოკლე ტექსტური შეტყობინება, 5G - მეცუთე თაობა); 2 - აკრონიმის პირდაპირ ტრანსლიტერაციული გადატანა მიმღებ ენაში, ელემენტების გაშლის და თარგმნის გარეშე (URL - ურლ, SMS – ეს-ემ-ესი, 5G-5 ჯი).
- ყველაზე სავალალო შედეგი არის ის, რომ სტანდარტული თარგნითი (კარგი თუ არც თუ ისეთი კარგი) ვარიანტების პარალელურად, ვირტუალური სივრცის და კომპიუტერული ნეოლოგიზმების ყველა ქვეჯგუფში ფიქსირდება ტრანსლიტერაციული ფორმების პოპულარობა, საჭიროების არსებობა/არარსებობის მიუხედავად.
- კიდევ უფრო უარესი არის ის, რომ ამ სფეროში ინგლისური და ქართული შრიფტების შერევა რთულად სათარგმნელი, ან თუნდაც კარგი ქართული შესატყვისის მქონე ნეოლოგიზმების ტექსტში ასაღწერად ჩვეული პრაქტიკაა,
- ე.წ. ნეთსფიქის აკრონიმები ქართული ტერმინოლოგიის ჭრილში პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან გამოყენების შემთხვევები ძირითადად ინგლისური აკრონიმის კერძო საუბრებში ჩართვაზე მოდის, ქართულად გადმოტანილია ორიოდე აკრონიმი (ომგ, ლოლ), რომელიც ერთიან სურათს ვერ ცვლის.
- ვირტუალური სივრცის ბარბარიზმებს, სხვა სეგმენტის ბარბარიზმებისგან განსხვავებით, აქვთ ერთ დამახასიათებელი ნიშანი: ისინი ქმნიქნ გარკვეული ტიპის ინტერნეტ სლენგს, ვირტუალურ სივრცესთან და სოციალურ ქსელებში საურთიერთო ნატურალიზებულ ქართულ ფორმებს, რომლებიც ამ ეტაპზე ჯერ

ისევ ვირტუალური სივრცის და კომპ. ტექნოლოგიების სფეროს საზღვრებშია მოქცეული და შესაბამისად, იგივე მნიშვნელობის ზოგად ლექსიკურ ერთეულებს საფრთხეს არ უქმნის.

- ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანია ტენდენციაა სიტყვათა ტრანსლიტერაციული გადმოტანისას ფონეტიკური ვარიეციების არსებობა. ეს ეხება ყრუ მკვეთრებისა და ყრუ ფშვინვიერების ურთიერთმონაცვლეობას ერთი და იგივე ფორმებში. K, C, P, T ბგერები ქართულში, ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების მიხედვით, გადმოდი, როგორც კ, პ, ტ. თუმცა, ბოლო პერიოდში, როგორც ზემოთ განხილულ ვარიანტებშიც ჩანს, დასახელებული ყრუ მკვეთრებისა და ყრუ ფშვინვიერების (ფ, თ, ქ) შემცველი პარალელური ვარიანტები თანაარსებობენ (მაგ.; სკროლვა და სქროლვა) და ხშირ შემთხვევაში, ინგლისური ჟღერადობის ვარიანტები დომინირებს. რაც უფრო იზრდება ქართველების ინგლისური ენის კომპეტენცია, მით უფრო იმყარებს პოზიციებს ავთენტური ინგლისური ჟღერადობის ტრანსლიტარაციული ვარიანტები. დროთა განმავლობაში ამ ტენდენციამ, შესაძლოა, თვით ტრანსლიტერაციის წესების ოფიციალურად მიღებული სტანდარტის გადახედვაც კი გამოიწვიოს.

თავი 4

ნეოლოგიზმთა ენაში დამკვიდრების მე-20 საუკუნის გამოცდილება და გავლენა ენობრივ სურათზე

საკითხის დასმისათვის

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, განსაკუთრებით კი ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე ტექნოლოგიური განვითარების სისწრაფემ ინფორმაციის გავრცელება მყისიერი გახადა მსოფლიო მასშტაბით. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ენაზე ხელს უწყობს გლობალიზაციის ტენდენციებს, რაც ერთი შეხედვით, მოვლენათა დადებით განვითარებას გულისხმობს. თუმცა, ცალკეული, განსაკუთრებით, მცირერიცხოვანი ერების თვალსაზრისით, მოვლენათა ასეთი

მიმდინარეობა გარკვეულ საფრთხეს წარმოადგენს იმ კუთხით, რომ შესაძლოა, დაიკარგოს ავთენტური ენობრივი ლექსიკური ელემენტები და ჩანაცვლდეს უცხოენოვანი, ძირითადად, ინგლისური წარმოშობის ეკვივალენტებით. პრობლემას წარმოადგენს არა მარტო ნეოლოგიზმების და ნეონიმების ნაწილი, რომელსაც, მეტ-ნაკლებად, ყველა ენაში შეეხო მიმდინარე ცვლილებები, არამედ, ზოგადად, ლექსიკა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ ინგლისური ფორმის გამოყენების საჭიროება არ დგას, მოდის აყოლის ან ჩვევის გამო, მოსაუბრეები საუბარში იყენებენ ინგლისურ ფორმებს ქართულის სანაცვლოდ, რითაც საფრთხე ექმნება არა მარტო ცალკეული სიტყვის არსებობას, არამედ, ხშირ შემთხვევაში, წინადადების ქართულ სტრუქტურას და შესაბამისად, წინადადების გაფორმებისას, ვიღებთ უხერხულ, ხელოვნურ სინტაქსურ და მორფოლოგიურ ერთეულებს.

ნაშრომის წინამდებარე თავში განვიხილავთ არა მოვლენათა თანამედროვე მიმდინარეობას, არამედ, ზოგადად, პრობლემას ისტორიულ ჭრილში, რის საფუძველზეც საშუალება გვეძლევა, თვალნათლივ დავინახოთ, თუ რა ცვლილებები და დანაკარგი მოჰყვა მე-20 საუკუნის პირველი ათწლეულიდან დაწყებულ „უცხო სიტყვების“ დამკვიდრების პროცესს ქართულში, ცალკეული ნიმუშების განხილვის საფუძველზე, დავინახავთ, თუ როგორ ქრებოდა, თანდათანობით, ავთენტური ქართული სიტყვები, რაც პრობლემის სერიოზულობის და საჭირო ზომების მიღების აუცილებლობას და გადაუდებლობას ცხადყოფს.

ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით პოსტებს იმის შესახებ, თუ რა არის ამა თუ იმ ახლად მოდაში შემოსული, ქართულ მეტყველებაში უკვე ფართოდ გავრცელებული ინგლისური სიტყვის ქართული შესატყვისი. ძირითადად, მსგავსი ინიციატივები გულისხმობს ინგლისურიდან შემოსული ვარიანტის სწორ ქართულ ფორმასთან შეპირისპირებით, ქართული ფორმის სისწორის ხაზგასმას. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ინიციატივა კარგია და „სწორია/არასწორია“ ტიპის განმარტებები (მაგ,: სოციალური ქსელის -„ფეისბუკის“ მომხმარებლის ანგარიში „არა ბარბარიზმებს“ (https://www.facebook.com/arabarbarizmebs), იდეის თვალსაზრისით, გამართულ, ბარბარიზმებისგან გათავისუფლებულ მეტყველებას უნდა ასწავლიდეს

ქართულ საზოგადოებას, ინიციატივა არასაკმარისია, საზოგადოება ისევ განაგრძობს ინგლისური ვარიანტების გამოყენებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვაქვს ქართული ვარიანტით მარტივად ჩანაცვლებად ლექსიკურ ერთეულებთან. ცხადია, ბევრი მიზეზია იმისა, თუ რატომ ვერ აჩვენებს შედეგს ასეთი ინიციატივა. პირველ რიგში, მსგავს შემთხვევებში, აუდიტორია საკმაოდ მცირეა, ვერ სწვდება საკითხი დიდ მასებს. გარდა ამისა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, იკვეთება ტენდენცია, რომ ისინი, ვინც ინტერესდებიან მსგავსი პრობლემატიკით, ძირითადად ზრდასრული, პროფესიულად შემდგარი ადამიანები არიან, რომელთაც ისედაც იციან პრობლემის არსებობის შესახებ. რაც შეეხება მოზარდებს და ახალგაზრდებს, მათი უმეტესობისთვის თვით საკითხიც კი გაუგებარია, ვერ ან არ აცნობიერებენ, რომ სწორი ქართული ფორმების გამოყენებას, შეიძლება, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს საერთოდ და რომ ინგლისურიდან პირდაპირ გადმოტანილი ან გადმოქართულებული სიტყვები შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ენას, და საბოლოო ჯამში, სათანადო ზომების არ მიღების და საკითხზე ყურადღების მოდუნების შემთხვევაში, ქართულ იდენტობას.

პრობლემა მხოლოდ ქართული რეალობით არ შემოიფარგლება, რამდენადაც განვითარების მოსურნე და საერთაშორისო ურთიერთობებში აქტიურად ჩართული ყველა ერის ენაში ფიქსირდება ამგვარი განწყობის გამომწვევი უნივერსალური ფაქტორები. კელერის „უხილავი ხელის“ თეორიის მიხედვით, მოსაუბრეს საუბრისას ამოძრავებს საზოგადოებრივი (სოციალური) წარმატების მოტივი. კელერის თქმით, როდესაც ვსაუბრობთ, ჩვენ ერთი ქვით რამდენიმე ჩიტის მოკვლა გვსურს: ჩვენ გვინდა, რომ დავექვემდებაროთ სტანდარტს, მივიქციოთ ყურადღება, გვსურს, რომ გაგვიგონ, და რომ დავზოგოთ ენერგია (Keller, 1994:105). და თუ რატომ ხდება სიტყვების სესხება მაინც და მაინც ინგლისურიდან, აქ პროცესებზე გავლენას ორი ძირითადი მიზეზი ახდენს: 1) სამეცნიერო და ტექნოლოგიური წინსვლა, ხშირ შემთხვევაში, უკავშირდება ინგლისურენოვან სამყაროს, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაც გულისხმობს, რომ ინგლისური არის ენა, რომელზეც მიმდინარეობს კომპიუტერულ და კოსმოსის სფეროებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი წინსვლის განხილვა და საუბრები; 2) ეს წარმატება ასაზრდოებს ინგლისურის როგორც თანამედროვეობის ენის

სტატუსს, მის პრესტიჟულობას. ამის საფუძველზე, ინგლისური ნასესხობები გვხვდება ყ

ველა ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსიკური ცვლილებები ენაში არ წარმოადგენს მოსაუბრის გაცნობიერებულ სურვილს, რაიმე ზიანი მიაყენოს ენას. ეს არის ფსიქოლოგიური ფაქტორების ერთობლიობა, რაც მართულია მოსაუბრის მიერ სტანდარტების დაქვემდებარებისა და კონკრეტულ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობის განცდის სურვილით. რაც შეეხება ენის სიღრმისეული სტრუქტურებისთვის (გრამატიკა/სინტაქსი) გამოწვეულ ზიანს, ფუნქციონალისტი მკვლევრები (Greenberg, 1966; Givon, 1979; Hopper & Thompson, 1980; Bybee, 1985) და კოგნიტიური ლინგვისტები (Barlow & Kemmer, 2000; Langacker, 2000; Bybee, 2001), ზოგადი ტერმინის - გამოყენებაზე დაფუძნებული თეორიის (Usage-based Theory) განხილვისას საუბრობენ ადამიანის ენობრივი გამოცდილების კოგნიტიურ ორგანიზებაზე. მათი თვალსაზრისით, ზოგიერთი ტიპის ლინგვისტური გამოცდილება, მაგალითად, კონკრეტული სახეობის კონსტრუქციის გამოყენების სიხშირე, გავლენას ახდენს მოსაუბრის აღქმაზე, თუ რა არის საყოველთაოდ მიღებული და რა არა, რაც კიდევ უფრო კარგად ჩანს ენასთან მიმართებაში. ადამიანის ტვინის ზოგადი კოგნიტიური უნარჩვევები და შესაძლებლობები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ კატეგორიებს გამოვყოფთ, მსგავსებებს და განსხვავებებს ვადგენთ, ასევე კატეგორიებად ყოფს და მეხსიერებაში განათავსებს ყველაფერს, რასაც, ენასთან მიმართებაში, ჩვენთან აქვს შეხება. ამის საფუძველზე იქმნება გრამატიკის კოგნიტიური სახე, რეპრეზენტაცია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ აბსტრაქტულია, როგორც ყველა კოგნიტიური კატეგორია, მჭიდროდ უკავშირდება მოსაუბრის ენობრივ გამოცდილებას (Bybee, 2006:711)

ამგვარად, თუ ხშირად მეორდება, ცალკეული სიტყვა, სიტყვათშეთანხმება თუ გრამატიკული სტრუქტურა, ის ხდება ნორმატიული, რაც გულისხმობს ენის შინაგანი სტრუქტურის დამახინჯებას და რღვევას. მრავალი კვლევა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იჭრება ლექსიკური ნასესხობა ენის უფრო სიღრმისეულ სტრუქტურებში. სარა ჯ. ტომასონის თანახმად, თავდაპირველი სესხება ან “ჩარევა” სიტყვის დონეზე შემდგომ იწვევს “თოვლის გუნდის” ეფექტს მსესხებელი/მიმღები ენის

სხვადასხვა შრეებში (Thomason, 2001:62). კონტაქტის გაზრდილი ინტენსივობა დომინანტ და მსესხებელ ენებს შორის საფრთხეს უქმნის მიმღები ენის ყველა ასპექტს. სიტყვების სესხება ხდება სტრუქტურის სესხებამდე. არარეგულარული კონტაქტის პირობებში, მხოლოდ არასაბაზისო ლექსიკა შედის მსესხებელ ენაში. კონტაქტის ინტენსივობის მატებასთან ერთად, იზრდება ენის სხვა მახასიათებლების სესხებაც მანამ, სანამ ენის ყველა სტრუქტურა არ დაექვემდებარება სესხებას (Thomason, 2001:69). ცხადია, შეუძლებელია და არასასურველიც ენათა შორის კონტაქტების შეზღუდვა. ამდენად, პროცესის საბოლოო შედეგების წინასწარ განსაზღვრა და შესაბამისი ზომების მიღება სავალდებულოა ყველა საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ერისათვის. შესაბამისი სამეცნიერო წრეების ვალია, აჩვენოს საზოგადოებას მსგავსი ტენდენციების რეალური შედეგები. არნოლდ ჩოქობავას სახელობის ენათმეცინიერების ინსტიტუტის ლექსიკოგრაფიის, სამეცნიერო ტერმინოლოგიის და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებები სხვადასხვა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით ცდილობენ, დაუღალავად შრომობენ, რომ თავი გაართვან თანამედროვე ლექსიკურ გამოწვევებს. თუმცა, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას და მოცემულ საკითხებზე მომუშავე მკვლევართა და მეცნიერთა რაოდენობას შორის არსებული შეუსაბამობის/სიმცირის გამო, პრობლემის დიდი ნაწილი მოუგვარებელი რჩება.

გარდა ზემოხსენებული უნივერსალური ფაქტორებისა, რომლებიც ენის თვითმყოფადობის შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის, მნიშვნელოვნად აზიანებს მდგომარეობას ქართული მედიაც (ყველა მისი ნაირსახეობით), სადაც დასაქმებულთა დაბალი კვალიფიკაცია, ქართული ენის არასათანადო ცოდნა, პროფესიული გულგრილობა ან სულაც თავის გამოსაჩენად „ტრენდული“ ინგლისური სიტყვების გამოყენება ჩვეულებრივი ამბავია. მედიის გავლენით, საკითხში გაუთვითცნობიერებელი მაყურებელი თუ ინტერნეტ მომხმარებელი ფიქრობს, რომ ეს თანამეროვეობამ მოიტანა და ასეც უნდა იყოს. სცოდავენ ასევე სკოლებიც, რომელთა უმრავლესობაშიც მოსწავლეებს ქართული ენის მინიმალურ ცოდნა ეძლევათ, რადგან ძირითად შემთხვევებში, ქართული ენის მასწავლებელთა კომპეტენცია შეუსაბამოა მაღალი

სტანდარტის ცოდნის მიცემის შესაძლებლობასთან. ამის დასადასტურებლად გამოდგება მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ნებაყოფლობით დარეგისტრირებული ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების მიერ გამსვლელი ქულის მიღების ძალიან დაბალი სტატისტიკა (ახალი განათლება, მასწავლებელთა გამოცდები 2022 - სტატისტიკა, ცხრილი 1). 2023 წელს სსიპ საგანმანათლებლო კვლევების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით წარმოადგინა ანგარიში სახელწოდებით - „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება". შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა 60-კრედიტიან პროგრამაზე დერეგისტრირებულთა აკადემიური მოსწრება საკმაოდ დაბალია, და რომ ეს მოცემულობა ამცირებს მათ მაღალკვალიფიციურ პედაგოგებად ჩამოყალიბების შემდგომ შესაძლებლობას. (მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შეფასება, 2023, გვ. 9).

საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში ქართულ ენობრივ პოლიტიკაში დადებითი ძვრები შეინიშნება. ნაშრომის პირველ თავშიც ვისაუბრეთ, რომ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის მიერ შემუშავებული **2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) მიზანია,** დაფინანსდეს კვლევები და პუბლიკაციები ენაში მიმდინარე სიახლეების შესახებ, გეგმაშია ონლაინ ლექსიკოლოგიური და ორთოგრაფიული რესურსების ტექნოლოგიური განვითარება, ასევე კორპუსული ლინგვისტიკის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განვითარება. გერმანიის (Duden) და ლატვიის (HUGO.lv) მაგალითის მიხედვით დაიგეგმა ენის ნორმალიზაციისთვის საჭირო მსგავსი პროდუქტის შექმნა ქართულ რეალობაში, ასევე, დაიგეგმა ორი სტანდარტის შეძენა და თარგმნა - (ISO 704:2009(en) - Terminology work – 860:2007 - Terminology work – Harmonization of concepts and terms (ტერმინოლოგიური სამუშაოები - ცნებების და ტერმინების ჰარმონიზაცია) ქართული ტერმინოლოგიის თანამედროვე სტანდარტების მიხედვით შესრულებული თარგმანების განსახორციელებლად (დეტალურად იხილეთ თავი 1.6) საბოლოო ჯამში, მთელი

პროექტის მიზანია, რომ ამაღლდეს სახელმწიფო ენის პრესტიჟი. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნაბიჯები გადადგმულია, საბოლოო შედეგებამდე ჯერ კიდევ ბევრი შრომაა გასაწევი პროექტის ფარგლებში (2021-2030 წლების სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა (სტრატეგია) – 2021. გვ. 72, 76, 77, 79).

ინტენსიური მუშაობა მინდინარეობს, და არც არასოდეს შეჩერებულა, სამეცნიერო თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებზე თანამედროვე ტერმინოლოგიური სტანდარტების ასამაღლებლად, საერთო ევროპული ტერმინთბანკის სტანდარტებზე მორგების მიზნით არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის, კერძოდ კი ტერმინოლოგიის განყოფილების ბაზაზე, რომელსაც, როგორც კვლევის თეორიულ ნაწილში აღვნიშნეთ (თავი 1.6), საკმაოდ დიდი გამოცდილება და ხანგრძლივი ისტორია აქვს და რომელიც დღესაც ცდილობს, ძველი და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის პრინციპების ახალ ქართულ ლინგვისტურ რეალობასთან შეთავსებას (მ. თეთრაძე, 2918:106-116; ს. ჭაავა, 2024:281-299; ს. ჭაავა, 2020:343-358; ნ. ფხაკაძე, 2022-2023:379-392; რ. საღინაძე, 2022-2023:338-350) და პარალელურად თანამედროვე ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაკვირვებით (ც. ახვლედიანი, მ. ბურჩაკ-აბრამოვიცი, 2024:9-15; მ. პანტაზარა, 2024:171-173), ქართული ენისთვის შესაფერისი, ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრებული ტერმინოლოგიური პოლიტიკის შემუშავებას (ლ. ქაროსანიძე, ი. უჯმაჯურიძე, ე. ჯგერენაია, 2018:190-198; ი. ლობჟანიძე, 2018:132-145; ნ, დათეშიძე, 2020:144-154; ი. ლობჟანიძე, 2020:259-272; ლ. ქაროსანიძე, 2022:2023:393-419; ნ. დათეშიძე, 2022-2023:83-91;). ჩამოთვლილი კვლევები ამ მიმართულებით, იმედისმომცემია, რომ სახელმწიფო გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის პროექტით გათვალისწინებული ცვლილებები მართლაც განხორციელდება, იმისათვის, რომ ერთი მხრივ, მოხერხდეს უკონტროლო ენობრივი პროცესების რეგულირება, ხოლო მეორე მხრივ - შესაძლებლობის ფარგლებში ჩასწორდეს, სისტემურად ჩამოყალიბდეს ლექსიკის ის მიმართულებები, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე დიდ გამოწვევაა ქართული ენისთვის.

კვლევის თეორიული საფუძვლები

არსებობს მრავალი კვლევა იმის შესახებ, თუ რა ურთიერთკავშირი აქვთ ენას და ეთნიკურ იდენტობას ერთმანეთთან. მსოფლიო მასშტაბით, ლინგვისტიკის, კულტურის მეცნიერებების, ანთროპოლოგიის, თარგმანის თეორიის, სოციოლინგვისტიკის და ფილოსოფიის სფეროების მრავალ მოწინავე წარმომადგენელს აქვს ნაშრომები მიძღვნილი ენისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის მჭიდრო ურთიერთობისთვის. ნაშრომთა ავტორების სიაში შედის ისეთი დიდი სახელები, როგორიცაა იოჰან გოტფრიდ ჰერდერი („გამოკვლევა ენის წარმოშობის შესახებ“ 1772), ფერდინანდ დე სოსიური („ზოგადი ლინგვისტიკის კურსი“ 1916), ბენჯამენ ლი ვორფი („აზროვნებისა და ქცევის მიმართება ენასთან“ 1944), მაიკლ ფუკო („ცოდნის არქეოლოგია“ 1969), ნოამ ჩომსკი („ენა და აზროვნება“ 1968), დევიდ ქრისტალი („ენის სიკვდილი“ 2000), სტივენ ვურმი („გაქრობის პირას მყოფი მსოფლიო ენების ატლასი“ 2001). ამ უკანანასკნელი ნაშრომიდან ამოღებული ერთი ციტატით შეგვიძლია, მოკლედ შევაჯამოთ მეცნიერთა განწყობა და დამოკიდებულება ეროვნული ენების მნიშვნელობის და მათი შენარჩუნებისა და გაფრთხილების საკითხთან მიმართებაში: „ყოველი ენა ადამიანების არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გადმოცემის საშუალებაა. ეს ნიშნავს, რომ ენაში აირეკლება ეს კულტურა მას შემდეგაც კი, რაც ამ ენობრივი სისტემის საფუძველში არსებული კულტურა ჩამოიშლება მასში შემოჭრილი, ძირითად შემთხვევებში, მეტროპოლიტური, განსხვავებული კულტურის გავლენით. თუმცა, ასეთი ენის სიკვდილთან და გაქრობასთან ერთად, ადამიანის აზროვნების და მსოფლხედვის ჩვენი ცოდნა-გაგებიდან სამუდამოდ ქრება მისი შეუცვლელი შემადგენელი ნაწილი“ (Wurm et

ეროვნული იდენტობა, ქართულ კონტექსტში, კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ ესსეში, რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა ჟურნალი „ცისკრის“ მე-4 გამოცემაში, და რომელიც ივან კოზლოვის „შეშლილის“ რევაზ ერისთავის მიერ შესრულებულ თარგმანს ეძღვნებოდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ

მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას; ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს" (ილია ჭავჭავაძე, 1861, N4).

მიუხედავად იმისა, რომ ენათა შორის ხშირი კონტაქტის და სესხების გავლენა ყოვეთვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ლინგვისტიკაში, ამ მიმართულების კვლევები კიდევ უფრო აქტუალური გახდა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, რამდენადაც ინტერნეტის გავრცელებამ და საყოველთაობამ კიდევ უფრო გააძლიერა და გააქტიურა ერთა და ენათა შორის კონტაქტი. მსოფლიოს მრავალი მეცნიერი, და განსაკუთრებით, მცირე ენების წარმომადგენლები, შეისწავლიან ცვლილებებს, რომლებიც ფიქსირდება მათ ენებში დომინანტი ენის გავლენით. სოციოლინგვისტი ჯოშუა ა. ფიშმანი, რომლის ნაშრომებიც, ძირითადად, ეხება ენასა და ეროვნულ იდენტობას, მიიჩნევს, რომ საზიარო ენა ასაზრდოებს და აძლიერებს ეთნიკური მიკუთვნებულობის შეგრძნებას. თავის წიგნში („ენისა და ეროვნული იდენტობის სახელმძღვანელო" – „Handnook of Language and Identity", ტომი I) ავტორი ხაზს უსვამს დედა ენის როლს და მნიშვნელობას ადამიანის ცხოვრებაში, რის საფუძველზეც წარსული აწმყოსთან კავშირს ამყარებს ზეპირსიტყვიერი ტრადიციებით, ლიტერატურული ფორმებით, მუსიკით, ისტორიით და წეს-ჩვეულებებით. არსებითად, ხშირ შემთხვევაში ენა ანიჭებს ეთნიკურ ჯგუფს გამორჩეულობის შეგრძნებას. როცა ადამიანის ენას საფრთხე ემუქრება, ნაცვლად იმისა, რომ დაემორჩილოს დომინანტურ, ძლიერ ჯგუფს, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი, მისნაირად მოაზროვნე მისივე წარმოშობის ადამიანებთან ერთად, აყალიბებს წინააღმდეგობის მოძრაობას, რათა საკუთარი ეთნიკური ჯგუფისა და ენის წინაშე მდგარი საფრთხეები აღმოფხვრას (Fischman,, მხარდაჭერით (UNESCO's Activities for Safeguarding Endangered Languages), სწორი ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვა დღევანდელ მსოფლიო რეალობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ლინგვისტური მრავალფეროვნება და საკითხის პოპულარიზაციის აუცილებლობა ხაზგასმულია ***პრინციპების დეკლარაციაში,*** რომელიც **საინფორმაციო საზოგადოების ჟენევა 2003 -ტუნისი 2005** წლის მსოფლიო სამიტზე

დამტკიცდა 2003 წლის დეკემბერში (World Summit on the Information Society, 2003, par. 52,

მოწინავე სპეციალისტები, ისეთები, როგორიც არიან ჯ. ა. ფიშმანი, ნენსი ჰ. ჰორნბერგერი, ბერნარდ სპოლსკი, შანა პოპლაკი და ბევრი სხვა ხაზს უსვამენ სწორი ენობრივი პოლიტიკის წარმოების აუცილებლობას იმისათვის, რომ დაცულ იქნას ლინგვისტური მრავალფეროვნება გაქრობის საფრთხის წინაშე მყოფ და მცირ ერთა ენების ენათა დაცვის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენა, საბედნიეროდ, გაქრობის საფრთხის წინაშე არ დგას, მას ნამდვილად სჭირდება სათანადო ზომების მიღება და ყურადღება, რომ თვითმყოფადობა შეინარჩუნოს.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ნაშრომის მოცემულ თავში განხილულია გლობალიზაციის ადრეულ ეტაპზე ენაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმების (ევროპული ენებიდან შემოსული უცხო/ნასესხები სიტყვების) გავლენა და ზიანი, რომელიც ქართულ ენას მიადგა მათი გავრცელების საფუძველზე. თვით ტერმინი „ნასესხობა/ლექსიკური სესხება“ ერთი (წყარო) ენიდან მეორე (მიმღებ) ენაში სიტყვების გადატანას და დამკვიდრებას გულისხმობს (Mayers-Scotton, 2006:211). ჩვენი განხილვა ეფუძნება სამი რედაქტორის მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სხვადასხვა დროს გამოცემული „უცხო სიტყვათა ლექსიკონებიდან” (დეტალურად, ქვემოთ) ამოღებულ მასალას. ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ ნიმუშები იმ ქართული სიტყვებისა, რომლებიც უცხო ენებიდან შემოსული ალტერნატივის საფუძველზე ან სრულად დაიკარგა, ან უკიდურესად იშვიათი გამოყენების გახდა სემანტიკური დავიწროების საფუძველზე. ასევე, გვსურს, ვაჩვენოთ ამ მოვლენის მეორე უარყოფითი თანმდევი შედეგი, კერძოდ ის, თუ როგორ შეიძლება დამახინჯდეს ენის სინტაქსური სტრუქტურა უცხო სიტყვების ქართულში დანერგვის საფუძველზე. რადგან მოცემული თავი ერთი ნაწილია კვლევისა, რომლის საბოლოო მიზანია ქართულ ენაში შემოსული თანამედროვე ინგლისური ნეოლოგიზმების თარგმნის ან შეთვისების სტრატეგიების, დამკვიდრების შემდგომი შედეგების კვლევა და მათი უარყოფითი გავლენისთვის თავის არიდების შესაფერისი ზომების და ნაბიჯების განსაზღვრა, კვლევის ამ ნაწილში შევეცდებით, დავამტკიცოთ, რომ ის, რაც ერთი შეხედვით გლობალიზაციის თანმდევ უვნებელ პროცესად გვეჩვენება, სინამდვილეში

საფრთხეს უქმნის ქართული ენის უნიკალურობას და, ხანგრძლივ პერსპექტივაში, ქართულ თვითშეგნებას. ეგრეთ წოდებული “ინტერნაციონალიზმები”, რომლებიც ახალ რეალობას და ცხოვრების სტილს ასახავს, ახალი ცნებები და გამოგონებები, თავისთავად, რამენაირად უნდა ასახულიყო ქართულ ენაშიც. ამგვარად, საინტერესოა, როგორ დამკვიდრდა ისინი ენაში, იყო თუ არა ქართული ფორმების შენარჩუნების მცდელობები და, საბოლოო ჯამში, რა შედეგამდე მიგვიყვანა მათმა შემოსვლამ და გავრცელებამ.

მონაცემთა შეგროვებისათვის

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მასალა მოცემული თავისთვის ამოღებულია სამი “უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან”. კერძოდ: 1) “უცხო სიტყვათა ლექსიკონი”, ი. იმედაშვილის 1904 წელს გამოცემული, თბილისი; 2) “უცხო სიტყვათა ლექსიკონი” გ. ახვლედიანის 1933 წლის გამოცემა, თბილისი; 3) “უცხო სიტყვათა ლექსიკონი” მ. ჭაბაშვილის, 1989, თბილისი. ეს უკანასკნელი დღესაც ფართოდ გამოიყენება, და მასზე მუშაობა კვლავაც გრძელდება ავტორის ქალიშვილის, ანა ჭაბაშვილის თაოსნობით. ამ ლექსიკონების არჩევა განპირობებული იმ ფაქტით, რომ მხოლოდ ამ სამი რედაქტორის თაოსნობით წარუდგა საზოგადოებას ამ ტიპის ლექსიკონები. არსებობს იგივე ავტორთა რამდენიმეწლიანი შუალედით, ჩვენ მიერ არჩეულ ლექსიკონებამდე ან შემდგომ გამოშვებული რედაქციები (იმედაშვილის 1916-1918 წლის და შემდგომ 1928 წლის გამოცემა, ჭაბაშვილის 1964 წლის პირველი, მეორე - 1973 წლის გამოცემები, ასევე შემდგომი რედაქტირება, რომელიც 1989 წლის გამოცემას ემყარება), თუმცა, ჩვენთვის ისინი ნაკლებ საინტერესოა, რამდენადაც, თითოეული ავტორის რედაქციების ფარგლებში, კვლევისთვის შერჩეულ გამოცემასთან მიმართებაში უმნიშვნელო სხვაობებს აჩვენებენ.

წარმოდგენილი თავისთვის შევარჩიეთ კონკრეტულად ის ნასესხები სიტყვები, რომლებიც დიდი ხანია, დამკვიდრებულია ქართულში და მუდმივად გამოიყენება მედიასა და ყოველდღიურ მეტყველებაში. სამწუხაროდ, ქართულ ენაში სიტყვის გამოყენების ზუსტი სიხშირის დადგენა შეუძლებელია კორპუსული ლინგვისტიკისა და შესაბამის მონაცემთა ბაზების და სისტემის გაუმართაობის გამო, განსხვავებით

ინგლისურისგან, სადაც გუგლის საძიებო სისტემის ერთ-ერთი ფუნქციით (**Google Books** ანალიზის მიხედვით, სიტყვის გამოყენების და გავრცელების სიხშირის დადგენა სხვადასხვა ეტაპზე (დღეისათვის მონაცემების შემოწმება ხერხდება 1500-დან 2022 წლის ჩათვლით). სისტემა შესაძლებელს ხდის, დადგინდეს სიტყვის გამოყენების სიხშირე დროის სხვადასხვა მონაკვეთში. ლინგვისტური სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური მხარეების გაუმართაობის შესახებ მიუთითებს აშშ-ის **საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG)** მხარდაჭერით 2023 წელს **სამოქალაქო ინტეგრაციის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის** მიერ ჩატარებული კვლევა და შესაბამისი ანგარიში: ***ენობრივი პოლიტიკა საქართველოში: სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები.*** (2023; გვ. 26). ერთად-ერთი ვარიანტია, მივმართოთ გუგლის საძიებო სისტემას სიტყვის გამოყენების კონტექსტების გაციფრულებული ვარიანტების სანახავად, რაც ძალიან ბუნდოვან წარმოდგენას იძლევა მისი გამოყენების სიხშირის ზუსტ მაჩვენებელზე, რადგან ზეპირსიტყვიერი გავრცელება და აუდიო-ვიზუალური ან თუნდაც კვლავაც ციფრული სამყაროს მიღმა დარჩენილი ტექსტების შემოწმება შეუსრულებელი მისიაა. თუმცა, რამდენადაც მოცემული თავისათვის არჩეული ლექსიკური მასალა ენაში დიდი ხნის დამკვიდრებული, ჩვენთვის ყველათვის კარგად ნაცნობი სიტყვებია, ლინგვისტური კვლევებისთვის საჭირო სისტემის გაუმართაობა ნაკლებად წარმოადგენს შეზღუდვას კონკრეტული დასკვნების გასაკეთებლად, მით უმეტეს, რომ იგივე ლექსიკა ჩართული გვაქვს კითხვარშიც, რომლის მიხედვითაც ლექსიკური ნასესხობების ქართულში გამოყენების ტენდენციების და მათი შესაბამისი ქართული ფორმების შესახებ ცოდნის შემოწმება მოხერხდა ქართულ ენაზე მოსაუბრეთა შორის.

მიმაჩნია, რომ ასეთივე ანალიზის გაკეთება საინტერესოა ბოლო პერიოდში შემოსულ ლექსიკაზეც, მით უმეტეს, რომ დღესდღეობით ქართული ფუძეების ინგლისურით ჩანაცვლებისთვის ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობებია, დაწყებული ნეოლოგიზმთა წარმოების სწრაფი ტემპით და ინტერნეტისა და ინგლისური ენის

საყოველთაობით, და დამთავრებული გლობალიზაციისკენ სწრაფვით. სამომავლო ტენდენციების გამოსაყოფად გაკეთდა კითხვარი ახალშემოსულ ნეოლოგიზმებზე და ძველ „უცხო სიტყვებზე“, სადაც სხვადასხვა თაობის, განათლების დონის, პროფესიის, ინგლისური ენის კომპეტენციის მქონე ადამიანების პასუხების საფუძველზე შეიძლება დასკვნების გაკეთება, თუ რა მოლოდინი უნდა გვქონდეს, ასევე, დაზუსტდება პრობლემის ზუსტი მასშტაბი. მიმაჩნია, რომ სწორედ ასეთი კითხვარი იძლევა რეალურ სურათს, რადგან ენა ცოცხალი ორგანიზმია და არსებითად სწორედ კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა/ენის გამომყენებელთა დამოკიდებულება, ცოდნა განსაზღვრავს ენის ბედს.

სიტყვათა ჩვენს მიერ შედგენილი სია ერთი და იგივეა სამივე ზემოთ დასახელებული ლექსიკონისთვის (იმედაშვილი, ახვლედიანი, ჭაბაშვილი). ეს საშუალებას იძლევა, ნასესხობების ენის მიერ შეთვისების პროცესს დიაქრონულ ჭრილში დავაკვირდეთ და ვნახოთ, რა და როგორ შეცვალეს, ან როგორ შეიცვალნენ თვითონ მორფოლოგიური ან მართლწერის ვარიანტებულობა), სრულად ჩაანაცვლეს ქართული ეკვივალენტები თუ სემანტიკური დავიწროების ხარჯზე შეზღუდეს მათი გამოყენება, რამდენად პროდუქტიულია შემოსული სიტყვები სიტყვაწარმოების თვალსაზრისით და რამდენად მოახერხა ქართულმა მათი ქართული ვარიანტების შენარჩუნება.

სამწუხაროდ, დღესდღეობით უცხო ენიდან ნასესხები სიტყვები შეუზღუდავად იჭრება ყველა სფეროში და ინსტიტუციაში. ისინი ყველგანაა, საგანმანათლებლო სივრცეში, მედიაში, მოქალაქეთა ყოველდღიურ მეტყველებაში და ა.შ. სტანდარტულად, ისინი თანაარსებობენ ქართულ ვარიანტებთან. თუმცა, საკმაოდ ხშირია შემთხვევები და კონტექსტები, როდესაც ერთადერთი “მისაღები” ვარიანტი სწორედ ნასესხები სიტყვაა, როგორც ენაში უკვე ფესვგამდგარი შესიტყვების ნაწილი. ქვემოთ ნაჩვენები ნიმუშები ადასტურებს ენაში დიდი ხნის დამკვიდრებული ნასესხობების უარყოფით გავლენას ქართულზე ენის გაღარიბების თვალსაზრისით. რაოდენ საწყენიც არ უნდა იყოს, მედია, საკანონმდებლო ორგანოები, და ხშირ შემთხვევაში, თვით სამეცნიერო წრეებიც უპირატესობას სწორედ მათ ანიჭებენ. ამას მოსდევს მთელი წინადადების სტრუქტურის თარგმნა, რაც მიუღებელია ქართული სინტაქსის თვალსაზრისით. ამ პროცესს ხშირ

შემთხვევაში შემდგომ მოსდევს ანალოგიური ხელოვნური სტრუქტურების შექმნა სხვა კონტექსტებისთვისაც, რაც საბოლოო ჯამში, შიგნიდან არღვევს ენას.

თუ ლინგვისტური ანალიზისთვის ალალბედზე ავიღებთ ტექსტს სამეცნიერო ან ჟურნალისტური ტიპის ნებისმიერი წიგნიდან ან ვებგვერდიდან, დავინახავთ, თუ რამდენად დიდია მე-20 და 21-ე საუკუნეებში ენაში შემოსული უცხო ნასესხები სიტყვების ხვედრითი წილი ტექსტში. საკითხის გაცნობიერების და უცხოენოვანი ფორმების გამოყენებისგან თავის არიდების მცდელობების მიუხედავად, წინამდებარე ნაშრომის წერისასაც ჭირს მათი სრული უგულვებელყოფა, რადგან არსებობს ფორმები, რომლებსაც დიდი ხანია „მეცნიერულად მისაღები, სწორი“ სიტყვებისა და შესიტყვებების სტატუსი აქვთ. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, უცხო სიტყვების ქართულ ტექსტებში გამოყენების მაჩვენებელმა ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ პირველმა გამომცემელმა, იოსებ იმედაშვილმა გარკვეულწილად დანანებით აღნიშნა თავისი ლექსიკონის მე-2 გამოცემის შესავალში (1928 წ):

„გასული საუკუნის უკანასკნელ ხანებში ჩვენს მწიგნობრობას, განსაკუთრებით დროგამოშვებითს (პერიოდული პრესა), საოცარი სისწრაფით შეეპარა უცხო სიტყვები და უამისობაც არ შეიძლებოდა, რადგან ჩვენი მწიგნობრობაც, როგორც სხვა დაქვემდებარებულ ერისა, ვითარდებოდა და ვითარდება უცხო მწერლობის ზეგავლენით და რა გასაკვირველია, რომ ჩვენც ვერ ავცდით ამ ზეგავლენის საერთო კანონს! მხოლოდ სავაალო ის არის, რომ ჩვენი ზოგიერთი მწიგნობარნი ხშირად ისეთს „უცხო სიტყვებს“ ხმარობენ, რომელთა მაგიერი თუ არა, შესაფერისი მაინც მოგვეპოვება. ამით საქმე უჭირდება ქართველს მკითხველს, რომლისთვისაც თითქმის ყოველი ახალი სიტყვა საიდუმლოებითაა მოცული და იმ სიტყვებით გამოხატული აზრი კი მისთვის ბინდ-ბუნდშია გახვეული. ჟურნალ-გაზეთები და სახალხო საკითხავი წიგნები სავსეა მკითხველთა უმრავლესობისთვის უცნობი სიტყვებით, რომელთა გამოცნობა, ცოტად თუ ბევრად, თვით განვითარებულ მკითხველსაც უძნელდება. რა ქნას ჩვენმა მდაბიო მკითხველმა, რომელსაც წესიერი სწავლა არ მიუღია და რიგიანად არ განვითარებულა?“ ლინგვისტი, ალექსანდრე ღლონტიც აღნიშნავს მოგვიანებით თავისი წიგნში - „ქართული

ლექსიკოლოგიის საკითხები“ (1983), ლექსიკოლოგიის ისტორიის მიმოხილვისას, რომ გ. ახვლედიანის ლექსიკონი ქართველი „ინტელიგენციის“ შეუცვლელი სამაგიდო წიგნი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არაქართული წარმოშობის ქართულ ენაში დამკვიდრებული ლექსიკა პრესტიჟზე და განათლებაზე მიუთითებდა. (ა. ღლონტი,

ქვემოთ მოვიყვანთ უცხო ენებიდან შემოსულ იმ ლექსიკის რამდენიმე ნიმუშს, რომელთაც ხელი შეუწყეს ქართული ვარიანტების სრულ გაუჩინარებას, და ასევე ისეთებს, რომელთა ენაში არსებობის პირობებში, სემანტიკური მნიშვნელობა მკვეთრად დაუვიწროვდათ მათ შესატყვის ქართულ ფორმებს ე.ი. ისეთებს, რომლებმაც ღრმად გაიდგეს ფესვი ქართულში და დღეს უპირატეს პოზიციას ფლობენ ქართულ შესატყვისთან მიმართებაში. ძირითად შემთხვევებში, პირველ რიგში წარმოდგენილია ი. იმედაშვილის განმარტება, ხოლო შემდეგ - დანარჩენი ორი ლექსიკონის ვარიატები. თუ რატომ კონკრეტულად ამ ტრაექტორიით, პასუხი მარტივია: რადგან ახვლედიანთან ასეთი სიტყვების რაოდენობა შემცირებულია (თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, „უცხო სიტყვის“ ქართული შესატყვისი სწორედ ახვლედიანს აქვს განმარტებაში მითითებული, და არა იმედაშვილს), ხოლო ჭაბაშვილთან თითქმის სრულად გამქრალია. გარდა ამისა, განვიხილავთ უცხო ენიდან შემოსულ რამდენიმე ფორმას თანმდევი არაქართული სტრუქტურის შესიტყვებებით, რომლებიც არღვევენ ქართული მორფოლოგიის სინთეტურ ბუნებას და ინგლისურის (რომელიც ძირითადად ანალიზურია) ანალოგიური წინადადების სტრუქტურების წარმოებით და ქართული ზმნის განუმეორებელი მოქნილობისთვის საფრთხის შექმნით, აღარიბებენ ქართულ ენას. გარდა ამისა, დანართში ასევე წარმოდგენილია ის „საერთაშორისო სიტყვები“, რომელთაც ჯერ კიდევ შენაჩუნებული აქვთ ქართული ვარიანტები, მაგრამ ხშირად არიან ჩანაცვლებული უცხოური წარმოშობის სიტყვებით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „უცხო სიტყვათა ლექსიკონების“ კვლევის დროს საკვლევი ერთეულების არჩევისას არ შევზღუდულვართ თემატურად მხოლოდ პოლიტიკური და ტექნოლოგიების სფეროს ნიმუშების ძიებით. ანალიზი (რომელიც აქ ნაწილობრივ არის წარმოდგენილი) მოიცავს ასეთი ლექსიკის სრული თემატური

სპექტრის ერთეულებს, რაც გულისხმობს, რომ მონაცემები ვრცელი და საინტერესოა. თუმცა, რამდენადაც წინამდებარე ნაშრომი გვავალდებულებს, რომ კვლევის ჩარჩოებს არ გავცდეთ, მოცემულ თავში წარმოვადგენთ მხოლოდ პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ ნიმუშებს. ვფიქრობთ, დასახელებაც არ უნდა მიზეზს, თუ რატომ არ/ვერ წარმოვადგენთ ვირტუალური სივრცისა და ინტერნეტის ნეოლოგიზმებს დიაქრონულ კვლევაში ქართული შესატყვისების ენიდან გაქრობის თვალსაზრისით. ცხადია, ვერ შეისწავლი იმას, რაც არ არსებობს. კომპიუტერის (და არა ინტერნეტის) ცნებასთან დაკავშირებული გარკვეული რაოდენობის ლექსიკა ჩნდება მხოლოდ ჭაბაშვილთან, რომელთა წარმოდგენაც ამ კონკრეტული თავის მიზნებს არ შეესაბამება. რაც შეეხება ტექნოლოგიების მომიჯნავე მექანიზაციის მომიჯნავე სფეროს (მე-20 საუკუნის პირველი მეოთხედამდე გამოგონილი დანადგარების და ინსტრუმენტების სახელწოდებები) ლექსიკურ ერთეულებს, მათი ენიდან გამქრალი ქართულ შესატყვისების პარალელურად, ისინი მოცემულია დანართში.

ლექსიკის რაგვარობის და ლექსიკურ ერთეულთა ენაში გაჩენის დანიშნულების თვალსაზრისით, საკმაოდ დიდი განსხვავებაა უცხო სიტყვათა ლექსიკონებში წარმოდგენილი პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ ნეოლოგიზმებსა და მე-2 თავში განხილულ მასალას შორის, რადგან აღწერილი ერთეულების ძირითადი ნაწილი წარმოადგენს ქვეყნის მოწყობის, მისი მართვის სტილისა და სტრუქტურული ერთეულების, სისტემის ნაწილების, ასევე რეჟიმების და პოლიტიკური მიმართულებების სახელწოდებებს და თანამედროვე პოლიტიკური ნეოლოგიზმებისგან განსხვავებით, რომელთა ძირითადად ხალხზე ზემოქმედების მიზანი აქვთ, ასრულებს სახელდების ფუნქციას. თუმცა, პროპაგანდისტული ტენდენციები ცოტა განსხვავებულად, მაგრამ მაინც გამოვლინდა არა კონკრეტული ქართულში შემოტანილი „უცხო სიტყვების“ ფორმებში, არამედ მათ განმარტებებში და ქართველი მკითხველისთვის მათზე წარმოდგენის შექმნისათვის შერჩეულ სტრატეგიებში, რისი მიზანიც ტერმინის გაცნობისას მკითხველისთვის, როგორც „საბჭოთა საქართველოს“ მკვიდრისთვის, უარყოფითი განწყობის ჩანერგვა იყო კონკრეტული დასავლური კონცეფციების მიმართ. საქმე ეხება გ. ახვლედიანის 1933 წლის გამოცემას, რომელშიც განმარტებებს ახლავს

ლექსიკონებისთვის შეუფერებელი შეფასებითი ნაწილი, რასაც ერთი და იგივე სიტყვის „გასაბჭოებამდელი“ (1904 წ.) და „გასაბჭოების შემდგომი“ (1933 წ.) განმარტებების შედარებისას ცხადად დავინახავთ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც პოლიტიკური მმართველობის და სისტემების აღმნიშვნელი ლექსიკა ნეონიმების კატეგორიას მიეკუთვნება, განმარტებები ძირითადად აღწერითია და, დანარჩენი კატეგორიებისგან განსხვავებით (მაგ.: პროფესიები, სამხედრო საქმე, შემეცნების/აზროვნების პროცესების აღმნიშვნელი ლექსიკა) მათ განმარტებებში მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში დასტურდება ქართული ფუძის შესატყვისები. ამიტომ, მასალა გარკვეულწილად შეზღუდულია და, ზოგ შემთხვევაში, სხვა თემეატურ ჯგუფთან საზიარო.

„უცხო სიტყვათა ლექსიკონები“ და პროპაგანდისტული ტენდენციები საბჭოეთის პირობებში

ყველა ეპოქას ახასიათებს მმართველობის გაბატონებული ფორმის შესაბამისი სისტემური ნიშან-თვისებები. ცხადია, საბჭოური ცენზურისა და პროპაგანდის პირობებშიც, გარკვეული გავლენა განიცადა მეცნიერების თუ შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებმა. ენა რომ ძლიერი იარაღია. ამას აცნობიერებს ნებისმიერი პოლიტიკური ძალა. გასაბჭოების პერიოდში (1921 წლის შემდგომ) პროპაგანდამ შეაღწია ერთი შეხედვით ისეთ აპოლიტიკურ სფეროშიც, როგორიც უცხო სიტყვათა ლექსიკონები იყო. თემა ძალიან ვრცელია, მისი ცალკე სიღრმისეული დამუშავება ასევე ძალიან საინტერესო იქნება შემდგომში. ჩვენ კი გვერდი ვერ ავუარეთ, რადგან, სწორედ ისე, როგორც პოლიტიკური ნეოლოგიზმების განხილვისას ვნახეთ უარყოფითი შინაარსით, ასოციაციებით, ევფემისტური ალუზიებით დატვირთული სპეციალურად შექმნილი პოლიტიკური ნეოლოგიზმები, აქაც აღმოჩნდა, რომ შეიძლება სრულიად ნეიტრალური შინაარსის საუკუნეების დამკვიდრებულ პოლიტიკურ ტერმინს შენთვის ხელსაყრელი განმარტების, ოსტატურად შერჩეული ფრაზების და ზედსართავების საშუალებით, შესძინო ის მნიშვნელობა, რომელსაც სისტემა გიკვეთავს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები ტრანსლიტერაციული თარგმანია საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ტერმინებისა, და შესაძლოა, თარგმნითი ეკვივალენტის, ან ენიდან გამქრალი ქართული ეკვივალენტების (რადგან მათ შემთხვევაში ასე არ მომხდარა) თვალსაზრისით, არასაინტერესო იყოს, ის ასახავს ძალიან მნიშვნელოვან ლინგვისტურ მოვლენას ნეოლოგიზმების ეროვნულ ლექსიკასთან ინტერგირების კუთხით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რამდენადაც ნაშრომში ლინგვისტიკის და ნეოლოგიზმების სფეროს მრავალი ასპექტის ერთი კვლევის ჭრილში მოქცევა მოგვიწია, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არ გვაქვს საშუალება, უფრო ვრცლად განვიხილოთ საკითხი და მოვიყვანთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ზუსტად ასახავს ტენდენციას.

დავიწყოთ თუნდაც თანამედროვე სამყაროსთვის სახელმწიფო მართვის ყველაზე მისაღები ფორმის, **„დემოკრატიის“** - ხალხის მმართველობის განმარტებით. იმედაშვილთან „დემოკრატიის“ განმარტებაში ვკითხულობთ: „დემოკრატია - ბერ. ხალხის უფროსობა, - სახელმწიფო მართველობა. რომლის კანონ-გამგეობა ხალხის წარმომადგენელთა, ან თვით მთელი ხალხის უფლებაშია. დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა ს ო ც ი ა ლ უ რ ი - ცდილობს საზოგადოების ქონება-უფლებრივ სრულ გათანასწორებას, შეუძლებელთა შეძლებულთაგან დამოკუდებულების მოსპობას, კაპიტალის ბატონობისაგან შრომის გათავისუფლებას და სხ. ასეთი მართველობა წინათ ათინაში იყო და ახლა შვეციის ზოგიერთ თემებშია“ (ი. იმედაშვილი, 1904:222). როგორც ვხედავთ, განმარტება მიუკერძოებელი ადამიანის შედგენილია, ისე, როგორც უნდა იყოს ლექსიკონებში. გარდა ამისა, მითითებულია სიტყვის წარმოშობა და მისი ასხნითი ეკვივალენტი - „ხალხის უფროსობა“. ვნახოთ გ.ახვლედიანის „დემოკრატიის“ განმარტებაც: „დემოკრატია, 1) **მდაბიო ხალხის, მდაბიური** ყოფაცხოვრების მოსახლეობა მმართველობის ისეთი ფორმა, როცა ხელისუფლება **ეკუთვნის ვითომდა „მთელ ხალხს“. *ბურჟუაზიულ ქვეყნებში*** დემოკრატიის საფუძველია: საყოველთაო საარჩევნო უფლება, თავისუფლება სიტყვის, კრების, კავშირის; **მაგრამ სინამდვილეში** მოსახლეობის უმრავლესობა მოშორებულია ქვეყნის საზოგადოებრის-პოლიტიკურ ცხოვრებაში

მონაწილეობისაგან - საწარმოო საშუალებათა ბურჟუაზიის ხელში ყოფნის გამო. ***პროლეტარიული დემოკრატია*** წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურას, რომლის მიზანია ეკონომიკური უთანასწორობის და, მაშასადამე, კლასობრივი განსხვავების მოსპობა“ (გ.ახვლედიანი, 1933:109). გარდა იმისა, რომ არ არის მოცემული სიტყვის ახსნითი ვარიანტი, განმარტება არის უკიდურესად მიკერძოებული, ბრჭყალებში ჩასმული „მთელ ხალხს“, ისეთი შეფასებები, როგორიცაა „ვითომდა“ და „სინამდვილეში“ დაუფარავად ემსახურება ამ ცნების ხალხისთვის უარყოფით მოვლენასთან ასოციაციის შექმნას და სრულიად ემთხვევა საბჭოთა პროპაგანდისტულ მისიას. ვნახოთ მესამე ლექსიკონის, ჭაბაშვილის განმარტებაც: „დემოკრატია - [ბერძ. Dēmokratia] – 1. სახელმწიფო მმართველობის ფორმა, პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება ხალხს ეკუთვნის. **ბურჟუაზიული დემოკრატია - პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც პარლამენტარიზმს არის ამოფარებული ბურჟუაზიული დიქტატურა**. 2. რაიმე კოლექტივის ხელმძღვანელობა, რომლის დროხაც უზრუნველყოფილია მთელი კოლექტივის ქმედითი მონაწილეობა და გადამწყვეტი გავლენა” (მ. ჭაბაშვილი, 1989:176). მოცემული განმარტება იდეალური იქნებოდა, რომ არა ჩანართი პირველ და მეორე განმარტებებს შორის “ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე”, რომელიც აგრძელებს მმართველი ძალების დაკვეთის შესრულებას “ცივი ომის” დასასრულის და საბჭოთა კავშირის ნგრევის ზღვარზეც კი.

კიდევ უფრო მიკერძოებული და პარტიული პათოსით გაჟღენთილია “კომუნიზმის” განმარტება ახვლედიანთან და ჭაბაშვილთან. იმედაშვილის განმარტებით: **“კომუნიზმი** - ლათ. ქონების საერთო მფლობელობა, მოძღვრება, რომელსაც კერძო საკუთრების მოსპობითა და ქონების განზოგადოებით ჰსურს ყველას ქონებრივი გათანსასწორება, ე.ი. პოლიტიკური მოძღვრება, რომელიც ითხოვს კერძო (პირადი) საკუთრების გაუქმებას და ყველა წევრების უფლებათა გათანასწორებას, კ-ს აზრით, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონება ეკუთვნის ხალხს, რომლის ხელშიაც არის მისი განაწილების უფლება; გარდა ამისა, შრომა ყველა მოქალაქისთვის სავალდებულოა. თანამედროვე კ-რი მოძღვრება თითქმის იგივეა, რაც სოციალიზმი” (ი. იმედაშვილი,

ჩარჩოები, განსხვავებით ახვლედიანის განმარტებისაგან, რომელიც ამავდროულად პოლიტიკური მოწოდებაცაა: "კომუნიზმი - (კომმ), კომუნისტური წესწყობილება, - წარმოადგენს **მომავალ საზოგადოებრივ წესწყობილებას,** სოციალისტური საზოგადოების **უმაღლეს საფეხურს;** მისი **დამყარება აუცილებელია** კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ნიადაგზე და **პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიის დიქტატურის გზით;** კომუნიზმის დროს არ იქნება კერძო საკუთრება საწარმოო იარაღებსა და საშუალებაზე, მოისპობა კლასები, ყოველგვარი სოციალური უთანასწორობა, იძულებითი სახელმწიფო ხელისუფლება, სახელმწიფოთა საზღვრები, ეროვნული დაყოფა და ომები; შეიქმნება პირობები საწარმოო ძალთა **უაღრესი განვითარებისთვის;** ადამიანს მოეთხოვება ის, რაც მას შეუძლია და მიეცემა, რაც მას სჭირდება" (გ. ახვლედიანი, 1933:211). მოყვანილი ნიმუში უფრო წინასაარჩევნო დაპირებას ჰგავს, ვიდრე სალექსიკონე განმარტებას, ეს არის მკითხველისთვის მოცემული იდეოლოგიის „იდეალურობის" თავს მოხვევა, უტოპიური აზრების სინამდვილედ გასაღების მცდელობა, ფაქტობრივად, ახალი სიტყვის მნიშვნელობის გაცნობის პარალელურად, ხდება მკითხველის კოდირებაც.

იგივე პათოსს ვხვდებით ჭაბაშვილის განმარტებაშიც: „კომუნიზმი - [ლათ. **ფორმაცია,** რომელიც დამყარებულია წარმოების საშუალებათა განზოგადებაზე: იქმნება სოციალისტური რევოლუციის გზით, **პროლეტარიატის დიქტატურის** დამყარების და **ექსპლოატატორიული კლასების ლიკვიდაციის** გზით; აქვს ორი ფაზა. 2. კომუნისტური ფორმაციის მეორე, **უმაღლესი ფაზა** მისი პირველი ფაზისაგან - სოციალიზმისგან განსხვავებით; უკლასო საზოგადოება, რომლის პრინციპია: „თითოეულისაგან - მისი უნარის მიხედვით, თითოეულს - მოთხოვნილების მიხედვით" (მ. ჭაბაშვილი, 1989:333). აღმატებული „უმაღლესი" ფორმის გამეორება გამნარტებაში მკითხველის ამ პოლიტიკური წყობის აბსოლუტურ უპირატესობაში დარწმუნების მცდელობაა იმის პარალელურად, რომ ისეთი უარყოფითი ცნებები, როგორიცაა „დიქტატურა" და „ლიკვიდაცია", წარმოჩენილია, როგორც ამ იდეალისტური რეალობის დადგომის აუცილებელი წინაპირობა. ეს სწორედაც „ტვინების რეცხვის" დიდი ხნის ნაცადი ხერხია,

რომელიც დღესაც მოქმედებს. უბრალოდ, შეიცვალა პროპაგანდის ხერხები. საბჭოეთში კი პროპაგანდით გაჟღენთილი იყო ყველაფერი, ლექსიკონებიც კი.

ვნახოთ კიდევ ერთი ნიმუში, რომელიც ასევე ხაზს უსვამს ეპოქის და სათავეში მყოფთა ინტერესების გავლენას მეცნიერებაზე ამ დარგზე, სადაც ერთი და იგივე სიტყვის მნიშვნელობის სრულიად სხვადასხვა კუთხით წარმოჩენის შესაბამისად, შესაძლოა, ამ „უცხო სიტყვის“ მომძიებელს და პირველად წამკიხავს სრულიად სხვადასხვა წარმოდგენა შეექმნას ასაღნიშნის (იგივე დენოტატი) შესახებ. ზემოთ ვახსენეთ **„პროლეტარიატი“.** სწორედ ესაა ცნება, რომელიც საბჭოური იდეოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენდა. ვნახოთ იმედაშვილის 1904 წელს გაკეთებული განმარტება: „პროლეტარი“ - ლათ. ბოგანო, უსავანო, - ღარიბ-ღატაკი, საკუთრებას მოკლებული, მხოლოდ თავის სამუშაო ძალის პატრონი მუშა, ქირით მომუშავე, რომელიც დღიური ნაშრომით იკვებება,“ და იქვე „პროლეტარიატი - ლათ. უბინაო და უსახლკარო, ღარიბ-ღატაკი ხალხი, - უმამულო, გაბოგანოვებული, მუშა ხალხი, ე.ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც უძრავი ანუ მოძრავი ქონება არა აქვს და მხოლოდ დღიური მონაგარით იკვებება“ (ი. იმედაშვილი, 1904:747). მოცემული განმარტებით, პროლეტარი აღწერილია ისე, როგორც ეტიმოლოგიურად დასტურდება, უქონელი, ღატაკი ადამიანი, დღიურ სამუშაოზე დამოკიდებული (https://www.etymonline.com/word/proletariat) და აგდილი არ აქვს ცნების რომანტიზებას, მაშინ, როცა ახვლედიანთან ვკითხულობთ ასეთ განმარტებას: „პროლეტარი - კაპიტალისტურ საზოგადოებაში: **პირადი თავისუფლების მქონე,** საწარმოო საშუალებებს მოკლებული დაქირავებული მუშა, რომელიც **ჰყიდის** თავის სამუშაო ძალას კაპიტალისტს. პროლეტარიატი - პროლეტართა კლასი, - **უპირისპირდება და ებრძვის კაპიტალისტთა კლასს,** ცხოვრების პირობების **უკვე შემფერხებელს;** ეს (კლასობრივი) ბრძოლა მოისპობა **უკლასო საზოგადოების** შექმნისას, რომლის დამყარებისთვის **მოწოდებულია** პროლეტარიატი. პროლეტარიზაცია - გაპროლეტარება, **დამოუკიდებელ მწარმოებელთა** (ხელოსნის, გლეხის..) გადაქცევა დაქირავებულ მუშებად“ (გ.ახვლედიანი, 1933:325). მოცემულ განმარტებაში „პროლეტარი“ წარმოჩენილია, როგორც ერთგვარი გმირი, რომლის ნებაყოფლობითი არჩევანია „პირადი თავისუფლება“, რომელიც „ებრძვის“ დრომოჭმულ („უკვე

შემფერხებელი“ შესიტყვების მიხედვით) სისტემას, და რომელსაც შესწევს ძალა და ამავდროულად, აქვს მოტივაცია („მოწოდებულია“), შეცვალოს სისტემა. ეს უკვე „პროლეტარიატის დიქტატურის“ განმარტებაა საბჭოური პრიზმიდან, და არა წმინდა პროლეტარიატის.

ასეთ რომანტიზებული აღარ არის ჭაბაშვილის განმარტება, სადაც არის „ - [ფერმ. ლათ.] პროლეტართა კლასი, კაპიტალისტური საზოგადოების ორი ძირითადი კლასიდან ერთ-ერთი, კლასი **ბურჟუაზიის მიერ ექსპლუატირებული** მუშებისა, რომლებიც **მოკლებულნი არიან** წარმოების საშუალებებს და **იძულებულნი არიან მიჰყიდონ** თავიანთი სამუშაო ძალა ბურჟუაზიას“ (მ. ჭაბაშვილი, 1989:543), მოცემულ განმარტებაში, აზრის ისეთი ფორმულირებით, როგორიცაა „ბურჟუაზიის მიერ ექსპლუატირებული“, „მოკლებულნი არიან“ და „იძულებულნი არიან“, ვნებითი გვარის წყობის დახმარებით, ხაზი ესმება პროლეტარიატის ჩაგრულ, უმწეო მდგომარეობას კაპიტალიზმის პირობებში, რაც სხვა ტიპის, თუმცა კვლავ უარყოფითი შეფასებაა ორპოლუსიანი სამყაროს მეორე მხარეს მყოფი სახელმწიფო მმართველობის ფორმისა.

მსგავსი ტიპის სისტემის სამსახურში მდგომი განმარტებები კიდევ დებრია. თუმცა, ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანულ ნიმუშებში სათანადოდ გამოჩნდა საბჭოეთის პირობებში ახალი ლექსიკის დამკვიდრების კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია, სადაც სიტყვის ფორმალური სიახლის გაცნობის პროცესში აქცენტმა მისი განმარტების შესაბამისი ფორმით შერჩევაზე გადაინაცვლა პროპაგნდისტული ინტერესების გასახორციელებლად.

პოლიტიკური თემატიკასთან დაკავშირებული სიტყვები „უცხო სიტყვათა ლექსიკონებიდან“ გამქრალი ან სემანტიკურად დავიწროებული ქართული შესატყვისებით

გადავიდეთ კონკრეტულად იმ პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული რამდენიმე ნიმუშის განხილვაზე, რომელთა ქართული ვერსია ან სრულად გაქრა ენიდან, ან სემანტიკური ველის დავიწროების საფუძველზე, მნიშვნელოვნად შეეზღუდათ გამოყენების არეალი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკის სფეროსთან

დაკავშირებული ტერმინები, როგორც ნეონიმები, ზოგიერთი სხვა სფეროების ლექსიკისგან, ძირითად შემთხვევებში ქართული შესატყვისის გარეშე, განმარტებით არის ახსნილი და საკმაოდ მცირეა იმ სიტყვების რაოდენობა, რომელთაც ქართული ანალოგი შეუსაბამეს რედაქტორებმა. თუმცა. მაინც შეიძლება გარკვეული ფორმების გამოყოფა და მათი ანალიზის საფუძველზე, დასკვნების გაკეთება.

მრავალჭირნახული, საბჭოთა რეალობაგამოვლილი საქართველოსთვის **„ბიუროკრატია“** (Beaurocracy) ჩვეული სენია, მოვლენა, რომელიც, თავისთავად ცხადია, ამ ფრანგულ-ბერძნული კომბინაციის ქართულ ენაში შემოღებას არ შემოჰყოლია თან. მსოფლიოს დასავლურმა ნაწილმ,ა და ზოგიერთმა არაინდოევროპულმა ენამაც, ცნება პირდაპირი ტრანსლიტერაციული სესხებით მიიღო (https://translate.how/en/bureaucracy/), ტერმინმა ქართულშიც მალევე გაიდგა ფესვი. თუმცა, ძალიან მარტივად შეიძლებოდა, მის მაგივრად ზუსტი ქართული შესატყვისი გვქონოდა. იმედაშვილთან სიტყვას ასეთი განმარტება აქვს: „ბიუროკრატია - ფრ. მოხელეების მართვა-გამგეობა, **მოხელეთა მმართველობა“ (იმედაშვილი, გვ. 147)** და იქვე წარმოდგენილია სიტყვის სხვა ფორმებიც დაწვრილებითია, თუმცა, სრულიად ახსნითია, არ არის ქართული შესიტყვების ან ქართული ფუძით ნაწარმოები ვარიანტის მცდელობაც: „ბიუროკრატია, 1) ისეთი სახელმწიფო წყობილება, სადაც მართვა-გამგეობას ახორციელებს მასების ინტერესს დაშორებული მოხელეობა (ჩინოვნიკობა), რომელსაც ახასიათებს საქმისადმი ფორმალური მოპყრობა, ცხოვრების სინამდვილისგან მოწყვეტილობა, თვითნებობა“ შემოთავაზებულ ვარიანტს „მოხელეთა მმართველობა“ ტერმინოლოგიური უპირატესობა აქვს. იგივე შეიძლება ითქვას ჭაბაშვილის განმარტებაზეც; „ბიუროკრატიზმი - 1. ექსპლუატატორული სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა, რომლის დროსაც ქვეყანას მართავენ ხალხს მოწყვეტილი და გაბატონებული კლასის ინტერესების დამცველი მოხელეები“ (ჭაბაშვილი, გვ 71). სამივე ლექსიკონის განმარტებაში გვხვდება სიტყვები - მოხელე და მმართველობა. მათი შეერთებით, ზუსტად ისე, როგორც ტერმინი **„თვითმმართველობა“** დამკვიდრდა ქართულში,

შეიძლებოდა გვქონოდა **„მოხელეთმმართველობა“**, რომელიც „ბიუროკრატიის“ პარალელურად მაინც იარსებებდა, თუ სრულად ვერ ჩაანაცვლებდა. ვფიქრობთ, როცა ასე მარტივია ქართული ნასესხები თარგმნითი ექვივალენტის შექმნა, ლექსიკოლოგებმა და ტერმინოლოგებმა თავის თავზე უნდა აიღონ ინიციატივა და ხელი შეუწყონ ქართული ფორმების შექმნა-დამკვიდრებას.

ქართული თანამდებობის პირების ოფიციალურ სახელწოდებებში მოადგილის პარალელურად საკმაოდ გავრცელებულია ლათინური თავსართი „**Vice-**“. სიტყვა ითარგმნება, როგორც “შემცვლელი,” “დამხმარე,” ზუსტი მნიშვნელობით - „ნაცვლად“, „ადგილას“ (“in place of”, “instead of” - https://www.etymonline.com/word/vice-) და ი. იმედაშვილის ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „ვისიმე **ნაცვალი**, ანუ მოადგილე, სხვის თანამდებობის აღმასრულებელი“ (ი. იმედაშვილი, 1904:332). ამ ქართული ბოლოსართით იწარმოება ისეთი კომპოზიტები, როგორებიცაა „მეფის**ნაცვალი**“, „დედი**ნაცვალი**“, „მამი**ნაცვალი**“. თუმცა, ახვლედიანის განმარტებაში „ნაცვალი“ აღარ გვხვდება: „ვიცე - [ემატება მაღალი თანამდებობის სახელს თავში და] ნიშნავს: თანაშემწე, მოადგილე, მაგ.: ვიცე-პრეზიდენტი, ვიცე-დირექტორი და სხვა“ (გ. ახვლედიანი, მოადგილეს, შემცვლელს. მაგ.; ვიცე-პრეზიდენტი“ (მ. ჭაბაშვილი, 1989:249). გარდა ამისა, განმარტების ქვეშ, ამ წინსართით ნაწარმოებ კომპოზიტებში შეტანილი აქვს „ვიცე-მეფე“, რომელიც მყარად ფესვგადგმული ქართული კომპოზიტის - მეფისნაცვლის ჩანაცვლებას უწყობს ხელს. ამ შემთხვევაში ქართული წარმოშობის ბოლოსართი, რომელსაც სურვილის შემთხვევაში წარმატებით შეიძლებოდა ეწარმოებინა შემდგომი ფორმები, ჩანაცვლდა ლათინურიდან შემოტანილი იგივე მნიშვნელობის მქონე წინსართით. შესაბამისად, სათავე დაედო უცხო ენებიდან შემოსულ მრავალ მექანიკურად ტრანსლიტერირებულ, სესხებით გადმოტანილ სიტყვას, რადგან, როგორც თანამედროვე ნეოლოგიური კომპოზიტების შესწავლისასაც ვნახეთ, ერთსიტყვიანი, თუნდაც დეფისით შეერთებული კომპოზიტური ფორმების ქართული შესატყვისების მოძებნა/გამოგონება და თუნდაც მათი ერთი შემადგენელი ნაწილის ქართულით ჩანაცვლება გაცილებით

რთულია, ვიდრე ორსიტყვიანი კომპოზიტების (რომლებიც ძირითადად ნასესხები თარგმანია - ტერმინების წარმოების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და მიღებული ხერხი). ასეთი სიტყვების მცირე ჩამონათვალია: ვიცე-კონსული, ვიცე-სპიკერი, ვიცე-გუბერნატორი, ვიცე-პოლკოვნიკი და ყველა ტიპის სამხედრო თანამდებობა „ვიცე“ - თავსართით გაფორმებული.

ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ვერ შედგება „**დელეგაციების**“ ქვეყანათა შორის მიმოსვლის გარეშე. დღეს „დელეგაციის“ პარალელური ქართული ფორმაა „წარმომადგენლობა“, „წარმომადგენელთა ჯგუფი“. თუმცა, კონტექსტის გათვალისწინებით, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება „წარმომადგენლობა“ შინაარსით „დელეგაციის“ სინონიმურ ფორმად ვერ აღივიქვათ, მაგალითად, სიტყვათშეთანხმებაში - „საქართველოს წარმომადგენლობა ევროკავშირში“ შეიძლება გავიგოთ, როგორც ერთჯერადი სამუშაო „ვიზიტით“ წარგზავნილი ჯგუფი, ან ხანგრძლივი დიპლომატიური მისიით წარგზავნიილი, უცხო ქვეყანაში მოღვაწე სპეციალისტების ჯგუფი. ამის საპირისპიროდ, „დელეგაციას“ დიპლომატიურ ურთიერთობებში ყოველთვის რომელიმე ორგანიზაციის ან სახელმწიფო უწყების სამსახურებრივად „წარგზავნილი“ ჯგუფის მნიშვნელობა აქვს. სიტყვებს „დელეგაცია“, „დელეგატი“ ი. იმედაშვილის ლექსიკონში ასეთი განმარტება აქვს: „დელეგატი - ლათ. 1. წარმომადგენელი , - რაიმე მინდობილებით ამორჩეული და საერთაშორისო თუ სხვა კრებაზე (მსწავლულთა, სახელმწიფო მოღვაწეთა) წარგზავნილი **რწმუნებული;** 2. პირი, რომელზედაც გადაიტანება ვალი გამსესხებლის თანხმობით“ (ი.იმედაშვილი, 1904:220). ა.ახვლედიანის განმარტებაშიც ფიგურირებს სიტყვა „რწმუნებული“: „დელეგატი - არჩეული (ან დანიშნული) **რწმუნებული** რაიმე დაწესებულების ან ჯგუფისა, რომელიც აძლევს მას სახელმძღვანელო დავალებებს. დელეგაცია - დელეგატების კრებული“ (გ. ახვლედიანი, 1933:108). ამ განმარტებაში აკლია მნიშვნელოვანი დეტალი - „წარგზავნილი“, რადგან ეს ლათინური სიტყვა აუცილებლად მოიცავს „დავალებული საქმის შესასრულებლად გაგზავნას“ ქვეყნის შიგნით ან მის გარეთ საერთოდ არ არის: „დელეგატი - [ლათ. Delegatus] არჩეული ან დანიშნული

წარმომადგენელი რომელიმე ორგანიიზაციისა, დაწესებულებისა, სახელმწიფოსი და სხვ. განმარტებით ლექსიკონში“ (ი. აბაშიძე და სხვანი, 1990:461) „დელეგატის“ განმარტებაში კვლავ არის „რწმუნებული“ ჩართული. თუმცა, დღეს ვხედავთ, რომ დელეგაციას და დელეგატს ქართული შესატყვისი არ აქვს და შესაბამისად, ცნების გამოსახატავად სწორედ ლათინური ფორმაა გამოყენებული, მაშინ, როცა იყო შესაძლებლობა, ქართული სიტყვა გაგვემყარებინა იგივე შინაარსით. სიტყვა „რწმუნებულმა“ კი განახლებული სტატუსი რამდენიმე წლის წინ მოიპოვა, როცა 2018 წლის 29 იანვრის საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „გუბერნატორის“ პარალელურ ფორმად შეიტანეს პირებს უკვე მხოლოდ **„სახელმწიფო რწმუნებული“** ეწოდებათ ნელა, თუმცა ეფექტიანად მოხდა არაქართული ტერმინის ქართულით ჩანაცვლება. ინერციით შემდგომაც გაგრძელდა რამდენიმე წელი ამ თანამდებობაზე მყოფი პირების „**გუბერნატორებად“** მოხსენიება (https://tinyurl.com/yeyjjjtc). თუმცა, ბოლო დროის მონაცემებში საქართველოს მხარეების მმართველთა ერთად-ერთი მისაღები სახელწოდება „სახელმწიფო რწმუნებულია“. ასეთი სასიამოვნო ცვლილება ადასტურებს, დიდი ხნის ფესმგამჯდარი უცხო ტერმინების ჩანაცვლებაც კი შეიძლება მშობლიურით, თუ მცდელობას არ დავაკლებთ.

კიდევ ერთი ასეთი თანამდებობის აღმნიშვნელი სახელია **„მერი“**, ქალაქის მმართველის აღმნიშვნელი ლათინური წარმოშობის სიტყვა გავრცელდა მსოფლიოში და რომელიც შემდეგი სახით არის ი. იმედაშვილთან წარმოდგენილი: „მერი - ფრ. ქალაქის **მოურავი**, თემის წარმომადგენელი; მამასახლისი“ ის ზუსტად ემთხვევა ფრანგული მერის“ კონცეფციას, განსაკუთრებით კი, მე-15 საუკუნის საქართველოში (“XV ს-ში, მ., როგორც ქალაქის მმართველის აღმნიშვნელი ტერმინი,

ენაცვლება ამირას და ამირათ-ამირას”- https://tinyurl.com/3sypf34p). ამას ადასტურებს ასევე „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიც“: „მოურავი - 1. (ძვ.) მემამულის ქონების გამგებელი. 2. (ისტ.) რომელიმე პროვინციის, ქალაქის, თემის და მისთ. გამგე - *თბილისის მ. - ქიზიყის მ. - დიდი მ. გიორგი სააკაძე“* (ი. აბაშიძე და სხვანი, 1990:726). ისტორიულად საქართველოში არსებობდა ქალაქის მმართველის ცნება და გვქონდა ამ იდეის გამომხატავი სახელიც. ვნახოთ, როგორია გ. ახვლედიანის განმარტება: „ მერ-ი - არჩეული **ქალაქისთავი** ინგლისში, საფრანგეთში და ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში“ (გ. ახვლედიანი, 1933:254). როგორც ვხედავთ, განმარტებაში აღარ არის **„მოურავი“,** რამაც თავისი როლი შეასრულა ამ სიტყვის მივიწყებაში/ხმარებიდან ამოღებაში. თუმცა არის მეორე, ასევე საკმაოდ მოხერხებული და ამ თანამდებობის აღსანიშნად ზუსტი მნიშვნელობის სიტყვა „**ქალაქისთავი**“, რომელიც შემდგომ ეტაპზე უკვე ჭაბაშვილის ლექსიკონიდან ქრება. მისი განმარტება ასეთია: „მერი - [ფრანგ. Maire] - ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგ სხვა ქვეყანაში: **მერიის მეთაური**“ „ინტერნაციონალიზმების“ გამოყენებით. საბოლოო ჯამში კი, ქართული ტერმინები ისტორიული წარსულის რომელიმე პერიოდს უკავშირდება თანამედროვე ქართველის ასოციაციებში, და ცოცხლობს მხოლოდ მხატვრულ და ისტორიულ ლიტერატურაში.

პარლამენტის საქმიანობაში პარლამენტის სხდომების მიმდინარეობის პროცესში ხშირად ვისმენთ სიტყვას - **„რეგლამენტი“ (reglament)**, რომელიც ფრანგულიდან შემოვიდა ჩვენს ენაში და რომელიც ი. იმედაშვილის ლექსიკონში აღწერილია, როგორც **„წესდებულება,** დადგენილება“ (ი. იმედაშვილი, 1904:779). თანამედროვე ქართულ რეალობაში, „რეგლამენტს“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ის შეიძლება აღნიშნავდეს: 1. რაიმე საქმიანობის მარეგულირებელი წესების ერთობლიობა; 2. სხდომაზე, კონფერენციაზე გამომსვლელთათვის დადგენილი დროის ლიმიტს; 3. საერთაშორისო კონგრესზე მიღებულ ზოგიერთი აქტის დასახელებას; 4. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული ნორმატიულ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ამ ორგანოთა მუშაობის წესი და სტრუქტურა (http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6073). არც ერთი

მნიშვნელობასთან არ მოდის წინააღმდეგობაში ქართული "წესდებულება"თანამედროვე კონტექსტშიც კი. გ. ახვლედიანთან "რეგლამენტის" განმარტებაში შემოაქვს სიტყვის მეორე, იმ დროისთვის ახალი მნიშვნელობა, ქართულ შესატყვისად კი სიტყვას "**წესდებას"** უძებნის, რომელიც ფრანგული რეგლამენტის ზუსტი თარგმანია: "რეგლამენტი - 1) მუშაობის წესი; დებულება; **წესდება.** 2) სხდომის მუშაობის წესები (მაგ. **დადგენა** მოხსენების და კამათის **ხანგრძლივობისა** და სხვ.)" (გ. ახვლედიანი, 1933:340). თუმცა, ფაქტი, რომ სიტყვა "რეგლამენტს" ორი მნიშვნელობა აქვს, საიდანაც ერთს აქვს ქართული შესატყვისი, ხოლო მეორეს - არა, უკვე უწყობს ხელს იმ აზრის გამყარებას, რომ მეორე - ხანგრძლივობის განსაზღვრის - მნიშვნელობისთვის ერთადერთი ვარიანტია სიტყვის ტრანსლიტერაციული ვარიანტის გამოყენება. რაც შეეხება მ. ჭაბაშვილის განმარტებას, მასში არც "წესდება" და არც "წესდებულება" ნახსენები აღარ არის: "რეგლამენტ- ი - [ფრანგ. Reglement] – 1. კრების, ყრილობის, კონფერენციისა და მისთ. ჩატარების წესი. 2. (მოძვ.) ერთობლიობა წესებისა, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა მუშაობას" (მ. ჭაბაშვილი, 1989:563). ასეთი განმარტება, ჩვენი აზრით, მკითხველს უმყარებს აზრს, რომ ქართული შესატყვისი არ არსებობს, და შესაბამისად, ამ მნიშვნელობების აღნიშვნა მხოლოდ განსამარტი სიტყვის საშუალებით შეიძლება. და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა "წესდება" ქართულში "რისამე მოქმედების, მოწყობის განმსაზღვრელი წესების კრებული"-ს მნიშვნელობით არსებობს, მეორე - საკანონმდებლო ორგანოებში სიტყვით გამოსვლის ხანგრძლივობის შეზღუდვის მნიშვნელობა დამკვიდრდა "უცხო სიტყვის" სახით.

სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად უზრუნველმყოფ სისტემას **„მართლმსაჯულება"** წარმოადგენს, მართლმსაჯულების აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო კი **„იუსტიციის სამინისტროა".**

ზემოთ ვახსენეთ სიტყვა **„ტენდენცია",** რომელიც ასევე ლამის ყოველ წინადადებაში გვხვდება, და რაც ალბათ კიდევ უფრო საგანგაშოა, უფრო ახლად ძალით გადმოქართულებულ „**ტრენდთან**" ურთიერთმონაცვლეობს. იმედაშვილთან ვკითხულობთ: „**ტენდენცია** - ფრ. **წინათგანძრახულება,** ამოჩემებული აზრით მოქმედება, ანუ წინადვე განსაზღვრული მიზნისკენ მისწრაფება, განსაკუთრებით რაიმე ნაწარმოების

შექმნის დროს.“ „ტენდენციურის“, იგივე „ტენდენციოზურის“ განმარტებაა „წინათ განძრახული, ამოჩემებული მიზნისკენ მიმართული.“ (იმედაშვილი, გვ. 895). ახვლედიანთან ტენდენცია არის „რაიმესადმი მიდრეკილება; აზრის ან მოქმედების გარკვეული მიმართულება“ ან „წინასწარაღებული აზრი“, „ტენდენციოზური“ კი - „წინასწარაღებული (აზრი), მიკერძოებითი, აკვიატებული (აზრი)(ახვლედიანი, გვ. 386). ჭაბაშვილმა „ტენდენცია“ განმარტა, როგორც „რისამე განვითარების მიმართულება; მისწრაფება, მიდრეკილება რაიმესადმი“, ხოლო „ტენდენციური/ტენდენციოზური“ როგორც „ტენდენციით განმსჭვალული, ცალმხრივი, მიკერძოებითი“ (ჭაბაშვილი, გვ.:371). საბედნიეროდ, „ტენდენციურის“ და „ტრენდულის“ გვერდზე ჯერ ისევ გამოიყენება ქართული ნასხვაურები „ცალმხრივის“, „მიკერძოებითის“ და „აკვიატებულის“ სახით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ „ტრენდულობის“ გამო უცხოენოვანი ვარიანტები ჭარბობს.

მაგალითისთვის ავიღოთ ასეთი წინადადება ინტერნეტიდან: „ფასების სტაბილურობა ეროვნული ბანკის მთავარი მანდატია. ინფლაციას შემცირების **ტენდენცია აქვს“** (http://kvira.ge/838456). საქმე იმაშია, რომ ასეთ შემთხვევებში, ძირითადად სიტყვას თან მოსდევს თავისი შესიტყვება, უცხო ენიდან გადმოღებული. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ფრაზა არის ინგლისური “have a tendency to …”-ს ქართული კალკი. არადა თავისუფლად შეიძლება იგივე ფრაზე ასე ითქვას:

„ინფლაციის მაჩვენებელი მცირდება/შემცირებისკენ მიდის“. სამწუხაროდ, იმდენად მიეჩვია ქართული საზოგადოება უცხოენოვანი ტერმინებით და სტრუქტურებით საუბარს, ან ასეთი ფრაზა მოსდის პირველ რიგში თავში, ან კი ცდილობენ, თავი მოიწონონ „მაღალი სტანდატრის“ ლექსიკით საუბრით. იმ ფონზე, რომ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიღების და გართობის ძირითადი საკომუნიკაციო ენა ინგლისურია, პრობლემა უფრო საგულისხმო ხდება, უკვე ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში მათ იციან ინგლისური სიტყვა და ვერ იხსენებენ ქართულს. იგივე ეხება გრამატიკულ სტრუქტურებს და ფრაზეოლოგიასაც. ხშირია, როცა აზრს სწორედ ასეთი გადმოთარგმნილი, ნახევრად ინგლისური ლექსიკით გაჯერებული წინადადებებით გამოთქვამენ. სიტყვას რომ მივუბრუნდეთ, **„წინათგანძრახულება“** უკვალოდ გაქრა.

ქართული საზოგადოების **„პროგრესს“** ბევრი „პროგრესულად მოაზროვნე“ უცხოენოვანი ტერმინებისა და სიტყვების დიდი რაოდენობით გამოყენებით აფასებს, განსწავლულების ხაზგასასმელად ეს მიაჩნიათ სწორ გზად. სიტყვა „პროგრესი“. „პროგრესული,“ „პროგრესულად მოაზროვნე“ ისმის მუდმივად, ყველა კონტექსტში, თუმცა აღარ ისმის მისი ქართული შესატყვისები. იმედაშვილის განმარტების მიხედვით სიტყვის განმარტება ასეთია: „**პროგრესი** - ლათ. **წინმსვლელობა, წინსრბოლა, წაღმართი;** მთელი კაცობრიობის ანუ კერძო ადამიანის ყოველგვარი წარმატება-დაწინაურება, ლტოლვილება თავისუფლებისა, ჭეშმარიტებისა და კეთილმდგომარეობისაკენ“; „პროგრესიული - ლათ. **საწაღმართო, წინმავალი, წინმსვლელობითი**, მოწინავე.“ განმარტებით ასეა: „პროგრესი (სს-ი) - წარმატებული მოძრაობა წინისკენ, განვითარება, მაღალ საფეხურზე გადასვლა და სხვა ასეთი“, პროგრესული კი -„წარმატებითი, წინსვლითი, ზრდადი“. (ახვლედიანი, გვ. 323) ჭაბაშვილი კი თავის განმარტებაში „პროგრესულის“ ასახსნელად ისევ ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობ „უცხო სიტყვას“ იყენებს: „პროგრესული - რაც მიმართულია საზოგადოებრივი **პროგრესისკენ,** ხელს უწყობს მას“ (ჭაბაშვილი, გვ. 314). კარგად ჩანს, რომ იმ პერიოდში, როდესაც ჭაბაშვილი „უცხო სიტყვათა“ ლექსიკონს ადგენდა, ამ ლექსიკონში აღნუსხული სიტყვები უკვე შესისხლხორცებული ჰქონდა ქართულ საზოგადოებას. თუმცა, სამწუხაროდ, ქართული ვარიანტების გაქრობის ფასად. არადა, **წინმსვლელობა, წინმსვლელობითი პროგრესის და პროგრესულის** ზუსტი ქართული სინონიმებია.

„კრიტიკა“ თანამედროვე ქართული საზოგადოების საყვარელი საქმიანობაა, განსაკუთრებით კი, პოლიტიკის სფეროში. შესაბამისად, საყოველთაო გამოყენების სიტყვა „კრიტიკამაც“ სიტყვაწარმოების თვალსაზრისით დიდი მრავალფეროვნება გამოავლინა (კრიტიკოსი, კრიტიკული, უკრიტიკო, გაკრიტიკება, კრიტიციზმი). თუმცა, იგივე შინაარსის გადმოსაცემად თუ სიტყვა **„განმარცვლას“** გამოვიყენებთ, თანამედროვე ქართველი ნამდვილად განმარტებას მოითხოვს. მეტიც, ინტერნეტიც კი მხოლოდ ერთ ბმულს გვაძლევს ამ მნიშვნელობით სიტყვის გამოყენებაზე (მ. ჯანაშვილი - განქიქება და განმარცვლა, II, ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე, „დავითნი“, გაზეთი „ივერია“,

ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1899). დანარჩენი რამდენიმე ბმული სიტყვის მეორე მნიშვნელობაზე, ტაროს მარცვლებისგან გათავისუფლებაზე მიუთითებს. ზემოთ ხსენებულ „ივერიის“ გამოცემაშივე ვხვდებით მეორე სიტყვას, განქიქებას, რომელიც ასევე გაკრიტიკებას გულისხმობს, და რომელიც ასევე თითქმის მიეცა დავიწყებას, განსაკუთრებით, შედარებით ახალგაზრდა თაობებში. ზემოხსენებულმა „განმარცვლამ“ კი ასეთი გზა გაიარა:

„კრიტიკა - ბერ. სჯა, განსჯა, განმარცვლა, - რომელიმე თხზულებისა, შრომისა და, საზოგადოდ, რაიმე საგნის განხილვა, ღირსება-ნაკლულევანებათა ჩვენება-შეფასებით.“ ქართულში შემოსული სიტყვა „**კრიტიკანი**“ – „წვრილმანა, „ჭიჭყინა“, ე.ი. უვიცი განმხილველ-დამფასებელი.“.(ი.იმედაშვილი, 1904:500). იგივე სიტყვა ასევე გვხვდება ჭაბაშვილის ლექსიკონშიც (პირი, რომელიც ყველაფერში ნაკლს ეძებს; არაობიექტური, მიკერძოებული კრიტიკოსი). საბედნიეროდეს ეს მოუქნელი ფორმა ქართულში არ დამკვიდრდა, იგივე ფუძის სხვა სიტყვაწარმოების ნიმუშებისგან განსხვავებით, „კრიტიკოსს“ კი ჭაბაშვილთან შემდეგნაირი განმარტება აქვს: „კრიტიკოსი {ბერძ. Kritikos} ლიტერატორი, რომლელიც რაიმე ნაწარმოების, ვისიმე შემოქმედების კრიტიკას (მნიშვ. მოქმედებას, საქციელს და სხვ.“ როგორც ვხედავთ, გამნარტებაში, იმედაშვილის განმარტებისგან განსხვავებით, („განმხილველ-დამფასებელი; კრიტიკული წერილების დამწერი; განმკიცხველი) უკვე აღარც ითვლება საჭიროდ ქართული სინონიმების მოხმობა, იმდენად გავრცელებულია ლექსიკონის შედგენის დროისთვის ტერმინი. ასე დაიკარგა კიდევ ერთი ქართული სიტყვა „განმარცვლა“ როგორც უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან, ისე ქართული ლექსიკიდან.

სიტყვა **„ასოციაცია“** (**Association** - https://www.merriam-ძირითადი მნიშვნელობით დამკვიდრდა ქართულში, ისევე, როგორც ევროპულ ენებში. პირველი მნიშვნელობის შემთხვევაში ქართული შესატყვისები იძებნება სამივე ლექსიკონში. იმედაშვილის განმარტებით, ასოციაცია არის „ლათ. **ამხანაგობა**, -

რამდენიმე პირთა თავისუფლად შეკავშირება საზოგადო მიზნის მისაღწევად“, „ასოციაცია მუშათა - მუშათაგან შემდგარი **საზოგადოება**, რომლის მიზანი თავისი წევრების მდგომარეობის გაუმჯობესებაა“ (ი.იმედაშვილი, 1904:98). ახვლედიანთან სიტყვას მსგავსი, თუმცა უფრო დაწვრილებითი განმარტება აქვს სამი ქართული ვარიანტით: „ასოციაცია (ასს-):საერთო მიზნისათვის ნებაყოფლობითი შეკავშირებული ჯგუფი პირთა: **კავშირი, ამხანაგობა, საზოგადოება,** მაგ., მუშათა საერთაშორისო ასოციაცია“ (გ.ახვლედიანი, 1933:42). ჭაბაშვილის განმარტებაც, იმედაშვილის მსგავსად, მოკლეა და წარმოდგენილია, როგორც „ასოციაცია {ლათ. Assiocio - ვუერთებ} – 1. ადამიანების ან ორგანიზაციების **გაერთიანება**, **კავშირი**“ (მ.ჭაბაშვილი, 1989:53). მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ოთხი სხვადასხვა სიტყვა, რომელიც იგივე ცნებას გამოხატავს (ამხანაგობა, საზოგადოება, კავშირი, გაერთიანება), აღნიშნული მნიშვნელობისათვის დამკვიდრდა ფრანგული „ასოციაცია“ ევროპული ენების ანალოგიით და დღეს გვაქვს უამრავი სხვადასხვა „ასოციაცია“ (ფეხბურთის ასოციაცია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადვოკატთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, საქართველოს მეწარმეთა ასოციაცია, საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია, მასწავლებელთა ასოციაცია) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში გვხვდება კავშირი, საზოგადოება და მით უფრო, ამხანაგობა. სიტყვის მეორე მნიშვნელობამ კი („აზროვნება, - ერთმანეთში მჭიდროდ შეკავშირებული ცნებები, რომლებიც გამოიწვევენ ურთიერთს“ (იმედაშვილი, გვ. 98); „ფსიქოლოგიაში: წარმოდგენების, იდეების კავშირი; ცალკეულ ნერვულ-ფსიქიკური პროცესების ერთმანეთთან ისეთი კავშირი, რომ, მაგ., ორში ერთ-ერთის გამოჩინება საკმარისია მეორეს გამოსაჩინებლად..“ (გ.ახვლედიანი, 1989:42); „.(ფსიქ.) ისეთი კავშირი წარმოდგენათა შორის, როდესაც ერთი წარმოდგენა იწვევს მეორეს მსგავსების, კონტრასტის ან მეზობლობის მიხედვით“ (ჭაბაშვილი, გვ 53), რომელსაც ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ქართული შესატყვისი სამწუხაროდ ვერ მოუძებნეს, პირდაპირ დაიმკვიდრა თავი და საკმაოდ ბევრი სიტყვაც აწარმოვა საკუთარი ფუძიდან. დღეს გვაქვს **ასოციაციური** (მაგ., აზროვნება), **ასოცირებული** (მაგ., პროფესორი), **ასოცირება** (მაგ,. ევროპასთან), ზმნად გადაქცევის და უღლების შემთხვევები

რომლის მსგავსი სიტყვა-წარმოება, ასე პოპულარული დღევანდელობაში, საკმაოდ ხიბლავდა სწორედ ახვლედიანს, რადგან არსებითიდან ზმნის წარმოების მსგავსი ტენდენცია მის სხვა განმარტებებშიც საკმაოდ ხშირად გვხვდება. „ვაასოცირებ“, „ვასოცირდები/ვუასოცირდები“, „ასოცირდება“ ფორმების არსებობა კი ნამდვილად ზედმეტია, რადგან არსებობს იგივე მნიშვნეოლბის ზმნა - ვაკავშირებ, ვაიგივებ ვუკავშირდები, კავშირში ვარ, ვაიგივებ, გაიგივებულია, იგივდება და ა.შ.

აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ცხადია, თან ახლავს აქტიური **„არგუმენტაცია“,** მტკიცე **„არგუმენტები“,** „**არგუმენტირებული“** მსჯელობა. სიტყვა „არგუმენტის“ და მისი სიტყვაწარმოების ნიმუშების ქართული ექვივალენტები კი საკმაოდ მოგვეპოვება. იმედაშვილთან ასეთი განმარტებებია: „არგუმენტაცია - ლათ. დასაბუთება, - კამათის დროს საბუთების დასახელება ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლად; დამტკიცება“; „არგუმენტი - ლათ, საბუთი, აღმოჩინება“ დასამტკიცებლად მოყვანილი საბუთი; მტკიცების ძირითადი ნაწილი“; „არგუმენტაცია - მტკიცება, დასაბუთება, რაიმე დებულების დასამტკიცებელი საბუთები“ (გ.ახვლედიანი, მტკიცება} – 1. საბუთი, რომელიც მოჰყავთ რისამე დასამტკიცებლად“, „არგუმენტაცია“-ში ქართული ლექსიკით განმარტების ნაცვლად, ვხედავთ თვით „არგუმენტის“ კომბინაციას ქართულ სიტყვებთან: „არგუმენტაცია - {ფრანგ. Argumantation} – 1. არგუმენტების (იხ. არგუმენტი, მნიშვნ. 1) მოყვანა (ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე არგუმენტირება). 2) არგუმენტების ერთობლიობა”. ცხადია, ეს ტენდენცია ისევ და ისევ იმაზე მიუთითებს, რომ არგუმენტი წარმატებით დამკვიდრდა ენაში. თუმცა, ფორმამ ასპარეზი შეუზღუდა ორ ქართულ ფორმას - “საბუთს” (რომელიც, მიუხედავად არაბული წარმოშობისა, საუკუნეების განმავლობაში მიიღო და შეითვისა ქართულმა) და “აღმოჩინებას” (იმედაშვილთან), რომელიც ძველი ქართული ფორმაა. “საბუთს”, როგორც არგუმენტს დღეს აღარავინ იყენებს. მიუხედავად იმისა, რომ 1990 წელს გამოცემულ “ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც” მისი პირველი მნიშვნელობაა “1. რისამე დამამტკიცებელი აზრი, ან ფაქტი” (არნ. ჩიქობავა, “ქართული ენის განმარტებითი

ლექსიკონი" ერთტომეული, გვ. 835), დღეს "საბუთი" მხოლოდ მე-3 და მე-4 მნიშვნელობით გამოიყენება ("- რისამე დამადასტურებელი მოწმობა, - დოკუმენტი; წერილობითი ცნობა" გვ.; 835). მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ მოყვანილი "არგუმენტირებული", "არგუმენტაცია" ასევე ხშირ შემთხვევაში გვხვდება ქართულ წერილობით თუ ზეპირ ტექსტებში, საბედნიეროდ, ჯერ ისევ აქტიურად გამოიყენება მათი ქართული შესატყვისები - "დასაბუთებული" და "კამათი/მსჯელობა", და მსგავსი ფორმების შენარჩუნება კი ძირითადად საგანმანათლებლო დაწესებულებების და მედია საქმიანობაზეა დამოკიდებული.

იგივე კატეგორიაში ჯდება თემატურად სიტყვა **"დებატი",** რომელსაც შემდეგნაირი განმარტებები აქვს. იმედაშვილთან დებატი არის "ფრ. **სჯა, კამათი,** შეჯიბრება სამეცნიერო ანუ პოლიტიკურ კითხვებზე)" (ი.იმედაშვილი, 1904:213), ახვლედიანთან - "**კამათი**, აზრის გაცვლა-გამოცვლასაჯაროდ" (გ.ახვლედიანი, 1933:103), ხოლო ჭაბაშვილთან - "რაიმე საკითხის საჯარო განხილვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა; **კამათი, პაექრობა**" (მ.ჭაბაშვილი, 1989:98). სამწუხაროდ, მოცემული ფორმით და მნიშვნელობით სრულიად დავკარგეთ სიტყვა "**სჯა**", ძველი ქართული ფორმა, რომელიც მხოლოდ "განსჯასა" და "მსჯელობაშია" წარმოდგენილი სიტყვის ძირის სახით და რომელიც ზემოთ დასახელებულ მე-20 საუკუნის ბოლოს გამოცემულ განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც "განხილვა, მსჯელობა, კამათი" (არნ, ჩიქობავა, გვ.907). სიტყვა "კამათი" არსებითის სახით ძირითადად გვხვდება არასაჯარო ხასიათის სიტყვიერი დაპირისპირების აღსანიშნავად, ხოლო "პაექრობამ", (რომელიც სპარსული წარმოშობისაა), დაიტოვა მხოლოდ მეორე - სპორტული შეჯიბრების - მნიშვნელობა (არნ. ჩიქობავა, გვ.801)

ლათინური სიტყვა „**პროცესი**" მისი ყველა შესაძლო მნიშვლელობით შეითვისა ქართულმა ენამ. ის შეიძლება შეგვხვდეს, როგორც „1. რაიმე მოვლენათა თანამიმდევრული მონაცვლეობა, რისამე განვითარების გზა. *ტექნოლოგიური პ.* - *სწავლის პ.* 2. დაავადების მიმდინარეობა. *ანთებითი პ.* 3. სასამართლოში საქმის გარჩევა. *სისხლის სამართლის პ. - პროცესზე დაკითხული მოწმეები"* (ა. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ.: 816). იმედაშვილთან „პროცესის" მე-2 განმარტებად

მოცემულია **„სამოსამართლო საქმის წარმოება“** (იმედაშვილი, გვ. 759), რომელიც „სასამართლო პროცესის“ პარალელურად ჯერ ისევ დიდი სიხშირით გამოიყენება ქართულში მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენ ორ ლექსიკონში ტერმინის ამგვარი განმარტება არ გვაქვს. თუმცა, როდესაც საქმე ზედსართავებზე მიდგება, გვაქვს მხოლოდ „პროცესის“ საფუძველზე ქართული აფიქსაციით წარმოებული **„სა-პროცეს-ო“** უზრუნველყოფა, საპროცესო პასუხისმგებლობა, საპროცესო კანონმდებლობა, საპროცესო სამართალი და ა.შ.)) ან პირდაპირ ნასესხები **„პროცესუალური“** (პროცესუალური ნორმები - processual regulations, პროცესუალური უფლება - processual right) და გაცილებით ნაკლებად **„საქმისწარმოებითი“**, ან **„სამართალწარმოებითი“**. ვფიქრობ, ეს კარგი ნიმუშია იმის, თუ როგორ შეიძლება, უცხო ენიდან შემოსულმა ტერმინმა/სიტყვამ მოიპოვოს დომინანტური პოზიცია ქართული ტერმინების ფონზე, მით უმეტეს მაშინ, როცა თვით საკანონმდებლო ორგანოები ოფიციალურ დონეზე, ოფიციალურ დოკუმენტებში უპირატესობას ანიჭებენ სწორედ უცხო ენიდან შემოსულ ვარიანტს.

რამდენადაც ზოგიერთ შემთხვევაში თვით ის სიტყვაც, რომელსაც ევროპული ენებიდან შემოსული სიტყვის ქართულ ეკვივალენტად ვასახელებთ, ასევე უცხოური წარმოშობისაა (ძირითადად, აღმოსავლური გავლენით აზიური ქვეყნებიდან საუკუნეების წინ ქართულში დამკვიდრებული), შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა: რა მნიშვნელობა აქვს, ჩავანაცვლებთ თუ არა მას ევროპული ეკვივალენტით, თუ მაინც არ გვაქვს სიტყვის ქართული ვარიანტი? საქმე იმაშია, რომ დიდი ხნის წინ ენაში დამკვიდრებული სიტყვები უკვე იმდენად ორგანულად ერწყმის ქართულ ენას, რომ ხშირ შემთხვევაში გარჩევაც კი ჭირს, რომელია შემოსული და რომელი სუფთა ქართული. ამიტომ, მე-20 საუკუნეში ამ ტიპის ლექსიკის დაკარგვა და ახალი ნასესხობებით მათი ჩანაცვლება აღიქმება, როგორც ქართული ფორმების დაკარგვა. გარდა ამისა, არსად გვითქვამს, რომ ცალსახად უარი უნდა ვთქვათ ნასესხობებზე, რადგან მათ გარეშე, კარგია ეს თუ ცუდი, წარმოუდგენელია ენის ფუნქციონირება. საქმე ეხება სესხების მასშტაბებს, ნასესხები სიტყვების საფუძველზე წარმოქმნილ უსასრულო რაოდენობის სიტყვაწარმოების ნიმუშებს, რაც ენაში ცვლის როგორც წინადადების ჟღერადობას, ისე

სტრუქტურას. ევროპული წარმოშობის სიტყვებს და მათ ქართულ ვარიანტებს შორის ხშირ შემთხვევაში პროდუქტიული სწორედ ნასესხები ვარიანტებია, მით უმეტეს მაშინ, როცა თავიდანვე ვერ მოიძებნა უცხო სიტყვის ერთსიტყვიანი ქართული ვარიანტი და ახსნითი განმარტება გახდა საჭირო.

განხილული ვარიანტების გარდა, არსებობს „უცხო სიტყვათა“ მთელი რიგი, დღესდღეობით ქართული „ნასხვაურების“ (ასევე დაკარგული ქართული სიტყვა, იგივე „ვერსია“) პარალელურად გამოყენებადი ლექსიკა, რომლებსაც ბოლომდე ჯერ არ ჩაუნაცვლებიათ ქართული ვარიანტები. თუმცა, ერთი მხრივ, ყოველდღიურობა და მეორე მხრივ, ჩვენი გამოკითხვის შედეგები, რომლის ანალიზს და შედეგებსაც ნაშრომის ბოლოს წარმოვადგენთ, ცხადყოფს, რომ თუ რაიმე ტიპის ზომები არ იქნა მიღებული, ბევრი ქართული სიტყვა დიდი ალბათობით დავიწყების იგივე გზას დაადგება. ენიდან გამქრალი სიტყვების პარალელურად, ჩვენს მიერ ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სწორედ ამ ტიპის სიტყვები და მათი ქართული ვარიანტები, ასევე მოვიყვანთ მაგალითებს თანამედროვე ქართული მეტყველებიდან, გავაანალიზებთ, თუ როგორ შეიძლებოდა იგივე წინადადებების სწორი ქართული ფორმებით ჩანაცვლება, რა ზიანს აყენებს ენას და რა საფრთხეებს შეიცავს ზოგადად მსგავსი სამეტყველო ფორმების არსებობა ქართულში. სია, თავისთავად, არასრულია, თუმცა ეს ის ლექსიკაა, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში დიდი ოდენობით გვხვდება, იქნება ეს საკანონმდებლო თუ საგანმანათლებლო სივრცეები, მედია, ყოველდღიური ურთიერთობა ადამიანებს შორის და სხვა მრავალი (სიტყვების სია მოცემულია დანართში)

გარდა ზემოთ დასახელებული შემთხვევებისა, არსებობს უცხო ენებიდან შემოსული ისეთი სიტყვებიც, რომელთაც თავიდანვე ვერ ან არ მოეძებნათ ერთსიტყვიანი ქართული განმარტება და რომლებიც უალტერნატივო გახდა ქართულისთვის. ასეთი სიტყვაა მაგალითად, „**ინტერესი“,** უნივერსალური გამოყენების სიტყვა, რომელსაც უცხო სიტყვათა ლექსიკონებში ბევრი განმარტება აქვს, თუმცა ზუსტი მნიშვნელობა თანამედროვე გაგებით არც ერთს არ ემთხვევა და მხოლოდ კონკრეტულ ვიწრო კონტექსტებშია შესაძლებელი ზოგიერთი მათგანის გამოყენება „ინტერესის“ და მისი სიტყვაწარმოების ვარიანტების ჩასანაცვლებლად. იმედაშვილთან ინტერესი აღწერილია,

როგორც: „1. სარგებლობა, სარგო, მოგება; 2. ცნობისმოყვარეობა ანუ თანაგრძნობა ვისიმე ანუ რაიმე საგნისადმი“ (ი.იმედაშვილი, 1904:389). ახვლედიანთან ეს არის: „1) აღძრული ყურადღება; ყურადსაღებობა, მიმზიდველობა; 2) რაც სარგებლიანი, მნიშვნელოვანი, საჭირო და მისთანა ჩანს“. (გ.ახვლედიანი, 1933:176). ჭაბაშვილთან კი - „1. რისამე გაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილი. 2. მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება“(მ.ჭაბაშვილი, შემცვლელს. მაგალითად, კონტექსტში „საზოგადოებრივი **ინტერესის** შემცველი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები“ - ინტერესს უბრალოდ არ აქვს ქართული ალტერნატივა. ასეთივე შემთხვევაა ამ ფუძიდან ქართული ზედსართავი სახელის მაწარმოებელი პრეფიქს-სუფიქსით („სა-ო“) ნაწარმოები „საინტერესო“ (საინტერესო ფაქტები, საინტერესო ინფორმაცია, საინტერესო მასალა), ან თუნდაც უარყოფითი თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები ზედსართავები (უინტერესო დავალებები, უინტერესო ცხოვრება, არასაინტერესო თემა), ასევე სახელზმნა „დაინტერესება“ თავისი ზმნური ვარიანტებით. ასეთი შემთხვევები არც ისე ცოტაა. ამით იმის თქმა გვინდა, რომ გარკვეულ მომენტებში საჭირო ხდება კონკრეტული სიტყვების შეთვისება, შესისხლხორცება ქართულთან, მით უმეტეს, თუ ეს სიტყვა ენის ორგანული ნაწილი გახდა. ცხადია, კარგად უნდა დაიძებნოს, არსებობს თუ არა ენაში იგივე მნიშვნელობის ქართული ვარიანტი, თუმცა ასევე გასაგებია, რომ ყველა ენაში არის უნიკალური მოხერხდება ენის პურისტულად დაცვა, რაც ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევებში სრულიად მისაღებია.

„უცხო სიტყვათა“ გავლენა ქართული ენის გრამატიკულ სტრუქტურებზე

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წინამდებარე თავში ასევე განხილულია ის შემთხვევები, სადაც კარგად ჩანს, ცალკეული ლექსიკური ერთეულების ჩანაცვლების პარალელურად, როგორ შეიძლება უცხო ენიდან შემოსულმა და საზოგადოებაში კარგად ფესვგადგმულმა ფორმებმა გააღარიბონ და გააერთფეროვნონ ქართული ენა.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ეს ლექსიკა ნეოლოგიზმებად დიდი ხანია აღარ აღიქმება, ამ ტიპის ნიმუშების მოყვანა მიუთითებს იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ახალი სიტყვების უკონტროლო შემოდინებას ენაში. მიუხედავად იმისა, რომ „უცხო სიტყვები“-ს გვერდით ჯერ კიდევ თანაარსებობს მათი მრავალფეროვანი ქართული ვარიანტები, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით, მედიის, საკანონმდებლო, სამეცნიერო ტექსტებში, უპირატესობა ენიჭება ან თვით უცხო სიტყვებს, ან კალკით ქართულში გადმოტანილ მათ კომბინაციას კომპოზიტებში ქართულ სიტყვებთან. და რაც ყველაზე მთავარია, ასეთი კალკირებული შესიტყვებები თვითონ ხდება ნიმუში ანალოგიური ფორმების შექმნისათვის, რაც სრულდება ქართული ენის სტრუქტურისთვის სრულიად შეუსაბამო ხელოვნური სამეტყველო ფორმების შექმნით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ საკითხს სრულფასოვნად ამოვწურავთ, მით უმეტეს, რომ მსგავსი კვლევების სიღრმისეული ჩატარება ქართული ენის სპეციალისტების პრეროგატივაა. მოცემულ ქვეთავში ჩვენი მიზანია, რამდენიმე ნიმუშის განხილვის ფონზე ვაჩვენოთ, თუ რა მოსდევს სინტაქსის და ენობრივი გამოხატვის მრავალფეროვნების თვალსაზრისით ნეოლოგიზმის სტატუსით ქართულში დამკვიდრებულ ფორმებს. როგორც აღვნიშნეთ, რამდენადაც მოცემული ნაწილი არ წარმოადგენს სიღრიმისეულ სისტემურ კვლევას, ქვემოთ მოყვაილია ის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც ონლაინ ბეჭდურ წყაროებში მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი:

„კომუნიკაცია“ 21-ე საუკუნის რეალობაში თავისი მნიშვნელობებით ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. „კომუნიკაცია“ გვესმის ყველგან და ყოველთვის, რადგან ჩვენ „კომუნიკაციას ვამყარებთ“ - ქართულად „ვუკავშირდებით, „კომუნიკაციაში ვართ ან ვიმყოფებით“ – იგივე „ვაგრძელებთ ურთიერთობას“, „ვკომუნიცირებთ“ - იგივე „ვურთიერთობთ“. თუმცა, მედიის, ოფიციალური ვებგვერდების თუ დოკუმენტაციის ფარგლებში რატომღაც უფრო მოდურად მიიჩნევა პირველი ფორმები. ამ ფორმის შემცველობით ერთი მაგალითის მოყვანაც საკმარისია იმის დასანახად, თუ რა მასშტაბითაა შემოჭრილია ქართულში და რამხელა გავლენას ახდენს ეს ტენდენცია ენაზე.

„კომუნიკაცია“ და მისი ვარიანტები აქტიურად გამოიყენება სახელისუფლო დოკუმენტებში, როგორც ზმნის - „ურთიერთობს“ ჩამნაცვლებელი ფორმა. საქართველოს

მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე მისი ბევრი ნაირსახეობის დაძებნა შეიძლება. ერთი ასეთი ნიმუშია, მაგალითად, ამგვარად გამართული წინადადება: „საქართველოში ჩამოსულ თითოეულ პირთან, მთელი აქ ყოფნის პერიოდში, **პროაქტიურ კომუნიკაციაში იქნება** და მათზე იზრუნებს სპეციალურად შექმნილი ქოლ-ცენტრის ჯგუფი", სადაც გარდა უთარმნელად არის გადმოტანილი ინგლისური სიტყვათშეთანხმება "Proactive communication" (პრობლემების წამოჭრამდე, წინასწარ გადაწყვეტისთვის თანამშრომლობა), რომლის გაგებასაც ინგლისურის საკმაოდ მაღალი დონე სჭირდება, წინადადებაში შემოდის კალკით გადმოტანილი ინგლისური წყობა "პრემიერ-მინისტრი **აქტიურ კომუნიკაციაშია** ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმაღლესი თანამდებობის პირებთან", რომელშიც კიდევ უფრო გაუმართლებელია ასეთი ვარიანტი, რადგან თარგმანის სირთულეც კი არ არსებობს ამ კონტექსტთან მიმართებაში. შეიძლებოდა, მარტივად დაეწერათ - "აქტიურად ურთიერთობს". ასეთი ფორმების მსგავსი წყაროებით გასაჯაროება მედიის პარალელურად ამყარებს რწმენას, რომ ეს სწორი შესიტყვებაა (https://www.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=573&info_id=81590).

„კომუნიკაციას ამყარებს" ზმნის - „ურთიერთობს" სანაცვლოდ უკვე მყარი სიტყვათშეთანხმებაა. კვლავ მთავრობის ოფიციალური გვერდიდან ავიღეთ ასეთი ნიმუში: "იუსტიციის სახლში ყრუ და სმენადაქვეითებულ პირებს ოპერატორთან **კომუნიკაციის დამყარება** ჟესტურ ენაზე შეუძლიათ" სასამართლოების საკანონმდებლო ოფიციალური ვებ-გვერდიდან აღებული იგივე შესიტყვების ასეთი ნიმუში: „სტანდარტებში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: 1) მოქალაქე - ნებისმიერი პირი, რომელიც უშუალო ან ელექტრონულ **კომუნიკაციას ამყარებს** მოხელესთან" (https://www.court.ge/courts/aXalkaqaqis_raionuli_sasamarTlo/?page=411). მოცემულ წინადადებაში ისედაც არის სიტყვები, რომლებსაც გარემოებათა გამო ვერ ვანაცვლებთ ქართული შესატყვისებით და ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა, თუ მოცემულის მაგივრად „უშუალოდ ან ელექტრონულად **ურთიერთობს** მოხელესთან" იქნებოდა. სადაც

გაკონტროლება (ზედამხედველობა) შესაძლებელია, იმ სფეროებში მაინც თუ იქნება გარკვეული წესდების მიყოლის აუცილებლობა აზრის ჩამოყალიბებისას ენობრივი სტანდარტების/ნორმების დაცვის შესახებ, შესაძლოა, ქართულის სახეცვლილების ეს უარყოფითი ტენდენცია მცირედით მაინც შეფერხდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ამ თავის წერაც, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ქართული ფორმების გამოყენების უპირატესობის დამტკიცებაა მიზანი, პროცედურულად არც ისე მარტივია, რადგან გონებაში თავისთავად მოდის ჩვენში უკვე დამკვიდრებული „ფორმულირებები“ და ხშირ შემთხვაში ქართული „ნასხვაური“ („ვარიანტი“) უბრალოდ კონტექსტისთვის შეუსაბამოდ ჟღერს.

ასევე სამწუხაროა, რომ საგანმანათლებლო ვებგვერდებზეც იგივე მდგომარეობაა. ერთ-ერთ ასეთ ვებგვერდზე ვკითხულობთ აზრის ასეთნაირ ფორმულირებას: „ტრენინგის მიზანია, თანამშრომლებს გააცნოს ვერბალური და არავერბალური ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები, საჯარო გამოსვლის, დისკუსიისა და პრეზენტაციის უნარები“ (https://tegetaacademy.edu.ge/ka/trainings/efeqturi-komunikatsia). მოცემულ წინადადებაში, რომელიც 16 სიტყვისგან შედგება, 8 უცხოენოვანია. თუმცა, თავისუფლად შეიძლებოდა, სათქმელი შემდეგნაირად გაფორმებულიყო:

„ტრენინგის (წვრთნის) მიზანია, თანამშრომლებს გააცნოს სიტყვიერი და უსიტყვო ეფექტიანი (შედეგიანი/შედეგის მომცემი) ურთიერთობის საფუძვლები, საჯარო გამოსვლის, სიტყვიერი პაექრობის და წარდგენის უნარები“. არ იქნება გასაკვირი, თუ აზრის მსგავს ჩამოყალიბებას თანამედროვე ქართველები უხერხულად და კონტექსტისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევენ, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენი ყური უკვე აზრების ასეთ „ფორმულირებას“ არის მიჩვეული, რაც საკმაოდ საშიში მოვლენაა, რამდენადაც იზრდება იმის ალბათობა, რომ დროთა განმავლობაში არა მარტო გარკვეულ სიტყვებს დავკარგავთ, არამედ მკვეთრად დაირღვევა ქართული ენის სინტაქსის სტანდარტები, რასაც საფუძველი ისედაც საკმაოდ შერყეული აქვს.

თუმცა, ზემოთ მოხმობილი არსებითი „კომუნიკაცია“, ან თუნდაც შედგენილი ზმნა „კომუნიკაციას ამყარებს“ კიდევ შედარებით უვნებელ ფორმებად გვეჩვენება ისეთი

მახინჯი ფორმის ფონზე, როგორიცაა „კომუნიცირებს“, რომელიც საჯარო პირების მეტყველებაშიც ხშირად ისმის:

„ხალხთან ეს არ **კომუნიცირებს** ისე, როგორც მედიასთან არ **კომუნიცირებს**, ისე,

რ

ო

გ

ო

რ

კიდევ უფრო სასაცილო და აბსურდულია ასეთი ფორმა რეკლამის სფეროდან, კერძოდ, „ველედას“ ოფიციალური ქართული წარმომადგენლის ვებგვერდზე განთავსებულ პროდუქტის აღწერაში, რომელიც შემდგომ წაიშალა, თუმცა სიტყვასიტყვით შემორჩა თავის მოვლის თემატიკის ერთ-ერთ საჯარო ფეისბუქ

ც

ა

რ

მ

ა

ნ

ო

ნ

ა

ი

ს

„დერმა - (კანის შუა შრე). რიტმული სისტემა საკუთრივ კანთან **კომუნიცირებს** და ის სისხლძარღვთა ფართო ქსელითაა აქ წარმოდგენილი“ (https://bit.ly/3BLynXk). სიტყვა „აბსურდული“ სწორედ რომ ზედმიწევნით შეესაბამება აზრის გადმოცემის ამ

წ

მ

ც

დ

ე

ლ

ო

ბ

ა

ს

. არათუ მხოლოდ „კომუნიცირებს“ ვერ დავაკავშირეთ ვერაფერთან, მთელი წინადადების აზრის აღქმაც კი შეუძლებელია. შეიძლება, შეცვლის საერთო სურათს. თუმცა, ისინი ნამვილად ადასტურებს ენაში მიმდინარე პროცესების და პერსპექტივების

ე

ყ

ა

რ

ყ

ო

ფ

ი

თ

მ

ი

მ

ა

რ

თ

უ

ლ

ე

ბ

ა

ს

.

ბ

„კომუნიკაციის“ მსგავსი წონადი სიტყვაა „**სოციალური/სოციუმი“,** რომელსაც ასევე მოეპოვება ქართული შესატყვისი „**საზოგადოებრივის/საზოგადოების**“ სახით და რომელიც ქართულის ჩასანაცვლებლად სულ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება: „სოციალური ქსელი“ (კალკი “Social Network”-იდან), „სოციალური დახმარება“, „სოციალური მომსახურება“, „სოციალური სააგენტო“, სოციალური ჯგუფი/კლასი“, ასევე მისგან ნაწარმოები „ასოციალური“, „სოციალიზებული“, „სოციალიზაცია“ და ასე შემდეგ. მოცემული ფორმებიდან ნაწილი თავისუფლად შეიძლება ჩანაცვლდეს ქართული „საზოგადოებით“ და მასთან შეწყობილი ზმნებით. თუმცა, „სოციალური ქსელი“,

ბ

შ

ი

„ასოციალური“, „სოციალიზაცია“ უკვე ტერმინებად დამკვიდრდა თავიანთ სფეროებში. მედიის სფეროში ვეღავ ვიტყვით „საზოგადოებრივ ქსელს“, ვერც ფსიქოლოგიის ტერმინ „ასოციალურ ქცევას“ ჩავანაცვლებთ მარტივად ქართული შესატყვისით. ასოციალურის ერთსიტყვიანი განმარტება საპარლამენტო ლექსიკონის მიხედვით არის „ანტისაზოგადოებრივი“, გრძლად, „ვინც, რაც ეწინააღმდეგება, არღვევს საზოგადოების უფლებებსა და ინტერესებს“

ა
ს
ა
ხ
ა
ვ
ს

„
ა
ს
ო
ც
ი
ა
ლ
უ
რ
ი
ს
“
შ
ი
ნ
ა

ადამიანების შექმნილ ტექსტებში ვხედავთ საკითხის უგულვებელყოფას. ამის მაგალითია mastsavlebeli.ge ვებგვერდზე წარმოდგენილი სტატიის სათაური: „ზრდასრული შვილები - წესები, საზღვრები, სოციუმი“ (https://mastsavlebeli.ge/?p=31405). ამ უმარტივეს კონტექსტშიც კი უპირატესობა რატომღაც მიენიჭა „სოციუმს“ და არა „საზოგადოებას“, დიდი ალბათობით, მოდის მიმდევრობით და „წიგნიერების“ დასადასტურებლად. აქ გამოსავალი ალბათ ერთია, „წიგნიერების“ დასადასტურებლად ქართული ფორმების გამოყენება რომ გახდება „ტრენდული“, შეიძლება მაშინ გადარჩეს ქართული ფორმები, თუ ძალიან არ დაგვიანდა.

კვლავ სამთავრობო ვებგვერდზე მოვიძიეთ „რესოციალიზაციის“ შემცველი ტექსტი და შემდგომ, იგივე ცნების ქართულად ფრაზით გადმოცემის შემთხვევები. პირველი ნიმუში ამონარიდია პრემიერმინისტრ - ირაკლი კობახიძის 2024 წლის 28 ივნისის ყოველწლიური მოხსენებიდან და აზრი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული: „გაიხსნა საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის სააკაძის სასწავლო ბაზა; გრძელდება გარესოციალიზაციის პროგრამა“.

ძალიან ბევრ ქართულ ფორმას ანაცვლებს და ძალზედ გვიბინძურებს ქართულ ენას სიტყვა „**კომენტარი**“ და მის საფუძველზე ნაწარმოები ვარიაციები. არადა, ამ სიტყვის შემთხვევაში ნამდვილად არის საშუალება, უამრავი ქართული ვარიანტი შევუსაბამოთ

კონკრეტულ კონტექსტებს. იმედაშვილთან და ახვლედიანთან სიტყვა განმარტებულია, როგორც „განმარტება“ ან „ახსნა-განმარტება“ (ი. იმედაშვილი, 1904: 460, გ.ახვლედიანი,

ვნახოთ რამდენიმე შემთხვევა თითქოს უვნებელი **„კომენტარით“** დაწყებული, დამახინჯებული „დაკომენტებით“ და „დაკომენტირებით“ დამთავრებული. სამწუხაროდ, არა მარტო სოციალური ქსელები, მთელი მედია, მათ შორის ბეჭდური პრესაც სავსეა მსგავსი ნიმუშებით. „კომენტარი გააკეთა“ - ჩვეულებრივი მოვლენაა ქართული მეტყველებისთვის უკვე. თუმცა, ამ ხელოვნურად შედგენილ ზნურ შესიტყვებას თავისუფლად შეიძლება ჩაენაცვლოს ქართული ზმნური ფორმები - „შენიშნა“, „განმარტა“, „აღნიშნა“, „განაცხადა“. მაგალითად, ერთ-ერთი რიგითი ნიმუში „კვირის პალიტრის“ ვებგვერდიდან ასე ჟღერს: „რა კომენტარი გააკეთა ვახტანგ

დროის შემდეგ, გახდება ქართული და დიდი ალბათობით ჩაანაცვლებს ან მეორეხარისხოვან ფუნქციას მიანიჭებს ქართული ფუძის ზმნებს.

„დაკომენტების“ გარდა თანამედროვე ქართულში გვაქვს ასევე „კომენტირება“, „დაკომენტირების“ გამოყენების საკმაოდ გავრცელებული შემთხვევები. ჭაბაშვილის ლექსიკონში „კომენტირება“ უკვე სწორ, დამკვიდრებულ ფორმად ითვლება, როგორც რაიმე ტექსტისათვის კომენტარების შედგენის მნიშვნელობა, ან რისამე მნიშვნელობის განმარტება (მ.ჭაბაშვილი, 1989:205) მიუხედავად იმისა, რომ გვქონდა „განმარტება“, თუნდაც „განმარტებების დართვა“. თუ სახელზმნას სწორად მივიჩნევთ, მაშინ „დააკომენტირა“ სწორი ზმნა გამოდის. თუმცა, ყურს ჭრის მისი მკვეთრად არაქართული, ხელოვნურად შექმნილი ფორმა.

სიტყვების იგივე კატეგორიას მიეკუთვნება **„ეფექტი“**, რომლის ქართული ვარიანტებიც კონტექსტის გათვალისწინებით „შთაბეჭდილება“ ან „გავლენა“ შეიძლება იყოს. მაგალითად, წინადადებაში - „სიცივეს სასარგებლო ეფექტი აქვს სიცოცხლის ხანგრძლივობაზე“

HYPERLINK "https://1tv.ge/news/sicives-sasargeblo-efeqti-aqvs-sicockhlis-khangrdzlivobaze-akhali-k
v

„შთაბეჭდილების“ გადმოსაცემადაც საკმაოდ ხშირად იყენებენ „ეფექტს“. მაგალითად: „კვარაცხელიამ სერია A-ზე ისეთივე ეფექტი მოახდინა, როგორც კაკამ“. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნამდვილად გაურკვეველია, კვარაცხელიამ „გავლენა“ მოახდინა თუ „შთაბეჭდილება“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ დროთა განმავლობაში, უცხო ენიდან შემოსული ახალი სიტყვები არათუ ქართული სინონიმების გვერდით თანაარსებობენ, არამედ ხშირ შემთხვევაში ანაცვლებენ მათ. პირველ ეტაპზე, უკარგავენ ფუნქციათა ნაწილს, და ხშირ შემთხვევაში, თუ სრულად არ ჩაანაცვლეს, იკავებენ უპირატეს ადგილს, საიდანაც ქართული ფორმების სრულ გაქრობამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. გარდა ამისა, ნათლად ჩანს, რომ ბევრი უცხო სიტყვა თავდაპირველად შემოსული ერთი ფორმიდან ქართული მორფოლოგიის წესების გამოყენებით აფორმებს სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს (მაგ,; კომუნიკაცია) და ასე შემოსული არსებითი სახელი შეიძლება მოგვევლინოს ზმნის, ზედსართავის, მიმღეობის ფორმაში მრავალგვარი ვარიაციებით, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ უხერხული ფორმებია. რაც ყველაზე უარესია, როდესაც ასეთი არსებითის ან ზედსართავის ზმნად გადაქცევა არ ხერხდება ფორმის მოუქნელობის გამო, ქართველებმა პოპულარული უცხო ენების და, განსაკუთრებით, ინგლისურის გავლენით, შეიმუშავეს ამ უცხო სიტყვის და ქართული ზმნის (სადაც მას დამხმარე ზმნის ფუნქციას ანიჭებენ) შეერთებით ანალიზური ზმნის წარმოების უკვე საკმაოდ გავრცელებული ფორმა (მაგ.; „კომუნიკაციაში იმყოფება“, „კომენტარი გააკეთა“), რაც ასევე მზარდი ტენდენციაა და რის გამოც, დიდი ალბათობით, სამომავლოდ საფუძველი შეერყევა სიტყვის ქართულ აგლუტინაციურ/სინთეზურ ბუნებას, რაც ქართული ენის ხერხემალია.

ლექსიკონების ახალი სიტყვებით შევსება, ხელახალი რედაქტირება და გამდიდრება ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, მოცემულ თავში განხილული მასალა ამჟღავნებს ერთ არასასიამოვნო ტენდენციას. კერძოდ, 1904 წლის იმედაშვილის პირველი „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“ დაწყებული ბოლო, 1989 წლის ჭაბაშვილის ლექსიკონამდე ბევრი ქართული სიტყვა თანდათან გაუჩინარდა, გამნარტებაში ისინი ჩანაცვლდა ქართული ახსნითი განმარტებებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გარკვეულ

ეტაპებზე ქართული ანალოგებით განმარტებების გაკეთება უკვე არასაჭიროდ ან დროისთვის შეუფერებლად მიიჩნეოდა. მეორე სავარაუდო მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ქართული ახსნითი განმარტებები უფრო ადვილი აღსაქმელი იყო, რაც ისევ არასახარბიელო, ქართული ვარიანტების გაუცხოების მიდრეკილებაზე მიგვითითებს. რამდენიმე ნიმუშის მოხმობაც საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ვნახოთ, თუ რამდენად შეიძლება ამ „უვნებელმა“ სტრატეგიამ საერთო სურათი შეცვალოს. ხოლო თუ რატომ არის ეს ამდენად მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, გასაკვირი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ თუ ქართულ ფუძეებს არ შევინარჩუნებთ, გარკვეული პერიოდის შემდეგ, შეიძლება, ქართულ ტექსტში ქართული წარმოშობის სიტყვები ძნელად მოსაძიებელი გახდეს.

ვერ ვიტყვით, რომ ცალსახად უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ ნეოლოგიზმზე, რადგან, პირველ რიგში, წარმოუდგენელია გლობალიზაციის მასშტაბების გათვალისწინებით, ინგლისურის საყოველთაობის პირობებში სრულად აღვკვეთოთ მათი დამკვიდრება ქართულში, მით უმეტეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება, კონკრეტული ლექსიკის კარგად გადმოქართულებული/ნატურალიზებული ვარიანტიც მივიღოთ. თუმცა, პროცესი დღევანდელი მასშტაბებით კარგს არაფერს უქადის ქართულის თვითმყოფადობას და აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება. ყოველთვის იქნება ახალი ტერმინების და ახალ გამოგონებათა და ცნებათა სახელწოდებების ქართულში გადმოტანის საჭიროება და ამ საჭიროებას თან ახლავს სწორი სტრატეგიების და ენობრივი პოლიტიკის დამუშავების აუცილებლობა. იმედია, ზემოხსენებული ენობრივი პოლიტიკის ათწლიანი გეგმის პუნქტები ენის დაცვის, სპეციალური ენის კომისიების, ტექნოლოგიური და ლექსიკოგრაფიული განვითარების ინიციატივები და სამთავრობი მხარდაჭერა საერთო მიზნების მისაღწევად მხოლოდ ფურცელზე არ დარჩება და შესრულდება მისი ყველა სავალდებულო პუნქტი. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება და საკითხის პრობლემატურობის შესახებ მათთვის ინფორმაციის მუდმივი მიწოდება მედია საშუალებებით თუ საგანმანათლებლო ცენტრებში უზრუნველყოფს ენის დაცვის შესაძლებლობების ამაღლებას ცალკეული მოქალაქეების დონეზე, რაც პირდაპირ

უკავშირდება ნებას და რასაც შედეგად მოჰყვება ძალისხმევა, რომ შენარჩუნდეს ქართული ფორმები და არ დაექვემდებაროს ენა უარყოფით გავლენებს.

დანართში იხილეთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონებში“ მოძიებული ქართული ლექსიკა, რომელიც უცხო ენიდან შემოსულმა ვარიანტებმა ჩაანაცვლეს, ასევე ის ქართული სიტყვები, რომლებიც შენარჩუნებულია ენაში, თუმცა ძალიან ხშირ არის ჩანაცვლებული ევროპული ენებიდან შემოსული ვარიანტებით.

4.7 რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და საერთო დასკვნა

ნეოლოგიზმების კითხვარი - სტრუქტურა და მიზნები

როგორც შესავალში, მიზნების და ამოცანების აღწერისას ვისაუბრეთ, ნაშრომის მოცემულ ნაწილში წარმოვადგენთ კითხვარს, რომელშიც, მონაცემთა შეგროვების და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, გამოვყავით კითხვები ენაში ახლად შემოსული ნეოლოგიზმების თუ ამ პროცესის თანმდევი სხვა ტენდენციების შესახებ. მსგავსი კითხვარების ჩართვა ნეოლოგიის მოვლენის ლინგვისტურ კვლევებში მიღებული პრაქტიკაა, რადგან ენა საზოგადოებისგან განყენებულად არ არსებობს და სწორედ საზოგადოების მიერ ენობრივი პროცესების აღქმა, გააზრება, განწყობები განაპირობებს კონკრეტული ენობრივი სიახლის შემდგომ წარმატება/წარუმატებლობას. პარალელურად, ასეთი კითხვარებით, მკვლევრებს საშუალება ეძლევათ, შეისწავლონ და შემდგომ სწორი მიმართულებით წარმართონ კონკრეტული ლინგვისტური პროცესები. ჩვენ შემთხვევაში, ამბიცია არ გვაქვს, რომ კითხვარი სრულად წარმოაჩენს არსებულ სურათს და მოვლენათა შემდგომ განვითარებაშიც გადამწყვეტ როლს ითამაშებს. თუმცა, ის აუცილებლად წარმოაჩენს კონკრეტულ ტენდენციებს და პრობლემებს, და ვფიქროთ, გაამარტივებს ერთიანი სურათის აღქმას.

ასეთი კითხვარების ლინგვისტური ნეოლოგიის კვლევებში ჩართვა მიღებული პრაქტიკაა (Kirck Michael, 2024; Vanessa Link, 2021; . Reza Talebinejad et al, 2012)·შესაძლოა, კვლევა ყოველთვის ნეოლოგიზმების წყარო ენიდან სამიზნე ენაში გადატანის სპეციფიკას

არ შეისწავლიდეს, რადგან ნეოლოგიზმთა კვლე.ვები მრავალი მიმართულებით მიმდინარეობს დღესდღეობით, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ისევე, როგორც სხვა ტიპის ლინგვისტური კვლევების დროს, ნეოლოგიზმების შესწავლისას ძირითადი მიზანია კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეთა უკუკავშირი, მოვლენათა განვითარების შემდგომი მიმართულების და პერსპექტივების დასადგენად.

ჩვენს მიერ შედგენილი კითხვარიც ემსახურება უკუკავშირის მიღებას იმ ადამიანებისგან, რომელნიც ქართულ ენაზე თავისუფლად საუბრობენ (ეთნიკური წარმომავლობის მიუხედავად) და რომელნიც პარალელურად საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, რადგან კვლევა სწორედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე ლინგვისტური ნეოლოგიის პროცესებს შეისწავლის.

რაც შეეხება კითხვარის სტრუქტურას, ის შედგება 56 თანმიმდევრული სავალდებულო, ურთიერთგამომდინარე კითხვისგან (კითხვების დიდი უმრავლესობა ე.წ. მრავლობითი არჩევანის პრინციპით არის შედგენილი): პირველ რიგში რესპონდენტი პასუხობს კითხვებს მისი ასაკის, სქესის, განათლების, სურვილის შემთხვევაში, პროფესიის/საქმიანობის (ერთადერთი ნებაყოფლობითი კითხვა), შესახებ. კითხვარში ასევე შესულია კითხვა ინგლისური ენის კომპეტენციის შესახებ, რადგან ინგლისურ ნეოლოგიზმებთან დაკავშირებულ პროცესებში ამ პუნქტს, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი აქვს. შემდგომ მოდის ისეთი კითხვები, როგორიცაა:

- სმენიათ თუ არა ნეოლოგიზმების შესახებ ზოგადად (თუ იციან ნეოლოგიზმი, როგორც ლინგვისტური მოვლენა)
- როგორია მათი დამოკიდებულება ქართულ ენაში ნეოლოგიზმების გაჩენასთან დაკავშირებით
- რამდენად ხშირად და რა წყაროებში ხვდებიან ნეოლოგიზმებს
- რომელი ენა ესახებათ ნეოლოგიზმების ძირითად წყაროდ და რომელ სფეროებში ხვდებიან მათ ყველაზე ხშირად

შემდგომ ეტაპზე, რესპონდენტებმა ჩვენს მიერ კვლევის საფუძველზე შერჩეული ნეოლოგიზმებიდან (რომლებიც აერთიანებს როგორც პოლიტიკურ, ისე ვირტუალური

სივრცის ერთეულებს) უნდა მონიშნონ ის ნეოლოგიზმები, რომელთა მნიშვნელობაც ზუსტად იციან და ისინიც, რომელთა მნიშვნელობაც ბუნდოვანი, თუმცა მეტ-ნაკლებად გასაგებია. შემდეგი კითხვების მიხედვით, უნდა აირჩიონ

- მოცემული თარგმნითი ვარიანტებიდან ფორმის თვალსაზრისით ყველაზე მისაღები
- რამ განაპირობა მათი არჩევანი

  რამდენად მიაჩნიათ, რომ ნეოლოგიზმის ქართული ვარიანტის არარსებობის პირობებში, აუცილებელია ასეთის გამოგონება/შერჩევა.

კითხვები ასევე ემსახურება ენის მომხმარებლის შეფასებითი პოზიციის დაფიქსირებასაც და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქართული ფორმების არცოდნის მიზეზების შეფასება, მათ მიერ კონკრეტული ფორმების არჩევის მიზეზები საკმაოდ დეტალური კითხვები, თუ რატომ ანიჭებენ უპირატესობას გარკვეულ ფორმებს). ასევე, რესპონდენტები აფიქსირებენ აზრს აკრონიმების (ე.წ. ტექსტსფიქის), ნეოლოგიზმების საფუძველზე აღმოცენებული ზმნური ფორმის ბარბარიზმების დასერჩვა, დალინკვა) და „საერთაშორისო“ სიტყვების (ბალანსი, კომუნიკაცია, კონტაქტი) გამოყენებაზე ქართულში, საკუთარ პრაქტიკას ამ საკითხებთან მიმართებაში და ბოლო ნაწილში, შემაჯამებელი კითხვის სახით, მიაჩნიათ თუ არა, რომ ქართული ენა მართლაც დგას პრობლემის წინაშე. დადებითი პასუხის შემთხვევაში, გამოთქვამენ აზრს, თუ ვისი ვალია (პრეროგატივაა) ენობრივი საკითხების მოწესრიგება.

კითხვარის შედეგები

ნეოლოგიზმების კითხვარი საერთო ჯამში შეავსო 65-მა ადამიანმა, რომელთა ასაკობრივი გადანაწილება შემდეგნაირი იყო: 15-20 წელი - 30 პირი (46.2%); 21-30 წელი - კატეგორია - 3 პირი (4.6%) (იხილეთ ცხრილი 3 - გამოკითხულ პირთა ასაკობრივი განაწილება). სქესის მიხედვით გამოკითხულთა 70.8 % შეადგენდა მდედრობითს (46 პირი), ხოლო 29.2% - მამრობითს (19 პირი) (იხილეთ ცხრილი 4 - გამოსაკითხ პირთა

განაწილება სქესის მიხედვით). განათლების მიხედვით გადანაწილება შემდეგნაირია: უმაღლესი, 27.7% - 18 პირი - ბაკალავრი, 12.3% - 8 პირი - მაგისტრი, 15.4% - 10 პირი - მეცნიერებათა დოქტორი (იხილეთ ცხრილი 5 - გამოიკითხულ პირთა განათლება). ინგლისური ენის კომპეტენციის მიხედვით, განაწილება შემდეგნაირია: A1 – 2 პირი და C2 – 11 პირი (16.9%) (იხილეთ ცხრილი 6 - განაწილება ინგლისური ენის კომპეტენციის მიხედვით). პროფესიული საქმიანობა/მიმართულება დაასახელა 39-მა გამოსაკითხმა პირმა, რომელთა სპექტრიც შემდეგნაირად გამოიყურება: სტუდენტი - 3 პირი, ჟურნალისტი, გრაფიკული დიზაინერი, ინგლისური ენის მასწავლებელი - 6 პირი, ლექტორი - 3 პირი, აბიტურიენტი - 2 პირი, მხატვარი მოდელიორი, დიპლომატიური ატაშე, ექიმი, მოსწავლე - 2 პირი, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი, კადრების მართვის სტაჟორი, მენეჯერი, განათლების სპეციალისტი, ფიზიკოსი, ამჟამად დაუსაქმებელი, აკადემიური მენეჯერი (იხილეთ ცხრილი 7 - პროფესია/საქმიანობის ტიპი).

რაც შეეხება კონკრეტულად ნეოლოგიზმების საკითხს, გამოკითხულთა 52.3%-მა (34 პირმა) კითხვარის შევსებამდე იცოდა ნეოლოგიზმის ცნების და არსის შესახებ, 26.2%-მა (17 პირმა) გამოსაკითხმა მონიშნა პასუხი, რომ მხოლოდ კითხვარის წინაპირობით გაიგო ნეოლოგიზმის, როგორც ლინგვისტური კატეგორიის შესახებ, ხოლო 21.5%-მა (14 პირმა) მიახლოებით იცოდა, თუ რას მოვლენაა ნეოლოგიზმები (იხილეთ ცხრილი 8 - ნეოლოგიზმის, როგორც ფენომენის ცნობადობის მაჩვენებლები). ნეოლოგიზმთა ქართულ ენაში გაჩენასთან დაკავშირებით 73.8%-მა (48 გამოსაკითხმა პირმა) განაცხადა, რომ მათი დამოკიდებულება ნეიტრალურია, 10.8%-მა (7 პირმა) დააფიქსირა აზრი, ნეოლოგიზმების ენაში შემოსვლა დადებითი მოვლენაა, ხოლო 15.4%-მა (10 პირმა) აღნიშნა, რომ მათი გაჩენა ქართულში უარყოფითი მოვლენაა (იხილეთ ცხრილი 9 - გამოსაკითხ პირთა დამოკიდებულება ნეოლოგიზმების ენაში გაჩენასთან). კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად ხვდებიან ქართულში ნეოლოგიზმებს, 60%-მა (39 პირმა) გამოთქვა აზრი, რომ ეს საკმაოდ ხშირად ხდება, 18.5% (12 პირი) მიიჩნევს, რომ ნეოლოგიზმები

ძალიან ხშირად ჩნდება ენაში, 16.9% (11 პირი) აცხადებს, რომ ახალ სიტყვებს ხანდახან ხვდებიან, ხოლო 3.1% (2 პირი) და 1.5% (1 პირი) მიიჩნევენ, რომ ტენდენცია იშვიათი/ძალიან იშვიათია (იხილეთ ცხრილი 10 - ნეოლოგიზმების ენაში შემოსვლის გამოკითხულ პირთა აღქმის სტატისტიკა).

რაც შეეხება საკითხს, თუ რა სფეროებში ხვდებიან ყველაზე ხშირად ნეოლოგიზმებს, ყველაზე მაღალი პროცენტი - 83.1% დაფიქსირდა სოციალური მედიის სფეროზე, შემდეგი იუო ტექნოლოგიები - 56.9%, მესამე ადგილზე იყო პოპ-კულტურა 40 %-ით, 38.5%-ით და 35.4%-ით მე-4 და მე-5 ადგილები გაინაწილეს ეკონომიკა/ბიზნესმა და პოლიტიკამ. მხატვრულ შემოქმედება დააფიქსირა 6.2%-მა, და ერთმა ადამიანმა (1.5%) კატეგორიაში "სხვა" მოხალისეობრივად დაამატა "ყოველდღიური კომუნიკაცია" და "ლინგვისტიკა" (იხილეთ ცხრილი 11 - ნეოლოგიზმების გადანაწილება სფეროების მიხედვით გამოკითხულ პირთა თვალსაზრისით). გამოკითხულ პირთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ - 96.9%-მა (63 პირმა) იცის, რომ დღეს ნეოლოგიზმთა ძირითადი წყარო ინგლისურია, 32.3%-ს (21 პირს) ასევე მიაჩნია, რომ ნეოლოგიზმები ასევე შემოდის რუსულიდან და მხოლოდ 4.6 პროცენტი (3 პირი) აღნიშნავს, რომ ნეოლოგიზმები ასევე შემოდის სხვადასხვა ევროპული ენებიდან (იხილეთ ცხრილი 12 - ნეოლოგიზმების წყარო ენა ქართულისთვის).

რაც შეეხება კონკრეტული ნიმუშების ცნობადობას, პოლიტიკური ნეოლოგიზმების ნაწილში ასეთი შედეგებია: ყველაზე მაღალი პროცენტი - 90 (59 პირი) შეხვდა "ფეიკ ნიუსს", შემდგომი ცნობადობის მიხედვით აღმოჩნდა "დიფსთეითი" – 78.5%-ით (51 პირი), "ტრამპიზმი" (72.3% - 47 პირი), "პუტინოფობია" (67.7% - 44 პირი) და ერთნაირი პროცენტით - "ალტერნატიულ ფაქტებს" (66.2% - 43 პირი), "ტრამპოფობიას" (66.2% - 43 პირი). ასევე საკმაოდ მაღალი ცნობადოდა დაფიქსირდა ისეთ პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში, როგორიცაა "ჰაშტაგ აქტივიზმი (58.5%), "შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია" (56.9%), "ტვიტერ რევოლუცია" (49.2%), "მეგობარი აქტი" (49.2%), "პოლიტიკური კორექტულობა" (47.7%), "ვოუქიზმი" (46.%), "ბრექსიტი" *43.1%), "MAGA - გახადე ამერიკა კვლავ დიდებული" (41.5%) და „ციფრული დიპლომატია" (40%). 30-დან

გადატვირთვის“ პროცენტული მაჩვენებლები, ხოლო დანარჩენი - 30 %ს ქვევით შემდეგი თანმიმდევრობით: „მძინარე ჯო“, „წითელი შტატები“, „ოტერგეიტი“, „დედა გრიზლი“, „ბოროტების ღერძი“, „ქოლგა პარტია“, „სანტექნიკოსი ჯო“ და „ოდისეა, განთიადი“ ბოლო ადგილზე 13.8%-ით (იხილეთ ცხრილი 13).

შემდეგი კითხვების მიხედვით განისაზღვრა გამოკითხულ პირთა არჩევანი ინგლისურიდან ტრანსლიტერაციული გზით შემოსული ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმების და მათივე ქართული, თარგმნითი ეკვივალენტების შეპირისპირების ფონზე. 20 ყველასთვის კარგად ცნობილი, ფართოდ გავრცელებული ცნების შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: „გუგლ თრანსლეითი“ – 89.2%, ხოლო „გუგლის თარჯიმანი“ – 10.8% (ცხრილი 14); „გუგლ ქლაუდი“ – 95.4%, ხოლო „გუგლის მონაცემთა ღრუბელი“ - მხოლოდ 4.6% (ცხრილი 15); „გუგლ ქლასრუმი“ – 73.8%, ხოლო „გუგლის საკლასო ოთახი“ – 26.2% (ცხრილი 16); „სმაილი“ – 89.2%, ხოლო „ღიმილაკი“ – 10.8% ხოლო „ნაკადური გადაცემა“ – 7.7% (ცხრილი 19); „მეტავერსი“ – 47.7%, ხოლო „მეტასამყარო“ – 52.3% (ცხრილი 20); „სოფტი“ – 46.2%, ხოლო „პროგრამული უზრუნველყოფა/პროგრამა“ – 53.8% (ცხრილი 21); „ჰეშთეგი/ჰაშტაგი“ – 93.8%, ხოლო „თემსაკვეთი“ – 6.2% (ცხრილი 22); „სმარტფონი“ – 93.8%, ხოლო „ჭკვიანი ტელეფონი“ – „სქრინ.სკინ პროტექტორი“ – 15.4%, ხოლო „ეკრანის დამცავი“ – 84.6% (ცხრილი 25); „თაჩსქრინი“ – 56.9%, ხოლო „სენსორული ეკრანი“ – 43.1% (ცხრილი 26); „ეი-აი“ – 33.8%, ხოლო „ხელოვნური ინტელექტი“ – 66.2% (ცხრილი 27); „კიბერ ბულინგი“ – 90%, ხოლო „კიბერ ჩაგვრა“ – 9.2% (ცხრილი 28); „ნეტიზენი“ – 32.3%, ხოლო „ციფრული მოქალაქე“ – ფეიქი’ – 76.9%, ხოლო „ღრმა სიყალბე“ – 23.1% (ცხრილი 31); „აი-ტი“ – 72.3%, ხოლო „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ – 27.7% (ცხრილი 32); „5G” – 86.2%, ხოლო „მეხუთე თაობა“ – 13.8% (ცხრილი 33). პასუხად, თუ რამ განაპირობა მოცემული ფორმებიდან ერთ-ერთის არჩევა, 61.5%-მა მონიშნა პასუხი, რომლის მიხადვითაც ქართული შრიფტით ინგლისური ფორმის გადმოტანა მათთვის უფრო მისაღებია, ხოლო 38.5%-მა კი აირჩია

მეორე პასუხი, რომ ქართული ფორმის არსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია მისი გამოყენება (ცხრილი 34).

შემდეგი კითხვების მიხედვით, ვადგენთ, თუ როგორი ფონეტიკური ვარიანტია გამოსაკითხ პირთათვის უფრო მისაღები. აქ პასუხები შემდეგნაირად განაწილდა: „უოტერგეიტი“ – 16.9%, ხოლო „უოთერგეითი“ – 83.1% (ცხრილი 35); „ლინკი“ – 93.8%, ხოლო „ლინქი“ – 6.2% (ცხრილი 36); „პრომპტი“ – 44.6%, ხოლო „ფრომფთი“ – 55.4% ცხრილი 37); „სკროლინგი“ – 6.2%, ხოლო „სქროლინგი - 93.8% (ცხრილი 38); „სტრიმინგი“ – 55.4%, ხოლო „სთრიმინგი“ – 44.6% (ცხრილი 38); „ჰაშტაგი“ – 10.8%, ხოლო „ჰეშთეგი“ – ცხრილი 39); „სკრინსეივერი“ – 9.2%, ხოლო „სქრინსეივერი“ – 90.8% (ცხრილი 40); „ჩატ ჯიპიტი“ – 78.5%, ხოლო „ჩეთ ჯიფითი“ – 21/5% (ცხრილი 41); „კიბერ ბულინგი“ – 76/9%. ხოლო „საიბერ ბულინგი - 23.1% (ცხრილი 42); „პოდკასტი“ – 89.2%, ხოლო „ფოდქასთი“ – ცხრილი 43).

ორი ვარიანტიდან ერთ-ერთის არჩევის მიზეზად 38.5% მიიჩნევს, რომ ქართულში დამკვიდრებული ფორმები აირჩია, 30.8% - რომ სიტყვა ისე უნდა გამოითქვას ქართულში, როგორც ინგლისურში ჟღერს, ხოლო დანარჩენი 30.8% მიიჩნევს, რომ ერთი ვარიანტის შერჩევის მიუხედავად, ორივე მოცემული ფორმა მისაღებია (ცხრილი 44). კითხვაზე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ მაშინ, როცა საჭირო ცნების აღსანიშნავად ქართული შესატყვისი არ გვაქვს, 52.3%-მა მონიშნა პასური, რომ სიტყვა უნდა დარჩეს ინგლისური და შრიფტი შეიცვალოს ქართულით (ტრანსლიტერაცია), 36.9% მიიჩნევს, რომ აუცილებლად უნდა მოვძებნოთ ან გამოვიგონოთ ქართული შესატყვისი, ხოლო არის პრობლემა (ცხრილი 45). კითხვაზე, თუ რატომ შეიძლება, არ იცოდნენ კონკრეტული ნეოლოგიზმის ქართულ ენაზე არსებობის შესახებ, 72.3% მიიჩნევს, რომ ასეთი ფორმების შესახებ ინფორმაცია არასაკმარისი რაოდენობით მიეწოდებათ, ე.ი. ხელი არ მიუწვდებათ მათზე, ხოლო 27.7% აცხადებს, რომ უბრალოდ არ დაინტერესებულა ქართული ფორმების არსებობით ან არ სჭირდება მათი მოძიება (ცხრილი 46). იმ შემთხვევაში, თუ ქართული ვარიანტი არსებობს, 41.5% მიიჩნევს, რომ უნდა გამოვიყენოთ ქართული,

დამაბნეველია, ხოლო 47.7%-ს აზრით პრობლემა არ არის ფორმათა პარალელური გამოყენებაც (ცხრილი 47).

რაც შეეხება ქართულ ტექსტში ინგლისური შრიფტის გამოყენებასთან დამოკიდებულებას, 18.5% ფიქრობს, რომ ეს სრულიად მიუღებელია, 40%-ს არ აქვს კონკრეტული მოსაზრება ამასთან დაკავშირებით, ხოლო 41.5% მიიჩნევს, რომ ინგლისური შრიფტის გამოყენება მისაღებია და ზოფ შემთხვევაში, საჭიროც კი სიზუსტის და მოსახერხებლობის თვალსაზრისით (ცხრილი 48).

„ნეთსფიქის' აკრონიმებიდან, როგორც მოსალოდნელი იყო, პოპულარობით ლიდერ პოზიციაზე აღმოჩნდა „OMG" და „LOL" თანაბარი 96.9%-ით, ასევე ცნობადებს შორის იყო BTW (86.2%), ASAP (81.5%(, POV (78.5%) და IDK (75.4%) (ცხრილი 49). მათი მიმოწერაში გამოყენების თვალსაზრისით, 43.1% აფიქსირებს, რომ იყენებენ ინგლისურ აკრონიმებს, 15.4%-მა მონიშნა პასუხი - „არა", ხოლო 41.5%-მა კი, რომ იყენებს, თუმცა ძალიან იშვიათად (ცხრილი 50).

ვირტუალური სივრცის ბარბარიზმებთან დაკავშირებით (დალაიქება, დათაგვა, ასქროლვა და ა.შ) აზრები შემდეგნაირად გაიყო: 36.9%ს მიაჩნია, რომ ეს სიტყვები ნეოლოგიზმებია და, შესაბამისად, საჭიროა ქართულში, 30.8%-სთვის ეს სიტყვები ბარბარიზმებია, თუმცა საჭირო ცნებებს გამოხატავს და უნდა არსებობდეს ქართულშიც, დაფიქსირდა თითო ადამიანის გაცემული შემდეგი პასუხები კატეგორიაში „სხვა": 1) ეს სიტყვები ბარბარიზმებია, აქვს შესატყვისები ქართულად, მაგრამ ასე უფრო კომფორტულია და "სახიფათოდ" არ მივიჩნევ; 2) გააჩნია ენის სასაუბრო დისკურსს ეხება თუ წერითს; 3) ენისთვის საფრთხეს წარმოადგენს და აბინძურებს, თუმცა მეც ხშირად ვიყენებ, რადგან ქართული შესატყვისი უხერხული გამოსაყენებელია; 4) არ ვფიქრობ, რომ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ არ ვთვლი რომ მისი გამოყენება საჭიროა; 5) ვთვლი რომ უმეტესობა ბარბარიზმების და ნეოლოგიზმების ქართული შესატყვისი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ არსებობს არაჟღერადი ან მოუხერხებელი ქართული თარგმანები და მათი გამოყენება ძალიან რთულია. მაგ.: "ხელწრუწუნა", იგივე "მაუსი"

(ცხრილი 51). ხოლო მათი გამოყენების სფეროსთან დაკავშირებით, 55.4% აცხადებს, რომ ამ ბარბარიზმებს იყენებს მხოლოდ ინტერნეტთად და კომპიუტერთან კავშირში, 41.5% ამბობს, რომ მაშინაც კი იყენებენ, როცა საქმე არ ეხება თანამედროვე ტექნოლოგიებს, ასევე რეაპონდენტის ჩამატებული 2 პასუხი (ჯამში 3%), რომ გააჩნია სიტუაციას (ცხრილი 52).

საერთაშორისო სტატუსის სიტყვებთან დაკავშირებით, 26.2% მიიჩნევს, რომ ისინი ამდიდრებს ენას, 24.6% - რომ ასეთი სიტყვების შემოსვლა ქართულში მისაღებია მაში, როცა შესატყვისი ქართული არ არსებობს, 47.7% ფიქრობს, რომ პრობლემა არ არის, თუ ისინი ქართული ფორმების პარალელურად იარსებებენ, და კვლავ დარჩენილი ერთი ადამიანი (1.5%) კატეგორიაში "სხვა" აღნიშნავს, რომ "საერთაშორისო სიტყვების დამკვიდრება ენაში უარყოფითი მოვლენაა, რადგან ეს აღარიბებს ქართულ ენას, ამ სიტყვებისთვის უნდა შეიქმნას ქართული ფუძეებით შექმნილი ვარიანტები" (ცხრილი 53).

რაც შეეხება კითხვას, ფიქრობენ თუ არა, რომ "უცხო სიტყვათა: ენაში დამკვიდრების პარალელურად, ქართულიდან გაქრა ქართული ფუძის სიტყვები, 60% დადებითად პასუხობა ("დიახ"), 12.3% მიიჩნევს, რომ ასე არ მომხდარა, ხოლო 27.7% არ აქვს კონკრეტული პასუხი, რადგან არ სმენიათ ამის შესახებ (ცხრილი 54). შემდგომ, რესპონდენტებს ქართული ენიდან გამქრალი 15 სიტყვიდან უნდა მოენიშნათ ისინი, რომლებიც არ სმენიათ (ნასხვაური - ვერსია, წინათგანძრახულება - ტენდენცია, მიბრჯნილობა - ფანატიზმი, წინმსვლელობა - პროგრესი, განკერძოვებული - სპეციალური, წანახედი - დეფექტი, მოხეშილი - მოქნილი, მედრეკი - ელასტიკური, ქვებუდანი - ინტრიგანი, განმარცვლა - გაკრიტიკება, თარჯი - ბარიერი, ხერგილი - ბარიკადი, მიმოწვლილვა - ანალიზი, ეჩოკაცი - ეგოისტი, სწორწონა - ბალანსი). როგორც მოსალოდნელი იყო, მოინიშნა ყველა სიტყვა, მათ შორის, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლებით "ეჩოკაცი" (67.7%), "მოხეშილი" (66.2%), "ქვებუდანი" (63.1%), "ნასხვაური" (61.5%) და "თარჯი" (55.4%) (ცხრილი 55).

აცნობიერებენ თუ არა ნეოლოგიზმების მხრიდან ქართული ენის წინაშე მდგარ საფრთხეს, 60%ს პასუხი იყო, რომ გარკვეულწილად ხედავენ საფრთხეს, თუმცა არა მნიშვნელოვანს; 35.4% მიიჩნევს, რომ საფრთხე რეალურია და საკითხს სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. 4.6% კი საფრთხეს საერთოდ ვერ ხედავს ნეოლოგიზმების გაჩენაში (ცხრილი 56).

რაც შეეხება პოლო კითხვას, რომლის მიხედვითაც რესპოდენტებმა უნდა მონიშნონ ერთი ან რამდენიმე პასუხისმგებელი ინსტიტუცია, რომლის მხრიდანაც მისაღები ზომები ნეოლოგიზმების საკითხის და მათთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად, 12.3% მიიჩნევს, რომ პრობლემა საერთოდ არ არსებობს, 21.5.%-ს აზრით, საკითხს ხელისუფლებამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა მიხედონ, 52.3%-ს აზრით ეს ხელეწიფებათ ენათმეცნიერენის ინსტიტუტს და სხვა ლინგვისტური კვლევების ინსტიტუციებს, 61.5% მიიჩნევს, რომ ეს საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეა, და ყველაზე მეტი - 67.7% მიიჩნევს, რომ საკითხის მოგვარება შეუძლია მედიას, ტელევიზიებს, და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს (ცხრილი 57).

4.7.3 კითხვარის შედეგების შემაჯამებელი ანალიზი

რესპონდენტთა გამოკითხვის შედეგების ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

კითხვარის დასაწყისში წარმოვადგინეთ ნეოლოგიზმების, როგორც ლინგვისტური მოვლენის განმარტება ყველასთვის, რათა თვით ტერმინი „ნეოლოგიზმის“ არასწორი ინტერპრეტაცია აგვერიდებინა თავიდან. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ენაში ახალი ერთეულების შემოსვლა-დამკვიდრების ტენდენციების შესახებ გამოკითხულთა დიდმა უმრავლესობამ (75%-მდე) კითხვარის შევსებამდეც იცოდა, და შესაბამისად,მათთვის გასაგები იყო, თუ რა ფენომენს ეხებოდა კვლევა. მათი დამოკიდებულება ახალი ენობრივი ელემენტების ენაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით იყო უპირატესად ნეიტრალური, რაც, ჩვენი აზრით, მიანიშნებს იმაზე, რომ მოვლენის აღქმა ადეკვატურია, არ ჩანს გამოკითხულთა მხრიდან არც ზედმეტი

ენთუზიაზმი, და არც მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება თანამედროვეობის თანმდევი ამ მოვლენის მიმართ. ასევე დიდმა უმრავლესობამ გამოთქვა აზრი (80%-მდე), რომ ხშირად ან ძალიან ხშირად ხვდებიან ნეოლოგიზმებს ქართულში და რომ ენაში შემოსული ნეოლოგიზმები დღესდღეობით ინგლისური წარმოშობის სიტყვებია (97%)

გამოკითხულთა 80%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ნეოლოგიზმთა ძირითადი წყარო სოციალური მედია/ქსელები და ტექნოლოგიებია. შედარებით ნაკლებს (დაახლოებით შემთხვევაში, პასუხი მონიშნულია 41+ (41-50; 50+) ასაკობრივი კატეგორიების მიერ გამოწვეულია ამ თაობების საერთაშორისო პოლიტიკური მოვლენების და სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების მიმართ მეტი დაინტერესებით. კონკრეტული პოლიტიკური ნეოლოგიზმების ცნობადობის თვალსაზრისით, ლიდეროზს „ფეიკ ნიუსი/ყალბი ამბები“ (90%), რომელიც უკვე პოლიტიკური ტერმინია და გამოიყენება სხვადასხვა ქვეყნების და სიტუაციების კონტექსტებში, ასევე ძალიან მაღალი პროცენტი აქვს „ დიფსთეითს“ (78.5%), რაც ცალსახად ბოლო პერიოდში ქართული პოლიტიკური დაპირისპირების და ამ თემის სატელევიზიო სივრცეში მუდმივი განხილვის შედეგია. მესამე ადგილზე აღმოჩნდა „ტრამპიზმი“ (72,3%), რაც ასევე ტრამპის ფიგურის ყველა პოლიტიკურ კონტექსტში აქტიური ჩართულობის შედეგია, მათ შორის, საქართველოსთან მიმართებაშიც. იგივე შეგვიძლა ვთქვათ „ტრამპოფობიის“ და „პუტინოფობიის“ ცნობადობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე (66-67%). საშუალო დონის ცნობადობა აქვს გემოკითხულ პირთა შორის (+/-50%) ე.წ.“ჰეშთეგ აქტივიზმის“ მოვლენებს („ტვიტერ რევოლუცია’, „შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია“, „ვოუქიზმი“), ხოლო მხოლოდ ამერიკულ პოლიტიკურ კონტექსტთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები (მაგ.: წითელი შტატები, დედა გრიზლი, ოდისეა განთიადი, ბოროტების ღერძი და ა.შ) საკმაოდ დაბალ ცნობადობას აჩვენებს. ეს ნიშნავს, რომ გატერმინებული, ამერიკის კონტექსტიდან მსოფლიო კონტექსტში გადატანილი, დღესდღეობით აქტუალურ თემებთან დაკავშირებული ნეოლოგიზმები გაცილებით პოპულარულია, რაც სრულიად მოსალოდნელი იყო. თუმცა, ქართულ ენაზე გავლენის მოხდენის

თვალსაზრისით, ამ სეგმენტს ენობრივი სურათის შეცვლა არ შეუძლია, რადგან ვიწრო პოლიტიკური კონტექსტის ტერმინებია, რაც მათ შემდგომი მოდიფიკაციებს ნაკლებ სავარაუდოს ხდის იმის პარალელურად, რომ მათი ცნობადობაც არ არის მაღალი.

უფრო საინტერესოა ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმების გამოკითხვის შედეგები, სადაც პირველ ეტაპზე, 20 ტრანსლიტერაციული და მათი პარალელური ნასესხები თარგმანით გადმოტანილი ვარიანტების შერჩევისას 14 ნეოლოგიზმის შემთხვევაში გამოკითხულთა უმრავლესობამ ტრანსლიტერაციულ ვარიანტს მიანიჭა უპირატესობა და პარალელურად აღნიშნა, რომ ქართული შრიფტით ინგლისური ვარიანტის გამდოტანა უფრო მისაღებია მათთვის. დანარჩენ 6 შემთხვევაში, რომლებშიც გამოკითხულთა უმრავლესობამ ქართული ნასესხები თარგმანი აირჩია, გამოიკვეთა ასეთი ტენდენცია: ტერმინები, რომელთაც ციფრული რევოლუციის საწყის ეტაპზევე მოეძებნათ ქართული შესატყვისი იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი ინტერნეტის აღორძინებამდეც არსებობდა ენაში, დამკვიდრდა ქართულად (მაგ.: screen - ეკრანი, digital - ციფრული, artificial - ხელოვნური). შესაბამისად, მათ საფუძველზე წარმოქმნილი ორსიტყვიანი კომპოზიტებიც (რომლებიც ინგლისურშიც სემანტიკური გაფართოებით მიიღება) ქართული ნასესხები თარგმანით დამკვიდრდა (screen protector - ეკრანის დამცავი, artificial intelligence - ხელოვნური ინტელექტი, netizen - ციფრული მოქალაქე (აქ მოხერხებულად ჩანაცვლდა „Net “ “ციფრულით“, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო ქართული ტერმინის დამკვიდრების თვალსაზრისით). უფრო რთულია იგივე ინგლისური ნეოლოგიზმების შემდგომი მოდიფიკაციისას ერთ სიტყვად გაერთიანებული კომპოზიტების და პორტმანტოების ქართული შესატყვისის გამყარება “თაჩსქრინი“ და ნაკლებ პოპულარული „სენსორული ეკრანი“, რაზეც ნიმუშების ანალიზის დროსაც ვისაუბრეთ. როგორც ჩანს, ასეთი სიტყვების შემთხვევაში, ენის მომხმარებლის არჩევანი ისევ ტრანსლიტერაციულ ვარიანტზე ჩერდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით არ გამოიკვეთება, რომ რომელიმე ერთი ასაკობრივი ჯგუფი ანიჭებდეს ქართულ ნასესხებ თარგმანს უპირატესობას. მოსალოდნელი იყო, რომ ქართული ფორმების შერჩევისას 41+

ასაკობრივი ჯგუფები დააფიქსირებდნენ აზრს, რომ ქართული უნდა იყოს უპირატესი, თუმცა, 41+ ორი ჯგუფში (12 და 3 გამოსაკითხი პირი) 15 ადამიანიდან მხოლოდ 8-მ მონიშნა პასუხი, რომ მნიშვნელოვანია ქართული ფორმების დამკვიდრება.

გამოთქმის თვალსაზრისით ორი ალტერნატივიდან არჩევის ტენდენციებში (სწორად გადმოტანილი ტრანსლიტერაციული ფორმა, მაგალითად, "სკრინსეივერი" და ინგლისურ გამოთქმას დამთხვეული „სქრინსეივერი") ასევე არ გამოიკვეთება ასაკობრივი თვალსაზრისით რომელიმე ერთი ვარიანტის უპირატესობა. 10 მოცემული ნიმუშიდან 5 შემთხვევაში გამოკითხულთა უმეტესობამ აირჩია ინგლისური გამოთქმის იდენტური ფორმები (მაგ.: „უოთერგეითი" და არა „უოტერგეიტი", „სქროლინგი" და არა „სკროლინგი", „ჰეშთეგი" და არა „ჰაშტაგი"). აქ ასევე დავაკვირდით ინგლისურის ცოდნის კომპეტენციას გამოსაკითხთა შორის და იმ პასუხებშიც, რომლებიც A1, A2, და B1 დონის პირებს ეკუთვნოდათ, სურათი იგივე იყო, რაც ინგლისურის ენის მაღალი კომპეტენციის პირებში. პასუხების მიხედვით კი გამოვლინდა, რომ 40%-მდე გამოკითხულ პირს მიაჩნია, რომ ქართულში დამკვიდრებული ფორმა აირჩია, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომში, ტერმინოლოგიურად გამართული ფორმების დამკვიდრებისას, ამ ნაწილს აქვს მზაობა, რომ თავისი ენობრივი გამოხატვის საშუალებებიც სტანდარტს დაუქვემდებაროს. 1/3 მიიჩნევს, რომ სიტყვა უნდა გამოითქვას ისე, როგორც ინგლისურშია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია ტრანსლიტერაციის წესების გადახედვის შემდგომი პერსპექტივისთვის, მით უმეტეს, რომ ენობრივი კომპეტენციების მატებასთან ერთად, ნაკლებ სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია საპირისპირო მიმართულებით შებრუნდეს. დანარჩენი 1/3, რომელიც ირჩევს ერთ ფორმას, თუმცა პრობლემას ვერ ხედავს პარალელური ფორმის არსებობაში, ის კატეგორიაა, რომელიც ასევე მიიჩნევს, რომ პრობლემა არ არსებობს ინგლისური ტრანსლიტერაციული ფორმის და ქართული ნასესხები თარგმანის პარალელურად გამოყენებაში. თუმცა, იგივე კატეგორია, ჩვენი ვარაუდით, ადვილად დაექვემდებარება ერთ სტანდარტს, თუ ამხელა არჩევანი არ იარესებს ფორმათა თვალსაზრისით.

ტრანსლიტერაციული ფორმების სიმრავლის ფონზე გამოკითხულთა ინერტულ დამოკიდებულებას გამოხატავს პასუხი შემდეგ კითხვაზე, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ

იმ შემთხვევაში, თუ სიტყვის ქართული შესატყვისი არ არსებობს. ის, რომ 50%-ზე მეტი მიიჩნევს, რომ ინგლისური სიტყვა ქართულად უნდა გადმოვიტანოთ მხოლოდ, მიანიშნებს იმაზე, რომ ასეთ ფორმებს ენისთვის საფრთხედ ვერ აღიქვამენ. ასევე მაღალია იმ გამოკითხულთა პროცენტი, რომელიც ქართული და ინგლისური შრიფტების შერევაში პრობლემას ვერ ხედავს და ხანდახან საჭიროდაც კი მიიჩნევს ასეთ შერევას სიზუსტისათვის (40%), იმის პარალელურად, რომ კიდევ ერთ ამდენს არ აქვს კონკრეტული მოსაზრება შრიფტების შერევასთან დაკავშირებით და მხოლოდ 18.5 % მიაჩნია ანბანების აღრევა პრობლემად. კონკრეტულად ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ინფორმირების თვალსაზრისით საკმაოდ ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. თუმცა, იმედისმომცემია ის, რომ ქართული ფორმების შესახებ არცოდნის ძირითად მიზეზად სახელდება არასაკმარისი ინფორმაცია მათ შესახებ (70%-ზე მეტი), რომ ინგლისური და ქართული პარალელური ფორმების შემთხვევაში ქართული ფორმების გამოყენებას რეკომენდებულად მიიჩნევს 41.5% და რომ 95% მეტ-ნაკლებად აცნობიერებს ნეოლოგიზმების მხრიდან ქართული ენის წინაშე მდგარ საფრთხეს (35.4% + 60%). მიგვაჩნია, რომ სწორად გატარებული ენობრივი პოლიტიკის, საგანმანათლებლო საქმიანობის შემთხვევაში ეს მონაცემები კარგი საფუძველია, რომ ენის ნორმალიზება წარმატებით განხორციელდეს.

რაც შეეხება სემანტიკური ნეოლოგიზმების საფუძველზე აღმოცენებულ ბარბარიზმებს (დაბუქმარქება, დალაიქება, და ა.შ), 36.9 % მიიჩნევს, რომ ისინი საჭირო ნეოლოგიზმებია, და დანარჩენი 63.1% აცნობიერებს, რომ ისინი ბარბარიზმებია. აქედან დაახლოებით 25 % თვლის, რომ რისკი არსებობს, ხოლო ყველა დანარჩენს (ე.ი. მთელი გამოსაკითხი ჯგუფის 75%-ს) საჭირო მოვლენად მიაჩნიათ ასეთი სიტყვები. ვფიქრობთ, აქ გასატარებელია სამუშაო, რომელიც უზრუნველყოფს ასეთი სიტყვების მაქსიმალურ შეზღუდვას, განსაკუთრებით იმ სეგმენტის შემთხვევაში, რომელნიც აცხადებენ, რომ ასეთ ლექსიკას ინტერნეტის და ვირტუალური სივრცის მოვლენებისგან დამოუკიდებელ კონტექსტშიც იყენებენ (41.5%).

მნიშვნელოვანია ასევე გამოსაკითხ პირთა დამოკიდებულება ე.წ. „საერთაშორისო სიტყვების“ მიმართ. მათი მხოლოდ 24.6 % აცნობიერებს, რომ „საერთაშორისო

სიტყვების“ ენაში დამკვიდრება შესაძლოა, პრობლემა იყოს ქართულისთვის. გამოსაკითხ პირთა დაახლოებით მეოთხედს მიაჩნია, რომ ქართული მდიდრდება მათი შემოსვლით, ხოლო თითქმის ნახევარი მიიჩნევს, რომ მათი თანაარსებობა ქართულ ფორმებთან არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს. თუმცა, პარალელურად 60 % მიიჩნევს, რომ ქართული ენიდან მათ გამო ქართული სიტყვები დაკარგულია. შესაბამისად, ამ მხრივ სხვა ტიპის სამუშაოა გასატარებელი იმისათვის, რომ ქართულ ფუძეთა ენაში შენარჩუნების მნიშვნელობის სიღრმისეული გააზრება მოხდეს. საერთაშორისო სიტყვების მიერ ჩანაცვლებული ქართული სიტყვების სიაში კი უცნობ სიტყვებად 15-დან მოინიშნა 15-ვე (შედარებით უკეთესი ცნობადობა ჰქონდა შემდეგ სიტყვებს: განკერძოვებული, წინმსვლელობა, წინათგანძრახულება. ყველაზე ნეკლებ ცნობადებს შორის იყო:ეჩოკაცი, ქვებუდანი, მოხეშილი), რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნეოლოგიზმები ატარებენ ავთენტური ქართული ფორმების ჩანაცვლების მაღალ რისკს.

რაც შეეხება ბოლო კითხვას, რომლის მიხედვითაც გამოსაკითხ პირებს უნდა გამოევლინათ, თუ ვინ შეიძლება ამ ტიპის ენობრივი საკითხები წარმატებით მოაგვაროს, დიდი უმრავლესობა (66.2%) მიიჩნევს, რომ ყველაზე უკეთ ამას თავს გაართმევს მედია, ტელევიზია და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები. შემდეგ მოდის (61.5%-ით) საგანმანათლებლო დაწესებულებები და მესამე ადგილზეა (52.3%) ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ლინგვისტური კვლევების სხვა ცენტრები. გამოსაკითხ პირებს საკმაოდ კარგად ესმით, თუ რა პროცედურები უნდა ჩატარდეს და რა მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ ისინი სათანადოდ იაზრებენ, რომ ლინგვისტურად სწორი, ენათმეცნიერების მიერ შემუშავებული ფორმები შეიძლება წარმატებით დაინერგოს ყველა ტიპის მედია საშუალებებით და რომ ასევე აუცილებელია ამ პრობლემატიკის შესახებ სკოლებში და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში საკითხის დაყენება მასზე შემდგომი მუშაობის მიზნით..

მთლიანობაში, კითხვარის შედეგები, რამდენიმე ნაკლებ სასიამოვნო ტენდენციის მიუხედავად, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დროული ჩარევის, მიზნობრივად შერჩეული სწორი ზომების მიღების შემთხვევაში, ქართული ენის შემდგომი განვითარება სრულიად შესაძლებელია, სწორ მიმართულებას დაუბრუნდეს.

დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში სისტემურად განვიხილეთ 21-ე საუკუნის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ლინგვისტური გამოწვევის, ინგლისური ნეოლოგიზმების საკითხი, რომელთა სწრაფი გავრცელება და სხვადასხვა ენებში მათ გადატანასთან დაკავშირებული პრობლემები ერთ-ერთი პირველთაგანია მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე, განვითარებული ქვეყნებისთვის, რადგან ინგლისურის ჰეგემონიის ფონზე აშკარად დგას მცირერიცხოვანი ერების ენებში ავთენტური სტანდარტების შენარჩუნების პრობლემა. კვლევის საფუძველზე, ვადასტურებთ, რომ ინგლისური ნეოლოგიზმების ქართულ ენაში მოზღვავება ასევე პრობლემურია ქართული ენისთვის და სოციალურ-პოლიტიკური მიზეზების და საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად ქვეყანაში არსებული სისტემური პრობლემების გამო, ისედაც საკმაოდ დაგვიანებული ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვის და წარმართვის პროცესი დღეს ერთ-ერთი უპირველესი უნდა იყოს იმისათვის, რომ როგორც გამართული, შემდგარი ქვეყანა, ჩავდგეთ მოწინავეთა შორის, რადგან თანამედროვე

მსოფლიო რეალობაში სრულფასოვანი საერთაშორისო თუ სამეცნიერო ფუნქციონირება შეუძლებელია გამართული ენობრივი სტანდარტების გარეშე.

კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს: 1) თანამედროვე ინგლისური ნეოლოგიზმების ორი ყველაზე მოცულობითი სეგმენტის, პოლიტიკური და ვირტუალური (ინტერნეტის) ნეოლოგიზმების სისტემურ კვლევას და ანალიზს; 2) წასრულის გამოცდილებაზე დაკვირვებას, მე-20 საუკუნეში ნეოლოგიზმების, იგივე „უცხო სიტყვათა“ სტატუსით ქართულში შემოსული ლექსიკის სისტემურ შესწავლას შესაბამისი ლექსიკონების ანალიზით და შედეგების გამოვლენას; 3) ქართულად (მშობლიური ენა) მოსაუბრე გამოსაკითხ პირთა მიერ კვლევის წინა ეტაპებზე გამოკვეთილ კითხვარზე პასუხების მიხედვით, არსებული მდგომარეობის შეფასებას და შემდგომი პერსპექტივების გამოკვეთას.

პოლიტიკური და ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმების შეპირისპირების ფონზე, იკვეთება, რომ ქართული ენისთვის გაცილებით დიდი პრობლემაა სწორედ ვირტუალური სივრცის და ტექნოლოგიური ნეოლოგიზმები, რამდენადაც მოსახლეობაში ფორმათა გავრცელების თვალსაზრისით, ცალსახად იკვეთება, რომ ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმებს გაცილებით დიდი აუდიტორია და მომხმარებელი ჰყავს და ქართულში გადმოტანი; ფორმათა თვალსაზრისითაც გაცილებით მეტ სიჭრელეს და სტანდარტიზებას მოკლებულ ფორმებს აჩვენებს, ვიდრე პოლიტიკურ ნეოლოგიზმები, რომელიც თავის ვიწრო სფეროში ფუნქციონირებს და გაცილებით უფრო მოწესრიგებულია, მეორე ჯგუფთან შედარებით, მით უმეტეს, რომ ქართულში ძირითადად შემოდის ის ფორმები, რომელთაც ან დიდი გამოხმაურება აქვს მსოფლიო მასშტაბით, ან რაიმე კუთხით კავშირშია ჩვენს ქვეყანასთან.

პოლიტიკური ნეოლოგიზმების მოკლე შეჯამება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: პოლიტიკური ნეოლოგიზმები ხშირ შემთხვევაში გამოყოფენ პრიორიტეტულ მიმართულებებს და აქტუალურ საკითხებს; ისინი მრავალჯერადი გამოყენების საფუძველზე ხდებიან არა მარტო ენობრივი ელემენტები კონკრედული დენოტატით, არამედ ემსახურებიან მასების მართვის, მათი მანიპულირების, მათთვის

კონკრეტული იდეოლოგიის, მოსაზრებების თავს მოხვევის დანიშნულებას და აუცილებლად აქვთ მკვეთრად დადებითი, ან მკვეთრად უარყოფითი, ირონიული დაცინვის და შეურაცხყოფის) ან ევფემისტური (შენიღბვის, შელამაზების) შინაარსი და ფორმა, რომელიც ნაცნობია და ალუზიურად უკავშირდება სხვა პოლიტიკურ ან ისტორიულ მოვლენას. პოლიტიკური ნეოლოგიზმების გავრცელების მასშტაბები მისი აღსაწერი ცნების ან მოვლენის მასშტაბებზეა დამოკიდებული და თუ ცნებამ მსოფლიო მოიცვა, ის „ინტერნაციონალიზმად“ იქცევა. მათი კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ერთი ფორმის ანალოგიით სხვა მსგავსი ფორმების წარმოება. თუმცა, თარგმანის თვალსაზრისით, პირველი/საწყისი ფორმის შემდგომ, იშვიათად ვრცელდება მის საფუძველზე წარმოქმნილი ახლი ფორმები.

რაც შეეხება ვირტუალურ ნეოლოგიზმებს, რამდენადაც ეს სფერო ძალზედ სწრაფად ვითარდება და ივსება ახალი გამოგონებების, კონცეფციების აღმნიშვნელი ტერმინებით, მისი სტანდარტიზება და სწორი ტერმინოლოგიური სტრატეგიების შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე რთული გამოწვევაა, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდგომ დაახლოებით 2015 წლამდე ძალიან ბევრი დრო დაიკარგა უსისტემოდ მუშაობაში და ბევრი ცუდი ხარისხის ტერმინი დამკვიდრდა ენაში.

ქართულში პოლიტიკური ნეოლოგიზმების თარგმანი, ძირითად შემთხვევებში, ჟურნალისტების ან თვით პოლიტიკოსების თარმანის საშუალებით ვრცელდება, რადგან იფორმაციის გავრცელების ტემპიდან გამომდინარე, პოლიტიკური ნეოლოგიზმები ვერ აღწევს პროფესიონალ ლინგვისტებამდე. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამის მიუხედავად, თარგმანითი ვარიანტები ძირითადად საკმაოდ კარგია, განსაკუთრებით ორსიტყვიანი კომპოზიტების შემთხვევაში, რადგან ასეთი ნეოლოგიზმები სემანტიკური გაფართოების ან მეტაფორიზაციის საშუალებით იქმნიან ახალ მნიშვნელობას და ქართული ვარიანტების სტანდარტული ლექსიკური ერთეულების აღიარებული თარგმანებია.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით, პოლიტიკურ ნეოლოგიზმებში გამოვყავით ოთხი, ხოლო ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმებში, ხუთი ძირითადი ჯგუფი თავისი უპირატესი თარგმითი სტრატეგიებით. პოლიტიკური ნეოლოგიზმების ქვეჯგუფებია:

პორტმატო, აკრონიმია, დერივაცია და კომპოზიტები (რომლებშიც პარალელურად სემანტიკური გაფართოებაც აღნიშნება და სემანტიკურ ნეოლოგიზმებს იმიტომ არ მიეკუთვნება, რომ ძირითადად ორ ან სამსიტყვიანი კომბინაციებია). ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმებში მორფოლოგიურ ჯგუფში შედის პორტმანტო, აკრონიმია, დერივაცია, კომპოზიტები, ხოლო სემანტიკური ნეოლოგიზმები ქმნის ცალკე ჯგუფს.

თარგმნის თვალსაზრისით პოლიტიკური ნეოლოგიზმები ნაკლებ პრობლემატურია. აქ გამოიყო შემდეგი სტანდარტები: **ნასესხები თარგმნითი ექვივალენტი** (იგივე **კალკი**) და **პირდაპირი ტრანსლიტერაციული სესხება,** რომელსაც ხშირ შემთხვევაში თან სდევს **ნატურალიზებული ტრანსლიტერაციული თარგმნითი ეკვივალენტის** შექმნის პროცედურა და **აღიარებული თარგმნითი ეკვივალენტი.** ცალკეული სიტყვაწარმოების მოდელის მიხედვით კი, **პორტმანტოს** თარგმნის სტრატეგია **ტრანსლიტერაციული სესხებაა** (მაგ.: უოტერგეიტი); **დერივაციის** შემთხვევაში - **ნატურალიზებული ტრანსლიტერაციული** ვარიანტია წარმოდგენილი მაგ.: ვოუქიზმი); **აკრონიმიის** შემთხვევაში, ორაირი სტანდარტია: აკრონიმის ტრანსლიტერაცია (მაგ.: ფარა) ან **სრული ფორმის აღიარებული თარგმანი** (მაგ.: MAGA - გახადე ამერიკა კვლავ დიდებული); **კომპოზიტების** შემთხვევაში, ორი სიტყვის გაერთიანებით მიღებული ნეოლოგიზმი **ტრანსლიტერაციული თარგმანია** მაგ.:ვოტერგეიტი/ვოთერგეითი), ხოლო ორ ან სამსიტყვიანი კომპოზიტი **აღიარებული თარგმანია** (მაგ.: Empire of Evil - ბოროტების იმპერია).

პოლიტიკური ნეოლოგიზმები არა მარტო თარგმნითი, არამედ ორიგინალური ფორმითაც ხშირად გვხვდება, განსაკუთრებით კი, ბოლო პერიოდის პოლიტიკური დაპირისპირებულობის ფონზე. სიტყვაწარმოება კი ქართული ფუძეების საფუძველზე იმეორებს სტანდარტული მოდელებს და გვაქვს ყველა ზემოთ დასახელებული ჯგუფის ქართული ადგილობრივი ნაირსახეობები (მაგ.: ნაცი - აბრევიაცია, ქოცი - პორტმანტო, საქოცეთი - დერივაცია, ქოც-ტროლები - კომპოზიტი). ქართული პოლიტიკური ნეოლოგიზმების ძირითადი დანიშნულება პოლიტიკური ოპონენტების დამცირება და შეურაცხყოფაა.

ვირტუალური სივრცის ნეოლოგიზმების თარგმნითი ეკვივალენტების წარმოება გაცილებით მეტ სირთულეებს აჩვენებს ქართულ ენაში გადმოტანისას პოლიტიკურთან შედარებით: **სემანტიკური ნეოლოგიზმები** ძირითადად შემოდის აღიარებული თარგმნითი ეკვივალენტით (მაგ.: smile- ღიმილაკი, link - ბმული, google docs - გუგლის დოკუმენტები(ტრანსლიტერაცია+აღიარებული თარგმანი), თუმცა, მომხმარებლებში უფრო პოპულარულია ტრანსლიტერაციული თარგმნითი ვარიანტები (სმაილი, ლინკი, გუგლ დოკსი), განსაკუთრებით მაშინ, როცა ვირტუალური სივრცისთვის დამახასიათებელი სპეციფიური მოვლენების დასახელებაა მიზანი (მაგ.: Zoom - გუგუნი, წუილი; ონლაინ შეხვედრების პლატფორმის შემთხვევაში - ზუმი; phishing/fishing - თევზაობა; ინტერნეტთაღლითობის შემთხვევაში - ფიშინგი).

მორფოლოგიურ ნეოლოგიზმებში, **დერივაციის** შემთხვევაში, **ტრანსლიტერაცია** ძირითადი თარგმნითი სტრატეგიაა. (მაგ.: დოქსინგი, ფიშინგი). **კომპოზიტები** ძირითად **აღიარებული თარგმანით** არის წარმოდგენილი (მაგ.:Smartphone - ჭკვიანი ტელეფონი, ხელოვნური ინტელექტი). თუმცა, თუ სიტყვათა შეერთებასთან ერთად (ერთ სიტყვად გაერთიანებულ კომპოზიტში) კომპოზიტში ასევე დერივაციაცაა წარმოდგენილი, ტერმინი **ტრანსლიტერაციულია** (doomscrolling -დუმსქროლინგი, Catfishing - ქეთფიშინგი). გარკვეული ტიპის ერთსიტყვიანი კომპოზიტებში, თარგმანის სირთულიდან გამომდინარე, გვხვდება **ფუნქციური ეკვივალენტიც,** რაც მისასალმებელი პრაქტიკაა (Touchscreen - სენსპრული ეკრანი, Software - პროგრამული უზრუნველყოფა). თუმცა, მომხმარებელში ასეთი სიტყვების ტრანსლიტერაციული ხშირად უფრო მისაღებია (მაგ.: თაჩსქრინი - გამოკითხვის მიხედვით). ორსიტყვიან კომპოზიტების თარგმნა თითქმის არასოდ წარმოადგენს პრობლემას (cyber bullying - კიბერ ჩაგვრა, digital footprints - ციფრული ნაკვალევი). თუმცა, ისინიც ტრანსლიტარაციული ფორმების პარალელურად არსებობენ.

პოტრმანტოს შემთხვევაში ქართულ თარგმანებში შემადგენელი ნაწილები გაშლილია და წარმოდგენილია აღიარებული თარგმანით (მაგ.: vlog – ვიდეო დღიური). თუმცა, მომხმარებლების მიერ სტატისტიკურად უფრო ხშირია ტრანსლიტერაციული („ვლოგი“) ფორმების გამოყენება. აკრონიმიაც მისდევს იგივე სტანდარტს: დაშლილი

ფორმით აღიარებული თარგმანით ეკვივალენტი, და აკრონიმის სახით - ტრანსლიტერაცია (5G - მეხუთე თაობა ან 5ჯი)

გარდა იმისა, რომ მომხმარებლის მხრიდან თვითნებურად შექმნილი ტრანსლიტერაციული ვარიანტები ვირტუალური ნეოლოგიზმების ყველა ქვეჯგუფშია წარმოდგენილი და ხშირ შემთხვევაში, სტანდარტების მიხედვით შესრულებულ თარგმანთან შედარებით, უპირატეს ფორმასაც წარმოადგენს, არსებობს მეორე პრლბლემაც. ესაა ტექნიკური ხასიათის ტექსტების ინგლისური შრიფტით გადატანილი უთარგმნელი ელემენტებით მასობრივი დაბინძურება, რაც მომხმარებლისთვისაც, როგორც აღმოჩნდა, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაციის დაზუსტებისთვის შესაფერისი ფორმაა. თუმცა, ეს ტენდენცია არღვევს ყველანაირ ნორმას და მომხმარებელს აჩვევს აზრს, რომ მნიშვნელობა არ აქვს რა ენაზე და რა ფორმით, მთავარია, გაიგოს აზრი, რაც ლინგვისტური სტანდარტების თვალსაზრისით, ტრანსლიტერაციული ფორმების სიჭარბის ფონზეც, უფრო დიდი პრობლემაა.

რაც შეეხება ე.წ. „ნეთსფიქის“ აკრონიმიას და ვირტუალური სივრცის ბარბარიზმებს, აქ პირველი (OMG, LOL) ფაქტობრივად არ წარმოადგენს პრობლემას, რადგან განყენებული ფორმებია, რომელსაც არც თუ ისე ხშირად გამოიყენებენ ახალგაზრდა თაობები კერძო საუბრებში, ხოლო ვირტუალური სივრცის ბარბარიზმები დასეივება, სქროლვა) შედარებით უფრო დიდი პრობლემაა, რადგან მომხმარებლის აღქმით, ისინი საჭიროა სრულყოფილი ვირტუალური ურთიერთობისთვის. როგორც აღმოჩნდა, მათი ნაწილი ამ ტიპის ბარბარიზმებს ასევე იყენებს ვირტუალურ სივრცესთან კავშირში არმყოფ მოქმედებებთან მიმართებაში და არსებობს რისკი, რომ ასეთი ტიპის ბარბარიზმები ნორმატიულ ფორმებად ჩამოყალიბდეს შემდგომში (რადგან უკვე თვალსაჩინოა მათი გაზმნავების ტენდენციები).

ტრანსლიტერაციული ფორმების ფონეტიკური სიჭრელის ფონზე, ორივე - პოლიტიკური და ვირტუალური სივრცის - ნეოლოგიზმებში ასევე გამოიკვეთა ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის წესების უგულვებელყოფა და ქართულში ინგლისური გამოთქმის იდენტური ფორმების დამკვიდრების მათალი სტატისტიკა,

რასაც ასევე ადასტურებს რესპონდენტთა კითხვარის შედეგებიც. მხედველობაში გვაქვს ყრუ მკვეთრებისა და ყრუ ფშვინვიერების ურთიერთმონაცვლეობა ერთი და იგივე ფორმებში. K, C, P, T ბგერები ქართულში, ტრანსლიტერაცია-ტრანსკრიფციის წესების მიხედვით, გადმოდის, როგორც კ, პ, ტ. თუმცა, ბოლო პერიოდში, როგორც ზემოთ განხილულ ვარიანტებშიც ჩანს, დასახელებული ყრუ მკვეთრებისა და ყრუ ფშვინვიერების (ფ, თ, ქ) შემცველი პარალელური ვარიანტები თანაარსებობენ (მაგ.; სკროლვა და სქროლვა) და ხშირ შემთხვევაში, ინგლისური ჟღერადობის ვარიანტები დომინირებს. რამდენადაც ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ინგლისური ენის კომპეტენცია სამომავლოდ ქართველებში შემცირდება, ვფიქრობთ, მეტად გაიმყარებს პოზიციებს ავთენტური ინგლისური ჟღერადობის ტრანსლიტარაციული ვარიანტები. შესაბამისად, სიჭრელის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა, რეკომენდებული იყოს ტრანსლიტერაციის წესების ოფიციალურად მიღებული სტანდარტის გადახედვა.

რაც შეეხება მე-4 თავში განხილული „უცხო სიტყვათა“ სამი ლექსიკონის შეპირისპირების საფუძველზე მიღებულ შედეგებს, აქ ტრაექტორია შემდეგნაირია: „უცხო სიტყვები“, თანამედროვე გაგებით, იგივე ნეოლოგიზმები, პირველ ეტაპზე შემოდის ქართულში და ხშირად თანაარსებობს ქართულ ეკვივალენტთან, თუ ასეთი მოიძებნა ენაში. დროთა განმავლობაში, უცხოური ტერმინის პოპულარობის ზრდის პარალელურად, უკანა პლანზე გადადის ქართული შესატყვისის აქტუალობა და განზრახ თუ წინასწარი გეგმის გარეშე, უჩინარდება ლექსიკონებიდან. უკვე ფესვგამდგარი უცხოური ტერმინი/სიტყვა პოპულარობის მწვერვალზე უკვე განმარტებულია ასევე უცხო ენიდან შემოსული სიტყვებით, ან საკუთარი ფუძიდან სიტყვაწარმოების საშუალებით მიღებული ფორმებით (ისე, როგორც მიხეილ ჭაბაშვილის ლექსიკონში ვხვდებით ხშირ შემთხვევაში). შესაბამისად, მკითხველი ქართულის კვალსაც კი ვერ ხედავს ვერსად და ასე, კონკრეტული ცნებების აღსანიშნავად, უცხოური ტერმინი/სიტყვა ხდება ერთადერთო ვარიანტი. ქართულიდან გამქრალი ან სემანტიკური მნიშვნელობით დავიწროებული ფორმები ვნახეთ მე-4 თავში და მრავალი ასეთი ფორმა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დანართში. შესაბამისად, ცხადია, ერთი მხრივ შეიძლება საკითხში ჩაუხედავ მკითხველს ეგონოს, რომ ენა მდიდრდება „საერთაშორისო“ სტატუსის მქონე

უცხო სიტყვებით მაშინ, როცა სინამდვილეში ვკარგავთ ქართული წარმოშობის სიტყვებს. ხშირად ქართულში შემოსული ერთი ფორმიდან მორფოლოგიის წესების გამოყენებით ფორმდება სხვადასხვა მეტყველების ნაწილები (მაგ,; კომუნიკაცია - საკომუნიკარიო, კომუნიკატორი, ვკომუნიცირებ და ა.შ.). თუმცა, როცა ზოგიერთი ფორმის მოუქნელობის გამო ასეთი არსებითის ან ზედსართავის ზმნად გადაქცევა არ ხერხდება, ხდება ამ უცხო სიტყვის და ქართული ზმნის (სადაც მას დამხმარე ზმნის ფუნქციას ანიჭებენ) შეერთებით ანალიზური ზმნის წარმოების ფორმა ინგლისურის ანალოგიით (მაგ.; „კომუნიკაციაში იმყოფება“, „კომენტარი გააკეთა“), და რაც ყველაზე ცუდია, ამ ტიპის წინადადებები, ისევ ანალოგიის გზით, ვრცელდება სხვა, ქართული ფუძეებით ნაწარმოებ წინადადებებზეც აგლუტინაციურ/სინთეზურ ბუნებას და რაც ნამდვილად შეუქმნის სისტემურ პრობლემას ქართულ ენას.

ცხადია, შეუძლებელია, ქვეყანა იყოს თანამედროვე სამყაროს სრულფასოვანი წევრი და პარალელურად, უარი თქვას ნეოლოგიზმების ენაში დამკვიდრებაზე. რა თქმა უნდა, არის და შემდგომშიც იქნება შემთხვევები, როცა გარკვეულ მოგვიწევს გარკვეულ დათმობებზე წასვლა, რადგან ასე უფრო მოსახერხებელია, ან თვითონ ნეოლოგიზმის უნიკალურობის გამო, შეუძლებელია მისი ხარისხიანი თარგმნითი ვარიანტით წარმოდგენა და ტრანსლიტერაცია ერთადერთი მისაღები ფორმაა. თუმცა, ქვეყანას, რომელსაც ტერმინლოგიაზე მუშაობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რომელმაც საბჭოთა პერიოდის პროპაგანდისტული პოლიტიკის ფონზეც შექმნა სხვადასხვა ვიწრო სპეციალობის ტერმინოლოგიის ბაზები, და რომელსაც მშობლიური ენის მოქნილობა საშუალებას აძლევს, სურვილის შემთხვევაში, აწარმოოს მოხდენილი ქართული ფორმები, არ უნდა მიჰყვეს დინებას და აუცილებლად უნდა გამოასწოროს ყველა ის ხარვეზი, რაც ნეოლოგიზმების დიდი ნაკადის უკონტროლო შემოდინებისას დამკვიდრდა ენაში. ამისთვის კი საჭიროა კოორდინირებული მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებს, საგანმანათლებლო ცენტრებს, ლინგვისტური კვლევის ცენტრებს შორის და პარალელურად, მედიის, საკომუნიკაციო არხების მუდმივი, ფართო მასშტაბის ჩართულობა ქართული ფორმების პოპულარიზაციისთვის. კითხვარით გამოვლენილი

რესპონდენტთა მზაობა და 2021-2030 წლის ქართული ენის ნორმალიზაციის ათწლიანი სტრატეგიული გეგმა ამისთვის კარგი წინაპირობაა. მთავარია, შესრულდეს ამ გეგმით გათვალისწინებული პუნქტები - ენის დაცვისა და სპეციალური ენის კომისიების სრულფასოვანი ფუნქციონირება, ტექნოლოგიური და ლექსიკოგრაფიული განვითარების ინიციატივები, და განსაკუთრებით კი, 30 000 ტერმინის შექმნის დაპირება პროექტის დასრულებისთვის. ერთობლივი ძალებით, ერთი შეხედვით ისეთი რთული ლინგვისტური გამოწვევის დაძლევაც შესაძლებელია, როგორიც თანამედროვე სამყაროს ინგლისური ნეოლოგიზმებია,

გამოყენებული ლიტერატურის სია:

ბაშიძე, ი. მეტრეველი რ. ჩიქობავა ა. ძიძიგური შ. ჭაბაშვილი მ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი - ერთტომეული, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, თბილისი,

2. აუსკორიუტე, ა. მანჯგალაძე, მ. ენობრივი პოლიტიკა ლიტვაში (გამოცდილება და პერსპექტივა), ტერმინოლოგიის საკითხები III, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2018, გვ. 3-12
ხვლედიანი, გ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ავტორის გამოცემა, ტფილისი, 1933,

ხვლედიანი, ც. ბურჩაკ-აბრამოვიცი მ. ტერმინოლოგიურ სისტემათა რეგულირების თავისებურებანი საფრანგეთში, ტერმინოლოგიის საკითხები VI,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2024, გვ.9-15

5. ახვლედიანი, ც. საფრანგეთის ლინგვისტური პოლიტიკის ასპექტები XXI საუკუნეში, ტერმინოლოგიის საკითხები I, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2014, გვ. 39-45

ათეშიძე, ნ. ახალი მიმართულები თანამედროვე ტექნოლოგიურ ლექსიკონებში, ტერმინოლოგიის საკითხები IV, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2020, გვ 144-154

7. დათეშიძე, ნ. ლაფაური თ. მუზაშვილი ნ. ოსაძე მ. ტერმინოლოგიის ახალისაერთაშორისო სტანდარტები, ტერმინოლოგიის საკითხები V, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2022-2023, გვ. 83-91

ეთრაძე მ. ქართული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების გზა მიხედვით), ტერმინოლოგიის საკითხები III, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2018, გვ.106-116

ეთრაძე, მ. შვედეთის ტერმინოლოგიური პოლიტიკა და ენობრივი დაგეგმარება, ტერმინოლოგიის საკითხები II, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2016, გვ. 81-91.

მედაშვილი, ი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1904

მედაშვილი, ი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მესამე გამოცემა, გამოცემა სილ.თავართქილაძის, ტფილისი, 1928, 859 გვ.

ობჟანიძე, ი. EMT-ს კომპეტენციების ჩარჩო, ტერმინოლოგიის მართვა და

მთარგმნელობითი ტექნოლოგიები, ტერმინოლოგიის საკითხები IV, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2020, გვ. 259-272

ანტაზარ,ა მ. ტერმინოლოგიური კვლევა საბერძნეთში: მიმოხილვა, გამოწვევები, პერსპექტივები, ტერმინოლოგიის საკითხები VI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2024, გვ. 171-173

აღინაძე, რ. ქართული ტერმინოლოგიური მუშაობის ასპექტები, ტერმინოლოგიის საკითხები V, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,

ხაკაძე, ნ. ტერმინოლოგიური მოდელები პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონის („სიტყვარის“) მიხედვით, ტერმინოლოგიის საკითხები V, 2022-2023, გვ. 379-392

აროსანიძე, ლ. უჯმაჯურიძე ი. ჯგერენაია ე. ქართული ტერმინთსაცავი ტერმინოლოგიის საკითხები III, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2018, გვ.190-198

აროსანიძე, ლ. ქართული ტერმინთბანკი და ტერმინოლოგიური პოლიტიკა საქართველოშიტერმინოლოგიის საკითხები V, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2022-2023, გვ.393-419

ლონტი, ა. ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, ამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983, 277 გვ.

იქობავა, ა. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2008, 183 გვ.

აავა, ს. ქართული ტერმინოლოგიისა და სალიტერატურო ენის კომისიების

მუშაობა 1919-1920 წლების საარქივო მასალების მიხედვით, ტერმინოლოგიის საკითხები VI, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, გვ. 281-299

აავა ს. ტერმინოლოგიის შემუშავების პრინციპები და მათი დაკანონების პროცედურა 1918-1923 წლებში (საარქივო მასალების მიხედვით), ტერმინოლოგიის საკითხები IV, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი,, 2020, გვ. 343-358

აბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, განათლება, თბილისი, 1989, 773 გვ.

ავჭავაძე ი. ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან

„

ანაშვილი მ. განქიქება და განმარცვლა, II, ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე, „დავითნი“, გაზეთი „ივერია“, N165, ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1899

ნობრივი პოლიტიკა საქართველოში: სიტუაციის ანალიზი და კვლევის შედეგები. , თბილისი, 2023, https://tinyurl.com/yt9tnj2e

ასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შ

0

8

geo, J. The Origins and Development of the English Language, Wadsworth Cengage Learning, 2010, 347 p.

mazán, Ruiz E. Orrequia-Barea A. A Corpus Study of Brexit Political Discourse: Exploring Modality through Lexical Modals; Miscelánea: A Journal of English and American Studies, vol 70 (2024); DOI: https://doi.org/10.26754/ojs_misc/mj.20249837

rlow, M. Kemmer S. Usage-Based Models of Language, Cambridge University Press, 2000, 384 p.

ლ

Weaving the Web: The Original Design and Ultimate Destiny of the World Wide Web, Harper Collins, New York, 246 p.

Morphology: A Study of the Relation Between Meaning and Form, John Benjamins Publishing, Jan 1, 1985, 234 p.

Cambridge University Press, 2001, 238 p.

2006, pp. 711-733

oulAnger, J. C. “Sur l’existence des concepts de néologie et de néologisme. Propos sur une paradoxe lexical et historique”, en: Cabré, M. Teresa et al. (ed.) (2010): Actes del I Congrés Internacional de Neologia de les Llengües Romàniques (CINEO). Barcelona: IULA, p. 31-74.

37. Cabré, M.T. Terminology: Theory, Methods and Applications, Philadelphia, John Benjamins Publishing Company, 1999, 248 p.
38. Cabré, M.T. La Neologia: un nou Camp a la Cerca de la Seva Consolidació Científica, Caplletra 59, 2015, pp. 125-136, DOI: 10.7203/Caplletra.59.6904
39. Cabré, M. T. Estopà Bagot, R. Vargas Sierra C. Neology in specialized communication, Terminology, Volume 12, number 1, John Benjamins Publishing Company Amsterdam / Philadelphia, 2012, pp.1-9
40. Chomsky, N. Necessary Illusions, Thought Control in Democratic Societies, Pluto Press, London, 1989, 573 P.
41. Clayton, D. Attitudes to language change and variation // Knowing about language: Linguistics and the secondary language classroom, Routledge, London and New York, 2016, 248 p.
42. Cook, P.C. Exploiting linguistic knowledge to infer properties of neologisms: [dissertation]. Canada, University of Toronto, 2010, 155 p.

rystal, D. English as a Global Language, Second edition, New York, Cambridge University P

44. Crystal, D. Language and the Internet, UK, Cambridge; Cambridge University Press, 2004, 284 p.

s

s

,

45. Crystal, D. Language Death, Cambridge University Press, 2000, 209 p.
46. Crystal, D. (1995). The Cambridge Encyclopedia of the English Language.GB: Cambridge University Press, 2019, 582 p.

Wordplay as a translation problem: A linguistic perspective, An international

e

O

49. Durkin, P. Borrowed Words: A History of Loanwords in English, OUP Oxford, 2014
50. Erickson, J. (1998): “Cyberspeak: the Death of Diversity”, Asiaweek, 3 July, 15
51. Fischer, S. D. (1998). Critical Periods for Language Acquisition: Consequences for Deaf Education. In A. Weisel (Ed.), Issues Unresolved: New Perspectives on Language and Deaf Education (pp. 9-26). Gallaudet University Press. https://doi.org/10.2307/j.ctv2rh28h0.8

p

erding, C. Fuentes, M. Gomez, L. Kotz, G. Anglisism: An active word-formation Mechanism in Spanish, 2014, DOI:10.14483/udistrital.jour.calj.2014.1.a04 https://www.researchgate.net/publication/285563611_Anglicism_An_active_word-formation_mechanism_in_Spanish

n

ll-Lew, L. Trousdale. Breksit or Bregzit: When Political Ideology Drives Language Ideology, University of Pennsylvania Working Papers in Linguistics, no. 2, vol. 26, 2020, pp. 89-98. https://repository.upenn.edu/entities/publication/eba56bda-d422-4fb8-90c7-5d1e9339cf0e2

Transitivity in Grammar and Discourse, Language, Vol. 56, No. 2. Jun. 1980, pp. 251-299

met, D. Rodet, P. How is Brexit Linguistically-Constructed? A Corpus Linguistic Analysis of Speeches by David Cameron, Theresa May and Boris Johnson. Observatoire de la société britannique, 2021, 27, ff10.4000/osb.5290ff. ffhal-03494600
DOI: 10.4000/osb.5290 https://hal.science/hal-03494600v1

HYPERLINK "https://www.semanticscholar.org/paper/Orthographic-Neologisms-Selection-
C
effries, L. Discovering Language: The Structure of Modern English, Macmillan Education,
UK, 2006, 272 p.
t
On Language Change: The Invisible Hand in Language, New York, Routledge, 1994, 194
e
p.
r
ennedy, C. R. The mediated representations of Brexit protests in the UK press: a corpus-
i
assisted Critical Discourse Analysis, PhD thesis, Nottingham Trent University for the
a
degree of Doctor of Philosophy. October 2022, https://tinyurl.com/2utmpsh6
-
erremans, D. A Web of New Words, Corpus-Based Study of the Conventionalization
a
Process of English Neologisms, Peter Lang Group AG, 2015, 278 p.
n
aato, S. Xi, N. Spors, V. Thibault, M. Hamari, Juho. Making Sense of Reality: A Mapping
d
-
of Terminology Related to Virtual Reality, Augmented Reality, Mixed Reality, XR and the
J
Metaverse. Proceedings of the 57th Hawaii International Conference on System Sciences |
a
2024, https://urn.fi/URN:NBN:fi:tuni-202402192351 License: CC BY-NC-ND HICCS
n
United States, Honolulu, 3/02/34 – 6-01/2024
s
HYPERLINK "https://www.researchgate.net/profile/Gordana-Lalic-
s
Krstin?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicGFnZSI6InB1Ymxp
o
Y2F0aW9uIn19" Lalic-Krstin, G. Silaški, N. From Brexit to Bregret: An account of some
n
Brexit-induced neologisms in English, June 2018, English Today 34(2):3-8;
/
DOI:10.1017/S0266078417000530
f
akoff, G. Johnson, M. Metaphors We Live By. Chicago: University of Chicago Press. 1980,
3
260 p.
2
0
HYPERLINK "https://www.researchgate.net/profile/Ursula-
b
Lanvers?_tp=eyJjb250ZXh0Ijp7ImZpcnN0UGFnZSI6InB1YmxpY2F0aW9uIiwicGFnZSI6InB1Ymx
0
pY2F0aW9uIn19" Lanvers, U. Doughty, H. Brexit as Linguistic Symptom of Britain
0
Retreating into its Shell? Brexit-Induced Politicization of Language Learning, Modern
d
Language Journal 102(4) DOI:10.1111/modl.12515
f
1
4
2

ehrer, A. Understanding Trendy Neologisms, Rivista di Linguistica, 15.2, 2003, pp. 371-384

ink, S. V. What Makes Neologisms a Success Story? An Empirical Study of the Diffusion of Recent English Blends and German Compounds, Inaugural-Dissertation zur Erlangung des Doktorgrades der Philosophie in englischer Sprachwissenschaft der Ludwig-Maximilians-Universität München, 2021, https://edoc.ub.uni-muenchen.de/28760/1/Link_Sabrina_Vanessa.pdf

attiello, E. Analogy in word-formation: A study of English neologisms and occasionalisms (Trends in Linguistics: Studies and Monographs 309). Berlin & Boston, MA: De Gruyter Mouton, 2017. Pp. Vii + 340.

C

Mcalf, A. Predicting New Words - The Secrets of Their Success, Houghton Mifflin Company, Boston, New York, 2002, 206 p.

ichael, K. B. De Leon, Navigating the Functions of Emerging Neologisms: A Sociolinguistic Study, 01 July 2024, DOI: https://dx.doi.org/10.47772/IJRISS.2024.806042

Buzzwords on their way to a tipping-point: A view from the blogosphere. Complex. 16(4): 2011, pp. 58-68

ewmark, P. A Textbook of Translation. New York, Prentice Hall Print, 1988, 292 p.

P

ewell, G. (1946), Politics and the English Language, GB, Renard Press, 2021, 48 p.

arnell, T. Constructing British and European identities in Brexit Britain: a critical linguistic analysis of press, political, and personal discourses. PhD thesis, University of Nottingham, 2023, https://eprints.nottingham.ac.uk/72976/

nplack, S. Sankoff D. Miller C. The social correlates and linguistic processes of lexical borrowing and assimilation, Linguistics 26, 1988, pp. 47-104, https://doi.org/10.1515/LING.1988.26.1.47

:

Pplack, S. Sankoff, D. Miller, C. The social correlates and linguistic processes of lexical

r\

e

s

borrowing and assimilation, DOI: 10.1515/ling.1988.26.1.47
https://www.researchgate.net/publication/248016315_The_social_correlates_and_linguistic_processes_of_lexical_borrowing_and_assimilation
ruvost, J. Sablayrolles, J.F. Dictionnaire des néologismes: 19e et 20e siècles, Presses Universitaires de France, 2003;
enouf, A. A finer definition of neology in English - The life-cycle of a word, Corpus Perspectives on Patterns of Lexis, June 2013, pp. 177-208.
T
odriguez Guerra, A. Dictionaries of Neologisms: A Review and Proposals for its
improvement, Open Linguistics 2016; 2: pp. 528–556, DOI 10.1515/opli-2016-0028
https://www.researchgate.net/publication/248016315_The_social_correlates_and_linguistic_processes_of_lexical_borrowing_and_assimilation
88. Ruiz, E. A. Orrequia-Barea, A. A Corpus Study of Brexit Political Discourse: Exploring Modality through Lexical Modals; Miscelánea: A Journal of English and American Studies, vol 70 (2024); DOI: https://doi.org/10.26754/ojs_misc/mj.20249837
ehultz, J. Twentieth Century Borrowings from French to English: Their Reception and
Development, Cambridge Scholars Publishing, 2012, 589 p.
hortis, T, The Language of ICT: Information and Communication Technology, Routledge,
London and New York, 2001, 128 p.
n
B
tockwell, R. Minkova, D. English words: History and Structure, Cambridge University
Press, 2001, 205 p.
tockwell, P. The Poetics of Science Fiction, Pearson Education, 2000, 222 p.
https://doi.org/10.4324/9781315838878
HYPERLINK "https://www.jbe-platform.com/search?value1=M.+Reza+Talebinejad&option1=author&noRedirect=true"
Talebinejad, M. R. Hossein Vahid Dastjerdi and Rana, Barriers to technical terms in
o
b
y

translation: Borrowings or neologisms, Terminology. International Journal of Theoretical and Applied Issues in Specialized Communication, Volume 18, Issue 2, Jan 2012, p. 167 – 187, DOI: https://doi.org/10.1075/term.18.2.02tal

Edinburgh University Press, 2001, 310 p.

an Dijk, T. A. Principles of Critical Discourse Analysis, Discourse and Society, London, Newbury Park and New Delhi, SAGE, 1993, Vol . 4 (2), pp. 249-283

olfer, S. Klosa-Kückelhaus, A. Tracking the acceptance of neologisms in German: Psycholinguistic factors and their correspondence with corpus-linguistic findings; September 2023 https://www.nature.com/articles/s41599-023-01977-4

oodhouse, S. C. English-Greek Dictionary, A Vocabulary of the Attic Language, Routledge, 1972, 1048 p.

urm, S. A. Atlas of the World's Languages in Danger of Disappearing, Unesco Publishing,

р

н

Гальперин, И.Р. Стилистика английского языка, Москва, Издательство: Высшая

школа, 1977, 328 с.

р

ь

I

Н

Д

I

К

,

N

И

Н

К

Б

И

И

110 http://techdict.ge/

112 http://www.ict.tpdc.ge/video/60

Лексикология современного английского языка, МОСКВА, Издательство «Высшая школа», 1986, 295 с.

134 https://bit.ly/4kGVK5a

139 https://blog.oxforddictionaries.com/2015/03/05/cyborgs-cyberspace-csi-cyber/

146 https://datomalania.blogspot.com/2019/04/blog-post_1.html?m=1

148 https://dictionary.cambridge.org/

152. https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/bionic#google_vignette

154. https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/catfishing

155. https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/cookie

178. https://dictionary.ge/

185. https://dictionary.ge/ka/word/scum/

189. https://dictionary.ge/ka/word/zoom+II/

200 https://en.wiktionary.org/wiki/Trumperor

203 https://en.wiktionary.org/wiki/Trumpoid

205 https://etymology.net/bluetooth/

215 https://frenchjournalformediaresearch.com/lodel-1.0/main/index.php?id=275

250 https://publika.ge/rogor-sheidzleba-dakompleqtdes-trampis-akhali-administracia/

254 https://searchengineland.com/guide/what-is-seo

256 https://socialjustice.org.ge/ka/products/ra-aris-fara

260. https://tabula.ge/ge/news/622918-trampi-sheshlili-berni-sandersi-mdzinare-jo

270. https://techdict.ge/en/word/email%7Cen/

279. https://techdict.ge/ka/word/blog/

301. https://techdict.ge/ka/word/scrolling/
302. https://techdict.ge/ka/word/search%20engine%20optimization/
305. https://techdict.ge/ka/word/software%7Cen/
310. https://techdict.ge/ka/word/uniform%20resource%20locator/
313. https://techterms.com/definition/digital_footprint
329. https://tinyurl.com/2j7t7873
331. https://tinyurl.com/2kma2f6u

348 https://tinyurl.com/3cnnj6yv

363 https://tinyurl.com/3upmbps5

367 https://tinyurl.com/3ydfs7kb

370. https://tinyurl.com/44ankdzn

380. https://tinyurl.com/4cspee9s

405. https://tinyurl.com/4xeeyeuf

417. https://tinyurl.com/5n7bwrb9

423. https://tinyurl.com/7vmzax4r

436. https://tinyurl.com/bdmj9hwr

https://tinyurl.com/mr4aujhv

https://tinyurl.com/ms75m8nm

488 https://tinyurl.com/y9d5bfed

495 https://tinyurl.com/yc5wwwv5
496 https://tinyurl.com/yc6vxk84
497 https://tinyurl.com/yc7h7ute

500 https://tinyurl.com/yfn2er3b

511 https://tinyurl.com/ywjbea88

516. https://tinyurl.com/zy94w52a

517. https://view.ge/ai-leqsikoni/deepfake)

519. https://www.acslaw.org/tag/the-department-of-injustice/?post_type=acsblog

HYPERLINK "https://www.associatesinplasticsurgery.com/articles/how-selfie-culture-

532. https://www.britannica.com/dictionary/collateral-damage

536. https://www.britannica.com/technology/closed-circuit-television

539. https://www.britannica.com/topic/5G

548. https://www.britannica.com/topic/e-democracy
549. https://www.britannica.com/topic/MAGA-movement

H

HYPERLINK "https://www.cambridgeenglish.org/news/view/hallucinate-is-cambridge-

HYPERLINK "https://www.cbsnews.com/minnesota/news/trump-derangement-syndrome-

574. https://www.collinsdictionary.com/submission/18203/Trumpification

577. https://www.collinsdictionary.com/submission/22233/doomscrolling

583. https://www.deseret.com/2022/9/16/23341152/what-rino-means-in-trump-era-rusty-bowers/

596. https://www.etymonline.com/search?q=domain

599. https://www.etymonline.com/search?q=malware

602. https://www.etymonline.com/search?q=screen
603. https://www.etymonline.com/search?q=spyware

606. https://www.etymonline.com/word/cyborg

613. https://www.etymonline.com/word/podcast
614. https://www.etymonline.com/word/stream

https://www.healthline.com/health/zoom-fatigue

https://www.indifferentlanguages.com/words/click

https://www.justice.gov/nsd-fara

https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/LEGITEXT000005616341/

https://www.merriam-webster.com/dictionary/2D

https://www.merriam-webster.com/dictionary/3D

https://www.merriam-webster.com/dictionary/portmanteau

https://www.merriam-webster.com/dictionary/RINO

https://www.merriam-webster.com/dictionary/zoom

https://www.myvideo.ge/?video_id=3231688&type=2

https://www.newsweek.com/sleepy-joe-becomes-reality-1921610/

https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/android

https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/blog_1

654. https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/crash_2
655. https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/log_1?q=log

660. https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/vlog_1?q=vlog

666. https://www.psu.edu/news/impact/story/digital-amnesia

677. https://www.radiotavisupleba.ge/a/33428267.html

HYPERLINK "https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/" https://www.statista.com/statistics/272014/global-social-networks-ranked-by-number-of-users/

684. https://www.techtarget.com/searchapparchitecture/definition/software

686. https://www.techtarget.com/searchnetworking/definition/hardware

691 https://www.theguardian.com/books/2017/nov/02/fake-news-is-very-real-word-of-the-year-for-2017

HYPERLINK "https://www.theguardian.com/us-news/2025/mar/26/trump-derangement-

HYPERLINK "https://www.theguardian.com/world/2013/nov/19/selfie-australian-slang-

HYPERLINK "https://www.vice.com/en/article/these-9-politicians-have-resigned-for-sexual-

702 https://www.whitehouse.gov/presidential-actions/2025/01/establishing-and-implementing-the-presidents-department-of-government-efficiency/

703 https://www.whitehouse.gov/presidential-actions/2025/02/establishing-the-presidents-make-america-healthy-again-commission/

710 www.wordspy.com

დანართი

შრომის მე-4 თავში განხილული უცხო სიტყვათა ლექსიკონების მიხედვით ქართული ენის ლექსიკაში საერთაშორისო სიტყვების მიერ ჩანაცვლებული ქართული ფორმები -

აკადემიური/სამეცნიერო სფეროები და ამ სფეროთა წარმომადგენლები

მასალა აღებულია იოსებ იმედაშვილის 1904 წლის „უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან“

<u>პროფესიები/საქმიანობა</u>

ბუკინისტი - მეძველწიგნე (იმედაშვილი, გვ. 160)

ბოტანიკოსი - მცენარეთმეტყველი (იმედაშვილი, გვ. 154)

ბიოლოგი - სიცოცხლისმეტყველი (გვ. 145)

ასტრონომი - ვარსკვლავთმრიცხველი (გვ. 102)

ასტროლოგი - ვარსკვლავთმისანი (გვ. 101)

არქიტექტორი - ხუროთმოძღვარი (გვ. 94)

არქეოლოგი - სიძველეთმეტყველი (გვ. 92)

ანთროპოლოგი - ადამიანთმეტყველი (გვ. 62)

გეოდეზისტი - მიწათმზომელი (გვ. 179)

გეოლოგი - დედამიწისმეტყველი (გვ. 179)

გრავიორი - აქაქი (გვ. 200)

ვეტერინარი - ბეითალი (გვ. 327)

პოლიცია - ბოქაული/საბოქაულო (გვ. 727)

პორტრეტისტი - მესურათხატე (გვ. 730)

პროკურორი - მსაჯულთუხუცესი (გვ. 746)

რესტავრატორი - აღმდგენელი (გვ. 795)

ლითოგრაფია - ქვითმჭედაობა (გვ. 523)

მაკლერი - გამრიგებელი (გვ. 75)

<u>სამეცნიერო /აკადემიური სფეროები</u>

ანთროპოლოგია - ადამიანთმცოდნეობა (გვ. 62)

არქეოლოგია - სიძველეთმეტყველება (გვ. 92)

არქიტექტურა - ხუროთმოძღვრება (გვ. 94)

ასტროლოგია - ვარსკვლავთმისნობა (გვ. 100)

ასტრონომია - ვარსკვლავთმრიცხველობა (გვ. 101)

ბიოლოგია - სიცოცხლისმეტყველება (გვ. 145)

ბოტანიკა - მცენარეთმეტყველება (გვ.153)

გეოდეზია - მიწათმზომელობა (გვ. 179)

გეოლოგია - დედამიწისმეტყველება (გვ. 179)

თეორია - მოძღვრება (გვ. 46))

პროპედევტიკა - წინამზადება (გვ. 750)

<u>სამხედრო სფეროს ლექსიკა</u>

ადმირალი - ამირბარი (გვ. 15)

არმია - სპა (გვ. 89)

არსენალი - საჯაბადრო (გვ. 90_

გენერალ ადიუტანტი - მანდატურთუხუცესი (გვ. 171))

გენერალ-ფელდმარშალი - სპასპეტი (გვ. 175))

გარნიზონი - გუშაგი, მეციხოვნე რაზმი (გვ. 171)

საგარნიზონო - სამეციხოვნე (გვ. 805)

ტრიბუნალი - სამსაჯულო (გვ. 917)

ფლანგი - ფრთედი (გვ. 958)

ჰოსპიტალი - სასნეულო (სამხედრო საავადმყოფო) გვ. 1040)

<u>სხვადასხვა</u>

ამბიცია - თავმოთნეობა (გვ.12) (ახვლედიანი, 1933)

ამბიციოზური - თავმოთნე (გვ.12) (ახვლედიანი, 1933)

ანალოგია - თანაგვაროვბა (გვ.15) (ახვლედიანი, 1933)

ანაქრონიზმი - წელთცდომა (გვ. 17) (ახვლედიანი, 1933)

კოლონია - ახალშენი (გვ. 459)

პოლიუსი - მორგვი (გვ. 726)

პორტატული - ადვილსატარებელი გვ. 317) (ახვლედიანი 1933)

პორტი - ბოღაზი (გვ. 730)

პრერიე - ყორული (გვ. 736)

პროლეტარი - ბოგანო (გვ. 747)

პროპორცია - შეთანაბრება, შეთანასწორება, ზომიერება (გვ. 750)

პროპორციონალური - თანშეზომილი, შეთანაბრებული, შეთანხმებული (გვ. 750)

პროტოკოლი - ოქმი (გვ. 756)

პროცენტი - ნათავნი (გვ. 759)

პუდრა - ხრილი (გვ. 762) ფერუმარილი

პულსი - მაჯისცემა (გვ. 763)

ცენტრი - ცქიტი

რეაქცია - უკუბრუნება (გვ. 777)

რეგლამენტი - წესდებულება (გვ. 779)

რეგრესი - უკუვრდომა (გვ. 779)

რეგულარული - განწესრიგებული (გვ. 779)

რევმატიზმი - ქარები (- თ ავადმყოფობა) (გვ. 781)

რეზოლუცია - განჩინება (გვ. 784)

რენტა - ღალა (გვ. 789)

რითმა - წყობილი (გვ. 800)

რიტორიკული - ენამჭევრული (გვ, 801)

რუდიმენტალური - ურგები (გვ. 805)

საკვოიაჟი - კაპარჭი (გვ. 815)

საკოლონიო - საახალშენო (გვ. 816)

სიროპი - ავშაჯარი (გვ. 854)

სპირალი - ჭახრაკი (გვ. 870)

სპირალური - ჭახრაკული (გვ. 870)

ტრანსპორტირი - კუთხეთსაზომი (გვ. 913)

ტროპარი - ოხითა (გვ. 920)

ფაგოციტი - მჭამელა (გვ. 931)

ფანატიზმი - მიბრჯნილობა (გვ. 953)

ფლანელი - თივთიკი (გვ. 958)

ფოსფორი - ნივთმნათი (გვ. 964)

ქრონოლოგია - ქორონიკონი (გვ. 978)

შირმა - თეჯირი (გვ. 990)

შლაკი - წიდა, ხენჯი (გვ. 991)

ჩაი - თერმონი (გვ. 995)

ცემენტი - კოწიწი (გვ. 999)

ცენტრი - ცქიტი (გვ. 1002)

ცერემონია - თვალსეირი (გვ. 1004)

ცილინდრი - რვილი (გვ. 1006)

ციფერბლატი - რიცხვმაჩვენებელი (გვ. 1008)

ხოლერა - მომსვრელი (გვ. 1012)

ქრონიკული - განიადაგებული, მოუქარვებელი (გვ. 1014)

ჰარმონიული - კეთილხმოვანი (გვ 1019)

სტროფი - ტაეპი (გვ. 879)

ტარიფი - ბაჟი (გვ. 890)

ტაქსა - ნიხრი (გვ. 891)

ტაქსატორი - გამნიხრავი (გვ. 891)

ტაქსაცია - დანიხვრა (გვ. 891)

ტელესკოპი - ჭოგრი, შორსათვალე (გვ. 894)

ტერასა - ბანი (გვ. 897)

უცხო სიტყვები, რომელთაც ხშირად იყენებენ მათი ქართული შესატყვისების მაგივრად, და რომელთაც, შესაძლოა, იგივე ბედი გაიზიარონ ეს არ ვიცი, დავტოვო თუ ამოვიღო)

ადმინისტრაცია - გამგეობა, მმართველობა, მართვა-გამგეობა

ადმინისტრაციული - საგამგეო, მართებლობითი, გამგებლობითი

აბსტრაქტული - განყენებული, განყენებითი

აბსტრაქცია - განზოგადება, განყენება

აბსოლუტური - განუსაზღვრელი, დამოუკიდებელი, სრული, თავისთავადი, შეუზღუდავი

ადვოკატი - მოსარჩლე/ვექილი, დამცველი

ავტონომია - თვითმმართველობა

ავტორი - მთხზველი (შემთხზველი)

ავტორიტეტი - გავლენა

ანონიმური - უსახელო, საიდუმლო, ხელმოუწერელი,

არგუმენტი - საბუთი, აღმოჩინება

არგუმენტაცია - დასაბუთება, მტკიცება

ასისტენტი - თანაშემწე, თანა-დამსწრე

ასოციაცია - ამხანაგობა, კავშირი, საზოგადოება, გაერთიანება

აქტიური - მომქმედი, მოქმედი, მამოძრავებელი

ბიუჯეტი - ხარჯთაღრიცხვა

გარანტია - თავდებობა, უზრუნველყოფა

გრაციოზული - შნოიანი, ნარნარი, მიმზიდველი, მოხდენილი

დებატები - სჯა, კამათი, შეჯიბრება, პაექრობა

დეტალი - წვრილმანი

დეტალური - დაწვრილებითი

დეფექტური - ნაკლულევანი, ნაკლულოვანი

ეკვივალენტი - ფარდი, თანასწორი, თანაბარი, ტოლფასეული, ტოლფასი

ეკვივალენტური - თანაბარღირებული, ტოლფასოვანი, ტოლმნიშვნელოვანი

ეკონომია - მომჭირნეობა, დამზოგველობა

ეკონომიური - ყაირათიანი, მომჭირნეობითი, დამზოგველობითი

ენერგიული - მედეგი

ეფექტი - მოქმედება, ზემოქმედება, გავლენა, შთაბეჭდილების მოხდენა, შედეგი

ეფექტიანი - შედეგიანი, წარმატებიანი, წარმატებული

ინდივიდი - პირადობა, პიროვნება

ინდივიდუალობა, ინდივიდუალური - კერძოობა, კერძოობითი, განსხვავებული, პირადი

ინტერესი - სარგებლობა, სარგო, მოგება, ცნობისმოყვარეობა, ყურადსაღებობა, მისწრაფება

კომპლიმენტი - სარგებლობა, სარგო, მოგება, ცნობისმოყვარეობა, ყურადსაღებობა, მისწრაფება

კომენტარი(ა) - განმარტება, ახსნა-განმარტება, შენიშვნა

კომპენსაცია - მოქმედი ძალის გათანაბრება, საზღაური, ანაზღაურება

კომუნიკაცია - შეტყობინება, ურთიერთ გაგებინება, ენის საშუალებით აზრების გადაცემა, ურთიერთობა

კონკურენტი - მოცილე, მოქიშპე, მოჯიბრე, მეტოქე

კონკურენცია - მოცილეობა, მოქიშპეობა, მეტოქეობა

კონკრეტ(ი)ული - ნამდვილი, ხილული, განსაზღვრული, ცხადლივი, ხელშესახები

კონტაქტი - კავშირი

კონფლიქტი - უთანხმოება, შეტაკება, შეჯახება, განხეთქილება, შეხლა-შემოხლა

კრიზისი - განსაცდელი, გასაჭირი, გარდატეხა

კრიზისული - გარდატეხითი, სახიფათო, გადამწყვეტი

ლეგალიზაცია - დაკანონება, დამოწმება, გაკანონიერება,

ლეგალური - კანონიერი, სამართლიანი, ნებადართული, კანონით აღიარებული

მაკლერი - დალალი, შუამავალი, გამრიგებელი

მატერიალური - ქონებრივი, ნივთიერი, ხორციელი, სარგებლიანობითი

მორალი - ზნეობა

მოტივი - მიზეზი, საბუთი

მოტივაცია - დასაბუთება

პანიკა - თავზარი, შიში, ძრწოლა, მღელვარება

პარტნიორი - თანამონაწილე

პესიმიზმი - სასოწარკვეთილება, სასოწარკვეთა, უიმედობა

პრივილეგია - უპირატესობა, წარჩინება

პრივილეგიური, პრივილეგირებული - უპირატესი,

პრობლემა - ამოცანა, გადასაწყვეტი საკითხი

პრობლემატიური - საეჭვო, გამოურკვეველი, განსასჯელ-გამოსაკვლევი, გამოსაცნობი, სათუო, საეჭვო

პროცესი - მდინარეობა, მსვლელობა

რეალური - არსებული, ნამდვილი, ჭეშმარიტი

რეაქცია - უკუბრუნება, უკუმოქმედება, საპასუხო მოქმედება

სტრუქტურა - წყობილება, აგებულება, ნაშენობა, აღნაგობა, წყობა

სკანდალი - ალიაქოთი, აურ-ზაური, შფოთი, აყალმაყალი

ტოლერანტული - შემწყნარებელი, ამტანი

ფამილარული - შინაურული, მოურიდებელი, უბოდიშო, თავშეუზღუდველი, მოურიდებელი

ჰარმონია - შინაურული, მოურიდებელი, უბოდიშო, თავშეუზღუდველი, მოურიდებელი

ჰარმონიული - კეთილხმოვანი, კეთილხმოვნური, თანაშეწყობილი

ცენტრი - შუაგული, შუაადგილი, შუაწერტილი

ცენტრალური - უმთავრესი, ძირითადი, უმნიშვნელოვანესი

ჰუმანიზმი - კაცთმოყვარეობა

ჰუმანური - კაცთმოყვარე, კაცთმოყვარული, ადამიანური

ცხრილი 1 - მსოფლიოს ციფრული მოსახლეობა (ინტერნეტის და სოციალური ქსელების მომხმარებელთა სტატისტიკა 2025 წლის იანვრის თვისთვის

H

Y

P

E

R

L

I

N

K

"

h

t

t

p

s

:



ცხრილი 3 – 10 ყველაზე გავრცელებული ენა მსოფლიოში/ამ ენებზე მოსაუბრეთა სტატისტიკა

H



ცხრილი 3 - გამოკითხულ პირთა ასაკობრივი განაწილება

h

t

t



ცხრილი 4 - გამოსაკითხ პირთა განაწილება სქესის მიხედვით



ცხრილი 5 - გამოიკითხულ პირთა განათლება



ცხრილი 6 - განაწილება ინგლისური ენის კომპეტენციის მიხედვით



ცხრილი 7- პროფესია/საქმიანობის ტიპი

ცხრილი 8 - ნეოლოგიზმის, როგორც ფენომენის ცნობადობის მაჩვენებლები



ცხრილი 9 - გამოსაკითხ პირთა დამოკიდებულება ნეოლოგიზმების ენაში გაჩენასთან



ცხრილი 10 - ნეოლოგიზმების ენაში შემოსვლის გამოკითხულ პირთა აღქმის სტატისტიკა



ცხრილი 11 - ნეოლოგიზმების გადანაწილება სფეროების მიხედვით გამოკითხულ პირთა თვალსაზრისით



ცხრილი 12 - ნეოლოგიზმების წყარო ენა ქართულისთვის



ცხრილი - 13 - პოლიტიკური ნეოლოგიზმების ცნობადობის სტატისტიკა გამოკითხულ პირებში

გთხოვთ, შემდეგი 20 ნეოლოგიზმის ორ-ორი ვარიანტიდან აირჩიეთ ისინი, რომლებიც გამოყენების თვალსაზრისით, უფრო პრაქტიკულია ქართულში (მოსახერხებელი)?

65 responses



ცხრილი 14

65 responses



ცხრილი 15

65 responses



ცხრილი 16



ცხრილი 17



ცხრილი 18



ცხრილი 19



ცხრილი 20



ცხრილი 21



ცხრილი 22



ცხრილი 23



ცხრილი 24



ცხრილი 25



ცხრილი 26



ცხრილი 27



ცხრილი 28



ცხრილი 29



ცხრილი 30



ცხრილი 31

65 responses



ცხრილი 32

65 responses

ცხრილი 33

რით არის თქვენი არჩევანი ძირითადად განპირობებული?

65 responses



ცხრილი 34

გთხოვთ, აირჩიოთ მოცემული თორმეტიდან ვარიანტებიდან თქვენთვის მისაღები ჟღერადობის თვალსაზრისით:

65 responses



ცხრილი 35

65 responses



ცხრილი 36

65 responses



ცხრილი 37



ცხრილი 38



ცხრილი 39



ცხრილი 40



ცხრილი 41



ცხრილი 42



ცხრილი 43

65 responses



ცხრილი 44

ძირითადად რა მიზეზით აირჩიეთ ზემოთ მოყვანილ ორ-ორ მაგალითიდან თქვენთვის უპირატესი (ლიბკა/ლიბჯ; სტრიმინგი/ხარისმინგი და სხვა)?

65 responses



ცხრილი 45

თუ ინგლისურ ნეიღოგიზმს ქართულში შესაბამისი ფორმა არ აქვს და სიტყვა საჭირო ცვლას ადნიშნავს:

65 responses

ცხრილი 46

იმ შემთხვევაში, თუ ინგლისური ფორმა იცით, ქართული შესატყვისი არსებობს, თუმცა მის შესახებ არაფერი გსმენიათ, რა შეიძლება, იყოს მიზეზი?

65 responses

ცხრილი 47

ამ შემთხვევაში, რომელი ქართული შესატყვისი არსებობს, რომლის გამოყენებაა რეკომენდებული?
65 responses

ცხრილი 48

რა ზომის ხარი ქართულ ტექსტებში ინგლისური შრიფტით ნეიტრალიზმების ან სხვა ტიპის სიტყვების ჩაწერასთან დაკავშირებით? (ქართულ...რის Deepfake - ტექნოლოგიების ახალი ფორმა)
65 responses



ცხრილი 49

მონიშნეთ ის აკრონიმები (ამ შემთხვევაში, სასაუბრო ფრაზის შემოკლებები), რომელთა მნიშვნელობაც იცით:
65 responses



ცხრილი 50

იყენებთ თუ არა მსგავს აკრონიმებს მიმოწერაში?
65 responses

ცხრილი 51

რა აზრის ხარის ისეთ სიტყვებზე, როგორიცაა "დალაქება", "დასველება", "დაღონება", "დამაგვა", "ასქრილება", "დაბუჟმარჯება" და ა.შ.?

65 responses

ცხრილი 52

რა სფეროში გამოიყენება (გამოიყენებთ) ზემოთ დასახელებული ტიპის გაქარწყლებულ სიტყვებს?

65 responses



ცხრილი 53

რა აზრის ხართ „საერთაშორისო სტატუსის" სიტყვებზე? (მაგ.:კრიტიკა, ბალანსი, პრიორიტეტი)?
65 responses

ცხრილი 54

თქვენი აზრით, „ეცხო სიტყვებს" - ოგივე ნეოლიბერალიზმების ენაში შემოსვლის გამო, დაკარგულა თუ არა ჩვენს ენაში ქართული ფორმები?
65 responses



ცხრილი 55



ცხრილი 56



ცხრილი 57

თუ თქვენი, რომ ქართული ენის მდგომარეობა გარკვეული სტრუქტურების მხრიდან მკვეთრი ზომების მიღებას მოითხოვს, თქვენი აზრით, ვის...რამდენიმე თქვენი პოზიციის გათვალისწინებით)

65 responses



ცხრილი 58